

რამაზ ნამიჭიევძელი
ლია ზიზილავიძელი

უცნობი ნაცნობი

*შფხიხები ნიღვ ნიღვოდის
ეცნძმეყუხი ნეხეჩქისთვილ*



გამომცემლობა გრიფონი

თბილისი
2020

შესწავლილია ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების ფენომენოლოგია, საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა და ეკონომიკის რეფორმების ნიკო ნიკოლაძისეული ინტერპრეტაციები.

მოკვლეულია ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების ფორმირების პროცესები, ნიკო ნიკოლაძის შეხედულებები ინტელიგენციაზე და მის როლზე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის ამალგების საქმეში.

წარმოჩენილია ნიკო ნიკოლაძის ევროპული განათლებისა და ქართული ტრადიციული გენეტიკური აზროვნების ინტეგრალური ხვეულები, მამულის სიყვარულისა და მსახურების კრიტიკული შეფასება ეკონომიკის თანამედროვე განვითარების მოთხოვნებთან კავშირში.

განკუთვნილია მაგისტრების, დოქტორანტების და ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების შესწავლით დაინტერესებული მკითხველისთვის.

**ნიგნი მომზადებულია
ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების
მიერ**

**გამოცემის მხარდამჭერები:
„ბერონტი (ჯუკა) კუხალაიშვილის ფონდი“
„ჯეპრა“**

ტექნიკური რედაქტორი:
გიორგი ფარეშიშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
დავით კორტავა
გიორგი კუხალაიშვილი
რუსუდან უსტიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ირაკლი გელთაძე

შესავალი

ისმება კითხვა, ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე? და წამოვა პასუხების კორიანტელი: ჟურნალისტი, ფილოლოგი, მწერალი, კრიტიკოსი, იურისტი, ეკონომისტი, ფინანსისტი, ინჟინერი, გამომგონებელი, სელექციონერი, მელიორატორი, ნიადაგმცოდნე, ჰესების მშენებელი, მენეჯერი, ფოთის ქალაქის თავი და... გიჭირს ყველაფრის ზეპირად გახსენება. რაკი მტრებმა და მოშურნეებმა ყველაზე კარგად იციან, ვისაც მტრობენ და ებრძვიან, ვისიც შურთ, ამიტომ მაშინდელი ქუთაისის გუბერნიის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ს.კარსკის მოვუსმინოთ, რომელმაც ნიკო ნიკოლაძის დაკითხვის ოქმი შეადგინა. „რაც შეეხება ნიკოლაძის პიროვნებას, მის კავშირებსა და გავლენას, დოკუმენტური მასალისა და გამომძიებით დაკითხული პირების ჩვენებების საფუძველზე შეიძლება ზუსტი წარმოდგენა იმისა, რომ სხვა არავის, სწორედ ერთს ნიკოლაძეს შეეძლო იმ მოთხოვნების შესრულება, რასაც ფირმა წაუყენებდა ვალდებულ პირს 1896 წლის 20 მაისიდან, როგორც საიმედო კონტრაგენტს. არ არის აუცილებელი იცნობდე ნიკოლაძეს პირადად, ამ მასალის საფუძველზე ზოგადი შტრიხებით შეიძლება მისი სილუეტის დახატვა. დოკუმენტური მასალების ერთობლიობა და მასზე სხვადასხვა პირების გამოძახილი ახასიათებს ნიკოლაძეს, როგორც ბუნებრივი კრიტიკული აზროვნების, ძალიან განათლებულ ადამიანს, რომელიც ადვილად ერკვევა ყოველგვარ, სპეციალურ ტექნიკურ საკითხებშიც კი, რასთანაც მას უხდება შეხება, იშვიათ შრომისუნარიან, ძლიერი ნებისყოფის ადამიანს, რომელმაც არ იცის უკან დახევა, ენერგიულია, არასდროს ეპუება ფრიად პატივმოყვარულ წინააღმდეგობებსაც კი. ამას უნდა მიუმატოთ სიტყვისა და კალმის ოსტატურად ფლობის განსაკუთრებული უნარი, სრული სარკაზმით სავსე, პოლემიკაში პირდაპირ საშიშია ოპონენტისათვის. ამ ბუნებრივი თვისებების წყალობით

ნიკოლაძე უდიდეს როლს ასრულებდა კავკასიაში, როგორც პოპულარული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რომლის სიტყვას ყურადღებით უსმენდა ადგილობრივი საზოგადოება, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც მას თავისი იდეალების გამომხატველად მიიჩნევდა. საქმიდან ჩანს, რომ ნიკოლაძეს დიდი კავშირები ჰქონდა მრეწველებთან, საზოგადოებასთან და ადმინისტრაციულ მოღვაწეებთან, და პეტერბურგის ადგილობრივი ადმინისტრაციაც დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას. ფოთში ნიკოლაძე მივიდა 90-იან წლებში იქაური წვრილი მოვაჭრეების მიწვევით, რომლებმაც აირჩიეს კიდეც ქალაქის თავად. ცხადია, რომ ისეთ უთვალსაჩინოეს კაცს, როგორც ნიკოლაძეა, ქალაქის თვითმმართველობის მეთაურად არჩევით შეეძლო დიდი გავლენა მოეხდინა ქალაქის საქმეებზე და ყველა მისი გეგმა გაეტარებინა განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე იმ ავტორიტეტის წყალობით, რომელიც თვითმმართველობის დანარჩენი წინოსნების წინაშე ჰქონდა.

ნიკოლაძეს საქმეს უმსუბუქებდა მოსახლეობისაგან უსაზღვრო ნდობა, რითაც იგი სარგებლობდა ფოთში საზოგადო და განსაკუთრებით სათათბიროში, სადაც ყველა მხარში ედგა მის ჭეშმარიტად ამოუწურავ ენერჯიას ქალაქის წინაშე შუამდგომლობაში, რომლის ინიციატორი თვითონ იყო; მოქალაქეთა მადლიერება იმის გამო, რომ იგი მისი უნარის მთელ ძალისხმევას დებდა პატარა ქალაქიდან ისეთი პორტის წარმოქმნაში, როგორც თანამედროვე ფოთია.

ამას უნდა მიემატოს მისი პიროვნული მომხიბვლელობა, რომელსაც შეეძლო – საქმეში არსებული გამოწვევებით - მიეზიდა ადამიანები თავისი ექსპანსიური თავაზიანობით, ნების ძალით, რომელიც იმორჩილებდა გონს, და ხასიათი, რომელმაც არ იცოდა წინააღმდეგობები, სიტყვა და კალამი, რომლითაც იოლად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს, როგორც ეს ჩანს სხვადასხვა ბრალდებებზე ნიკოლაძის პასუხების საქმის მასალებიდან ოპონენტებისადმი ქალაქ ფოთში მისი სამსახურის

პერიოდში“¹.

ამ მასალებიდან ცხადია, რომ კარსკის ბევრი უფიქრია ნიკო ნიკოლაძეზე, თორემ ამნარ შეფასებებს ერთი ხელის მოსმით ვერ დაწერდა. საოცარია, გუბერნიის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს სიმპათია უჩნდება სამართალში მიცემულის მიმართ, რომლის დაჭერაც „ზემოდან“ დავალებული ჰქონდა. „ბატონი პროკურორი თავის საბრალდებო სიციყვაში სთხოვდა პალატას, თქვენ დამნაშავეთ იცანით ნიკოლაძე 372 მუხლის ძალით; თუნდაც აღიარეთ, რომ მხოლოდ ათი მანეთი მიიღო და მე მეტი არაფერი მინდაო“². საოცარია ცხოვრება, სტოლიპინის ცოლიძმის ნეიდჰარტის სამსახურებრივი დანინაურების მიზნით საჭირო იყო დიდი საქმის გამოძიება და რაკი მაშინდელ იმპერიაში ყველაზე დიდი მშენებლობა ფოთის პორტი იყო, ნიკოლაძეს წამოავლეს ხელი...

მაინც ვინ იყო ნიკო ნიკოლაძე? არ ივარგებს მისი მოხსენიება მხოლოდ „თერგდალეულთა“ თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრად ან თუნდაც პუბლიცისტად და დიდ საზოგადო მოღვაწედ. მისი აზროვნება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს წვდებოდა, ყველა საზოგადო საქმის ინიციატორი და შემოქმედი იყო, მაგრამ არა როგორც მიმყოლი და გუნდის წევრი. ნიკო ნიკოლაძე ცალკე დგას და კი არავის უკიჟინებს ასე და ასე მოიქეციო. თვითონ იწყებს იმ საქმეს, რომელიც ქვეყნისთვის უმთავრესია და არავის პატიობს თუკი არ აკეთებს იმდენს, რამდენიც შეუძლია ან პარაზიტულ ცხოვრებას მისდევს. ვერ ეგუება სიყალბეს და სიზარმაცეს, ავის მქმნელების მიმართ უსასტიკესია. მან კარგად იცოდა ილიასა და აკაკის ფასი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას დაენახა მათი ნაკლოვანებანი და კრიტიკის ცეცხლში ჩაეყარა ისინი. ნახეთ როგორ აფასებს ილიას „მამულის სიყ-

¹კეზევაძე მ., ნამიჭვიშვილი რ. მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის „ფოთის საქმე“. Постановление. ქუთაისი, 2003.

² იქვე, გვ.5

ვარულსა და მსახურებაში“(ტ. 7 გვ. 325). სხვაგან აკრიტიკებს ილიას. „ბ-ნი ჭავჭავაძე უკვდავი არ არის, მაგრამ საქმე, რომელსაც ახლა ის ხელმძღვანელობს, მრავალ თაობას გადასწვდება. რატომ არ ფიქრობს იგი, რომ შეუძლებელია მხოლოდ საკუთარ პიროვნებაზე ააშენო სამშობლოს მომავალი? მე მას დიდი ხნის სიცოცხლესა და კეთილდღეობას ვუსურვებ, მაგრამ რატომ არ ფიქრობს, რომ შეიძლება ისიც გაქრეს ან ბოლოს და ბოლოს ავად გახდეს...რას მოიმოქმედებენ მაშინ ის არარაობანი, რომლებიც ახლა გარს ახვევია და რომლებიც მას ძალიან უყვარს?“³. რამდენიმე წლის შემდეგ: „ეს უმაღლესი პატივი-მშობლიური ხალხის ლიტერატურული ძალებისათვის ახალი და ღირსეული ამოცანების დაყენება-ქართულ ლიტერატურაში წილად ხვდა არა თავ. აკ. წერეთელს, რომელსაც იგი უფრო შეეფერებოდა, არამედ მეორე მწერალს-თავ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელმაც ამის გამო დაიკავა კიდეც ღირსეული ადგილი თანამედროვე ქართული მესიტიყვეობის სათავეში...მიუხედავად ამისა, იმ უზარმაზარი განსხვავებისა, რაც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ამ ორ კორიფეს ბუნებრივ ნიჭს შორის მოიძებნება, თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ და არა თავ. აკ. წერეთელმა აიღო მასში მეთაურობა და მისცა მას მიმართულება, ამასთან სრულიად მართებული და უცვალებელი“⁴. ამ ორი კორიფეს შედარებისას იგი ხაზს უსვამდა აკაკის ღვთით მომადლებულ ნიჭს და ილიას ძალისხმევას. „...მთავრია ის, რომ შრომობდა, ცოდნით იარაღდებოდა, რადგან ნათლად ახსოვდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ბუნებრივი ნიჭი მისულიყო თანამედროვეებზე გაბატონებამდე, შთამომავლობაზე ზემოქმედებამდე. და მართლაც ყველაფერში წარმატება მოიპოვა, მოიპოვა წარმატება იმიტომ, რომ თავის თანამემამულეთა შორის თითქმის ერთადერთი მოღვაწე იყო, აღჭურვილი ნები-

³ ნიკოლაძე ნ. 5 საკვირაო საკითხავი. ტ.8. გვ.337. ქუთაისი, 2003

⁴ ნიკოლაძე ნიკო. 97. საიქმო საკითხავი. ტ.9. გვ. 529

სყოფით, ამტანობით, შრომისმიყვარეობით⁵. ძალიან ბევრს ეჩრთირება წინააღმდეგობის გამჟღავნება ილიასა და ნიკოს, ნიკოსა და აკაკის შორის და მხოლოდ მათ მეგობრობასა და თანამშრომლობაზე გადააქვს მთელი ყურადღება, რაც არა მარტო არასწორია, არამედ ნიკო ნიკოლაძის პიროვნული დამცირების მცდელობაც, მხოლოდ მცდელობა, ვინაიდან დიდი ნიკოს დამცირება შეუძლებელია.

დიდ ადამიანებს, არც თუ იშვიათად, აქვთ ერთმანეთში უთანხმოებები, განსაკუთრებით პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც მტრობა და დაუძლეველი დაპირისპირება. ნიკო ნიკოლაძე სავსებით მართალია იმაში, რომ ილიას გამოარჩევს, როგორც მწერალს, მიუხედავად იმისა, რომ იგი პოეტიცაა, ბელეტრისტიც, საზოგადო მოღვაწეც. აღაფრთოვანებდა აკაკის პოეტური ნიჭის ძალა და მას დაბადებით გამოჩენილ პოეტს უწოდებდა. მისი ლექსები უბადლო ბულბულის სიმღერად მიაჩნდა, აკაკი შესანიშნავი ბელეტრისტია, მაგრამ პოეტი მასში უფრო მაღალია. ნიკო ნიკოლაძე შესანიშნავი პუბლიცისტია, კრიტიკოსია, მწერალია, მაგრამ მასში მოჭარბებულია მეწარმისა და მენეჯერის ფენომენალური ენერჯია. გამოდის, რომ ილია, აკაკი, ნიკო ერთი გუნდის წევრები კი არ არიან, ქვეყნის ეროვნული აზროვნების თანავარსკვლავედის სამი სხვადასხვა მწვერვალი. გალაკტიონმაც სწორად შენიშნა: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და... ამდენად, წმინდა ილია მართალი და დიდი ნიკო ერთი სინამდვილის ორი მწვერვალია და არა ორივე ერთი სიბრტყის სინამდვილე. მართალია, ნიკო ნიკოლაძე, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი უფრო მაღალია, ვიდრე ილია, როგორც მეწარმე და მენეჯერი. მაგრამ ილია, როგორც მწერალი უფრო დიდია ნიკოსთან შედარებით, თუმცა ეს არ ნიშნავს მათ ერთ სიბრტყეში განხილვას. მათ მამულის სიყვარული და მსახ-

⁵ იქვე. გვ.531

ურება აერთიანებთ, როგორც სხვებს, სადაც გუნდი მხოლოდ ერთია. უნდა ავარიდოთ მცდელობას ისინი ვინც აპირებს ამ ორი კორიფეს უკან დაუდგეს ცალკ-ცალკე გუნდებად. იყო გაუგებრობა იმის გამო, რომ როცა იმ დროს მენარმეობა წინა პლანზე გამოდიოდა, ნიკო ნიკოლაძეს უკვე სწორი პოზიცია შერჩეული ჰქონდა და ჯერ დიდ ჯიხაიშში მეურნეობა შექმნა, ხოლო ცოტა ხანში ფოთის ქალაქის თვითმმართველობის მეთაურად არჩევაზე დათანხმდა. ახლობელმა კალმოსმებმა არც ერთი და არც მეორე არჩევანი არ მოუწონეს – მწერლობა მიგვიტოვაო, რაზედაც ნიკო ნიკოლაძეს ზუსტი პასუხი კაი ხანია მზად ჰქონდა, რომ განათლება თვითმიზანი არ არის და რომ იგი მხოლოდ საშუალებაა შემოქმედებისთვის. აქ იგი სპენსერის პოზიციას ითვალისწინებს: განათლების მიზანი მარტივია – მისცეს ხალხს ენერჯია მოძრაობისთვის. მაშინდელი მწერლები ხალხის წერა-კითხვის სწავლებაში უფრო მეტს ხედავდნენ, ვიდრე ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში. ინერცია დღემდე გრძელდება, ნიკო ნიკოლაძე უმრავლესობისთვის ჩრდილში რჩება და საზოგადოების საკმაოდ დიდი მასა ილიას თანამებრძოლად აღიქვამს და როგორც საზოგადო მოღვაწეს, ფოთის ქალაქის თავს, მაშინ როცა იგი პირველი ქართველი მაღალი რანგის და მასშტაბის მენეჯერი არის. ფოთის ქალაქის მეთაურობა არ უნდა გავაიგივეოთ მის თანამედროვე გაგებასთან, როცა ქალაქის მერი დამოუკიდებლობას ვერ ბედავს და თუ ზემოდან წყალობა არ ექნება, ვერაფერს გააკეთებს. ნიკო ნიკოლაძე ქალაქისა და პორტის მშენებლობის ავტორია და უპრეცედენტო ინოვაციური კრეატიული მენარმე – თვითონ ქმნის აღმშენებლობის პროექტებს, იძიებს სახსრებს, პოულობს დაფინანსების წყაროებს და აგებს მაშინდელი იმპერიის ყველაზე უსაფრთხო პორტს-საქართველოს საზღვაო ჭიშკარს, საიდან გაიხსნა გზა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნებისაკენ.

რატომ რჩება დღემდე ნიკო ნიკოლაძე საკადრისი ყურადღების გარეშე?

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური აზროვნება, წინასწარხედვა და ინტუიცია ძალზე წინ იყო მისი თანამედროვეებისაგან. მას ენციკლოპედიური განათლება ჰქონდა და თვითონ იყო ენციკლოპედიი. „იმ ადამიანთა შორის, რომელთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა, ყველაზე უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი, ეჭვის გარეშეა, ნიკო ნიკოლაძე იყო. ეს მაღალნიჭიერი, ჭკვიანი და ევროპულად განათლებული ადამიანი პირველი ქართველი ჟურნალისტია ევროპული მნიშვნელობით. ნიკო ნიკოლაძემ მრავალი ათეული წლის განმავლობაში თავისი ერის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა და ნათელი გონებით განჭვრიტა“ – წერდა არტურ ლაისტი. „რა და რა დარგის გამო არ გაესაუბრებოდი მას, ბერგსონის მოძღვრება იქნებოდა ეს თუ ინგლისისა და ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ჩინური ფილოსოფია თუ მასონების მოძრაობა ევროპაში, იტალიური რენესანსის თუ ძველი ბერძნული პლასტიკის საკითხები. ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ყველგან შინ იყო. პირველხარისხოვანი ევროპელი მწერლის ან მეცნიერის სიმალლეზე იდგა მისი გამობრძმედილი ტალანტი, რომელსაც სიბერე ჯერ არ გაჰკარებოდა“ – დაუწერია კონსტანტინე გამსახურდიას ნიკო ნიკოლაძესთან შეხვედრის შემდეგ. ერის დიდ მამებსაც კი არასერიოზულად მიაჩნდათ ნიკოს მიერ მიწის შეძენა დიდ ჯიხაიშში და იქ მეურნეობის გამართვა. ინტელექტუალურს და განათლებულს კი არა, უბრალო მოსახლეობასაც ეუცხოებოდა ნიკოლაძეების ოჯახის მიწაზე ფიზიკური მუშაობა, საქონლისა და ვენახის მოვლა, სელექციური საქმიანობა. თუმცა მერე ნიკოლაძეს მიედევნენ და ნახედეს. მისგან ბევრმა ისწავლა მეურნეობის გამართვა, ტექნიკური კულტურების მოშენება და გამრავლება, აგროტექნიკის ელემენტები. ფოთის ქალაქის თვითმმართველობის მეთაურად მისი არჩევა ხომ ქირქილისა და დაციწვის საბაბი შეიქმნა. მერე ოთხი წელიწადი სასამართლო „ესროდა წიხლებს ბებერ

ლომს“ ტყუილუბრალოდ. ამის მერე კიდევ იყო ცხოვრება პეტერბურგში, ოქტომბრის რევოლუცია, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ისევ მამულის მსახურება და თავდადება. მერე ევროპის ხუთნლედი და ისევ სამშობლოს, ოღონდ სოციალისტურის, სამსახურში დაბრუნება, რომლის პერსპექტივისა მას არ სჯეროდა. ჩემი შრომები დრომ გადაიყოლა – უნერია ერთგან.

დიდი ნიკო ნიკოლაძის გენიალური აზროვნებითა და შემოქმედებითი კაპიტალით დაინტერესდნენ კი არა, გააკულაკეს, წაართვეს, მოიპარეს მისი მეურნეობიდან იმ ხალხმა, რომლისთვისაც რკინის ქალამნებს იცვამდა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფურნალისტიკის კათედრის თანამშრომლებმა ივაჟაკეს პროფესორ დავით გამეზარდაშვილის ხელმძღვანელობით და მისი შრომები ტომებად გამოსცეს, საზოგადოებას დაანახეს დიდი ნიკოს გენიალური აზროვნება და ნამდვილი პატრიოტიზმი. ლიგოკურია, რომ სოციალიზმიდან გამოქცეული საქართველო მას უნდა მიბრუნებოდა, მაგრამ ახლანდელი ქვეყანა ნეოლიბერალიზმის ტყვეობაშია. საქართველოს ყოველთვის ჰყავდა მოღალატეები-ვილაც-ვილაცეები „ზემოდან“ და გვერდიდანაც. ახლა მოღალატეობის კლასი შეიქმნა ნეოლიბერალური იდეოლოგიის ბაზაზე, რომლის თანახმად ადამიანს უნდა „გამოურეცხო“ ტვინი იმ დონემდე, რომ ზემოდან ბრძანებებსა და მითითებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდეს, რომ მხოლოდ ხელ-ფეხის მოძრაობას აკონტროლებდეს; გულიდან ამოშანთო ღმერთი, ხოლო სიყვარული სექსით ჩაუშალო. ამის გამო მათთვის ნიკოლაძე არანაირად მისაღები არ არის. არც განათლებით, არც პატრიოტიზმით, არც მამულის მსახურებით, არც ეროვნულობით, არც ევროპელობით, არც ოჯახიშვილობით, არც ვაჟკაცობით, არც თავდადებით, არც ქართული იდენტურობით, არც მენარმეობითა და მენეჯერული ფენომენოლოგიით, არც დამოუკიდებელი მდიდარი ინოვაციური წარსულით, არც კრი-

ტიკის კულტურით, არც ზნეობითა და სინდისით. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ნიკო ნიკოლაძის შარშანდელი 175 წლის იუბილე საერთოდ ვერ გახდა სახელმწიფოს ყურადღების საგანი და მხოლოდ რამდენიმე ღირსეულმა ადამიანმა მიაგო პატივი თავისი კერძო ინიციატივით.

დიდი ნიკოს მამულის სიყვარული და მსახურება კი არ სჭირდებათ, მისი ნამოქმედარი, სიმდიდრედ დარჩენილი უნდათ მუქთად და არანაირი სურვილი არა აქვთ პატივი მიაგონ ერის სულიერი სიმტკიცისა და მატერიალური კეთილდღეობისთვის მებრძოლ მამულიშვილს და დაუღლე ტალანტს. რამდენიმე წლის წინ ფოთში ვიყავი და შევხვდი პორტის მაშინდელ უფროსს, ვუთხარი რომ ვარ ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების მკვლევარი და სამეცნიერო საზოგადოება „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი. ვმუშაობ მონოგრაფიაზე: ფოთის პორტისა და ქალაქის აღმაშენებელი. ვეძებ სპონსორს, რომელსაც ვუთმობ საკუთრებად მონოგრაფიას და უარს ვამბობ ჩემი შრომის ანაზღაურებაზე. პასუხი მოკლე იყო: ფოთში დგას ნიკოლაძის ძეგლი, რაც ჩემთვის საკმარისია, დანარჩენი არაფერი მაინტერესებს. რამსიგრძეა ნეოლიბერალური უმადურობა, ადამიანმა 18 წლის დაუღალავი შრომა შეაღია პორტისა და ქალაქის აშენებას, ლამის მკლავი მოკვეთეს, „რატომ კარგი აგიგია“ და ახლა მის ადგილზე მუქთამჭამელს იმდენი ღირსება არ გააჩნია, რომ გენიალური მოაზროვნის შემოქმედებით არა მარტო თვითონ უნდა ინტერესდებოდეს, არამედ სხვებისთვისაც ცდილობდეს გახადოს საცნაური დიდი ნიკოს ტიტანური ადამიანური შემოქმედება, რათა მისაბაძი იყოს... ამ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ერთად აღებულ ყველა ხელისუფლებას იმდენი არ გაუკეთებია ქვეყნისთვის, რამდენიც ერთმა კაცმა ნიკო ნიკოლაძემ გააკეთა.

რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ ნიკო ნიკოლაძის მოსახლეობის მასობრივ შეგნებაში მისი მოქმედების ენერჯიად გადაქცევისა და ცნობიერებაში მისი საკადრისი ადგილის დასაკავებლად?

ვიკვლიოთ ნიკო ნიკოლაძის აზროვნების ფენომენი და ვის-ნავლოთ მისი პრაქტიკული საქმიანობა, ვისაც მამულის სიყვარული და მსახურება მისი არსებობის მიზნად წარმოუდგენია, შევიმეცნოთ ჩვენი ეროვნულ ღირებულებები, ვწეროთ ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება და მიგვესვლება: პრესაში, ინტერნეტში, ინფორმაციის ცენტრებში, სკოლებში. შევხვდეთ ახალგაზრდებს, მშრომელ ადამიანებს. დავანახოთ მათ ნიკო ნიკოლაძის ქართული ფენომენი, თუ როგორ იქმნება რწმენა და იმედი და როგორ ვიპოვოთ ერთმანეთის სიყვარული ატომიზებული, განმხოლოებულ საზოგადოებაში.

ამ წიგნს ნიკო ნიკოლაძის მეზობლებს – დიდ ჯიხაიშელებს ვუძღვნი. ისინი სხვებს გაულვიძებენ ინტერესს და მისწრაფებას სულიერი და მატერიალური სრულყოფილებისაკენ, რომლის წინმავალია დიდი ნიკო და რომლის მიერ გაკვალულ გზას უნდა გავყვეთ თუ გვინდა ფეხზე წამოვდგეთ და ბედნიერი ხალხი ვიყოთ.

უდიდეს საქმეს აგრძელებს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი დიდ ჯიხაიშში და კერძოდ, მისი დირექტორი ქალბატონი ლია ბიბილეიშვილი, რომელსაც ნიკო ნიკოლაძის რკინის ქალამნები აცვია და ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, საქართველოს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დაატარებს დიდი ნიკოს ქართული სულის მოქმედების სახალხო ძალად გადაქცევის ენერგიას. ამას შედეგები აუცილებლად მოყვება.

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენი

ნიკო ნიკოლაძეს მარტო საზოგადოება კი არა, მეცნიერებაც არ იცნობს საფუძვლიანად⁶. ის უფრო ჟურნალისტური და სამწერლო პუბლიკაციებით არის წარმოჩენილი როგორც ბუმბერაზი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, სოფელ ჯიხაიშის რეფორმატორი, ფოთის ქალაქის თავი, 60-იანელთა თანამებრძოლი და პუბლიცისტი. მის ეკონომიკურ აზროვნებას რამდენიმე ავტორი სხვადასხვა ასპექტით თუ იხილავს, თორემ ფენომენალობაზე არავინ შეჩერებულა. ამას რამდენიმე ახსნა აქვს.

ნიკო ნიკოლაძე მისი თანამედროვეებისთვისაც არ იყო სრულყოფილად ცნობიერი. იმჟამინდელ პერიოდში ფილოლოგიური და ფილოსოფიური მეცნიერები ავითარებდნენ აზრს, რომლის მიხედვითაც ხალხის ცხოვრების პირობების გაუმ-

⁶ იუბილეებში ნიკო ნიკოლაძეს ბედმა არ გაუღიმა. 100 წლის იუბილეს მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. 150 წლისთავზე საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. 2003 წელს ქუთაისში ჩატარებული იუბილე პირველი პრეცედენტია, როგორც თავისი მასშტაბით, ასევე შინაარსითაც. ნიკო ნიკოლაძის ფერმერული, მენარმეობრივი და მენეჯერული ფენომენი პირველად გახდა ბიზნესმენებისა და მეცნიერების კვლევისა და განხილვის საგანი. ქუთაისის საერთაშორისო კონფერენცია გამორჩეული იყო იმითაც, რომ მის გახსნასთან დაკავშირებით გამოიცა ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მე-8 ტომი. მას მიუძღვნა აგრეთვე ჩემი მონოგრაფია და ფაქსიმალური გამოცემა-მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის „ფოთის საქმე“-მერაბ კეზევაძესთან ერთად.

ჯობესება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის მასობრივ განათლებასთან და რომ ეს საქმე თავისთავზე უნდა აიღოს ინტელიგენციამ. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად კეთილშობილური მიზანია, მაგრამ როგორც რიჩარდ პაიფს უწერია, გააჩნია ვინ როგორ გაიგებს მას და რომელს აირჩევს – ხალხს ემსახუროს, თუ ხალხი მოიმსახუროს. აქ სუბიექტური თავისუფლებისთვის არჩევანის ვრცელი ასპარეზი იხსნება, მითუმეტეს, თუკი მოსახლეობის უმეტესობა გაუნათლებლი და უცოდინარია. ასეთ შემთხვევაში ხალხი იოლად მართვადი არის რევოლუციურად განწყობილი სოციალური ჯგუფების მიერ და იგი მათი ინტერესების მსხვერპლი ხდება. საგანმანათლებლო მოძრაობა ასეთ საშიშროებას შეიცავდა. მაშინდელ ინტელექტუალურ აზროვნებას გაუჭირდა ამის გაგება. კარგა ხნის შემდეგ ევროპა მძიმე დანაკლისით, მაგრამ მაინც გამოერკვია ამ მცადრი აზროვნებიდან. სამაგიეროდ, რუსეთის მაშინდელ იმპერიაში გაჩაღდა ეროვნული საგანმანათლებლო მოძრაობა. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. თერგდალეულებმა სიცოცხლის რისკის ფასად, ყველაფერი გააკეთეს თავიანთი ქვეყნის სასარგებლოდ. მაგრამ მაინც, საბოლოოდ ფსევდო საგანმანათლებლო მოძრაობამ გაიმარჯვა და ბოლშევიკები ნამდვილ მამულიშვილებს სასტიკად გაუსწორდნენ. ვერაფერი შელავათია ის, რომ მათ უმრავლესობას სწამდა იმ მოძღვრებისა, რომელიც თურმე თვით ავტორს დაუწუნია მას შემდეგ, რაც ჯევონისა და მერგელის შრომებს გასცნობია.

თუ მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალებს თავიანთი კეთილშობილური მიზნებისთვის არ უღალატიათ და ბოლომდე გაყვნენ საგანმანათლებლო მოძრაობის ეროვნულ ინტერესებს. ნიკო ნიკოლაძე სხვა არჩევანს აკეთებს და პრაქტიკულად ემიჯნება მათ. ამ პერიოდში იგი უკვე ორმოც წელს გადაცილებულია, საფუძვლიანად იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა განმაურებულ ფილოსოფიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებს, ზედმინეწვით ფლობს ფრანგულ,

იტალიურ, რუსულ და გერმანულ ენებს, არის ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების უშუალო მონაწილე და აქვს მათი კრიტიკული შეფასების უნარი. ურთიერთობებს ამყარებს ევროპაში მოღვაწე თითქმის ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკოსებთან, მეცნიერებთან და გამომგონებლებთან.

თანამებრძოლთაგან გამიჯვნას წინ უსწრებდა საგანმანათლებლო მოძრაობაზე მისი შეხედულების გადაფასება. „ჩემმა დამზადებამ დედა ენა, მიზნად კი არა, მარტო ერთ იარაღთაგანად მაჩვენა ერის კეთილდღეობისა, მესმოდა, არა მარტო ერთ იკვებება ხალხი. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწისმფლობელობას და თვითმმართველობას. ძველი მოღვაწეების ნაშრომთა შესწავლამ ნება მომცა, მკვდრეთით აღმედგინა ბობოლებისაგან დამარცხებული და დამარხული საქმეები და მოქმედი პირები. მაგალითად ყველასათვის ერთიანად დავიწყებული საადგილ-მამულო ბანკები. ბ. გიორგი ყაზბეგს ჰკითხეთ...რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა 1871-1873 წწ. რამდენიმე ყმანვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვედებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგველო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებია“⁷.

მრავალმხრივი და საფუძვლიანი ევროპული განათლება, პრაქტიკული ალლო და ბუნებრივი ნიჭი საშუალებას აძლევდა დაენახა, რომ მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით ქვეყანა წინ ვერ წავიდოდა, რომ მომავალი სამეწარმეო საქმიანობას ეკუთვნოდა, რომ თეორიული ცოდნა მხოლოდ მაშინ ხდება სასარგებლო, როცა ნივთებად და მომსახურების სახეებად იქცევა. ამის საფუძველზე მიიღო მაშინდელი საზოგადოებისთვის თითქოს წარმოუდგენელი გადანყვეტილება – საცხოვრებლად გადავიდა დიდ ჯიხაიშში, შეისყიდა 20 ჰა მიწა და დაიწყო

⁷ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.1, გვ. 63-64

მისი ფერმერულად მოწყობა, რამაც მერე ფართო მასშტაბები მიიღო და მთელ სოფელს გადაედო, თანამედროვე გაგებით აგროსამრეწველო კომპლექსის სახე მიიღო.

ნიკო ნიკოლაძის სოფელში დასახლებას ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში, არც თუ იშვიათად მხოლოდ ერთი ახსნა აქვს. თურმე ნიკო ნიკოლაძე სოფელ დიდ ჯიხაიშში დედუღეთის სიყვარულით, ხოლო ზოგიერთების აზრით, ქართული სოფლისადმი ინტერესის გამო დასახლებულა. ამის საილუსტრაციოდ ბევრ ავტორს საკმაოდ ვრცელი მასალა მოაქვს ცნობილი და უცნობი ადამიანების მოგონებებიდან ნიკოლაძის საქმიანობაზე დიდ ჯიხაიშში. ყველაფერი ეს ერთად ნიკო ნიკოლაძისადმი მათი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად, მსუბუქი მეტაფორაა და დაახლოებით ისე გამოდის, როგორც თვითონ ნიკო ნიკოლაძე ხსნიდა დედა დათვის მეტისმეტ სიყვარულს თავისი ბელების მიმართ, რაც არც თუ იშვიათად მსხვერპლით მთავრდება. ერთია გარეგანი მზერა, გრძნობადი აღქმა, პირადი სიმპათია და ანტიპათია რომელიმე ადამიანის მიმართ. მეორე არის ის, თუ რას წარმოადგენს იგი თავისთავად, აზრობრივად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს ინტელექტი ჩვენი გონებისთვის. ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის საერთო შეფასება კი ერთი პიროვნებისთვის ძალზე ძნელი საქმეა. იგი მთელი სამყაროა თეორიული აზროვნებისა, სამეურნეო საქმიანობისა, პოლიტიკური შეხედულებების იდეალისა, ჩვენი ქვეყნის გლობალიზაციისა, ინოვაციებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მრავალგვარობისა (უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი).

ფერმერი აქამდე ნიკო ნიკოლაძისთვის არავის უწოდებია. ეს მე შევკადრე ბუმბერაზ ინტელექტს ასეთი სახელდება და მასში დიდ ჯიხაიშში მისი მოღვაწეობის პირველ წლებს ვგულისხმობ, მაშინ როცა იგი ყიდულობს მიწას და იწყებს მის შემოღობვას ტრიფოლიატიტ, ხალხმა რომ შემდგომ „ნიკოლაძის ეკალი“ უწოდა, სარწყავი სისტემის მოწყობას, მცენარეთა და ცხოვე-

ელთა ჯიშების სელექციას, როცა მთელი მისი ოჯახი შრომით საქმიანობაში ებმება, რაც მაშინ გამოჩენილი, დიდგვაროვანი და განათლებული ადამიანებისთვის სირცხვილად მიაჩნდათ⁸. პროდუქტების მოყვანას, შენახვას, კონსერვაციას, ტრანსპორტირებას და რეალიზაციას, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებას, პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტს და წარმოებაში დანერგვას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას და მექანიზაციის საშუალებების ინვესტირებას თვითონ ნიკო ნიკოლაძე ახორციელებდა. ამ საქმიანობის გაგრძელებას მოჰყვა სასწავლებლის გახსნა და საჭირო პროფესიების სპეციალისტების მომზადება, გზების გაყვანა სოფელში, ფოსტისა და ამბულატორიის გახსნა, მატარებლის ბაქნის მოწყობა სოფელ იანეთში, ნისქვილების გამართვა, საზღვარგარეთელი სპეციალისტების მოწვევა სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, ტექნიკური პროექტების შექმნა ენერჯის ახალი წყაროების მისაღებად და სხვა. ამას გარდა, იყო კიდევ ბევრი პროექტი და ჩანაფიქრი, რომლებიც მთლიანობაში წმინდა ფერმერულ საქმიანობასთან ერთად, აგროსამრეწველო კომპლექსის შინაარსში ექცევა.

ზემოთ ვახსენე, რომ ნიკო ნიკოლაძე ფერმერი იყო. ეს ტერმინი მაშინ ქართულ მეტყველებაში არ იყო დამკვიდრებული, რაც არ ითქმის სიტყვა ფერმის მიმართ. მაშინ ფერმის შექმნა ძნელი საქმე იყო და მეპატრონე მდიდარ კაცად ითვლებოდა. ამის საილუსტრაციოდ ისევ უკვე ზემოთ დასახელებული გაზეთი „ივერია“ მოვიშველიოთ. მასში ვკითხულობთ: ქვემო იმერეთში, სოფელ ჯიხაიშს ამისთანა ფერმა გაუშენებია ბ-ნ ნიკოლაძეს და მეორე უფრო პატარა ფერმა სოფელ

⁸ ერთი ახალგაზრდა გაკვირვებით მეუბნებოდა: კაცო, რა ვნახე გუშინ წინ ჩემი თვალთ ვნახე ნიკოლაძე და მისი ცოლი. ბაღში მუშაობდნენ, თავისი ხელით რგავდნენ ხეხილს, ბოსტანს მარგლიდნენ. არ გიკვირს, რავალი განათლებული კაცი და რავა კადრულობს მუშაობას. გაზ. „ივერია“, №350, 1892 წ.

ღანირს კოკინია დგებუაძეს, ორივე სწორად სასიამოვნო სანახავია და სასარგებლო ყოველის ჩვენებურის მეურნისათვის. გარდა ამისა, რომ ეს ფერმები ავრცელებს სოფლებში უკეთეს ხეხილის ნამყენებს და თესლუელობას, მათი შემუშავების და მოვლის წესებს, თვით ფერმის პატრონების მაგალითს ბევრი მეზობელი თავადი და აზნაური მუშაობას მიუჩვევია...ორ-სამ სოფელში რომ თითო ამისთანა ფერმა გაჩნდებოდეს, მეურნეობის ბედი გამობრუნდება ჩვენს ქვეყანაში“. ეს გადახვევა ტექსტიდან ორი მიზნით მომიხდა. ერთი იმის გამო, რომ ხაზი გამესვა ნიკო ნიკოლაძის სტრატეგიული ხედვისა და სამეურნეო საქმიანობის წარმატებისთვის და მეორე, მიმენიშნებინა ისიც, რომ მაშინდელმა პრესამ სწორად შეაფასა თავისუფალი მენარმეობის მნიშვნელობა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ეს მაშინ, როცა ერის განათლებული შვილები არ იზიარებდნენ ნიკო ნიკოლაძის არჩევანს და საქვეყნო საქმიდან გაქცევად უთვლიდნენ. შეიძლება ამის გამოც იყო, რომ წარმატების მიუხედავად, მის საქმიანობას მასობრივი მიმბაძველები არ გამოუჩნდნენ.

ნიკო ნიკოლაძეს მენარმისთვის დამახასიათებელი, დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველა საჭირო თვისება ჰქონდა, როგორც ინტელექტუალური ძლევამოსილება და დაუცხრომელი ნიჭი, ასევე რისკი, შეუპოვრობა, ნოვატორობა და სიახლეების გრძნობა, რომელთა გარეშე არ არსებობს მენარმეობრივი წარმატებები. ესენი მასში იმდენად მოჭარბებული, იმპულსირებადი და შედეგობრივად მრავალსახიერი იყო, რომ გარეშემყოფთ, განურჩევლად მასთან სიახლოვისა, შიში უჩნდებოდათ (ამას ისევ დავუბრუნდები). ეს დაახლოებით იმგვარი შიშია, შატობრიანმა რომ თქვა პასკალზე: „**თავზარდამცემი გენია**“. ამის გამო დღემდე რჩება ის ბოლომდე შეუცნობელი.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე ისიც ვთქვათ, კიდევ რამ განაპირობა ის, რომ ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენი

აქამდე შეუსწავლელი არის. ამაზე გავლენა ბევრმა ფაქტორ-
მა იქონია. ვერც რუსეთის იმპერიაში, ვერც საქართველო-
ში გავრცელება ვერ ჰპოვა იმ აზრმა, რომ ხალხის მთავარი
საქმიანობა მაშინ ბიზნესი იყო, რასაც რისკიანი და გაბედუ-
ლი ადამიანები კაი ხანია მისდევდნენ. ამას მოჰყვა ისიც, რომ
საქართველოში მაშინ დანყებული კერძო მენარმეობრივი აღ-
მავლობა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებამ დაასამარა. აღნიშნულ
მიზეზებს უნდა მიეთვალოს ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძემ, მას
შემდეგ, რაც რუსეთიდან ევროპაში გადაინაცვლა და საფუძ-
ვლიანად გაეცნო ევროპულ კულტურას, მთლიანად შეცვალა
თავისი მსოფლმხედველობა ქვეყნის რეფორმაციის რევოლუ-
ციურ მეთოდებზე. ბუნებრივია, რომ ასეთი შეხედულებების
მოღვაწეს ბოლშევიკები თავისად ვერ ჩათვლიდნენ. დაიწუნეს
კაპიტალისტური საქმიანობისა და არარევოლუციური წარსუ-
ლი გამო⁹. მთლიანად გვერდი ვერ აუარეს და ნიკო ნიკოლაძე
თერგდალეულების საგანმანათლებლო საქმიანობით შემოსაზ-
ღვრეს. ამაზე კიდევ დამატებულია ისიც, რომ მისი მრავალმხ-
რივი და ხელხვაგრიელი შრომები დაწერილია სხვადასხვა
ენაზე და გაბნეულია რუსეთისა და ევროპის ქვეყნების წიგნსა-
ცავებში და საოჯახო ბიბლიოთეკებში. ახლა მათი შეკრება და
წიგნად გამოცემა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნე-
ლეს, მაგრამ მთავარი წინააღმდეგობა ის არის, რომ ჩვენი
ბიზნესმენები არ ინტერესდებიან ნიკო ნიკოლაძის ეკონომი-
კური მემკვიდრეობით. საკმარისი არ არის და ეკონომისტებს
ცოდნად ვერ ჩავუთვლით ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიული დე-
ტალების გამოწვლილივით განხილვას, მითუმეტეს, რომ მისი
ინტელექტუალური კაპიტალი ჯერ კიდევ არ გამხდარა წარსუ-
ლი, პირიქით, მისი მემკვიდრეობა ცოცხალია და ჩვენს საზო-

⁹ თანამედროვე ეკონომიკის პირობებში საშინელ განცდას იწვევს იმ
სტრიქონების ნაკითხვა, რომელიც გვატყუებს, რომ „ნიკო ნიკოლაძე ვერ
მივიდა კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოების განვითარების მარქსის-
ტულ-ლენინურ გაგებამდე“.

გადოებრივ აზროვნებას წინ უსწრებს.

დიდ ჯიხაშიში ნიკო ნიკოლაძის ფართომასშტაბიანმა სამეურნეო ინოვაციებმა გამოაძახილი ჰპოვა მთელ საქართველოში. ფოთის წვრილმა მოვაჭრეებმა იგი ქალაქის თავად მიიწვიეს (იმ დროსთვის უკვე გახმაურებული იყო მისი შრომები ფოთის ნავმისადგომის ისტორიისა და მის საპორტო ქალაქად გარდაქმნის ეკონომიკურ პერსპექტივებზე). მაშინ ფოთში ცხოვრება ძალიან სჭირდა. ზღვის კარიბჭის მოსახლეობა იმ დროს 7000 კაცს ცოტათი თუ აღემატებოდა. მეუნარგიას თქმით, რომელიც მაშინ ქალაქის თავი იყო, ფოთის ბიუჯეტი სოფელ საჯავახოს ბიუჯეტსაც ვერ უტოლდებოდა. ვრცელი ჭაობიანობის გამო მას ბაყაყების ქალაქს უწოდებდნენ. ასეთი ქალაქის მეთაურობა იკისრა მაშინ ნიკო ნიკოლაძემ.

ფოთის ქალაქის თავის თანამდებობაზე კიდევ უფრო გაიშალა და ახალი გაქანება მიეცა მის ნიჭსა და უნარს. აქ სრულად გამოვლინდა ნიკო ნიკოლაძის მენარმეობრივი უნარიანობა და მენეჯერული ფენომენი. ქალაქის თავის პოსტზე მისი არჩევნის მნიშვნელობასა და ავტორიტეტზე კარგად უწერია ქუთაისის გუბერნიის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ს.ლ. კარსკის, რომელმაც ნიკო ნიკოლაძის ფოთში ქალაქის თავის პოსტზე განეული მუშაობაზე საბრალდებო დასკვნა დაწერა.

„ნიკოლაძე ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მიიწვიეს და ქალაქის თავად აირჩიეს. ცხადია, რომ ისეთი უთვალსაჩინოესი კაცი, როგორც ნიკოლაძე არის, ქალაქის თავის თანამდებობაზე თავისი ავტორიტეტის წყალობით, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, დიდ გავლენას მოახდენდა...ნიკო ნიკოლაძე ფლობს ბუნებრივ კრიტიკულ უნარს, ძალზე განვითარებულია, ადვილად ერკვევა იმ ყველანაირ სპეციალურ ტექნიკურ საკითხებში რასთანაც მას შეხება უხდება. ახასიათებს იშვიათი შრომისუნარიანობა, ურყევი ნებისყოფა; ენერგიულია, არ ერიდება არავითარ წინააღმდეგობებს, ფრიად პატივმოყვარულსაც კი. ამას ემატება სიტყვის და კალმის განსაკუთრებული ოსტატობა, პო-

ლემიკაში ოპონენტისადმი საშიში მისი სრულყოფილი სარკაზმი. ამ ბუნებრივი თვისებების წყალობით ნიკოლაძემ უზარმაზარი როლი ითამაშა კავკასიაში, როგორც პოპულარულმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, რომლის სიტყვას ყურადღებით ისმენდა მოსახლეობა და მისი ინტერესების გამომხატველი საუკეთესო ნაწილიც“¹⁰.

ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ერთიანი აზრი ვერ შეიქმნა. მას სხვადასხვა ასპექტით მოიხსენიებენ. ფოთში მოღვაწეობაც არ არის გამონაკლისი. აქ ის გაგებულა ხან როგორც ქალაქის თავი, ხან კიდევ როგორც პორტის მშენებელი, ობლიგაციებისა და ნახევარკაპიკიანი საფუთო მოსაკრებლის ინიციატორი და ავტორი და სხვა. სინამდვილეში საქმე გვაქვს გაცილებით რთულ, მსხვილ-მასშტაბიან და ინოვაციურ შემოქმედებასთან. ქალაქის თავის პოსტზე მისი მოღვაწეობა არის საქართველოს აღმშენებლობა ფოთიდან. პორტის მშენებლობას ის ყოველთვის განიხილავდა ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში, გარე სამყაროსთან თანამშრომლობაში. ეხებოდა ეს როგორც ქვეყნის ექსპორტს, მაგალითად, მარგანცის გატანას, თუ იმპორტს-ტექნიკური ნაკეთობების შემოტანას, ტექნიკური ინოვაციების პროექტებს. თავდაპირველად ფოთის პორტის შესახებ.

ნიკო ნიკოლაძის ქალაქის თავად მისვლამდე ფოთის დღევანდელი პორტი მისი მშენებლობის 35 წლიანი ისტორიის მიუხედავად, ერთ უბადრუკ ნავმისადგომს წარმოადგენდა. ბატონმა ნიკომ ყველაზე უკეთ დაინახა მისი მომავალი და მისთვის არაფერი დაუზოგავს, პირველ ყოვლისა, ჯანი და ინტელექტუალური ენერჯია. გამოიყენა პირადი ნაცნობობა, თავისი დიდი ავტორიტეტი და იმპერიის მაღალ ეშელონებს ფოთის პორტის აღმშენებლობის შესახებ გადანყვეტილება, შეიძლება

¹⁰ მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის „ფოთის საქმე“ ტ. 3. ფურც. 52, ტ. 6 ფურც. 255, 308. ტ. 1. ფურც. 21. 34. 162. ტ. 2. ფურც. 285. ტ. 5. ფურც. 1-18-269. ქუთაისი, 2003.

ითქვას, ძალად მიაღებინა. მაშინდელი რუსეთის იმპერიაში ეს მშენებლობა ყველაზე დიდი მასშტაბისა იყო და იურიდიულად იმდენად დახვეწილი, რომ რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდშიც კი ვერ გაბედეს მისი დაკონსერვება. დიდი ნიკოს წყალობით მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობდა და იგი მოკლე დროში, შვიდ წელიწადში დასრულდა იმაზე გაცილებით ნაკლები დანახვაჯვებით, ვიდრე ის საპროექტო ხარჯთაღრიცხვით იყო გათვალისწინებული. მთავარია იმისი აღნიშვნაც, რომ ფოთის პორტი იმპერიაში გემების ყველაზე უსაფრთხო მისადგომი გახდა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ისიც, რამდენ სირთულეს ქმნიდა მაშინ ასეთი მსხვილი მასშტაბის მშენებლობა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტისა და ფინანსური უსახსრობის გამო. ამას ემატებოდა აგრეთვე მოსახლეობის დაბალი საგანმანათლებლო ცენზი და აზრობრივი პრობლემები ქალაქის სათათბიროსა და ქალაქმმართველობაში. სახელისუფლო სტრუქტურებს აშკარად არ ჰყოფნიდათ სპეციალური განათლება ფოთის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებში და ქალაქის თავს რამდენიმე მათგანთან წინსწარ უნდა ემუშავა, რათა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა სხდომებზე არ ჩაშლილიყო. მაღალი იყო ხალხის ნდობა ქალაქის თავისადმი. თვით მოსახლეობასაც მისადმი უსაზღვრო ნდობა ჰქონდა.

ნიკო ნიკოლაძე ფოთის პორტის მშენებლობის უშუალო ინიციატორი და მენეჯერი იყო. თავად 8-ჯერ მოიარა ევროპისა და ცრდილოეთ აფრიკის 12 საპორტო ქალაქი, გაეცნო მათ საქმიანობას, პირადად მონაწილეობდა პორტის ნახაზების შექმნაში. მაგრამ ეს რომ საკმარისი არ იყო, ყველაზე უკეთ თვითონ გრძნობდა. პორტის ინტერესები უშუალო კავშირში აღმოჩნდა ქალაქის განვითარების აუცილებლობასთან. საჭირო იყო თვით ქალაქ ფოთის აღმშენებლობა – ქუჩების მოწყობა, ხიდების მშენებლობა, ჭაობების დაშრობა, სასწავლებლების, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების აგება...

კიდევ: ამ მიზნების შესასრულებლად აუცილებელი ფინანსური წყაროების მოძებნა. მისი გონება ამ საქმეშიც უზადოდ მოქმედებდა. კომერციულ, სარისკო და საფინანსო საქმიანობაში მამის გენი დაჰყვა (მამამისი იაკობი მრავალგვარ ბიზნესს ეწეოდა. მან გაბედა პირველად საქონლის შემოტანა საზღვაო ტრანსპორტით, რაც მაშინ წარმოუდგენლად მიაჩნდათ). როცა ფოთს დასჭირდა დამატებითი საფინანსო წყაროების დებეტი პორტის მშენებლობისთვის, ნიკო ნიკოლაძემ ობლიგაციების პრეცედენტი შექმნა საქართველოში. 1896 წელს ფოთის პორტის პროექტის დასამუშავებლად ქალაქს მხოლოდ 140 ათასი რუბლის რეზერვი აღმოაჩნდა. საჭირო იყო კიდევ თანხების მოზიდვა მარგანეცის ჩასატვირთი მონყობილობის – ელევატორის ასაგებად და ქალაქის სხვა ღონისძიებებისთვის. ბატონი ნიკოს ინიციატივით **1896 წელს, პირველად საქართველოში, ფოთში შემოღებული იქნა საობლიგაციო სესხი, რამაც მაშინ 1,4 მლნ. რუბლი შეადგინა. 1900 წელს მისი სიდიდე 2 მლნ.-მდე გაიზარდა, რაც შენარჩუნებული იქნა 1904 წელსაც ობლიგაციის მესამე გამოშვების სერიისას.** პორტის მშენებლობას მოჰყვა საზღვაო ინფრასტრუქტურის შექმნაც. ეს ეხებოდა როგორც საკუთრივ პორტს (ტალღამტეხების აგებას, სანაპირო ზოლების გამაგრებას), ასევე თვითონ ქალაქის კეთილმოწყობას. კერძოდ, ჭაობების დაშრობას, ხიდების აგებას, ქუჩების გაყვანას, გზების მოწყობას.

ელევატორის გარეშე შეუძლებელი იყო მარგანეცისა და ქვანახშირის გაგზავნა სხვა ქვეყნებში გემებით. ნიკო ნიკოლაძე ხუთი წელიწადი ებრძოდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანას. ელევატორის მშენებლობას ნახევარ მლნ. რუბლზე მეტი დასჭირდა. მასვე მოხმარდა ნახევარკაპიტიანი საფუთო მოსაკრებელი მარგანეცზე და კიდევ საობლიგაციო სესხი.

ფოთის პორტის საქმიანობა ნიკო ნიკოლაძეს მთელ სამყაროზე ჰქონდა გათვლილი. ფოთიდან უნდა გასულიყო მარგანეცი, ქვანახშირი, ნედლი მერქანი; ფოთში რკინიგზის სადგურ

„პროხლადნაიდან“ უნდა შემოსულიყო სამრეწველო პროდუქცია კავკასიის მთავარი ქედის გავლით.

ბატონ ნიკოს ამისი პროექტიც ჰქონდა, ისევე როგორც ფოთიდან ირანის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ მატარებლის მოძრაობის მარშრუტების პროექტები. მან დაამუშავა აგრეთვე რკინიგზის გაყვანის ტექნიკური ვარიანტი ბზიფის ტყის ექსპორტული შესაძლებლობების ასათვისებლად და თვით მდინარე ბზიფის ჰიდროენერჯის გამოყენების ტექნიკური ნაკეთობები. აგრეთვე ღვინის სარდაფის პროექტი ქუთაისის კირქვოვან მთებში ქართული ღვინის ევროპული მეთოდით დასაყენებლად. იმპერიის შიდა რეზერვების მრავალ ვარიანტთა შორის ნიკო ნიკოლაძეს არ გამოორჩენია მულანის უდაბნოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან ხორბლის მიღების მაღალი პოტენციური შესაძლებლობები სარწყავი სისტემების მოწყობის ბაზაზე, რომლის პროექტიც თვითონ შექმნა, და რომელსაც მაშინდელი რუსული პრესა ფართოდ გამოეხმაურა და ყოველმხრივ მოიწონა იგი. მიუხედავად ამისა ნიკო ნიკოლაძე მისი პროექტის განხორციელებისთვის თითქმის მესამედი საუკუნე იბრძოდა. პალაშკოვსკისთან¹¹ ერთად დაამუშავა აგრეთვე მულანის უდაბნოს სარწყავი სისტემის დაფინანსების გეგმა, რომლის თანახმად რამდენიმე მლნ. ჰა ნასვენნი მიწის მორწყვა შესაძლებელი იქნებოდა უმცირესი საბიუჯეტო დანახარჯებით, ხოლო ჩინეთთან ომის შეწყვეტის შემთხვევაში საბიუჯეტო ხარჯები საერთოდ არ იქნებოდა საჭირო. იმპერიის ეროვნული შემოსავალი 13 მლრდ. რუბლით მოიმატებდა.

ნიკო ნიკოლაძემ დაამუშავა ეისკის რკინიგზის წესდების

¹¹ სანკ-პეტერბურგის სამშენებლო ფირმის – „ბუნგე-პალაშკოვსკის“ კომპანიონი. ამ ფირმის მიერ კავკასიაში შესრულებულია რიონის სანაპიროს გამაგრება, ბაქოს სარკიგზო ლიანდაგის გაყვანა. ბათუმთან დამაკავშირებელი რკინიგზის დაგება, სურამის გვირაბთან მისასვლელი გზის მშენებლობა, ბათუმისა და ნოვოროსიისკის პორტების მშენებლობა. ნიკო ნიკოლაძეს ამ ფირმასთან თითქმის ნახევარსაუკუნოვანი თანამშრომლობა აკავშირებდა. ახლო მეგობრობა ჰქონდა პალაშკოვსკისთან.

პროექტი, რამაც სახელმწიფო საბჭოს მხურვალე მხარდაჭერა მოიპოვა. ამ წესდებაში მან გამოიყენა თავისი ფორმულა ნაღდი ფულის გარეშე აქციების გადახდაზე. სახელმწიფო საბჭო ამასაც მხურვალე მხარდაჭერით შეხვდა და ამის შემდეგ ნიკო ნიკოლაძისეული გამოთვლის ფორმულა ყველა წესდებისთვის სავალდებულო შეიქმნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა ჰიდრო რესურსების გამოყენებაში. მარსელ დეპრეს მიერ ელექტროენერჯის შორ მანძილზე გადაცემის ეკონომიკური მნიშვნელობა მაშინდელი რუსეთის საზოგადოებისთვის უცნობი იყო და პრესაში ეს ფუნქცია მან შეასრულა. თვითონ გააცნო ის პალაშკოვსკის. ამ უკანასკნელმა მას მდინარე ვოლხოვის ელექტროფიკაციის პროექტი შეუკვთა. ამისი წყალობით და ნიკოლაძის ეისკის რკინიგზის წესდების პროექტით პალაშკოვსკი გზათა დამფუძნებელი გახდა და დიდი მოგებაც ნახა. მათი თანამშრომლობა დიდხანს გაგრძელდა, რადგან ეს ორივესთვის სასარგებლო იყო. ბუნებრივია, პალაშკოვსკი მას საკმაო გასამრჯელოს უხდოდა, რაც შემდგომ გამოძიებამ ბრალად წაუყენა. დაკვირვებული თვალთაც კი დაუფხერებელი ჩანს, როგორ ახერხებდა ასეთი კოლოსალური სამუშაოს შესრულებას კაცი, რომელიც ფოთის ქალაქის თავი იყო და ყველა სახის სამშენებლო თუ საირიგაციო სამუშაოები მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ამაზე ნიკო ნიკოლაძე გამომძიებლისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებით ბარათში წერს, რომ სამუშაოების დიდ ნაწილს პალაშკოვსკისთვის მისი პეტერბურგში მივლინების პერიოდში ასრულებდა. მინისტრების, უწყებათაშორისი კომისიების და დეპარტამენტების სხდომებზე თუ რამდენიმე საათი ან კვირა ეკარგებოდა, შუალედურ შეხვედრებში მთელი კვირები გადიოდა. ეს კი საკმარისი იყო მისი ავტორიტეტის, საქმიანი სკოლის მეთოდურად აღზრდილი კაცისთვის, შრომას მიჩვეული ადამიანისთვის, ბევრი მოესწრო და გაეკეთებინა. ამისი უფლება სახელმწიფო მოხელეს კანო-

ნით ჰქონდა.

ნიკო ნიკოლაძე თავისი საქმიანობის ზემოთ აღნიშნულ ახსნა-განმარტებაში მეტისმეტად მოკრძალებულია. უფრო ვრცელია მისი საქმიანობის შეფასებაში გამომძიებელი კარსკი: “განსაცვიფრებლად გეჩვენება, თუ როგორ ასწრებდა ნიკოლაძე ფოთის ქალაქმმართველობის თანამდებობაზე ასეთი მასის კვლევითი საუშაოების შესარულებას პალაშკოვსკისთვის, როგორც კავკასიაში, ასევე პეტერბურგში და საზღვარგარეთ. თუმცა ეს პიროვნულ ენერგიასა და შრომისუნარიანობაზეა დამოკიდებული... იგი დღეში 10 საათს მუშაობდა... ნიკოლაძეს ამოცანებს უმსუბუქებდა ხალხის უსაზღვრო ნდობა, რომლითაც იგი სარგებლობდა ფოთის საზოგადოებაში და განსაკუთრებით სათათბიროში, სადაც ამ დაუცხრომელი ენერგიის კაცს ყველა გვერდით ედგა ქალაქის აღმშენებლობაში, რისი ინიციატორიც თვითონ იყო, და ხალხის მადლიერება, რის სანაცვლოდ მან მთელი თავისი ენერგია ჩააფრქვია პატარა ქალაქიდან ისეთი პორტის შექმნაში, როგორიც თანამედროვე ფოთია.

ამას უნდა მიემატოს მისი პიროვნული მომხიბვლელობა, ექსპანსიური ლოიალობა, რომლითაც იზიდავდა გარემემყოფთ, ნებისყოფის ძალა, რომელსაც ემორჩილებოდა მისი აზროვნება და ხასიათი, წინააღმდეგობებისადმი შეუპოვრობა, სიტყვა და კალამი, რომლითაც ის იოლად უსწორდებოდა მონინააღმდეგეებს, როგორც ეს საქმის მასალებიდან ჩანს, ფოთში მისი მოღვაწეობის პერიოდიდან, ოპონენტებისადმი ნიკოლაძის სხვადასხვა ბრალდების პასუხებიდან¹².

ჩემთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ძალზე ბევრი მასალა აღმოჩნდა ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაზე ელექტრიფიკაციის სფეროში. იგი სწრაფად აღიქვამდა ტექნიკური რევოლუციის სიკეთეს და ყველაფერს აკეთებდა მისი საწარმოო

¹² იქვე. ტ. 6. ფურც. 255 ტ. 8. ფურც. 152 ტ.6. ფურც.308

ათვისებისთვის. ფრანგი ინჟინრის, მარსელ დეპრეს გამოგონება ელექტროენერჯის შორ მანძილზე გადაცემის შესახებ საზოგადოებისათვის კი არა, თვით ბიზნესმენებისთვის ვერ გახდა გასაგები. გამომგონებელს მეცენატი და დამფინანსებელი ესაჭიროებოდა. საქმეში პარიზში მყოფი ნიკო ნიკოლაძე ჩაერია და როგორღაც მისწერა ამის თაობაზე, რომელიც დარწმუნდა გამოგონების პერსპექტივასა და ეფექტიანობაში. მარსელ დეპრემ გამოგონებაზე დაფინანსება მიიღო. 1886 წელს მან საქვეყნოდ აჩვენა ელექტროენერჯის შორ მანძილზე გადაცემის შესაძლებლობა, 56 კმ სადენით მიწოდებული ელექტროენერჯით პარიზი განათდა. მარსელ დეპრეს ამ გამარჯვებას ნიკო ნიკოლაძეც ესწრებოდა. ელექტროენერჯის გამოყენებას იგი საქართველოს უკავშირებდა. სამშობლოში დაბრუნებული აღფრთოვანებას ვერ მალავდა. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ წერდა, რომ ჩვენს მთიან ქვეყანას ახლო მომავალში რევოლუცია ელოდებოდა, რომელსაც ელექტროენერჯია გამოიწვევდა ეკონომიკურ სფეროში, ფინანსებში, მრეწველობაში, რომ ეს იქნებოდა მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ყოველგვარი აფეთქების, სისხლის ღვრის, ტახტებისა და საკურთხევლების მსხვრევის გარეშე. ჩვენს ქვეყანას კი ამისთვის საკმაოდ მდიდარი რესურსები გააჩნია. იგი თვითონ დაინტერესდა პრაქტიკულად ელექტრიფიკაციით. მან პირველმა მიანოდა იმპერიის მოსახლეობას ინფორმაცია ელექტროენერჯის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ, ხოლო შემდეგ საქმეში გაარკვია და უცხოელ კაპიტალისტებს დაუახლოვა პალაშკოვსკი. ამ უკანასკნელის შეკვეთით ნიკო ნიკოლაძემ ჩაატარა მრავალი გამოკვლევა ჰიდროელექტროდინამიკური დანადგარების გამოყენების შესახებ საფრანგეთის, შვეიცარიისა და იტალიის ქვეყნების მიმართ.

საქართველოში ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ბზიფის, ენგურის, ლაჯანურის, ზემო ავჭალის მდინარეების პოტენციური ენერჯის გამოყენების პროექტები და წინადადე-

ბები. ელექტროენერგია ფართო შესაძლებლობებს უქმნიდა რკინიგზის განვითარებას. აქაც უამრავ ნამონყებას მოჰკიდა ხელი. ვერ ეგუებოდა იმას, რომ თბილისი-ფოთის რკინიგზა ქუთაისს ასცდა, რამაც მძიმედ იმოქმედა ქალაქის ეკონომიკაზე. საბოლოოდ მისმა აზრმა გაიმარჯვა და ქუთაისში რკინიგზა მაინც შეიყვანეს. ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდა ტყიბულის რკინიგზის მშენებლობას. ჯერ იყო და ვილაცებმა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ საბაგირო გზის მშენებლობა უკეთესი იქნებოდა. სხვებმა ტყიბულის ნახშირის დაბალი კონკურენტუნარიანობა მოიტანეს მიზეზად. ბევრმა კიდევ მარშრუტების ვარიანტებზე ატეხეს კამათი. ნიკო ნიკოლაძეს უამრავი მასალის მოკვლევა სჭირდებოდა ამ არგუმენტების გასაბათილებლად. აქაც გაიმარჯვა. ლამის ათი ნელინადი დასჭირდა ნიკო ნიკოლაძეს ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანისთვის რომ მიეღნია. ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა მარგანეცის მასობრივად გამოტანა (მანამდე ცხენებით გამოჰქონდათ რკინიგზამდე).

ნიკო ნიკოლაძის მენარმეობრივი და მენეჯერული საქმიანობის არეალი შემოსაზღვრავს ეკონომიკის გლობალურობას, მის პერსპექტიულ სივრცეებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შეცნობასა და პროპაგანდას, მის საზოგადოებრივ ინტერპრეტაციას, მენარმეობრივ ინოვაციებს, სამშობლოს ნაციონალური უპირატესობების კვლევასა და მათი მასივების გარდაქმნას ეკონომიკის კონკურენციულ ურთიერთობებად. იგი ნამდვილი რეფორმატორია. ტრადიციებში იოლად ამჩნევს, როგორც დრომოჭმულსა და ვადაგადასულს, ასევე კონკურენტუნარიანსა და ტესტირებად უნარ-ჩვევების არტიფაქტებს. ცივილიზებული ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციური ზეგავლენა ადამიანის აზროვნებაზე მას საშუალებას აძლევდა დაენახა მისი ქვეყნის ბუნებრივი და ხელოვნური უპირატესობები და

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნების შესადავ პირობებამდე აეყვანა ისინი. აქ მე არ ვიხილავ განათლებაზე მის რეფორმისტულ შეხედულებებს, რადგან ის ცალკე კვლევის საგანია. მხედველობაში მაქვს სამდინარო და სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებაზე ნიკო ნიკოლაძის თავგამოდებული და დაუცხრომელი შემართება, ქვეყნის ელექტრიფიკაციის მისეული მსხვილი მასშტაბები. საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების სანარმოო გამოყენება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს ყველაფერი ზემოთ ნათქვამი გავიმეორე იმისთვის, რათა ხაზი გამესვა ნიკო ნიკოლაძის ეპოქალური რეფორმისტული აზროვნებისთვის. ქვეყანას იგი განიხილავდა არა მხოლოდ ეკონომიკური გადარჩენისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ასპექტში, არამედ ეპოქალურ მოთხოვნებთან შესაბამის კავშირში. ეს ნიკო ნიკოლაძის მენარმეობრივ მოღვაწეობაში ის პერიოდია, როცა ჩავლილია ორთქლის ძრავების ეპოქა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაცნობიერებული მატერიალობა ტრანსპორტი და კერძოდ, სარკინიგზო ტრანსპორტი და სტარტზეა მისი მომდევნო ელექტროენერჯის ეპოქა. ამას თანამედროვე ტექნოლოგიით გამოვქვამ, თორემ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ასეთი კლასიფიკაცია მაშინ არ არსებობდა. იგი რუსი მეცნიერის ნ. კონდრატევის თეორიის¹³ ბაზაზე შექმნა გერმანელმა მეცნიერმა ყ. შუმპეტერმა.

ნიკო ნიკოლაძეს წინასწარხედვის გამორჩეული ნიჭი ჰქონდა. ამის საილუსტრაციოდ მოტანილ მასალებს, შეიძლება კიდევ ერთი ფაქტურა მივამატოთ მის თანამედროვეთა მოგონებებიდან. გ. კაჭახიძე იხსენებს მის შეკითხვას ნიკო ნიკოლაძისადმი, თუ რას ფიქრობდა იგი კაპიტალიზმზე და მის მომავალზე. ბუნებრივია, კითხვის ავტორს, რომელიც ბოლშე-

¹³ Кондратьев Н.Д. Проблемыэкономической динамики. М.: Экономика. 1989.- 256 с.

ვიზმის მიმდევარი იყო, დიდი მოაზროვნის თვალსაზრისი აინტერესებდა. ბატონმა ნიკომ უპასუხა, რომ გაივლიდა დრო და კაპიტალიზმი წარსულს ჩაბარდებოდა. შეიცვლებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი სტრუქტურა და ხალხის ცხოვრების უკეთესი პირობები შეიქმნებოდა, რისი საფუძველი ელექტროენერჯის გამოყენების პერსპექტივებიდაც ჩანდა¹⁴. აქ უნებლიედ ა. მარშალის პოზიცია გვახსენებს თავს. დიდ ეკონომისტს საკუთრება და კაპიტალიზმი ესმოდა არა როგორც მანკიერი ინსტიტუტი და საზოგადოების განვითარების ევოლუციური გზიდან გადავარდნა, არამედ როგორც კაცობრიობის განვითარების შუალედური საფეხური. ამ თვალსაზრისს ატარებდა მთელი ცხოვრება ნიკო ნიკოლაძეც და რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა მისი თვალთახედვის სპორიზონტი. სოციალიზმის გამარჯვებამ ვერ შეარყია მისი მსოფლმხედველობა, ყოფიერებამ ვერ სძლია ცნობიერებას. არ სჯეროდა იმ წარმატებებისა, რასაც მაშინ საბჭოთა სოციალიზმი აღწევდა. ვერც დაიჯერებდა, ვინაიდან ის, რაც კეთდებოდა იყო სხვა იმისაგან, რაც წიგნებში ეწერა მარქსსა და მის მიმდევრებს. ის თავის შრომებში ხშირად იმონებდა ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ჰ. ბოკლის მსოფლიოში გახმაურებულ ბესტსელერს, რომლის ავტორი ლიბერალურ თვალსაზრისზე იდგა და საზოგადოების პერმანენტული განვითარების იდეის უპირატესობას აღიარებდა. მისი აზრით, რევოლუციები მხოლოდ დროებით წარმატებებს ქმნიდა და ნამდვილ ეროვნულ პროგრესს ვერ მოიტანდა. სწორია, არც მოუტანია.

ემიგრაციიდან დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე ისევ სამშობლოს სამსახურში ჩადგა. მაშინდელ იდეოლოგიურ ფსიქოზს იგი არ შეუუება და ბოლომდე შეუვალი დარჩა, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული საქმიანობითაც.

¹⁴ აქ ცხვრობდა დიდი ნიკო, თბ., 19918. გვ. 195

ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ნიკო ნიკოლაძის ეპოქის მსგავსია. აქაც, დაახლოებით, იგივე სიტუაციაა, როგორც მაშინ იყო. ცხოვრების პირობების მყისიერი შეცვლა, ხალხის მოუმზადებლობა, ხელისუფლების განოუცდებლობა და კომპრადორულობა, ქიშპობა ერთმანეთს შორის, გაუტანლობა, დაპირისპირება. და კიდევ ისიც, რაც მაშინ ცნობილი არ იყო-წინა თაობების დანუნება და უგულვებლყოფა, რაც ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის საკმაოდ მძიმე სოციალურ ვითარებას და ეკონომიკურ სიდუხჭირეს არსებობას უხანგრძლივებს. არანიკოლაძისეულია ის, რომ ყველაფერში სხვების იმედზე ვართ. ქვეყნის აღმშენებლობას მხოლოდ გარეშე ძალებს ვუკავშირებთ, რაღაც უცხო გზებს ვეძებთ. არასერიოზულია ქვეყნის მომავლის სხვადასხვაგვარ ქიმერებზე ჩამოკიდება – „მრენველობა გადაარჩენს საქართველოს“, „მცირე და საშუალო ბიზნესი მომავლის იმედია“, „უცხოელი ინვესტორები გვიშველიან“ და ა.შ. საქართველოს აღმშენებლობას ნიკო ნიკოლაძის გზებით უნდა მივუდგეთ. ესაა თანამედროვე ცოდნით შეიარაღება, ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეების შესწავლა, მოსახლეობის ეკონომიკური აზროვნების განახლება, ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, გამოცდილების დაგროვება და უფრო და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებთან შეჭიდება, ხალხისა და მამულის სიყვარული, რომელიც ადამიანს თავის უნარსა და ენერგიას ქვეყნის სამსხვერპლოზე მიატანინებს.

საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა და ეკონომიკის რეფორმების ნიკო ნიკოლაძისაშუი ინტერპრეტაციები

მე-19 საუკუნის ევროპაში მთელი სიმწვავით წარმოჩნდა განიარაღების პრობლემა, რასაც საფუძვლად დაედო მილიტარიზაციის ხარჯების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების კვალბაზე. ასეთი ხარჯების კოლოსალურმა მასშტაბებმა ისეთი თავზარდამცემი გავლენა იქონია საზოგადობაზე, რომ თვით ეკონომისტებიც კი დააბნია და შეიარაღება ისეთ სენტიმენტალურ სტილობატზე „შეაყენეს“, როგორიცაა ომების არაბუნებრიობა ადამიანური არსებისადმი. მარტივი არითმეტიკული ანგარიშებით ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღების შემცირება კოლოსალურ თანხებს გამოათავისუფლებდა, რომელიც საზოგადობის კეთილდღეობას მოხმარდებოდა და კაცობრიობის პროგრესი უფრო მეტ აჩქარებას მიიღებდა.

ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძემ თავის სადოქტორო შრომაში¹⁵ დაასაბუთა, რომ შეიარაღების შემცირება მოსახლეობის დასაქმებას კი არ გაზრდიდა, პირიქით, უმუშევრობას გააფართოებდა, საზოგადოებრივ უნესრიგობას გამოიწვევდა და მის დაძლევის გაცილებით მეტი თანხები დასჭირდებოდა, ვიდრე მაშინ შეიარაღებაზე იხარჯებოდა. ამას გამოიწვევდა არა მარტო ფაბრიკებისა და ქარხნების გაჩერება, არამედ სავადასახადო შემოსავლების შემცირებაც.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებით აღფრთოვანებული იყო ნიკო ნიკოლაძე: „განგების ნებით მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე ჩვენი შესანიშნავი ქვეყანა მდებარეობს უდიდეს სავაჭრო გზაზე, რომელიც ევროპიდან შორეული აზი-

¹⁵ მაშინ ის 25 წლისა იყო, ხოლო შრომა წარმოადგენდა ციურისის უნივერსიტეტის დამამათავრებელი კურსის სტუდენტის სავალდებულო საკვალიფიკაციო სამუშაოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. შრომა ფრანგულ ენაზე შესრულებული.

ური აღმოსავლეთისაკენ მიემართება, კავკასიას დასავლეთითა და აღმოსავლეთით ორი ზღვა აკრავს, რომელიც კი არ აცალკევებს მას დანარჩენი სამყაროსაგან, არამედ ტოვებს გზას ევროპისა და აზიასთან სახმელეთო ურთიერთობებისათვის. მალე დამთავრდება ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც თავიდან ბოლომდე გადაკვეთს ამიერკავკასიას და შეაერთებს ორი ზღვის ნინმდებარე ქვეყნებსა და მათი ვაჭრობის საქმეს“¹⁶. მას ამის თაობაზე სხვა შრომებშიც უწერია და აღნიშნულიც აქვს, თუ რატომ ვერ ახეხებდა ქვეყანა მის გამოყენებას.

ქვეყნის ჩამორჩენის მიზეზად ნიკო ნიკოლაძე კაპიტალიზმისაგან გაუცხოებას მიიჩნევდა. თუ სხვა სახელმწიფოებმა ადრე დაინახეს ცხოვრების ბურჟუაზიული წესის სიკეთე, ჩვენი სამშობლო და მისი ხალხი ამაში ვერ გაერკვია. ამასაც აქვს თავისი ახსნა. კაპიტალიზმი და საერთოდ პროგრესი არ არის არჩევანის თავისუფლება, მას ცხოვრების უკიდურესი პირობები ქმნის როგორც იძულებას, რაც თავიდანვე კატაკლიზმების ფორმით მიმდინარეობს, ხოლო შემდეგ მოსახლეობის მასობრივ მიმბაძველობად იქცევა. ნიკო ნიკოლაძეს ამის შესახებ პირდაპირ არ უწერია, მაგრამ მიანიშნებს იმაზე, რომ სიღარიბე უმეტესად ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში გვხვდება. ბუნებრივი რესურსები, როგორც აქამდე, ახლაც ანებივრებს ქართველ კაცს.

აქსიომატურია, ჩამორჩენილობისაგან თავის დახსნა მხოლოდ განათლებით შეიძლება, თანაც ისეთი განათლებით, რომელიც თანამედროვეობის შესატყვისია. კაპიტალიზმი, ფეოდალური საუკუნეებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის მასობრივ, საყოველთაო განათლებას ემყარება, კაპიტალიზმში ცოდნა სოციალური ჯგუფების პრივილეგიის ფუნქციას კარგავს და იგი მოქმედების იმპულსებად გვევლინება. აქედან

¹⁶ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 8. გვ. 493

გამომდინარე, შრომა ფრონტალურ ხასიათს იძენს და, როგორც ნიკო ნიკოლაძეს უნერია, იგი ადამიანების შეერთებულ საქმიანობად იქცევა. ამ გზით აღწევს ქვეყანა წარმატებებს. „ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთდროული და მრავალმხრივი განვითარებით ყველა იმ ელემენტისა, რომელთაგანაც შედგება ხალხის ცხოვრება. საზოგადოების ყველა ფენას, ყველა მის ჯგუფს, ყველა ძალას ესაჭიროება გამოცოცხლება და განვითარება“¹⁷.

განვითარებული ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც კაპიტალიზმი ფეოდალიზმს სპონტანური ფორმებით შეენაცვლა, რუსეთის იმპერიაში ფეოდალიზმი ხელოვნურად გასაუქმებელი შეიქმნა. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა, ახალ ვითარებაში უამრავი ადამიანი ხელმოცარული დარჩა. აზნაურობას მინათმოქმედება არ ესმოდა და ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ადგილი ვერ იპოვა, ტექნიკა ქვეყანას არ ჰქონდა და არენდატორებმა წელში განყვიტეს მოიჯარეები. ამათ კიდევ კაბალური იჯარის გამო, ხელი არ აკანკალებიათ, მიწას ბარბაროსულად მოქცეოდნენ. იმ დროს ჩვენს ქვეყანაში, ამ საქმისათვის მომზადებულად, ნიკო ნიკოლაძე მხოლოდ ერთ ადამიანს-ილია ჭავჭავაძეს თვლიდა. საჭირო იყო ახალი თაობის აღზრდა საზოგადოების განვითარების კაპიტალისტური ინტერსებიდან გამომდინარე. ასეთი აუცილებლობა სწორად არ იქნა გაგებული და მან სრული გაურკვეველობა გამოიწვია მასებში. ახალგაზრდებიდან ბევრი მიანყდა იმპერიის სხვადასხვა სასწავლებელს განათლების მისაღებად ისე, რომ სრული წარმოდგენა არ ჰქონდა, სად რა უნდა ესწავლა და რისთვის. მეორე მხრივ, ნიჭიერი ახალგაზრდების უმრავლესობას საშუალება არ ჰქონდა, სადმე წასულიყო და ქვეყნისთვის სიკეთე მოეტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში

¹⁷ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 4. გვ. 249

პრაქტიკულად არ იყო სახელოსნო, სამინათმოქმედო, საზღვაო და ტექნიკური პროფილის სხვა ტიპის სასწავლებლები. ჩვენი საზოგადოების ქონებრივად გამორჩეულ ადამიანებს კი ახალგაზრდობის განათლებისთვის ქველმოქმედებითი სურვილები ნაკლებად ანუხებდათ.

ნიკო ნიკოლაძე სწორ პოზიციაზე იდგა. ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელიც სასწავლებლად იმპერიის სასწავლებლებში მიემგზავრებოდა, რჩევას აძლევდა, ტექნიკურ მეცნიერებასთან ერთად საფუძვლიანად შეესწავლათ საზოგადოებრივი მეცნიერებები და განსაკუთრებით ეკონომიკა, თანაც აფრთხილებდა მათ, რომ ბევრი სასწავლებელი ნამდვილ ცოდნას არ იძლეოდა და მოძველებული იყო. მაგალითად მოჰქონდა გიმნაზიაში გატარებული თავისი ბავშვობის წლები¹⁸. მას სწავლისადმი საზოგადოების არც გულგრილი, შეუგნებელი დამოკიდებულება გამორჩენია მხედველობიდან, რა მიზეზითაც სკოლების საქმე ცუდად იყო ჩვენში. სანიმუშოდ სომხეთის მაგალითს იშველიებდა, სადაც ყოველწლიურად 20-25 ახალი სასწავლებელი იხსნებოდა, 10-15 ახალი სახელმძღვანელო იბეჭდებოდა, რანაირად ცდილობდნენ ისინი ხეირიანი მასწავლებლების გამოზრდას, რომ მიდიოდა მათი საქმე წინ, ძლიერდებოდა და ვითრდებოდა სომხობა¹⁹.

განათლებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ქვეყანაში თვალში საცემი გახდა უიმედობა, შიში და უსაქმურობა.

¹⁸ იქვე. გვ. 70,71,180-182, 347, 367, 532. თხზ. ტ. 7. გვ. 455.

¹⁹ საოცარია ისტორია. სწავლა-აღზრდის საქმე ახლაც გართულებულია ჩვენში. სოფლად ეს საქმე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ბევრი სკოლის შენობა ტექნიკურად გაუმართავია. ბევრი დაცარიელდა, რადგან კონტიგენტი არ არის, ერთი მხრივ, შობადობის შემცირებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მიგრაციის გამო. ხელს არავინ უწვდის თავის სოფელს. რამდენიმე წლის წინ საფრანგეთის სომხურმა დიასპორამ შარლ აზნაურის მოთავეობით შეაგროვა თანხები და სომხეთის სკოლებს გადაუგზავნა. რამდენი ხანია ვთხოვ ხელისუფლებას დადგას ქუთაისში ნიკო ნიკოლაძის ბიუსტი, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს. ნიკო ნიკოლაძის 175 წლის იუბილესთვისაც ვერ მოიცალეს.

ცნობილი ფაქტია-უცოდინარობა ქმნის შიშს, რომელიც მო-
აცილებდა კაცობრიობას დასაბამიდან კაპიტალიზმამდე, მა-
ნამდე, ვიდრე ადამიანზე ბუნება მძლავრობდა, ანუ როგორც
ჰენრი ბოკლი იტყოდა, „ფეოდალიზმი მიწის რელიგია იყო“ და
როცა ის ხელიდან გამოეცალა, გაჩნდა უმოქმედო, უსაქმური
საზოგადოება, რომელიც ნიკო ნიკოლაძის თქმით, არაფერს
აკეთებდა და სხვის შემწეობასა და ლოდინში ატარებდა ხავ-
სმოკიდებულ დღეებს. „ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგ-
ალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგა-
დოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი
შრომითა და ჯვანით. ადვილად შესაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი
არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელ საზოგადოე-
ბას. კაცისთვის და ქვეყნისთვის მარტო ის არის გამოსადეგი
და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლის
ღვრით და ბრძოლით შეუძენია“²⁰. აქ ის წმნიდა დასავლური
კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპების მქადაგებელია.
ეკონომიკური თავისუფლება აძლევს ადამიანს საშუალებას,
განსაზღვროს თავისი პროფესიული არჩევანი და ეს არის მისი
პიროვნული ღირსებების, მენარმეობრივი უნარიანობის რეალ-
იზაციის საშუალება, რომლის რეფლექსია რწმენისა და ოპტი-
მიზმის ენერგომუხტები. მაგრამ იმ პერიოდისთვის, როგორც
ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოებრივ ცხოვრებას პიროვნული
ანუ ადამიანური ფაქტორის დეფიციტი ჰქონდა, რომლის და-
ძლევის მექანიზმები უნდა შეექმნა პროგრესული აზროვნების
ხელისუფლებას. გაჩნდა დილემა: რეფორმატორული ხელისუ-
ფლება ხალხმა უნდა აირჩიოს, რომლის არჩევა მას თავისი
უმეცრების გამო არ შეუძლია, ხოლო ხელისუფლებრივი პრივი-
ლეგიების პირობებში ხალხის უფლებები დაუცველია. თავ-
ისუფალი არჩევნების ჩატარება პრივილეგიებული ფენების
საზოგადოებაში შეუძლებელია. ეს შესაძლებელია სამოქალაქო

²⁰ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 4. გვ. 367

საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანები თანასწორუფლებიანი არიან, სადაც მენარმეობა მასობრივია და ამომრჩევლები თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე მხარს იმ პროგრამას უჭერენ, რომელიც მათი და ქვეყნის კეთილდღეობის აღმავლობის უკეთესი შესაძლებლობების მომცველია. მაგრამ ქვეყნის მაშინდელი სინამდვილის პირობებში საზოგადოებას სახელისუფლო არჩევნებისადმი გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა (ახლაც ასეა, თუ რატომ, ამაზე მერე). „რატომაა, რომ ჩვენთან, უმეტეს შემთხვევაში, უფრო მეტად ირჩევენ არა მარტო უტყვ და უნიჭო პიროვნებებს, არამედ უეჭველად ულამაზოებსაც, თავიდან ფეხებამდე უმსგავსოთ... აღარ ვლაპარაკობ ისეთ შემთხვევებზე, როცა საზოგადოებრივ თანამდებობებზე ირჩევენ ცნობილ სულელებს, უმეცრებს, არარაობებს... ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ აზრი, – „რას დავეძებ“, „ჯანდაბას“ – ყოველთვის იმარჯვებდა. ზოგჯერ დასძენდნენ: „ჩვენ ხომ მოსაპარი არაფერი გვაქვს!“, ან „ჩვენ რა უნდა გავგიკეთოს ცუდი?“²¹. ხედავდა რა ასეთ წინააღმდეგობებს ნიკო ნიკოლაძემ მათი დაძლევის მექანიზმად წინ წამოსწია ინტელიგენციის პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, ანუ ის ფილოსოფიური პრობლემა, რომელსაც „ვინ უნდა მართოს“ ჰქვია.

ინტელიგენციას ნიკო ნიკოლაძე უწოდებს ერის საუკეთესო, ცოცხალ, უკეთილშობილეს და განათლებულ ადამიანებს, რომლებიც იღწიან იმ მიზნით, რომ ერის დანარჩენი ფენები აზიარონ მეცნიერებისა და ცივილიზაციის ყველა სიკეთეს. მათი როლი მდგომარეობს იმაში, რომ წაიყვანონ თავისი ერი იქით, საითკენაც მეცნიერება მიუთითებს. მათგან იმ ნაწილს, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლა უნევს, დამატებით კიდევ მოეთხოვებათ ფილოსოფიური განსწავლულობა და ენციკლოპედიური ცოდნა, ფართო მასშტაბის ანალიზური აზ-

²¹ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 8. გვ 150-151

როვნება. ეს, მისი აზრით, ძალზე მძიმე შრომაა და ევროპაში ბევრი გამოჩენილი ადამიანი უარს ამბობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. სამაგიეროდ, თანამდებობაზე პრეტენზიებს ორი ტიპის ადამიანი აცხადებს: ფანატიკოსი და პატივმოყვარე კანდიდატი. მათ შორის არჩევანი საკმაოდ რთულ ამოცანად ესახებოდა და მიაჩნდა, რომ საჭიროა საკმაოდ დრო გავიდეს, რათა საზოგადოებაში ისეთი პატიოსანი და საუკეთესო ადამიანები გამოჩნდნენ, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის სიკეთეზე იფიქრებენ. ამ მსჯელობებიდან ჩანს, რომ მან ვერ იპოვა პასუხი კითხვაზე, თუ ვინ უნდა მართოს – ფილოსოფოსმა, ხალხის მიერ არჩეულმა პროლეტარიატის დიქტატურამ თუ დაბადებით მმართველმა. ქვეყნის რეფორმაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ნიკო ნიკოლაძე მივიდა ხელისუფლების დემოკრატიული ინსტიტუტების მიგნებამდე და იქ შეჩერდა. გრძნობდა, რომ რაღაც არ გამოსდიოდა. ამიტომ ამ საკითხს ისევ მიუბრუნდა 65 წლის ასაკში და კრიტიკულად გადააფასა თავისი შეხედულება. „როდესაც მე ჟურნალისტურ ასპარეზზე გამოვედი, ოპტიმისტად ვითვლებოდი იმის მტკიცების გამო, რომ მჯეროდა, ჩვენი შვილები და შვილთაშვილები უთუოდ მიაღწევენ პოლიტიკურ თავისუფლებას, ხალხის მმართველობას თუ ინტელიგენციის სამი-ოთხი თაობა გულდასმით იმუშავებდა ქვეყნის კულტურული განვითარებისთვის. სინამდვილეში კი ჩვენ თვითონ მივალწიეთ ამ ბედნიერებას“²². (ტალანტებს და განსაკუთრებით ეკონომისტებს, ასაკი უხდებათ. როგორც კანტი წერდა: წლებს სიბრძნე და შემწყნარებლობა მოაქვს). აქ თავს მახსენებს პოპერის აღსარება, რომ ჰყოფნის გამბედაობა აღიაროს თავისი შეცდომები. ნიკო ნიკოლაძეს ყოველთვის თან სდევდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რასაც საზოგადოების განვითარების პერმანენტული გზის მისი არჩევანი

²² ნიკოლაძე ნ. „ნახევარკაპიკიანი გადასახადი“. საიუბილეო კრებული. „ნეკერი“, 2003. გვ. 133

განაპირობებდა. როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, მან გადააფასა პიროვნებასა და საზოგადოებაზე შეხედულებები მეცნიერების მიღწევების განზოგადების საფუძველზე და მთლიანად გაიზიარა ეკონომიკური და სოციალური თავისუფლების უნივერსალობისა და მიზნების კორექტირებადობის კონცეპტუალობები, რაც მაშინ ქართულ მეცნიერებაში ცნობილი არ იყო.

ცხოვრების წინსვლა მიმდინარეობს არა წინასწარ მოფიქრებული პროგრამებისა და დასახული მიზნების შესაბამისად, არამედ ყოველდღიური ცდებისა და სინჯვების განუსაზღვრელი სერიალების ტესტირებადობიდან ანუ მოვლენებთან შეგუებადობიდან, შეხედულებათა გადაფასების პროგრესულობიდან, სპონტანურად. ნიკო ნიკოლაძე ასეთნაირად ხსნის: შთაგონება, შემართება, მონდომება, დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების დონესა და შესაძლებლობებთან. ხალხის პროგრესი, მისი თავისუფლება ცოდნის გაფართოებისა პასუხისმგებლობის ამაღლების ხარისხობრივი შედეგია, ქვეყნის განვითარებას თან ხვდება პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება და სრულყოფა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ადამიანური უფლებების დაცვა ძალმომრეობისა და თვითნებობისაგან. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ნიკო ნიკოლაძე ემიჯნება ცხოვრების წესის შეცვლას რევოლუციებით და განსაკუთრებით სოციალისტური რევოლუციებით. იმონმებს რა ზუსტ მეცნიერებათა აღმოჩენებს, ასკვნის, რომ ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ხდება თანდათანობით მეცნიერული აღმოჩენების ბაზაზე. აღაშფოთა 1905 წლის რევოლუციამ მაშინ, როცა მას ქართველი ინტელექტუალების აბსოლუტური უმრავლესობა არა მარტო მხარს უჭერდა, არამედ ლექსებით, ტაშ-ფანდურითა და ზარ-ზეიმით შეხვდა. „სად გაგონილა, ან როდის ყოფილა, რომ მოაზროვნე ხალხს მიზნად დაესახოს ერთი ნახტომით, თანაც პირველით, ყოველგვარი მომზადების გარეშე, გადამხტარიყოს ხელშეუხებელი ფეოდალური წყო-

ბიდან ისეთში, რომელიც დედამიწის ზურგზე ჯერ არსად დაწესებულა თუნდაც ცდის სახით მაინც?...პირადად მე ბავშვობაში მინახავს ჩვენს ირგვლივ შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ნყობილება, მთელი თავისი ხელშეუხლებელი ველურობით, ხოლო სიცოცხლის ბოლოს ვხედავ ამ ფეოდალთა შთამომავლებს თავიანთი ყოფილი ყმების სამსახურში, რაც მოხდა ყოველგვარი რევოლუციის გარეშე²³. არსად ასე ცხადად და კატეგორიულად არ წარმოჩენილა მისი პოზიციები ცხოვრების სპონტანური ცვლილებების შესახებ, ის ხომ ევროპული ლიბერალიზმის საუკეთესო მცოდნე და თანმიმდევრული პოზიციონერი ლიბერალური პრინციპების პრაგმატიკოსი იყო. კარგად იცნობდა გამოჩენილ ეკონომისტთა შრომებს, მათ შორის ა. სმიტის, დ. რიკარდოს ჟ. ბ. სეის, თ. მალთუსის, ჯ.ს. მილის, ა. ვაგნერის და სხვათა შრომებს, რამაც მას საშუალება მისცა, ეკონომიკური აზროვნებით თავისი დროის ინტელექტუალებს შორს გასცდენოდა. ამიტომ დარჩა იგი გალაკტიონივით უცნობი არა მარტო მის თანამედროვეთა შორის. მისთვის ჩვეულები პირდაპირობითა და კატეგორიულობით აღნიშნავდა, რომ იმ დროის გაფიცვებმა ქვეყანას აურაცხელი ზარალი მიაყენა, მოიშალა რკინიგზა, დაეცა მარგანეცის წარმოება, გაღარიბდა ხაზინა, გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების პირობები. რაშიც, მისი აზრით, გადამწყვეტი როლი ითამაშეს უცოდინარმა და უგერგილო ადამიანებმა, დოგმატიკოსებმა და ცერემონისტებმა.

ნიკო ნიკოლაძემ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ პრესაში გახმაურებული მეოცე საუკუნის 900-იანი წლების რევოლუციების, საფრანგეთის რევოლუციის ანალოგიებად მოხსენიება მცდარი იყო, ვინაიდან რევოლუციით ფრანგებს ქონების თანაბარ დაწინაღებაზე კი არ უფიქრიათ, თავიანთი შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობა დაამსხვრიეს თავისი წოდებრივი პრივილე-

²³ იქვე, 130, 133

გიებით და რეგალიებით, ყველანი კანონის წინაშე გაათანაბრეს და ამიტომ იმ რევოლუციის შედეგად ქვეყნის ქონება არა თუ არ შემცირებულა და განიავებულა, პირიქით, გაიზარდა. საფრანგეთში ქონების საყოველთაო კონფისკაცია კი არ ჩატარებულა, არამედ მხოლოდ იმ ემიგრანტებისა, რომლებიც იარაღით ხელში თავს დაესხნენ სამშობლოს. ამ შეფასებებში ნიკო ნიკოლაძე საქართველოში ევროპული ლიბერალიზმის უპრეცედენტო და ყველაზე პროგრესული წარმომადგენელია თანამედროვეთა შორის. იგი ცდილობდა, საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა. ქვეყნისა და ხალხის დაწინაურებასა და პროგრესს მხოლოდ მეცნიერების განვითარებას უკავშირებდა და მაგალითად ელექტროენერჯის შორ მანძილზე გადაცემის ეკონომიკურ ეფექტს იშველიებდა, რამაც, მისი აზრით, გაზარდა მშრომელი კაცის დამოუკიდებლობა, რითაც გათავისუფლდა იგი არა მარტო კაპიტალის ექსპლუატაციისაგან, არამედ შრომის ყაზარმული ექსპლუატაციისაგან, სადამდეც მას მიიყვანდა (მერე, საუბედუროდ, მაინც მიიყვანა რ.წ.) სოციალისტური იდეალის განხორციელება. აქედან ცხადია არა მარტო ის, თუ რატომ ვერ გაიგეს ნიკო ნიკოლაძის თვითმყოფადი ტალანტი, არამედ ისიც, თუ რატომ მალავდა მის მრავალმხრივ მოღვაწეობას კომუნისტური ხელისუფლება.

გასული საუკუნის 900-იანი წლების რევოლუციებს რუსეთის იმპერიაში და კერძოდ საქართველოში ხუნდებად ქცეული ტრადიციული ფეოდალური ურთიერთობების მსხვრევა კი არ მოჰყოლია, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, არამედ ანტაგონისტური დაპირისპირება პროგრესულად განვითარებად, ფორმირებად, სუსტ კაპიტალისტურ ურთიერთობებთან. მასობრივი ფეოდალური აზროვნების ქვეყანაში ბატონყმური ინსტიტუტების მეყსეული გაუქმება საკმარისი პირობა არ შეიძლება ყოფილიყო კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებისთვის. საზოგადოებრივი ცნობიერება ამისთვის მზად არ იყო. ამიტომ საგლახო რეფორმამ რუსეთის იმპერიაში მასობრივი

უკმაყოფილება გამოიწვია და მას რევოლუციების სერიები მოჰყვა. „როგორც თამაშში, ასევე საზოგადოებაშიც, საერთო წესთა უმეტესობა უნებლიედ გამომდინარეობს ტრადიციიდან და დაუფიქრებლად მიიღება. ჩვენ ხშირად მხოლოდ გარკვეული, მცირე ცვილებანი შეგვაქვს მათში, თუმცა მცირე ცვილებების დაგროვების ეფექტმა, შესაძლოა, სერიოზული გარდაქმნა გამოიწვიოს თამაშის ხასიათში ან საზოგადოებაში. თამაშშიც და საზოგადოებაშიც წესთა არცერთი რიგი არ დამკვიდრდება, სანამ მონაწილეთა უმრავლესობა უმეტესი დროის განმავლობაში ამ წესებს არ დაიცავს გარეგანი ძალდატანების გარეშე“²⁴. ამიტომ არის დიდი მოაზროვნეების მიერ რევოლუციები სოციალური პრობლემების გადაწყვეტის დაუნებელი მექანიზმი, ნიკო ნიკოლაძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიარაღებული სოციალური რევოლუციების უარყოფითი ასპექტები შესწავლილი ჰქონდა და თავისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით ცდილობდა, აერიდებინა საზოგადოება რევოლუციური განწყობილებისაგან. მეორე მხრივ, ფაქტის წინაშე იდგა – არა მარტო ხალხი იყო მოუმზადებელი დამოუკიდებელი საქმიანობისთვის, ხელისუფლებასაც არაფერი გაეგებოდა იმ სახელმწიფოს მართვისა, რომლის სათავეშიც იგი აღმოჩნდა. ეს ყველაზე ძნელი პერიოდი ქვეყნის რეფორმირებაში. ამ დროს საჭიროა ახალი ურთიერთობების პროპაგანდა საზოგადოებრივ ცნობიერებად ფორმირებისთვის.

ნიკო ნიკოლაძეს ხელისუფლებისა და ხალხის გაუცხოების მიზეზები და მისი დაძლევის მექანიზმები მოტანილი აქვს შრომაში „მამულის სიყვარული და მსახურება“. რომელიც დაიბეჭდა 1880 წელს და მეორედ გამოიცა 1914 წელს. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ დაუძლურებას და სხვა ქვეყნებისაგან ჩამორჩენას ავტორი საფუძვლად უდებს უცოდინარობას და ქვეყნის შინააშლილობას. საქართველომ მხარი ვერ აუბა

²⁴ ფრიდმანი მ. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბ., გვ. 26. 2002

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და თურქეთმა ევროპული სამხედრო ტექნიკით უზარმაზარი ვნება მიაყენა, საფუძვლიანად მოუწვდინა ეკონომიკა. აქედან იღებს სათავეს მუხლის მოდრეკა ყოველივე უცხოურისადმი. ამას მიემატა შემდგომ პერიოდებში ქვეყნის შიდა წინაღმდეგობები, რასაც ფეოდალური კლასობრივი დისკრიმინაცია და მოსახლეობის ნოდებრივი დაყოფა ინვეცდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ხელისუფლება ისევ პრივილეგიად დარჩა და პირადი გამდიდრების ამბიციებს არ შორდებოდა. საქვეყნო საქმე კერძო ინტერესებში ჩაინთქა. „ვერ ემსახურება კაცი ერთსა და იმავე დროს თავის კერძო ინტერესებს და მამულის სარგებლობას, ვერ გაიჩინს ორ ღმერთს, ვერ გაუძლებს ორ ბატონს“²⁵. რაკი, როგორც პოპერი წერდა, ხალხი თავისთავს ვერ მართავს, რეფორმის მთელი სიმძიმე მხრებზე უნდა დაიდგას ხელისუფლებამ. მაგრამ ასეთ დატვირთვას იგი მხოლოდ მაშინ გაუძლებს და იკისრებს, თუკი მას ექნება შესაბამისი კომპეტენცია, მაღალი ზნეობრიობა, პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე, მამულისადმი დიდი სიყვარული და ეროვნულ ინტელიგენციასთან თანამშრომლობის უნარი. თუ ამ ზნეობრივ და პიროვნულ იმპერატივებს მაშინდელი საქართველოს სინამდვილეში გადავიტანთ, გამოვა, რომ კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე ორიენტაციით ხელისუფლების არჩევანი შუასაუკუნეობრივი კლასობრივი დიფერენციაციის ეპოქაში შეუძლებელია, ვინაიდან წინა პლანზე გამოდის კლასობრივი პრივილეგია და ქონებრივი ცენზი. პასუხისმგებლობაც მცირე სოციალურ ჯგუფებზე ნაწილდება“ ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღითაა აღჭურვილი...როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერების იარაღით აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის

²⁵ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 7. გვ. 328

ცხოვრებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას მიწაში მარხავს, უმოქმედოდ ფლანგავს და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის, ისე იმ პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოთ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხის ძალა იღლება, სუსტდება და სრულიადაც ქრება²⁶. ამის გაგრძელებაა ის, რომ ამ ნახევრებს შორის არ ცხრება დაძაბულობა და უზარმაზარი ენერჯია უკვალოდ ქრება. ასეთ პირობებში მხოლოდ ისეთი კაცი გასწევს ხელისუფლების ჭაპანს, რომელსაც ქვეყანა ნამდვილად უყვარს. ასე ფიქრობდა ნიკო ნიკოლაძე და ამას ბიბლიური სიბრძნიდან სესხულობდა.

სიყვარული და თანაც სამშობლოსი ურთულესი კატეგორიაა, იგი მრავალგვარი ფენომენის კომპლექსია-ასაკისა, ინტელექტუალობისა, თვითმყოფადობისა, კულტურისა, პასუხისმგებლობისა. მერაბ მამარდაშვილი წერდა, რომ რელიგიური ადამიანი შეუძლებელია იყოს გაუნათლებელი. სამშობლოსთან მიმართებაში უფრო რთული მდგომარეობაა, სამშობლოს სიყვარული უდიდეს ინტელექტს შეუძლია და მისი ახსნა სხვებისთვის თითქმის შეუძლებელია. ნიკო ნიკოლაძემ არა მხოლოდ წერილობით გამოთქვა სამშობლოსადმი სიყვარული, არამედ თავის კრედიტს ქმნა იგი და იმის ენერჯიით თავისი ცხოვრების ყველა სიმაღლე დასძლია. ყველაფერი ეს მაფიქრებინებს, რომ სამშობლოს სიყვარულიც ეკონომიკური კატეგორიაა.

ადამიანს აქვს მეორე ადამიანისადმი სიყვარულის ღვთით მინიჭებული უნარი, იგი მას არც ისე იშვიათად პოულობს, მაგრამ ხშირად ეკარგება და სულ მის ძიებაშია. ვერ გაუგია, რატომ. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ადამიანისადმი სიყვარულში ძალზე ბევრია გრძნობადი კომპლექსი. სულ სხვაა სამშობლოს სიყვარული. თუკი მას იპოვი, არასდროს დაგეკარგება, ვინაიდან სამშობლოს სიყვარულში წინა პლანზეა

²⁶ იქვე, გვ. 329

გამოტანილი ინტელექტუალური რეფლექსია.

სამშობლოს სიყვარული ფენომენალური კომპლექსია და, როგორც ამის შესახებ ზემოთ აღვნიშნე, განვითარებადი ინტელექტუალური ზნეობრიობა. სამშობლოსთან ადამიანს უამრავი გრძობადი ნერვი აკავშირებს. ეს მისი საცხოვრისია, წარსული, აწმყო და მომავალი, შეცნობილი სინამდვილე, ოჯახური, გვაროვნული, ნათესაური ტრადიციები, სიამაყე, თვითმყოფადობა და სხვა. ამ და კიდევ სხვა ფენომენების რეფლექსია წარმოაჩენს ადამიანის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი და მას ის ფენომენალური განსაზღვრებები და წინსწრება აქვს, რომელიც მასში ძლიერია. ბევრ ადამიანს სამშობლო ხშირად ფანტიკურად უყვარს და მის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, მაგრამ ეს მაინც ცოტაა. სამშობლოს სიყვარული ეკონომიკური სიდუხჭირისა და მძიმე კრიზისულ სიტუაციებში ის უსაზღვრო ენერგომუხტია, რომელსაც ქვეყნის განვითარება ახალ ხვეულზე აჰყავს. ნიკო ნიკოლაძე არის ყველაზე გამორჩეული ინტელექტუალი.

ნიკო ნიკოლაძის ბადალი ტალანტებისთვის ადგილი ნებისმიერ ქვეყანაში მოიძებნება და, როგორც იტყვიან, ფეხი ფეხზე გადადებული იცხოვრებენ. მაგრამ ეს მათ არ შეუძლიათ, პირიქით, ქვეყნის შინაყოფის გაუსაძლისი პირობები აიძულებს მათ, ყველაფერი მიუძღვნან სამშობლოს, რამეთუ იციან... სამშობლოს გარეშე დარჩენილი ადამიანი ციდან მოწყვეტილ მეტეორიტს ჰგავს.

სამშობლოს სიყვარულს ტალანტი მარადისობაში გადაჰყავს და მომავალ თაობებს უტოვებს მისაბაძ მაგალითად. ღმერთი ყველა ადამიანში უნდა ცოცხლობდეს.

ნიკო ნიკოლაძემ თავისი მოღვაწეობა განათლების გაფართოებით დაიწყო და მთელი ცხოვრება ცოდნის განახლებასა და მისი პრინციპების პრაგმატულ გამოყენებაში გაატარა. ადრეულ ასაკში გაიგო ის, რომ ეკონომიკური უძღურებისაგან ხალხისა და ქვეყნის დახსნა მხოლოდ განათლებით შეიძლე-

ბა, რომელსაც ერთი უზენაესი მიზანი აქვს-შექმნას ნივთები და მომსახურების სახეები, შეცვალოს შრომის პირობები და ცხოვრების სინამდვილე. ევროპაში მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შესისხლხორცებული იყო სამშობლოს კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის ბრძოლასთან. მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევებს იმთავითვე იხილავდა სამშობლოსთან მიმართებაში, თუ რა სიკეთეს მისცემდა ეს მიღწევები მას და ამისთვის რა პირობები იქნებოდა საჭირო. იგი აღაფრთოვანა ჰიდრო რესურსების ელექტროენერგიად გარდაქმნის აღმოჩენამ და კიდევ უფრო იმან, რომ საქართველოს მდიდარი ჰიდრო რესურსები არნახულ რევოლუციას გამოიწვევდა მრეწველობაში, განათლებაში, ეკონომიკასა და ფინანსებში. დაამუშავა კიდევ ჩვენი ქვეყნის ჰიდრო რესურსების ელექტროენერგიად გარდაქმნის პროექტები.

მიზანმიმართულება ადამიანის პიროვნულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენია და ის სრულფასოვნად ეკუთვნის სამშობლოს სიყვარულსაც. ბუნებრივია, რომ მას წინ უძღვის პიროვნების მიზნების განსაზღვრა, რომელიც კორექტირებადია. აქედან ისიც ჩანს, რომ რაც უფრო შორეულია მიზანი, მით უფრო სრულყოფადია იგი, მით უფრო მდიდარია პიროვნული არსენალი და მისი ინტელექტუალობა.

სამშობლოს სიყვარულის ნიკო ნიკოლაძისეული ფენომენი ბავშვობიდანვე ყალიბდებოდა. იგი ყოველთვის ეძებდა მისი სამშობლოს ადგილსა და როლს გლობალურ მეურნეობაში, საქართველოს ეკონომიკურ თვითმყოფადობასა და ნაციონალურ უპირატესობებს, და მათი რეალიზაციის გზებსა და მეთოდებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ამ გზებით მიღებულია ცოდნამ ჩასახა მასში სამშობლოსა და ერის შეგნებული, ზნეობრივი სიყვარული, რაც ლაპიდარული წესით ჩამოყალიბებულია მის წერილში „სალამი“, რომელიც სამშობლოს სიყვარულის ახსნაა ბიბლიური სიბძნით, სულის ერთი ამოთქმით მოთხრობილი და ისიც ქროსტეს ასაკის კაცი-

სა. სულ რაღაც ორი წლით განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებისას მას სიხარულის ისეთი განცდა აქვს, თითქოს საუკუნე არ ენახოს იგი. „მე დამივლია მთელი ევროპა, ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონდა: შენტვის დამზადება, შენი სამსახური, შენი სარგებლობა. არც საფრანგეთის ამაღლელებელ და აღმტაც ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში არ მოუხიბლავს ჩემი გული და გონება, არ შევუცდენივარ და მივუზიდივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე გვარიანი გავლენა აქვს იქაური დიდი სახელის და დიდი გავლენის იმედს...იმის მაგიერ, რომ იქაურ ცხოვრებას მივებირე და სხვებსავით დამევიწყა ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ, მუდამ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ყოფილიყო შენტვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა. სხვაგან და ჩვენში მწერალი და გაჩუმებული მუდამ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავიო.“²⁷

ტექსტში ასეთი გრძელი ციტატის მოტანა ჩვევად არა მაქვს, მაგრამ ის, რაც ახლა ჩვენ ნავიკითხეთ, სამშობლოს სიყვარულის გაცხადების ეპისტოლური გადმოცემაა უმაღლესი განცდებით და იმ სიყვარულის დაფიცებაც არის, რომელსაც ბავშვებს სკოლაში უნდა ასწავლიდნენ და „მამაო ჩვენო“-სავით აზეპირებდნენ. მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ იქნებოდა, ისიც უნდა ასწავლონ, თუ როგორ უერთგულა მან სამშობლოს სიყვარულს და აღმატებით ხარისხში აღასრულა ფიცი, რომელიც მისცა. ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა ჩვენ ზემოთ გვქონდა მოტანილი, ხოლო უფრო ვრცლად

²⁷ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 4. გვ. 362

მოთხრობილია ქვემოთ.

ქვეყნის განვითარებაში არის ღრმა კრიზისული, უმწვავე-
სი მომენტები, როცა მოსახლეობას შიში და დაბნეულობა ეუ-
ფლება და ღონემიხდელია. ასეთ მდგომარეობაში თავისი ქვეყ-
ნის წინაშე პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს ვილაცამ. ეს
მხოლოდ იმ კაცს ხელენიფება, ვისაც თანამედროვეობის შეს-
ატყვისი ცოდნა და უნარი აქვს. როცა მხედველობაში ჰყავთ
ნიკო ნიკოლაძე, მის ამგვარ თვითმყოფადობას მხოლოდ ევრო-
პული განათლებით ხსნიან, როგორც რუსულთან უპირატესო-
ბას, თუმცა ეს მთლად სწორი არ არის. მეცხრამეტე საუკუნის
ევროპა იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მექა და სამ-
რეწველო რევოლუციის აკვანი. ამას გარდა, ეკონომიკური და
სოციალური განვითარების ლიბერალიზაციის მოძღვარიცა და
მიმდევარიც. მან უჩვენა მსოფლიოს ამ აზროვნების პრინცი-
პებზე აღზრდილი პროგრესულობა. ნიკო ნიკოლაძე იყო არა
მარტო ასეთი აზროვნების პრინციპებზე აღზრდილი, არამედ
თვით ევროპული ცხოვრების უშუალო მონაწილე და კრიტიკო-
სი, რომელიც არასდროს დაღლილა იმის ცდაში, რომ ევრო-
პული ლიბერალიზაცია საქართველოში დამკვიდრებულიყო.
უფრო მეტიც, მან თვითონ აღმოაჩინა და თავისი თავი იპოვა
ევროპაში და არა პირიქით, იგი ევროპას კი არ შეუქმნია, კი არ
გაევროპიელებულა, ქართველი ევროპელი გახდა. ეს აშკარად
ჩანს მისი წერილებიდან და შრომებიდან, რომლებიც თითქმის
ყველა შემთხვევაში პოპულარულად არის დაწერილი რიგითი
მკითხველისთვის, მაგრამ ლიბერალიზაცია მაინც ვერ დამ-
კვიდრდა მაშინდელ საქართველოში, რადგან ერთი ევროპე-
ლი ნიკოლაძის გაგება საკმაოდ ძნელი იყო. ამას ის, ყველაზე
უკეთ, თვითონ ამჩნევდა. ამიტომ მას ყველა დიდ საქმეში ევ-
როპელის იმედი ჰქონდა, ევროპასთან შემაერთებელ ხიდებს
იშველიებდა. ამ საშუალებებით აახლოებდა თავის ქვეყანას
ევროპასთან. მეთოდებიც სწორად შეარჩია. არა ძალად გაევ-
როპიელება პეტრე პირველის მეთოდებით, არამედ ევროპული

უპირატესობების ექსპოზიცია. ეს მან პირველმა დაინყო და აქამდე ვერ ჰპოვა ღირსეული გაგრძელება საქართველოში.

წმინდა ევროპულია ნიკო ნიკოლაძის შეფასება ვაჭრობაზე. საქართველოში ვაჭრობა დიდხანს ითვლებოდა არასერიოზულ საქმედ მენარმეობასთან შედარებით და არა მარტო საქართველოში. ამას აქვს თავისი ახსნა. ხშირად მეტ მოგებას ნახულობს არა თვით ნივთების მწარმოებელი, არამედ ვაჭარი, რომელიც ამ ნივთებს იაფად ყიდულობს და ძვირად ყიდის. ამ საიდუმლოებამ შექმნა ვაჭრობაზე ზიზლის, სიძულვილის დამოკიდებულება. ნაკლები ყურადღება მიაქციეს იმას, რომ კომერციას აქვს თავისი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზე კომერსანტი ეწევა საქონლის გადატანის რისკს დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში სარგებლის მიღების მიზნით. ასე შექმნა ვაჭრობამ ცივილიზაცია და ერთმანეთს დააკავშირა ხალხები და ქვეყნები. ამის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ნიკო ნიკოლაძე და ურჩევდა ქართველებს ესწავლათ ალბ-მიცემობა, ყიდვა-გაყიდვა. არა, არ ვთქვი მთლად სწორად, კი არ ურჩია მხოლოდ, თვითონ ყიდდა და ყიდულობდა. ეძიებდა და პოულობდა და სარგებელსაც ნახულობდა.

ხე-ტყის იშვიათი ჯიშებით მდიდარ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხე-ტყით მოვაჭრე ბერძენი, ფრანგი, ინგლისელი, ებრაელი და სხვა ჯურის უცხოელები შემოესივნენ. ისინი ბზისა და კაკლის მორებს ჩალის ფასად იძენდნენ და ევროპის ბაზრებზე ათმაგად ყიდდნენ. კერძოდ, ფოთში 50 კაპიკად ნაყიდი ფუთი ბზა საფრანგეთსა და ინგლისში 4-7 მანეთად იყიდებოდა. ეს მაშინ, როცა ქართული ბზა და კაკლის მერქანი საუკეთესოდ ითვლებოდა მთელს ევროპაში. ჩვენი მოსახლეობა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ხელის დაცლას უძვირფასესი მერქნისაგან ბედნიერ შემთხვევად მიიჩნევდა, რაკი მათი მეშვეობით შემოსავლის წყაროს პოულობდა. ამ ძვირფასი ქართული ჯიშებისადმი ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ განადგურებამდე მიიყვანა ბზისა და კაკლის

ჯიშები. ამან ალაშფოთა ნიკო ნიკოლაძე. მან სწორად შეაფასა ქვეყნისთვის შექმნილი მძიმე მდგომარეობა და ჩვენი მდიდარი ტყეების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხები ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას დაუკავშირა. აქ მისი პოზიცია მართებულია იმითაც, რომ ეკონომიკის რეფორმირების პერიოდში ქვეყნის სიმდიდრის გამრავლების პერსპექტივების განსაზღვრა და მასზე კონტროლი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

აჯამეთის ტყე ვორონცოვის მმართველობამდე სახლმწიფოს ეკუთვნოდა. ვორონცოვის დროს ტყის ერთი ნაწილი ცნობილმა მოსკოველმა მდიდარმა ანანოვმა იყიდა, ხოლო მეორე ნაწილი მთვარობამ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სვიატოპოკს-მირსკის მისცა პირად საკუთრებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მისი გაყიდვა. ამის გამო ხალხისა და ქვეყნისთვის მოსალოდნელი მდგომარეობა მხედველობიდან არ გამორჩენია ნიკო ნიკოლაძეს. ეშინოდა, რომ ტყეები უცხოელებს ჩაუვარდებოდა ხელში და ისინი მას სწრაფად გაანადგურებდნენ. მოსახლეობა კი ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო აჯამეთის ტყის კერძო საკუთრების გამო. „შექმნილი მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალია... სააქციო საზოგადოების დაარსება... 200.000 მანეთის კაპიტალით და მამულის დაგირავება სამინათმოქმედო ბანკში დანარჩენ თანხაზე“²⁸. თვით ბანკებს წინადადებას აძლევდა, დახმარებოდნენ მოსახლეობას კრედიტის მიღებაში.

ნიკო ნიკოლაძე კრიტიკის თავისუფლების დაცვისა და მისი კულტურული განვითარების ევროპული ინტელექტია. პოპერის აზრით, მეცნიერების დანინაურება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დანარჩენ კლასტერებთან შედარებთ, კრიტიკის თავისუფლებამ განაპირობა. ამას ნათლად ხედავდა ნიკო ნიკოლაძე და მისი აუცილებლობის შესახებ ფართო პოლემი-

²⁸ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 8. გვ. 61

კას არ ერიდებოდა. „კმარა ამდენი თმენა... ნათქვამია, რომ ქეშმარიტება გამოიჭვრეტს აზრების შეტაკებისაგანო... ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მოვალეობა, თუ ჩვენ ნამდვილად ვემსახურებით ჩვენ ქვეყანას და არა პეტრეს, პავლეს, ან თორნიკეს, ესე იგი ჭავჭავაძეს, მესხს, წერეთელს, ნიკოლაძეს და სხვ“²⁹. როგორც მე ვამჩნევ, ბევრი მის ამ წერილს და კიდევ დანარჩენ სხვებს არ იცნობს და მის კრიტიკულ შენიშვნებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის მიმართ, რაღაც კერძო ინტერესების ან პირადი დაპირისპირების გამოვლენად მიიჩნევს. სინამდვილეში, მას მხედველობიდან არ გამოორჩენია ილია ჭავჭავაძის დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ყოფილიყო პირდაპირი, როცა თავისი აზრი სწორად მიაჩნდა. უხერხულობად არ თვლიდა კრიტიკისა და კამათის სიმწვავეს. „რამდენჯერ მომხდარა ხოლმე, რომ ლუი ბლანი გამბეტას შეტაკებოდეს, ან გამბეტა ლუი ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და მთელი ევროპის წინ. ხან ერთს მათგანს გაუმარჯვია, ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებლია. ამიტომ ამ ბრძოლის შემდეგ მისთვის უფრო ნათლად გამოსახულა საქმის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამოჩენილა ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა დასდგომოდა“³⁰.

თაობები შემოქმედების ასპარეზიდან ერთი მეორეს კი არ დევნიან, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან და ავსებენ ერთმანეთს. თაობები ერთმანეთზე გადაბმული სიცოცხლის ჯაჭვია, რომლის განყვეტა არავის შეუძლია. უზნეო უნიჭიერეს ვოლუნტარისტს მისი შეფერხება შეუძლია მხოლოდ. ნაცრის ამტუტებას ჰგავს მავანთა შეცხადება ქვეყნის დაღუპვის გარდუვალობაზე (ვერც ერთმა უკიდურესად სისხლისმსმელმა უნიჭიერესმა კაენმა და იუდამ ვერ გადააშენა და ვერ მოსპო

²⁹ იქვე, გვ. 456

³⁰ იქვე, გვ. 331-332

ვერც ერთი ერი). წინააღმდეგობათა დაძაბვა პოლიტიკურ პარტიებს შორის შეხედულებათა ალტერნატივებს წარმოშობს და ეს კარგია. ერის ნაციონალურ თვითმყოფადობას რომელიმე პიროვნება და მისი თანამზრახველთა გუნდი ვერ წაშლის. ვერც თაობებს გადაჰკიდებს ერთმანეთს. სიკვდილიც ვერ გაჰყრის თაობებს ერთმანეთს, პირიქით, უფრო აახლოებს მათ. მსოფლიოს სჭირდება არა გადაგვარებული, გაამერიკელებული ან გაევროპელებული ქართველი, არამედ თვითმყოფადი თანამედროვე ქართველი. ეს უკვე ფაქტურაა.

კრიტიკის თავისუფლება ნიკო ნიკოლაძეს გაგებული ჰქონდა, როგორც ცოდნის გავრცელების საშუალება, როგორც განვითარების ინსტრუმენტი ცდებისა და სინჯვების გზით, როგორც მაშინდელი ფეოდალური საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის თანმიმდევრული პროცესი შეიარაღებული აჯანყებებისა და რევოლუციების გარეშე. მისი მტკიცებით მოსახლეობის აზროვნების განახლებაში გადამწყვეტი როლი მაღალი ეროვნული შეგნების ინტელიგენციას უნდა შეესრულებინა. ამდენად კრიტიკა ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნის განხორციელების იარაღად მიაჩნდა. ამ მიზნების რეალიზაციის სივრცე დანახული ჰქონდა ევროპისა და აზიის ქვეყნებთან გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში. მან მოიკვლია ქვეყნის ნაციონალური ეკონომიკური უპირატესობები, სიცხადეზე გამოიტანა ისინი და ბაზრები მოუძებნა, ხალხის კეთილდღეობად აქცია. თვითონაც ამჩნევდა, რომ ცხოვრების წესი იცვლებოდა და ახალი აზროვნება იკვლევდა გზას. ნიკო ნიკოლაძემ ყველაზე უკეთ გაიგო განვითარებადი კაპიტალისტური ეკონომიკის პრინციპები და იყო მისი შეუდარებელი რეფორმატორი. მან გაიგო იმ საზოგადოების საფუძვლებრივი პრინციპები, მაგრამ მისმა თანამედროვეებმა ბოლომდე ვერ დაინახეს მისი შორსმხედველობა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში მას იმ დონის განათლება ჰქონდა, რომ ვერ გაუგეს, როგორც თეორიულ აზროვნებაში,

ასევე პრაქტიკულ საქმიანობაშიც. ამის გამო უნდა ვაპატიოთ, აკი წინაპრებსაც უთქვამთ, რომ არცოდნა-არცოდვააო, მაგრამ ეს სენტეციაა და არა მხოლოდ მორწმუნეთათვის. უცოდინარობა რა საპატიო საქმეა, ეს ხომ ქვეყნისთვის საზიანოა. დანაშაულია დიდ ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებისადმი, ინდიფერენტულობა, იმ გზების გვერდის ავლა, რომლებიც მან მოიკვლია და ახლა ისინი ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესების ნაცადი ხერხებია.

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების ფორმირება ეძღვნება ნიკო ნიკოლაძის დაბადების 175 წლისთავს

ეკონომიკა მეცნიერება არ არის, იგი მეცნიერებაზე მეტია-ხელოვნებაა-ამბობს ცნობილი მეცნიერი ვ. კატასონოვი. სხვანაირად დანერა ეს ჯ. მეინარდ კეინსმა ა. მარშალის „ეკონომიკის პრინციპების“ სამი წიგნის პირველი ნაწილის შესავალში. კერძოდ: ეკონომისტი ერთდროულად უნდა იყოს მათემატიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, სახელმწიფოთმცოდნე. რასაც თანამედროვეებმა დაამატეს-ფსიქოლოგი, ტექნოლოგი. უფრო მკაცრია სამხრეთ კორეული წარმომობის ამერიკელი მეცნიერი ჰა ჯუნ ჩანგი: „ეკონომიკური თეორიის 95 პროცენტი-ეს მხოლოდ ჯანსაღი აზრია, რომელსაც რთული სახე მისცეს სპეციალური ტერმინოლოგიისა და მათემატიკის საშუალებით“³¹. ჯანსაღი აზროვნება ნიშნავს იმას, რომ პიროვნებას აქვს ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ანალიზისა და სინთეზირების უნარები, როგორც სხვადასხვა მეცნიერული დარგების დაუფლების სინერგიული რეზულტატი. ამის გამო არის, რომ ადამიანთა უმრავლესობას უჭირს ეკონომიკურ პროცესებში გარკვევა, ხოლო უზნეო, მაგრამ ტალანტური უმცირესობა ეკონომიკის „თეორიებს“ ქმნის, საექსპორტოდ უგზავნის მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებს და აზროვნებას უმღვრევს კაცობრიობას.

ჯანსაღი აზროვნების ტრანსფორმაცია რთული და ხანგრძლივი პროცესია. ასეთი აზროვნების გამომუშავებისთვის განსაკუთრებული თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს. კერძოდ, ღმერთის რწმენა, დაუდგრომელი ხასიათი, ნიჭი, ჭკუა, მიზანსწრაფულობა, მორალი და ზნეობა, კრიტიკული აზროვნების თანდაყოლილი უნარი, მაძიებლობისადმი მიდრეკილება

³¹ Джун Чанг Ха. Как устроена экономика. с. 6. ООО “Манн, Иванов и Фербер”, 2015

მრავალჯერადი ცდებისა და სინჯვების ბაზაზე, მრავალმხრივი განათლება, ადამიანის სიყვარული, უანგარობა, სისტემური შრომისმოყვარეობა, რომლის რეზულტატია ინტუიცია; კომუნიკაბელობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, პრინციპულობა, შემოქმედებისადმი მიდრეკილება. არის გარეშე ფაქტორებიც. ბევრი რამ დამოკიდებულია ოჯახურ გარემოზე, და ეპოქალურ გამოწვევაზე.

ნიკო ნიკოლაძის ბაბუა მამუკა (მათე) სოფელ სკანდეში დაბადებულია. აბაშიძეების – აკაკი წერეთლის დედის ეკატერინეს მშობლების ყმობას გაქცევია და ქართლში დასახლებულა, ოჯახიც შეუქმნია. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქუთაისს დაბრუნებულია. კერძო საქმიანობაში – წისქვილისა და ქვის სამტვრევ წარმოებაში წილები ჰქონია. ადამიანებთან ურთიერთობის საუცარი ნიჭი გააჩნდა. „მამუკა მრავალი ათეული წლის განმავლობაში ერთადერთი უბრალო წოდების ქართველი კაცი იყო, რომელმაც ქუთაისში, არა თუ ოჯახის დასახლება და რჩენა, ყველა მცხოვრების ნდობის დამსახურება შესძლო“³². მამუკას სოციალურ პირამიდის მხოლოდ საფუძვლის დაკავება ვერ აკმაყოფილებდა, მაშინდელი ცხოვრების პირამიდაში სოციალური სიმალლის დაპყრობაც სურდა. მამუკას პირველ ვაჟს, გრიგოლს ქალიშვილი მიათხოვა ქუთათელმა აზნაურმა და მდიდარმა ივანე ბაქრაძემ. რომელიც თურმე მთელ ქალაქში სილამაზით განთქმული ყოფილა. მამუკა ნიკოლაძის მეორე ბიჭმა – ნიკოს მამამ, იაკობმა ცოლად შეირთო თავად ფირან ლორთქიფანიძის ქალიშვილი ელისაბედი. ნიკოს მამიდა სოფიომ თავისი ცხოვრება გურიის ბატონს, თავად მაქსიმე შალიკაშვილის დაუკავშირა.

მამუკა ნიკოლაძე, როგორც ამას წერს ნიკო ნიკოლაძე თავის „მოგონებებში“, პირველი ყოფილა იმერეთში, რომელსაც ვაჭრობა დაუწყია და ამ საქმეში შვილებიც „მოუნათლავს“.

³² ნიკოლაძე ნ. მოგონებები. გვ. 12. თბ., 1984

ნიკოს ბიძას და მამას საქართველოს გარდა, ვაჭრობა უხდებოდათ არა მარტო რუსეთში, არამედ საქსონიაშიც, ლაიპციგის ბაზრობაზე. როცა როსტოვში იაკობს გემი დაუნახავს და გაუგია, რომ შეიძლებოდა გემით ყულევამდე საქონლის გადატანა, რომელიც გაცილებით იაფი დაუფდებოდა, ვიდრე ცხენებით გადაზიდვა, და თანაც მოკლე დროში, ვინაიდან საქონლის შემოტანას თითქმის ნახევარი წელიწადი სჭირდებოდა. წვიმიან ამინდში კი საქონელი სველდებოდა და ფუჭდებოდა, თანაც დრო ცხენების მოვლასაც ხომ ესაჭიროებოდა. იაკობს გადაუნყვეტია საქონლის გემით გადმოზიდვა, მაგრამ ამხანაგებს ქვა აუგდიათ და თავი შეუშვერიათ-ზღვას როგორ ვანდობთ ჩვენს ქონებასო. შემდეგი მოგზაურობის დროს იაკობს მაინც გაურისკავს საქონლის გემით გადმოტანა ყულევამდე, ხოლო იქედან ნავებით ორპირამდე, საიდანაც მაშინ ქუთაისამდე ურმით ერთი დღის სავალი იყო. საქონლის გაიაფებით იაკობს ვაჭრებში ბადალი არ ჰყოლია. ყირიმის ომის შემდეგ იაკობს ისევ უმგზავრია გემით ყულევისაკენ. უამინდობის, შტორმის გამო რამდენიმე თვე დაგვიანებია გემს ყულევში ჩამოსვლა. მაშინ იაკობს აუარებელი საქონელი ჩამოუტანია და დიდი სარგებელიც უნახავს. ვაჭრობაში წარმატების მერე, მშენებლობაშიც უცდია ბედი. მთავრობისაგან იღებდა შეკვეთებს შენობებზე, ხიდებზე და გზებზე. ქვითკირის სახლი პირველად ქუთაისში იაკობს აუშენებია. იაკობს ყირიმის ომშიც მიუღია მონაწილეობა, რისთვისაც რუს-ხელმწიფისაგან უმაღლესი მადლობა დაუმსახურებია.

ნიკოს მამას ქართული მხოლოდ წერა-კითხვა და ანგარიში სცოდნია, რაც ეთაკილებოდა თურმე ძალიან, მაგრამ განათლებისადმი დიდი პატივისცემა ჰქონია. იძენდა ყველა წიგნს, რომელიც მაშინ საქართველოში გამოდიოდა. პირადად იცნობდა იმ დროინდელ საქართველოში ცნობილ მოღვაწეებს ზ. ანტონოვს, მსახიობ მეიფარიანს, ცნობილ ფრანგ მეცნიერს მარტი ბროსეს, რომელსაც მისთვის „ქართლის ცხოვრების“ ძვირფას

ყდაში ჩასმული რუსულ-ფრანგული თარგმანი უჩუქნია.

ნიკოს დედა ელისაბედი ძალიან განათლებული ქალი ყოფილა, ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“. იგი ყოველდღე, ნასადილევს წიგნებს უკითხავდა მეუღლესა და შვილებს. იაკობს „ყველა ახალი ქართული წიგნი მოდიოდა. მიღებისთანავე დედაჩემი მათ თავიდან ბოლომდე გადაგვიბუღებულა, დიდს და პატარას, ქმარ-შვილს და მოსამსახურეს. გიორგი ერისთავის კომედიებიდან ან არჩილ მეფის ლექსებიდან ბევრმა ჩვენგანმა ზეპირათ დიდ-ძალი ადგილები ვიცოდით. ეს კითხვა უკეთესი გასართობი იყო ჩვენს სახლში“³³.

სკოლის ასაკის ნიკო მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს. სწავლის პერიოდს თვითონ ნიკო დადებითად არ მოიხსენიებს. სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელიც ძირითადად მხოლოდ ტექსტების დამახსოვრებაში მდგომარეობდა. ამით უკმაყოფილო მშობლებმა მას კერძო მასწავლებელი დაუქირავეს. არც ის გამოდგა ხელსაყრელი და მისი შეცვლაც მოუხდათ. გიმნაზიაში სწავლა არ მოსწონდა, მაგრამ თავისუფალი სწავლების სივრცე მისთვის უსასრული იყო. „სწავლა გიმნაზიაში მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ზეპირად უნდა გვესწავლა რუსულ სახელმძღვანელოებში მასწავლებლისაგან დანიშნული ადგილები, რომლის აზრი თითქმის არავინ ჩვენგანს არ ესმოდა. ზოგიერთები მთელ წიგნს იზეპირებდნენ სრულიად გაუგებრად, თუთიყუშით“³⁴.

მეხუთე კლასელი ნიკო მამამისს, ზაფხულის ერთ დღეს, ფოთში ჩაუყვანია იქაური საქმეებისა და მამულების გასაცნობად, ვინაიდან იგი ნიკოს თავის შემცველად ამზადებდა, აკი ფოთში იაკობს საკმაოდ ბევრი სავაჭრო ობიექტი ჰქონდა. ჭაობიან ფოთში პატარა ნიკოს მაღარია შეეყარა და მთელი წელიწადი ლოგინად ჩააგდო, რამაც სწავლას ჩამოაშორა.

³³ იქვე, გვ.30

³⁴ იქვე,გვ. 24

მზრუნველი მამა ავადმყოფ ნიკოს არ აკლებდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, რომელსაც გულმოდგინედ კითხულობდა. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გაიხსენებს: „მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს, როცა ლოგინში ვინექ და ფიქრის გარდა საქმე არაფერი მქონდა, დაიწყე და დალაგდა ჩემში მოსაზრება ამგვარ საგნებზე. ამ ავადმყოფობის დროს, ამავე ფიქრით გატაცებულმა, აზრის გამოსაკვლევად გადავიკითხე და გავეცანი, რაც კი საღმთო წერილის წიგნი იშოვე-ბოდა ქუთაისში. ერთი სიტყვით, ზედმინეწით და საკუთარი შრომით, უხელმძღვანელოთ...“³⁵. არც სწავლას ჩამორჩენია და გიმნაზიის ორი კლასი ერთ წელიწადში დაასრულა და ატესტატიც აუღია მის თანაკლასელებთან ერთად. გიმნაზიის ბოლო კლასში სწავლისას „ქუთაისის მეჭორეს“ ფსევდონიმით ჟურნალ ცისკარში დაიბეჭდა მისი „ხაბარდა და ლოტო ქუთაისში“ (შეტანილია მისი თხზულებების პირველ ტომში).

გიმნაზია 17 წლისამ დამთავრა. მშობლებს არ სურდათ მისი გაშვება რუსეთში. ნიკოს უმაღლეს სასწავლებელში სურდა სწავლის გაგრძელება. მამამისს იგი მშენებლობის საქმეში თავის თანაშემწედ უნდოდა, მაგრამ საქმეში ჩარეულა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე და არჩევანი ნიკოს სასარგებლოდ გადაწყვეტილა. 1861 წელს ნიკო ნიკოლაძე პეტერბურგს გაემგზავრა და უნივერსიტეტში ჩაირიცხა. მონიფულ ახალგაზრდებს შორის უწვერულვაში ნიკო ბავშვივით გამოიყურებოდა თურმე. პროფესორს გამოცდაზე რომელიმე აბიტურიენტის გულშემატკივარი ჰგონებია. მის პასუხებს რუსულ ლიტერატურაში გამომცდელის განცვიფრება გამოუწვევია, რამაც ლათინურის ჩაბარებაშიც კი შეუწყო ხელი. ჩინებული ცოდნა ჰქონია საღმრთო წერილში და ფიზიკაში. ფრანგულში წავფორხილდით წერს, მაგრამ მისალეები გამოცდები მაინც გადალახა და უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. იმ დროს

³⁵ იქვე. გვ. 50-51

მთელი რუსეთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით იყო შეპყრობილი და ნიკო ნიკოლაძე თითქოსდა რევოლუციურ მოძრაობას მიემხრო. ჩამოაყალიბეს პატარა წრე გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის და დ. აბდუშელიშვილის შემადგენლობით. მათთან მეგობრობდა აკ. წერეთელიც. ისინი ერთმანეთს მალე ძალიან დაუახლოვდნენ. ხშირად იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ ხალხის უკეთეს მომავალზე. იმ დროს არც ერთს ჩვენთაგანს კერძო სარგებლობა ფიქრადაც არ ჰქონდაო. მათი ფიქრი და აზროვნება მიმართული იყო ხალხის სამსახურისადმი. „ყოველი კაცი ვალდებულია ერთი ნაბიჯი მაინც წაადგმევინოს წინ თავის დროს და თავის თანამედროვეებს. ჩვენ რომ იმას ვუცადოთ, თუ როდის მოგვეცემა საშუალება ხალხს სრული და საბოლოო სიკეთე ერთბაშად მივანიჭოთ, ვინ იცის, იქნება ამისთანა საშუალება ჩვენ დღემიაც არ გველირსოს? ის ჰქენი, რაც შეგიძლია, რისიც ღონე გქონდეს, რაც მოგიხერხდეს, დიდი იყოს, თუნდაც მცირე. გაბედე, სცადე და თუნდაც არა გამოვიდეს რა, ამ გაბედვასაც და იმ ცდასაც სარგებლობა მოსდევს. აუხოცველი კვალი მაინც დარჩება, ერთ ადამიანს მაინც გაეფხიზლება, ერთი წუთის ვადით მაინც შეწყდება ის საზოგადო დუმილი, რომელიც ხალხს გონებაზე ტყვიასავით აწევს“³⁶. ნიკოს თანდაყოლილ ნიჭს ის თავისებურება ჰქონდა, რომ ვერ ეგუებოდა ზეპირობას, ცხოვრებისეულ შტამპებს. {„უროკების“ დამზადება და სწავლა ყოველთვის ჟამად მიმაჩნდა, არც განყრომას, არც შეგონებას, არც დარიგებას, არც ხვენინას, არც დატკობაბს არასდროს გავლენა არ ჰქონია ჩემზე, ამ შემთხვევაში, არც გიმნაზიაში, არც პეტერბურგს...ჩემ ბუნებას ყველაფერი, რაც კი დაწესებული, ნაჩვევი, წინათვე განსაზღვრული და კალაპოტში ჩასმულია-ენინააღმდეგება, როგორც ცეცხლი-წყალს“³⁷. მაგრამ სულ სხვა იყო იგი ცხოვრების სი-

³⁶ იქვე, გვ. 58

³⁷ იქვე, გვ. 59

ახლეებისადმი, შემოქმედებისადმი, ინოვაციებისა და პროგრესისადმი. თუ მაშინ ბავშვები და სტუდენტები იშვიათად კითხულობდნენ, იგი ნაუკითავს, რასაც მიწვდებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა. „ვკითხულობდი ყველაფერს, ამიტომ რომ კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურომლისოდაც გაძლება არ შემეძლო. პეტერბურგში, რასაკვირველია, წიგნებს დავენაფე. დღე არ გავიდოდა ისე, რომ ორი-სამი არ მეყიდა ტოლკუჩკაზე (ძველმანების ბაზარი რ.ნ.) ზოგი ორშაურად, ზოგი აბაზათ. ხშირად დამმართნია, რომ უფროსი სტუდენტები შემოსულან ჩვენსა და უნახივართ ლოგინზე წამონოლილი, წიგნის მკითხველი მაშინ, როდესაც ჩემი ამხანაგები ლათინურს სწავლობდნენ“³⁸. უნივერსიტეტში ცნობილი მეცნიერების ლექციებს სულგანაბული უსმენდა, განსაკუთრებით იმ მეცნიერებისას, რომელთა მოსმენა აზრს იტაცებდა და გონებას უნათებდა. მისი დაუდგრომელი ხასიათი საშუალებას არ აძლევდა ცხოვრების შუაგულში არ ყოფილიყო. კურსიც არ დაესრულებინა, რომ სტუდენტთა არეულობაში მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე თვე პეტროპავლოვსკისა და კრონშტანდის ციხეებში მოუხდა დღეებისა და ღამეების გათენება. ციხიდან გათავისუფლებისას უნივერსიტეტის საცხოვრებლის ცნობა მაშინვე ჩამოართვეს და პოლიციამ ღია ბარათი მისცა სამშობლოში დასაბრუნებლად. მის ვალდებულებას წარმოადგენდა სამშობლოში დაბრუნებისას მთავრობაში გამოცხადებულიყო, ხოლო მის მშობლებს წერილობითი ცნობა დაეწერათ იმის თაობაზე, რომ მსგავს არეულობებში იგი მონაწილეობას არ მიიღებდა. ცხადია, ამას ის მშობლებს ვერ გაუშხელდა. ეშმაკობას მიმართა. ამოეწერა წიგნებიდან როგორც სამშობლოში გამგზავრებული, სინამდვილეში პეტერბურგის გარეუბანში აკაკი წერეთელთან გადასახლდა, სადაც პოლიცია სტუდენტთა საქმეებზე მაინცადამაინც თავს არ იწუხებდა. პიჯაკის

³⁸ იქვე. გვ. 76

ნაცვლად ჩოხა ჩაიცვა და ისე ჩნდებოდა ხანდახან ქუჩებში. ერთ საღამოს, შობის დღესასწაულის პერიოდში ორი ახალგაზრდა და მომხიბვლელი მანდილოსანი ესტუმრა, ერთმა უთხრა, რომ ჩერნიშევსკის მეუღლე არის და სამასკარადოდ ჩოხის სათხოვნელად მოვიდნენ. ასე გაიცნო ჩერნიშევსკი ოჯახი და მერე თვითონ ჩერნიშევსკიც. რამდენიმე ხანი ჩერნიშევსკის ცოლისძმის ოჯახშიც ცხოვრობდა. დიდ მასწავლებელს ძალიან დაუახლოვდა და შემდგომ ყველაფერი გააკეთა ჩერნიშევსკის კატორღიდან გამოსახსნელად.

მალე პეტერბურგში მღელვარება დაცხრა და ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. გენერალ-გუბერნატორად გენერალსიმუსის, ცნობილი მხედარმთავრის ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვის შვილისშვილი ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვი დაინიშნა. ნიკო ნიკოლაძემ იცოდა, რომ გენერალ-გუბერნატორი უგანათლებულესი და კეთილი გულის კაცი იყო. დამთავრებულ ჰქონდა სორბონის და გეტინბერგის უნივერსიტეტები. სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. იყო რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელი. წერილით მიმართა და მასთან აუდენცია ითხოვა პეტერბურგში დარჩენაზე უფლების მისაღებად. „როცა თხოვნაზე ჩემი გვარი წაიკითხა, მან ქართულად მკითხა: „ქართული იცი?“ ჩემ პასუხად, რომ რასაკვირველია ვიცი მეტი, მან ქართულად მითხრა – „კარგი“ და ადიუტანტს უბრძანა განკარგულება მოეხდინა, რათა მოეცათ ჩემთვის სათანადო მონშობა. ასე ადვილად მოხდა ჩემი გათავისუფლება არალეგალური მდგომარეობიდან“³⁹.

1862 წელიწადი, როგორც ნიკო ნიკოლაძე წერს, თითქოს ჩვეულებრივად დაიწყო. ცენზურა ისევე მკაცრად არ მოქმედებდა. უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტებიდან ზოგი პეტერბურგიდან წავიდა, ზოგმა მუშაობა დაიწყო და

³⁹ იქვე, გვ. 137

სწავლას თავი მიანება. უნივერსიტეტი დახურული იყო. პეტერბურგში დარჩენილი სტუდენტები თავს იყრიდნენ წიგნის კერძო სამკითხველოში, სადაც უამრავი ლიტერატურა ხელმისწვდომი იყო და სადაც ძალიან ბევრ ცნობილ პიროვნებას შეხვდებოდა კაცი. მაგრამ ეს მაინც უნივერსიტეტის მაგივრობას ვერ უწევდა სწავლით დაინტერესებულ ახალგაზრდებს. ყოფილ სტუდენტებს გენერალ-გუბერნატორ ალ. სუვოროვისთვის მიუმართავთ თხოვნით, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში საჯარო კითხვის კურსების გახსნის შესახებ. დახურული უნივერსიტეტის პროფესურას საშუალება მიეცა დაინტერესებული ახალგაზრდობის წინაშე ფასიანი ლექციები წაეკითხათ. ამ დარბაზში აუდიტორიის წინაშე წარდგა ჩერნიშევსკი, ახალი ისტორიის პროფესორი პავლოვი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ შორეულ გუბერნიაში გადაასახლეს. ამის მერე ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში ლექციების წაკითხვას ვერც ერთ პროფესორი ვერ ბედავდა.

ნიკო ნიკოლაძე აგრძელებდა ცხოვრებას იმ თანატოლებთან, რომელთაც დაუმეგობრდა დაჭერის დღეებში. იმათ გააცნეს ჟურნალ „Современник“-ის უფროსი კორექტორი, რომელსაც უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული ჰქონდა და რომელიც მას წასაკითხად აძლევდა „სოვრემენიკის“ წერილებს. ასე აღმოჩნდა იგი ახალი ცხოვრების ცენტრში. მალე ცენზურა უკვე ძალიან მკაცრი გახდა. ნიკო ნიკოლაძე იძულებული შეიქმნა პროკლამაციების მთელი თავისი არქივი ცეცხლისთვის მიეცა. მალე ჩერნიშევსკიც დაატუსაღეს, ნაწერები ჩამოართვეს, ცოლისა და მშობლების წერილებიც კი. ნიკო ნიკოლაძემ მძიმედ განიცადა მისი მასწავლებლის დაპატიმრება. სევდამ შემიპყრო – წერს. წვიმიან ამინდებს სახლში ატარებდა. მაგრამ უსაქმურად ყოფნა არ სჩვეოდა. გადანწყვიტა მოთხრობის დაწერა პეტერბურგის ხელმოკლე სტუდენტების ცხოვრებაზე, რომელიც „ისკრის“ რედაქციაში მიიტანა. კიდევ სურდა დაენერა შეუსაბამო ცოლქმრობის თემაზე, მაგრამ, როცა მამისის

„ნოქარი“ შეხვდა პეტერბურგში და უამბო, რომ მშობლებმა ყველაფერი იციან პეტერბურგში მომხდარი არეულობის შესახებ. ჩემოდნები ჩაალაგა და სამშობლოსაკენ გამოსწია.

სამშობლოში ნიკო ნიკოლაძე იმ დროს დაბრუნდა, როცა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა ძველ და ახალ თაობებს შორის. მას ჟურნალში სტატია გაუგზავნია, მაგრამ ვერ დაიბეჭდა ცენზორის ვეტოს გამო. ნიკო ნიკოლაძეს უკმაყოფილება მოსვლია ჟურნალის სხვა თანამშრომლებთან. საქართველოში ერთი წლის დაბრუნებულიც არ იყო, რომ ისევ პეტერბურგს გაემგზავრა და ჯერ „Народное богатство“-ის თანამშრომელი გახდა. 1864 წელს კი „Современник“-ის მერვე ნომერში გამოაქვეყნა მოთხრობა „პროვინციული სურათები“. იმავე წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა. ჯერ პარიზშია, მერე ლონდონში, ჟენევასა და ციურხში. პირველად მთელი გატაცებით ეცნობა სოციალისტ-უტოპისტთა შრომებს. დღეში 16 საათს მუშაობდა. დროდადრო გრძნობდა, რომ ფრანგული სოციალიზმი ისეთი არ ყოფილა, როგორც ეგონა. მერე მას არც ფურიე მოსწონს და არც სენ-სიმონი. პარიზიდან სტატიებს უგზავნის „Санкт-Петербургские ведомости“-ის რედაქტორს-უფალ კორმს.

პარიზში ყოფნისას ახლოს გაეცნო გერცენსა და ოგარიოვს. იქვე გამომავალ „Колокол“-ში დაბეჭდა რამდენიმე სტატია. მათ შორის „გლახთა განთავისუფლება საქართველოში“, „ჩვენი მომავალი ვექილები“ – „Московские ведомости“-ში, „ივნისის დღეები თბილისში“, „საქართველოდან“, „თბილისიდან“ და სხვა. „1865 წლის ბოლოს ნიკო ნიკოლაძემ გერცენთან უთანხმოების გამო შეწყვიტა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა. ნიკოლაძეს გერცენმა „ბრჭყალებიანი ვეფხვი“ უწოდა, რომელსაც ძარღვებში რძე უდღულსო“⁴⁰.

1868 წელს პარიზში ლ. მეჩნიკოვთან ერთად აფუძნებს

⁴⁰ ჩიკვილაძე დ. დროსგასწრებული მამულიშვილი. თბ., გვ. 16. 2003

ჟურნალ „Современность“-ს, რომელშიც წერილებს აქვეყნებს. იმავე წელს მ. ელპიდინთან ერთად დაბეჭდა ჩერნიშევსკის თხზულებათა ორტომეული, რომლის შესავალი მან დაწერა და რედაქტორობაც გასწია.

1868 წელს შვეიცარიაში ყოფნისას ნიკო ნიკოლაძემ დაასრულა ციურიხის უნივერსიტეტი და სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია, თემაზე: „განიარალება და მისი სოციალ-ეკონომიკური შედეგები“, ფრანგულ ენაზე, რომელიც იმავე წელს წიგნად გამოიცა ჟენევაში.

დისერტაციის თემა აქტუალურია დღესაც. განიარალება ურთულესი საკითხია, რომელიც მრავალი პრობლემის გადანივებას უკავშირდება. ავტორი საყვედურობს ეკონომისტებს, რომლებიც განიარალების პრობლემას ზერეულედ ეკიდებიან და ცალმხრივად აღიქვამენ, როგორც დადებით მოვლენას, რომლის გატარებით თითქოსდა გამოთავისუფლებული სახსრები ხალხის კეთილდღეობის სამსახურში გადავიდოდა. ნიკო ნიკოლაძე სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით, მარტივი ენით და მკითხველისთვის იოლად გასაგებად ასაბუთებს აზრს, რომ განიარალება სახსრების მნიშვნელოვან მოცულობას კი არ გამოათავისუფლებდა, პირიქით, კრიზისების გაზრდას გამოიწვევდა, ვინაიდან სამხედრო მრეწველობაში უამრავი ადამიანი არის დასაქმებული, რომლებიც სანარმოთა გაჩერების შემთხვევაში, უმუშევარი დარჩებოდნენ. ამიტომ განიარალებას დადებითი არც ეკონომიკური ეფექტი ექნებოდა და არც სოციალური. პრობლემის მეორე და უმნიშვნელოვანესი მხარეა საზოგადოებრივი აზროვნების განახლება. წინა პირობა-მსოფლიოს ინტელექტუალური აზროვნება მივიდეს არა მარტო განიარალების აუცილებლობის შეგნებამდე, არამედ თანამშრომლობის ისეთი მეთოდები და ტექნოლოგიები შექმნას, რომელიც განიარალებას შესაძლებელს გახდის. ამდენად, განიარალების კონცეფციის წამოწევას ნიკო ნიკოლაძე ნაჩქარებად მიიჩნევდა და მის გადაჭრას მომავალი თაობების

საქმედ თვლიდა. ახლა ჩვენ ფაქტის წინაშე ვართ. აქამდე ვერ იქნა და ვერ მივიდა ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება არა თუ მილიტარიზაციის შეზღუდვის შეგნებამდე. პირიქით, მძლავრი მსოფლიო ფინანსური იმპერია წარმოიქმნა, რომელიც შეიარაღებაზე ხარჯებს არ ზოგავს და მილიტარიზაცია იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომ ახლა სამყაროს არსებობას გადაშენებით ემუქრება. არ წყდება სხვადასხვა სახის ლოკალური და რეგიონული ომები.

ნიკო ნიკოლაძე პირველი ქართველია, რომელმაც დაინახა, როგორც ამ სტატიის დასაწყისს აღვნიშნე, ეკონომიკური აზროვნების განსაკუთრებულობა და ეკონომიკური ენისა და ტერმინების შეგნებული გამკაცრება, რომელმაც დღეს ბუნდოვნების უმაღლეს დონეს მიაღწია. „მართლაც და, თვით ეკონომიკური მეცნიერების ინტერესი მოითხოვს მისი მცნებანი ადამიანმა მარტივად და ადვილად გასაგებად გამოთქვას, განსაკუთრებით როდესაც ლაპარაკია ისეთი კითხვების შესახებ, რომლებიც მკითხველთა უმეტესობას აინტერესებს“⁴¹. საუკუნეზე მეტის ხნის შემდეგ „ეკონომიკის პრინციპების“ ავტორი გრ. მენქიუ დანერს: „ეკონომისტებს მოსწონთ თავიანთი თავის მეცნიერად წარმოჩენა. მეც თვითონ ასე ვიქცევი. მაღალი კურსის სტუდენტებთან ლექციის კითხვისას, სრული შეგნებით წარმოვაჩენ ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. ასე რომ არა, არც ერთი სტუდენტი არ ისურვებდა ისეთი კურსის შესწავლას იმ თვალსაზრისით, რომ მას რაღაც ეფემერული დისციპლინის შესწავლა მოუწევდა“⁴².

1869 წელს სამშობლოში ბრუნდება, ჯერ ქუთაისშია, მერე თბილისში. ს. მესხთან ერთად გაზეთ „დროებას“ უძღვება. 1971 წელს აფუძნებს ჟურ. „კრებულს“. ძალიან ფართო ხდება მისი შემოქმედების ასპარეზი. აქეთ ერობის საკითხი, იქეთ ბანკე-

⁴¹ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 1. გვ.456. თბ., 1962

⁴² Джун Чанг Ха. Как устроена экономика. с. 8. ООО “Манн, Иванов и Фербер”, 2015

ბისა, განათლება, ვაჭრობა და ალებ-მიცემობა. მის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ რჩება საზოგადოებრივი აზროვნების ერის ჩამორჩენილობის მიზეზები და განათლების გაუმჯობესების წყაროებისა და საშუალებების კვლევა-ძიებას ესწრაფვის. 1873 წელს ჟურნალ „კრებულში“ იბეჭდება მისი სტატია „ახალი ახალგაზრდობა“, სადაც იგი აკრიტიკებს ძველ თაობას და ახალ თაობას სამშობლოს სამსახურის სამოქმედო გზებს უსახავს. ნაცვლად იმისა რომ მისთვის ყური ეგდოთ, დაუნუნეს სწავლება, აითვალწუნეს, ცილი დასწამეს. რედაქციას ტოვებს და საზღვარგერო მიდის. პრესაში 1876 წლამდე არ ჩნდება. ბევრს მოგზაურობს. ტყიბულის ქვანახშირის მოსაპოვებლად ინჟინერს ეძებს. 1873 წელს პარიზში ამხანაგებთან ერთად ბეჭდავს ქართულ გაზ. „დროშას“, ხოლო 1875 წელს პარიზში ფრანგულად იბეჭდება მისი ბროშურა „დეკადანსის პრესა“, რომელსაც საფრანგეთის მაღალი საზოგადოება გამორჩეული მოწონებით შეხვდა. 1876 წლის 10 მარტს საქართველოში ილიასთან, აკაკისთან და სერგეი მესხთან ერთად ხელმძღვანელობს გაზ. „დროების“ გამოცემას. 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობს საფრანგეთის „ჰაასის“ სააგენტოს სამხედრო კორესპონდენტის“ სტატუსით, რომელიც რუსულ ჟურნალებსა და გაზეთებში საინტერსო მასალებს ბეჭდავს.

1878 წელს თბილისში აფუძნებს რუსულ გაზ. „ობზორს“, რომელშიც ცენზურას არ ერიდებოდა და მთელი სიმკაცრით ამხელდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაკლოვანებებს, რაც ოფიციალის უკმაყოფილებას იწვევდა. 1880 წელს გაასამართლეს და სტავროპოლში გადაასახლეს. ერთი წლის შემდეგ უფლება მიიღო სტავროპოლიდან პეტერბურგში გადასახლებულიყო, სადაც ხუთი წელიწადი დაჰყო და რუსულ ჟურნალებში ხშირად ბეჭდავდა კრიტიკულ სტატიებს.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდში ნიკო ნიკოლაძემ დაამუშავა ბაქოდან ბათუმში ნავთობის გადატუმბვის პროგრამა. რაზედაც უზარმაზარი შრომის განევა მოუხდა, რათა, ერთის

მხრივ, საზოგადოებისთვის პრესის ფურცლებზე და მეორეს მხრივ საიმპერიო ტექნიკური საზოგადოების სხდომებზე, ოპონენტებისთვის დაემტკიცებინა ბაქოდან ბათუმამდე ნავთობის სატუმბავის გამართვამდე აუცილებელი იყო ბაქო-ბათუმის რკინიგზის ლიანდაგის დაგება და წიფის გვირაბის გაყვანა სახელმწიფო დაფინანსების საფუძველზე. 1886 წელს წიფის გვირაბი გაიხსნა და დღესაც მოქმედებს, ისევე როგორც ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალი.

1879 წელს ნიკო ნიკოლაძეს დაუსრულებია თავისი შრომა „მამულის სიყვარული და მსახურება“, რომელიც 1880 წელს დაუბეჭდავს თავისივე შედგენილ აღმანახში „საახალწლო“. მეორედ 1914 წელს დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების მეორე ტომში, ხოლო მესამედ მისი თხზულებების მეშვიდე ტომში, 1985 წელს.

ამ შრომაში მოცემულია ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების მაღალი კულტურა, სიღრმე და მასშტაბები. ეს არ არის წიგნი დაწერილი მხოლოდ მკითხველისთვის. იგი თვით ავტორის ცხოვრების რეჟისურაა, რომლის მიხედვით მოქმედებდა სიცოცხლის ბოლომდე. შრომაში წინა პლანზე გამოტანილია აზრი, რომ ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა სამშობლოსადმი (მამულისადმი) მსახურება, მაგრამ ამისთვის საკმარისი არ არის მართლმადიდებლური რწმენა, წერა-კითხვის ცოდნა, სამშობლოს სიყვარული. სამშობლოს მსახურება მისი შვილისაგან მოითხოვს მაღალ ზნეობრიობას, როცა ქვეყნისა და შენაღის ტკივილი შენი ტკივილია, შენი მწუხარებაა და არა მხოლოდ პოზიცია, არამედ აქტიური მოქმედება, რათა დაეხმარო მას თავის თავის პოვნაში. ადამიანი, ნიკოს აზრით, არ არის გაჩენილი კერძო სარგებლობისთვის, მისი ფიქრი და მოქმედება საქვეყნო ასპარეზისა უნდა იყოს, კეთილი საქმეები ქმნა. მკაცრად აკრიტიკებს მათ, რომლებიც მთელ ცხოვრებას გართობაში ატარებენ და საზოგადო საქმისთვის გროშს არ გაიღებენ. სამშობლოს მსახურებას მაღალი პროფესი-

ული ცოდნა სჭირდება. საბოლოოდ გამოდის, რომ მამულის მსახურება შეუძლია მხოლოდ მორალურად და ზნეობრივად მაღალპროფესიონალ პატრიოტს. მხოლოდ ასეთი ადამიანები ქმნიან თაობებს. ნიკო ნიკოლაძისთვის თაობა საერთო მიზნის სოციალური ჯგუფია ამ ჯგუფის წევრების ასაკისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშნული შრომა მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ მასში მოცემულია მაშინდელი საქართველოს მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა და ახსნილია მისი წარმოშობის მიზეზები. ნიკო ნიკოლაძე სვამს საკითხს, თუ რამ განაპირობა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ჩამორჩენილობა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. პასუხად ორ მიზეზს ასახელებს. პირველი, განათლებისა და მეცნიერებისადმი უყურადღებობა, და შინააშლილობა, მტრობა, ქიშპობა, ერთმანეთის გადაკიდება, გაუტანლობა.ვიდრე საქართველო განათლების დონით მეზობლების დონეზე იყო, მრავალრიცხოვანი მტრის თავდასხმებს იგერიებდა. მაგრამ როგორც კი საერთო განვითარებას ჩამორჩაო, თურქებმა ცხრა მთის იქედან დაგვიგრეც ციხე-სიმაგრეები და მოსახლეობა ააწიოკეს.

ქვეყანამ რომ წარმატებას მიაღწიოს მისი ხალხი მთლიანი უნდა იყოს, ერთი მიზანი ჰქონდეს-ადამიანი ეკონომიკის ზრუნვის საგანი გახდეს. სხვანაირად, აშლილ დაწეწილი, ერთმანეთის მოქიშპე საზოგადოება საქვეყნო სიკეთეს ვერ მოიტანს. „ორი, სამიჯ არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ისეთი კაცი, რომ მამულის ან ხალხის მეტი საზრუნველად და სადარდებლად არა ჰქონდეს რა, რომ საზოგადო საქმის მეტი არაფერი ახსოვდეს, რომ მამულის სიკეთის მეტის არაფერი მადა ჰქონდეს, არას გრძნობდეს“⁴³.

ნიკო ნიკოლაძის აზრით ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა იგი თანამედროვე მეცნიერებას ფლობს და

⁴³ ნიკოლაძე ნ. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 326. თბ., 1985

მთელ ძალას ადამიანის კეთილდღეობაზე მიმართავს. მაგრამ თუ ისე ხდება, რომ მისი ერთი ნაწილი მუქთად ცხოვრობს და მხოლოდ ფლანგავს, ხოლო მეორე ნაწილს ორმაგი შრომა უწევს იმ პირველის შესანახად და ცალკერძ თავის სარჩენად, მაშინ ხალხის ძალა უხეიროდ იფანტება და მის ორ ნახევარს შორის ჩუმი დაძაბული ბრძოლა იწყება. ერთობა იკარგება და ხალხი ორ დაპირისპირებულ ბანაკად იყოფა. „ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მივალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მენველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი გრძობა, ან ხეირიანი განწყობილება“⁴⁴. ადამიანის არსებობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ „აამაღლო ხალხი, შენი თანამოქმენი შენს დონემდე და რაც ხელთა გაქვს, თუნდაც თიხისაგან, შექმნა ამა თუ იმ დარგის რამდენადაც შეიძლება უკეთესი მოღვაწე“⁴⁵.

ხალხი პიროვნებას პარლამენტში თუ სხვა ხელმძღვანელ პოსტებზე არჩევისას პერსონალურად აკისრებს ქვეყნისა და მოსახლეობის სამსახურის პასუხისმგებლობას. ნიკო ნიკოლაძეს ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითები მოჰყავს თუ როგორ ებრძვიან ერთმანეთს პარლამენტში დეპუტატები, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ქვეყნის სასარგებლოდ ხდებაო. საკმარისია წამოიჭრას მტერთან ბრძოლის საკითხი, რომ ისინი ერთად შეიკრიბებიან და მაშინ ქიშპობისთვის არა სცალიათო. შენიშვნის სახით მიუთითებს, რომ იგი დაპირისპირების და განცალკევების მხარდამჭერი კი არ არის, აზრების დემოკრა-

⁴⁴ იქვე, გვ. 329

⁴⁵ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. 9 გვ.8. ქუთაისი, 2006

ტიული გამომუშავების მომხრეა მხოლოდ. იგი ბრმა მიმბაძველობის წინააღმდეგია. თუ მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებთ, ვნახავთ რომ ყველაფერი ეს ნიკო ნიკოლაძემ თავის ცხოვრებაში ისე გაატარა, როგორც ადრე დაუნერია. ამისი ფაქტობრივი, განსაკუთრებული გამოხატულება მდგომარეობს დიდი ჯიხაიშის მეურნეობის შექმნასა და განვითარებაში, ფოთის ქალაქისა და პორტის 18 წლიანი მშენებლობის ბატალიებში.

1881 წელს სტავროპოლში გადასახლებულ ნიკო ნიკოლაძეს, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოების შუამდგომლობის საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალ ათავისუფლებს და იგი თბილისში ბრუნდება. რადგან იქ მდგომარეობის გამო არ დაედგომებოდა, ისევ პეტერბურგს მიაშურა. სადაც ხუთი წელიწადი იცხოვრა. ამ პერიოდში ახერხებს იგი ჩერნიშევსკის გათავისუფლებას. ამასთან ერთად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განათლებული ნიკო ნიკოლაძე აქტიურად ებმება სამშობლოსთვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელების საქმეში. 1886 წელს ნიკო ნიკოლაძე ლებულობს ყველასთვის მოულოდნელ გადანყვეტილებას-დიდი ჯიხაიშის ცენტრში ტიალი მინდორი შეიძინა. მერე მის გარშემო მიმდებარე მიწის ნაკვეთებიც შეისყიდა, რამაც საბოლოო ჯამში 20 ჰა შეადგინა⁴⁶. ხშირად ისმის კითხვა თუ რატომ იყიდა, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მწერალმა ნიკო ნიკოლაძემ მიწა და ისიც დიდ ჯიხაიშში. ზოგიერთი ავტორის აზრით აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ დედამისი ჯიხაიშელი ლორთქიფანიძის ქალიშვილი იყო და თურმე ამან უბიძგა ნიკო ნიკოლაძე მწერლობა მეურნეობის მოწყობაზე გაეცვალა, რასაც კატეგორიულად უწუნებდნენ ღიად მას ცნობილი კალმოსნები... ზემოთმოტანილი მასალები გვაფიქრებინებს, რომ ნიკო ნიკოლაძის არჩევანის ასეთი ახსნა ცალმხრივი და სუბიექტურია. ჯერ ერთი, დიდ ჯიხაიშში, დედუღეთის სიყვარულის გამო, მიწის შეძენის

⁴⁶ აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო. გვ.142. „საქართველო“, 99928-29-48-6

მიზეზად წარმოჩენა არ ივარგებს. ეს ისეთ მოაზროვნეს, როგორც ნიკო ნიკოლაძე არის, ჩვენგან არ ეკადრება. გვერდს ვერ ავუვლით იმასაც, რომ ნიკო ნიკოლაძე კარგად იცნობდა დიდ ჯიხაიშს, როგორც დედუღეთს, მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის ნაწილია. მეურნეობის გამართვას მარტო მიწის ფართის სიდიდე და მისი ნაყოფიერების ფაქტი არ ყოფნის. აქ უფრო დიდი ხნის ნაფიქრალის საქმედ ქცევის შემჩნევაა მთავარი, რომელიც მან სანთლად აანთო თავის შრომაში „მამულის სიყვარული და მსახურება“. წლები გადიოდა და მისი ეკონომიკური აზროვნება სიმაღლეს და სივრცეს იპყრობდა. ეპოქალურ ცვლილებებს უმაღვე ხვდებოდა, სიძველის სუნს მაშინვე აღიქვამდა. უჭირდათ მისი მოულოდნელი ცვლილებების გაგება, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც ერთხელ გატკეპნილ გზას ბოლომდე მიყვებოდნენ. რაკი თავიდანვე მწერლობა გაიხადეს ერის სამსახურად და ხალხის გულებში დაიდეს ბინა, ვერ ხედავდნენ იმას, რომ ჩამოტოვებულ ერს წინამძღოლი, ტრადიციული, დროს ჩამორჩენილი, დაძველებული, პრიმიტიული შრომის მდგომარეობიდან გამოსასვლელად ინტელექტუალური ლოკომოტივი სჭირდებოდა. ამან უკარნახა მას მწერლობა გვერდზე გადაედო და არა გადაეგდო. ამაზე მეტყველებს მისი თხზულებების მე-8 და მე-9 ტომები. არ უნდოდა ხალხისთვის მარტო მიმბაძველი ყოფილიყო, უნდოდა მისთვის მასწავლებლობაც გაენია და ერთობლივი შრომის თანამონაწილედ გამხდარიყო. ეს მისი ეკონომიკურ აზროვნების ახალი ზეაღმავალი ხვეული იყო. რის შესახებაც ჩვეული პირდაპირობით განაცხადა, რომ წერა-კითხვის, დედაენის ცოდნა კარგია, როგორც ურთიერთობის საშუალება, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს ადამიანის მიზანი. ყველაფერი ნათელი გახდება თუ გავითვალისწინებთ ამ სტატიის ცოტა ზემოთ მოტანილ მე-6 სქოლიოს, რომ მას ქვეყნის სამსახური სტუდენტობის პირველივე წლებიდან ჰქონდა მიზნად, და ისიც იცოდა, რომ ამისთვის თანამედროვე ცოდნის მიღება

იყო აუცილებელი. „თუ ნამდვილად გვიყვარს მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით – სამართლიანი ეკონომიკურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით – მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თვითონ გვაქვს, იმ მომავლისაკენ უნდა მიუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა“⁴⁷.

ისევ ჩნდება კითხვა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენდა დიდ ჯიხაიში მისი კარ-მიდამო: კერძო მეურნეობას, ბიზნესს, სასელექციო წარმოებას თუ ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუტს? დიდ ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სამუზეუმო მასალებიდან ირკვევა, რომ მისი მეურნეობა საკმაოდ ვრცელი იყო და იმ დროისათვის განსაკუთრებული, რის შესახებ წერდა კიდეც გაზეთი „ივერია“ 1892 წ. №250. ორ-სამ სოფელში რომ თითო ამისთანა ფერმა გაჩნდებოდა, მეურნეობის ბედი გამობრუნდება ჩვენს ქვეყანაშიო. ნიკო ნიკოლაძის თანამედროვეების და მასთან დახლოებული ჯიხაიშელების მოგონებებიდან ჩანს, რომ ნიკო ნიკოლაძისეული მეურნეობის მოწყობა მშრომელი ადამიანების ახალი ტიპის ინსტიტუტი იყო.

დიდი ჯიხაიშის მეურნეობა ნიკო ნიკოლაძეს რამდენიმე ნაკვეთად ჰქონდა განაწილებული. ზოგი სათიბისთვის, ზოგი ვენახს ეჭირა, აქეთ ხეხილი იყო გაშენებული, იქეთ-დეკორაციული ხეები, ნაწილი ტყეს ეკავა, რაღაც ფართი კარ-მიდამოსა და დამხმარე ნაგებობებს. ლობედ ტრიფოლიატი გამოიყენებოდა, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ საზღვარგარეთიდან შემოიტანა. ნიკო ნიკოლაძემ მოაწყო სარწყავი სისტემა და ეწეოდა მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების სელექციას, ბაზრებზე ცნობილი იყო მისი პროდუქციის მრავალგვარობითა და მაღა-

⁴⁷ ნიკოლაძე ნ. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 338. თხზ. ტ.7. თბ., 1985

ლი ხარისხით. დიდ ჯიხაიშში გახსნა ფოსტა-ტელეგრაფი, საავადმყოფო, სკოლა. მიაღწია იმას, რომ თბილისი-ბათუმის მატარებლის გრაფიკში შეტანილიყო იანეთში რამდენიმე წუთით შეჩერება, რასაც მიმდებარე სოფლებისთვის არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა სხვადასხვა სახის ნიადაგის დასამუშავებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკა. როგორც წიგნიდან „აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო“ ჩანს, ნიკო ნიკოლაძე სოფლის მოსახლეობას არა მარტო თავის მამულში ასაქმებდა, ნარგავებს ჩუქნიდა, აგროტექნიკას აჩვენებდა, მეურნეობის გამართვაშიც ეხმარებოდა, ფულითაც ასაჩუქრებდა. ამიტომ ნიკო ნიკოლაძე სოფლის მოსახლეობას ძალიან უყვარდა. მართალია, მეურნეობა დიდ ჯიხაიშში ჰქონდა, მაგრამ იგი იქ იშიათად ცხოვრობდა, ხანდახან ჩამოდოდა თურმე რამდენიმე დღით ან რამდენიმე საათით. მისი მეურნეობის მეთვალყურეობა მინდობილი ჰქონია გლახ სიმონ ვაშაკიძეს⁴⁸ (აქ უკვე მოქმედი მეურნეობა იგულისხმება. 1887 წელი ნიკო ნიკოლაძემ დიდ ჯიხაიშში გაატარა). ამდენად, თქმა იმისა, რომ მან მწერლობა მეურნეობაზე გაცვალა, სწორი არ არის. დიდ ჯიხაიშის მეურნეობა ნიკო ნიკოლაძის მიერ იმ განზრახვით იყო შექმნილი, რაც უკვე გაცხადებული ჰქონდა „მამულის სიყვარულსა და მსახურებაში“. ადამიანის სრულყოფილება გამოიხატება იმით, თუ რამდენად შეუძლია მას ხალხისა და ქვეყნის სამსახური არა მხოლოდ ახალი აზრის მიწოდებით, არამედ ადამიანებთან პრაქტიკული თანამშრომლობითაც, მათთან ერთობლივი შრომით. ნიკო ნიკოლაძე ვერ იტანდა ანგარებას, ხალხის დაცინვას, დაბეჩავებას. მისი აზრით თაობა მაშინ არის თაობა, როცა იგი ხალხის გვერდით დგას, ეხმარება მას აზროვნების განახლებაში, ზრუნავს მისი განვითარებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. თაობის ცხოვრება ზნეობრიობა და

⁴⁸ აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო. გვ.143. „საქართველო“, 99928-29-48-6

პასუხისმგებლობაა. ნიკო ნიკოლაძისთვის რომ დიდი ჯიხაიშის მეურნეობა პირადი მიზანი ყოფილიყო, იგი ფოთის მერობაზე არ დათანხმდებოდა, ვინაიდან მისი მეურნეობა უკვე წელგამართული და აღიარებული იყო საქართველოში, ხოლო ფოთი მაშინ ქაობიან ადგილს და უბადრუკ ნავმისადგომს წარმოადგენდა. უნდა გვითვალისწინოთ ისიც, რომ ქუთაისის მერობაზე უარი თქვა. არ მიიღო შეთავაზება ბაქოს მერობაზეც, სადაც 25000 მანეთს ჰპირდებოდნენ, მაშინ როცა ფოთის მერის ანაზღაურება 500 მანეთი იყო.

ეპოქები სხვადასხვანაირად კითხულობენ წარსულს. მარადიულია კაცი, რომლის ნამოქმედარს ახალი ეპოქა წარმოაჩენს, ფეხზე წამოაყენებს, გააცოცხლებს და სიმაღლეზე ასწევს მის გაკეთებულსა და გაიხარებს, რომ მტკიცე ბალავარს ეყრდნობა. ასეთი კაცი ნიკო ნიკოლაძე იყო. იგი მისი ეპოქის საქართველოს სულიერი სიმტკიცე და მისი ღონიერების მუხლჩაუხრელი მაშენებელი იყო დედიან-მამიან, დედმამიშვილებიანად და შვილებიანად. ახლა იგი უუდიდესია (გალა მკარნახობს), ვინაიდან უდიდესი იმ ეპოქაში იყო.

1894 წელს ნიკო ნიკოლაძე ფოთის მერად აირჩიეს. ზოგი ავტორი ითვალისწინებს რა დიდი ნიკოს უარს ჯერ ქუთაისის, ხოლო მერე ბაქოს მერობაზე, ამას იმით ხსნის, რომ ფოთს იგი ბავშვობიდან იცნობდა. გიმნაზიის მოსწავლე ნიკო კი, ჰყავდა მამამისს ფოთში არდადეგებზე ჩაყვანილი, მაგრამ ეს ბატონი ნიკოს არჩევანის შეფასების არგუმენტად არ ივარგებს, ვინაიდან სუსტია. ნიკო ნიკოლაძე საქართველოს ყველა კუთხეს კარგად იცნობდა, ფოთიც არ იყო გამონაკლისი, რაზეც მეტყველებს მისი სტატიები: „ფოთის ნავსადგურის ისტორია“, „ისევ ფოთის ნავსადგურის შესახებ“⁴⁹ „საუქმო საკითხავი“⁵⁰. თუ არა ქვეყნის სიყვარულს, რას უნდა აეძულებინა ნიკო

⁴⁹ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.8. გვ. 9-37. ქუთაისი, 2003

⁵⁰ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.9. გვ. 128-133. ქუთაისი, 2006

ნიკოლაძე დიდი ჯიხაიშის მეურნეობისთვის, რომელიც მისი ცხოვრების მატერიალური უზრუნველყოფის საკმარისზე მეტი შესაძლებლობა იყო, არ ვნერ მიეტოვებინა, ყურადღება დაექლო და ფოთში გადასულიყო, რომელიც პრაქტიკულად უფრო სამშენებლო მოედანს და ნავმისადგომ ზღვის ნაპირს წარმოადგენდა, ხოლო ბიუჯეტი იმაზე მეტი არ ჰქონდა, რამდენიც მეზობელ სოფელ საჯავახოს⁵¹. მაგრამ მისი უკვე ღონიერი ეკონომიკური აზროვნება ძალიან შორს იხედებოდა. იცოდა, რომ ფოთის პორტი საქართველოს საზღვაო ჭიშკარი იქნებოდა, საიდანაც იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მიაკითხავდა და სადაც იმ ქვეყნების გემებს მიიღებდა, მსოფლიო ვაჭრობის ფერხულში ჩაებმებოდა. ასეც მოხდა, მან ფოთის პორტი და ქალაქი ააშენა, რომელსაც უზარმაზარი შრომა შეაღია. შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობა ეს მისი ბობოქარი ეკონომიკური აზროვნების ვულკანური ამოფრქვევაა, რომელიც სიკეთედ გადმოედვარა მთელ საქართველოს და ახლაც ღრუბლებად ადგას თავზე მისი მოსახლეობის კეთილდღეობაზე დასანვიმებლად (უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურა)⁵².

18 წელიწადი აშენებდა ბატონი ნიკო ფოთის ქალაქსა და პორტს. დღე და ღამეს ასწორებდა. როცა ქალაქს ეძინა, მის კოშკში სინათლე გვიან ღამემდე ენთო: ფიქრობდა, წერდა, ქმ-

⁵¹ ფოთის პორტის მშენებლობა ადრე რამდენჯერმე წამოიწყო სახელმწიფომ, ეს პერიოდი 35 წელიწადი გაგრძელდა, რაზეც 7,5 მლნ. რუბლი დაიხარჯა, მაგრამ 1898 წლისთავისათვის ისევ ერთ უზადრუკ ნავმისადგომს წარმოადგენდა. ნიკო ნიკოლაძის მერობის პერიოდში, სულ რაღაც შვიდი წლის მანძილზე იგი მაშინდელი იმპერიის საუკეთესო და ყველაზე უსაფრთხო პორტი გახდა. მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის. „ფოთის საქმე“. შემდგ. კეზევაძე მ., ნამიჭვიშვილი რ. გვ.43. ქუთაისი, 2003.

⁵² მასალები ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიისათვის. „ფოთის საქმე“. შემდგენ. კეზევაძე მ., ნამიჭვიშვილი რ. ქუთაისი, 2003. ნამიჭვიშვილი რ. საბაზრო ეკონომიკა საზოგადოებრივი ტრანფორმაციის პირობებში. თავი პირველი. აზროვნების განახლების და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ნიკო ნიკოლაძის ინტელექტუალური ინტერპრეტაციები. ქუთაისი, 2007.

ნიდა ნახაზებს და ასწორებდა. სულ რაღაცას ეძებდა, იგონებდა, მიუღწევებს აღწევდა, ყველა ბარიერს გადადიოდა. ააშენა, დაამშვენა...და „რატომ კარგი აგიგიაო“ – დაჭერა მოუნდომეს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ლომს ვერცხლისფერი დაჰკრავდა, გონი იყო ჰეგელისეული. რუსეთის იმპერიის მაღალი ჩინოსნების ყველა მცდელობის მიუხედავად (სასამართლო საქმე 11 ტომად აიკინდა, ამხელა მოცულობა მაშინ უპრეცედენტო შემთხვევა იყო), ციხეში გასაგზავნი ვერაფერი უპოვეს, მაგრამ ისტიბარი არ გაიტყეს და ფულადი ჯარიმა დააკისრეს. სასამართლო 1916 წელს დამთავრდა ქუთაისში. ნიკო ნიკოლაძემ პეტერბურგს მიაშურა. გაზ. „რუსსკაია ვოლიას“ მთავრი კორესპონდენტი გახდა. 1917 წელს უკვე თბილისშია და ისევ საზოგადოებრივ საქმიანობაში არის ჩაბმული. 1920 წელს, როგორც საქართველოს წარმომადგენელი ინგლისში ჩადის ქიათურის შავი ქვის წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით. 1921 წლის ამბების გამო საზღვარგარეთ დარჩა. 1924 წელს სამშობლოში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე ისევ ხალხის საკეთილდღეოდ იღწვოდა.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა ნიკო ნიკოლაძეს ბაბუისა და მამის მხრიდან მემკვიდრეობით ერგო რისკის უნარი, მიზანსწრაფულობა, სოციალური კომუნიკაბელობა. დედამ წიგნი შეაყვარა. მთლიანად ოჯახი კი სწავლის მისაღებად ხელსაყრელ გარემოს უქმნიდა. თვითონ მას სწავლის განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა. მისი მოსწავლეობისა და სტუდენტობის პერიოდი ბობოქარი დრო იყო, როცა ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება საზოგადოებრივი მოთხოვნილება გახდა. ეპოქის მაჯისცემას იუველური სიზუსტით გრძნობდა.

ძველი და ახალი თაობის დაპირისპირებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისთვის ბრძოლის ბატალიებში გამოიწრთო ნიკო ნიკოლაძის ხასიათი და გამოიმუშავა მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების კულტურა.

ჭაბუკობიდანვე აირჩია სამშობლოსადმი მსახურება და მის საშუალებად პროგრესული აზროვნების სიმაღლეებს გაედევნა-მრავალმხრივ ცოდნას დაეუფლა მწერლობის, ეკონომიკის, სამართლის, მრეწველობის, ფერმერული მეურნეობის, ბანკების, ფინასების, ჰიდროენერგეტიკის, სტრატეგიული წიაღისეულის კვლევა-ძიებისა და რეალიზაციის, რკინიგზის ტრანსპორტის, მიწათმოქმედების, მელიორაციის, მეღვინეობის, ცხოველთა და მცენარეთა სელექციის, წყალგაყვანილობის, ვაჭრობის, პროექტებისა და პროგრამების შედგენისა და დანერგვის საქმეებში. მეცხრამეტე საუკუნე განსაკუთრებული ეტაპია კაცობრიობის განვითარებაში, როცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესმა მთლიანად შეცვალა ადამიანის ცხოვრების პირობები და აჩვენა, რომ ადამიანურ კაპიტალს ხალხის ცხოვრების ძირფესვიანი გაუმჯობესება შეუძლია. მაგრამ მისი გამოყენება ზნეობრივ ფარგლებს არ უნდა გასცდეს. ნიკო ნიკოლაძემ აქაც დაინახა თუ რა უბედურებას მოიტანდა ასეთი მძლავრი პროგრესის პირობებში ადამიანის კერძო სარგებლიანობაზე გამოდევნება, ცრუპატრიოტობა და ქართველი ხალხის კმაყოფაზე ცხოვრება. მისი უმაღლესი ეკონომიკური აზროვნება სწრაფად ამჩნევდა მოვლენების დაძველებასა და წარმოშობის პროცესებს, არჩევდა მათი გამოყენების მეთოდებსა და პირობებს. ცოდნა მისთვის მხოლოდ აზრის მოძრაობაა, რომლის მიზანია ტექნიკური ინოვაცია, შემოქმედება. თანამედროვე ქართული კრეატივის პრეცედენტიც ნიკო ნიკოლაძიდან იღებს სათავეს. „ფუჭად კი არა, შრომაში, სწავლაში, ფიქრში გავატარე წლები... ბევრი რამ ვისწავლე მეთქი და არც შეიძლება ბევრი რამ არ მესწავლა, რადგან ვნებიანი ბუნების აღგზნებული წყურვილით ვშრომობდი... პირადი სარგებლობის მიზნით როდი ვენაფებოდი. უნდა მცირე ბუნებისა იყო, რომ ასეთმა წარმატებამ გაგიტაცოს... არის ქვეყანაზე წარმატება... ეს წარმატებაა... გასწავლო და გაიძულო მკითხველო, იყო უფრო საქმიანი, ვიდრე ახლა ხარ. ამ

წარმატების, როგორც ხედავ, არა პირადი წარმატების, დევნაში მე ვცდილობდი ყველაფერი გამეკეთებინა, ყველა კარზე დამეკაკუნებინა, ყველაფერი მეცადა, შემეცვალა საშუალებებიც, გზებიც და, ვიდრე ცოცხალია ჩემში რწმენა მიზნის სინმინდის, რა მესაქმება ათასი რჯულის ფილისტერების ბუზღუნსა და დაცინვებთან, რომელნიც ერთსა და იმავე წყალს როდინში ნაყავენ...“⁵³.

⁵³ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.9. გვ. 10-11. ქუთაისი, 2006

ნიკო ნიკოლაძის ევროპელობა

ნიკო ნიკოლაძე ევროპული აზროვნების კაცი, ევროპულად აღზრდილი; ევროპული, ევროპული ცხოვრება... ისმოდა წამდაუნუმ სამეცნიერო კონფერენციაზე. ამან მიკარნახა ამ სტატიის დაწერა.

ჩემთვის აქამდე ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ჯერ არსად შემხვედრია ნიკო ნიკოლაძეს თავი ევროპელობით წარმოეჩინოს, პირიქით, იგი თავისი ქართველობით იწონებდა თავს. ამისი ნათელი მაგალითია სამშობლოსადმი მცხუნვარე სიყვარულით გამთბარი მისი ბრწყინვალე პუბლიკაცია...“ მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი ნადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა“. იქვე აგრძელებს, რომ არც საფრანგეთის ამაღლეზე და აღმატაცებელ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიმზიდველ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შვეიცარიის თავისუფლებას „არსად, არასოდეს, არცერთი წამის განმავლობაში“ არ მოუხიბლავს, არ მიუხიდავს მისი გრძნობა და გული. არადა ამას ევროპადავლილი ახალგაზრდა კაცი წერს, რომელიც მონატრებულ სამშობლოში ბრუნდება. ამ წერილამდე ერთი წლით ადრე პარიზში იბეჭდება მისი ბროშურა „ფრანგული პრესის დეკადანსი“, რომელშიც წარმოჩენილია მიზეზები თუ რამ დასცა ფრანგული პრესის ავტორიტეტი, და რომელმაც მოწინავე ფრანგული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ბროშურის მთელი რიგი ადგილები დაიბეჭდა ფრანგულ გაზეთში. ნიკო ნიკოლაძე ამ ბროშურაში ეხება არა მარტო ფრანგულ, არამედ მთელ ევროპულ პრესას და ამერიკულსაც. მისთვის ევროპა აღთქმული ქვეყანა და სამოთხე კი არ არის, როგორც ახლა ამას ტრენინგგანათლებულები წერენ და მასმედიიდან

იმოძღვრებიან, იგი პროგრესის ტრიუმფატორია, რომლის საფუძველია განათლება და მეცნიერება, და მიზანი ის კი არ არის მუხლებზე დადგე და შენი სამშობლო ევროპას შეავედრო მის კალთაში შეიფაროს, არამედ კრიტიკულად შეაფასოს მისი წარმატებები, გაამდიდროს იგი როგორც უცხოელმა ინტელექტმა და იპოვოს გზები და პირობები მისი მიღწევების ინტერვენციისათვის თავის სამშობლოში. ცალმხრივ გახმაურებულია ლიტერატურაში ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ფრანგი ინჟინრის და გამოგონებლის მარსელ დეპრეს ელექტროენერჯის ძაბვის მეშვეობით შორ მანძილზე გადაცემის დაფინანსებაში. ეს გამოგონება კაი ხანი იქნებოდა თაროზე შემოდებული, რომ არა ნიკო ნიკოლაძის ნოვატორული გონება და აზროვნების შორსმჭვრეტელობა. ნიკო ნიკოლაძე, როგორც ინჟინრული აზროვნების კაცი, მიხვედრილი იყო იმ გამოგონების ჭეშმარიტებაში, რამაც განაპირობა მისი წერილის დამაჯერებლობა იმ დონემდე, რომ ბანკირმა როტშილდმა მარსელ დეპრეს გამოგონება დააფინანსა. ეს, რა თქმა უნდა, უდიდესი საქმეა და ფრანგი ხალხისთვის ქმნილი სიკეთე, მაგრამ ბატონი ნიკოს როლი მხოლოდ კეთილგანწყობით არ ამოიწურება. მას უფრო მეტი აქვს ჩაფიქრებული, ვიდრე მკითხველმა შეიძლება წარმოიდგინოს. ელექტროენერჯის შორს მანძილზე გადაცემის ინჟინრული პრაქტიკული რეალიზაცია ნიკო ნიკოლაძისთვის მისი სამშობლოს კეთილდღეობის ზრდის ახალი პერსპექტივა იყო. სამშობლოში დაბრუნებული აღფრთოვანებას ვერ მალავდა და გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ წერდა, რომ ჩვენს მთიან ქვეყანას ახლო მომავალში რევოლუცია ელოდებოდა, რომელსაც ელექტროენერჯია გამოიწვევდა ეკონომიკურ სფეროში, ფინანსებში, მრეწველობაში, რომ ეს იქნებოდა მშვიდი, აუცილებელი რევოლუცია ყოველგვარი აფეთქებების, სისხლის ღვრისა, ტახტებისა და საკურთხევლების მსხვერვის გარეშე. რომ ქვეყანას ამისთვის საკმაოდ მდიდარი რესურსები გააჩნია. მათი ქვეყნის სიკეთედ გარდაქმნისათვის გავერო-

პელემა კი არა, ტექნიკური პროგრესის მიღწევების გაზიარება იყო საჭირო. ერთი საქმეა მიჰბაძო სხვას, მეორე შემოქმედებითად მიუდგე ეკონომიკისა და სოციალური პროგრესის მიმართულეებს და შენს ეროვნულ უპირატესობებად აქციო ისინი, ხოლო მერე უკან დაუბრუნო მონინავე ქვეყნებს ნაციონალური გამორჩეულებობის ნიმუშებად. ნიკო ნიკოლაძე ამ თვალსაზრისით დღემდე რჩება უნიკალურ შემოქმედად და ნოვატორად. ნიკო ნიკოლაძემ სწორად შეაფასა ფოთის პორტის პერსპექტივა ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ფოთიდან შესაძლებელი იქნებოდა მარგანეცის, ქვანახშირის, ნედლი მერქანის, ღვინის გატანა. ფოთში უნდა შემოსულიყო რკინიგზა სადგურ „პროხლადნაიდან“ კავკასიის მთავარი ქედის გავლით, რომლის პროექტიც თვითონ შეიმუშავა ისევე, როგორც ფოთიდან ირანის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ მატარებლის მოძრაობის მარშრუტები. მასვე ეკუთვნის რკინიგზის გაყვანის ტექნიკური ვარიანტი ბზიფის ტყის ექსპორტული შესაძლებლობების ასათვისებლად, აგრეთვე მდინარე ბზიფის ჰიდროენერჯის გამოყენების ტექნიკური ნამუშევრები.

ნიკო ნიკოლაძე, რაც ფოთის მერად აირჩიეს, იგი მისი მშენებლობის ინიციატორი და მენეჯერი გახდა, პირადად ინახულა ევროპის და ჩრდილოეთ აფრიკის 12 საპორტო ქალაქი, გაეცნო მათ საქმიანობას, რის საფუძველზეც თვითონ მიიღო მონაწილეობა პორტის ნახაზების შექმნაში, ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობაში: ქუჩების დაპროექტება და გაყვანა, ხიდების მშენებლობა, ჭაობების დაშრობა, სასწავლებლების, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების აგება. მან პირველმა შექმნა ობლიგაციის პრეცედენტი საქართველოში, საფუთო მოსაკრებელი მარგანეცისა და ქვანახშირის ჩასატვირთი ელევატორის ასაშენებლად. ქვეყნის გარედან სამშობლოში შემოჰქონდა მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა ჯიშები, ეწეოდა მათ გამოცდებს ადგილობრივ პირობებთან შესაგებებლად. მერე იწყებოდა საპირისპირო პროცესი – ნი-

კოლაძისეული პროდუქციის ექსპორტი, რომელიც მოიცავდა არა მარტო საქონელსა და მასალებს, არამედ სამეცნიერო ნამუშევრებს, საინჟინრო ნახაზებსა და პროექტებს. მან შექმნა მულანის უდაბნოს სარწყავი სისტემების პროექტი, ღვინის სარდაფის პროექტი ქუთაისის კირქვოვან მთებში ქართული ღვინის ევროპული მეთოდით დასაყენებლად. ბატონმა ნიკომ პალაშკოვსკიტან ერთად დაამუშავა მულანის უდაბნოს დაფინანსების გეგმა, რომლის თანახმად რამდენიმე მლნ ჰა ნასვენის მინის მორწყვა შესაძლებელი იქნებოდა უმცირესი საბიუჯეტო დანახარჯებით. ნიკო ნიკოლაძემ შექმნა ეისკის რკინიგზის ნესდების პროექტი, რომელშიც გამოიყენა თავისი ფორმულა ნალდი ფულის გარეშე აქციებით გადახდაზე.

საქართველოში ნიკო ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ბზიფის, ენგურის, ლაჯანურის, ზემო ავჭალის მდინარეების პოტენციური ენერჯის გამოყენების პროექტები და წინადადებები, ტყიბულის რკინიგზის მშენებლობა, ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის გაყვანა, რამაც შესაძლებელი გახდა ნაკლებმწარმოებლური და მოძველებული საჭაპანო ტრანსპორტის შეცვლა და სხვა⁵⁴.

ზემოთ მოტანილ მასალებს ის აზრობრივი დატვირთვა აქვს, რომ ნიკო ნიკოლაძე არც ევროპელია, არც ამერიკელი და არც აზიელი. დიდი ნიკო არაორდინალური უდიდესი ქართული ტალანტია, გენიალური მოაზროვნეა, რომელიც თავისთავში აქცევს მსოფლიო პროგრესულ მიღწევებს ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან, რომლისთვის უცხო და მიუღებელია ქართველის გაევროპელება თუ გაამერიკელება. ერის ჩამორჩენილობისაგან ხსნა მდიდარი მეზობლის ქვეშევრდომობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მასთან ურთიერთთანამშრომლობაში. საშუალო და უფრო დაბალი უზნეო აზროვნების ნაბოდ-

⁵⁴ ნამიჭივილი რ. საბაზრო ეკონომიკის ადამიანური განზომილებანი. 4. ნიკო ნიკოლაძე როგორ ფერმერი, მენარმე და საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მენეჯერი. ქუთაისი, „სარკმელი საქართველოსი“, 2005.

ვარია თითქოსდა საქართველოს უკეთესი მომავალი მხოლოდ ევროკავშირის და ნატოს სივრცეში იძებნება. გაჭირვების გამო მფარველისა თუ გავლენიანი პატრონის ძებნა სახელმწიფო იქნება იგი თუ სუბიექტი ადამიანი ინტელექტუალური სისუტის ნიშანია, ფსიქიური გაუნონასწორებლობაა. არ დაადგა ნიკო ნიკოლაძის კვალს აქამდე არსებული არცერთი ხელისუფლება ქვეყნისა. რასაც ერთი დიდი აზროვნება ნიკო ნიკოლაძე აკეთებდა, ვერ ახორციელებს ქვეყნის კოლექტიური ხელმძღვანელობა, რომელსაც ვერ გაუგია, რომ ნამდვილი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა თანამშრომლობას ახასიათებს, აკი ინგლისიც იმიტომ გავიდა ევროკავშირიდან, რომ მის სუვერენიტეტის შეზღუდვა იგრძნო. სასაცილოც კია იმისი გაფიქრება, რომ თუ მდიდარი ქვეყნების სივრცეში მოხვდები, შენც გამდიდრებდი, ფრანგასა და ინგლისელს დაემსგავსები. „ცდილობდნენ, რომ რუსის ხალხი გაენემცებინათ ან გაეფრანცუზებიათ, და ქართველები-გაერუსებიათ. ის ავინყდებოდათ, რომ ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს...როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს... მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ...“⁵⁵. (ვაგნეთ და მერე როგორ, ვინ უსმინა ნიკო ნიკოლაძეს. თუმცა ვნება ახლა რომ არის, ისეთი არასდროს ყოფილა).

ნიკოლაძისდროინდელი – მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპა არის მეცნიერებისა და ტექნიკის ინოვაციური რევილუციების ეპოქა. იმ პერიოდში შეიქმნა დინამომანქანა, გენერატორი, შიდაწვის ძრავა, დიზელის ძრავა, ვარვარების ნათურა, მიკროფონი, ტელეფონი, რადიო, ბესემერისა და მარტენის ლუმელები, დაიწყო ფოლადის მასიური წარმოება, გამოიგონეს ავტომობილი, რეზინის საბურავები, თვითმფრინავი, ელექტროენერგია და მანძილზე მისი

⁵⁵ ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ.7. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 307.

გადაცემის ტექნოლოგია, ელმავალი, თბომავალი, ტრამვაი, ტრაქტორი და სხვ. კიდევ მრავალი, რომელიც შესაძლებელი გახდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ფუნდამენტური აღმოჩენებით. მარტო მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა იმაზე მეტი აღმოჩენა, ვიდრე მანამდე არსებული საუკუნეების განმავლობაში. ამიტომ მას სამართლიანად ეწოდება „მეცნიერების ოქროს საუკუნე“. მაშინდელი საქართველო ამ მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გარე სამყარო იყო, მაგრამ არავის მოსვლია აზრად აეყარა ხალხი ფუძიდან და ევროპისთვის შეერია. ევროპაში მიდიოდნენ უმაღლესი ცოდნის დასაუფლებლად, რომ მერე ცოდნა ქვეყნის სამსახურში გამოეყენებიათ ცხოვრების დონის ამაღლებისთვის.

თანამედროვე ევროპა მაშინდელის ანტიპოდიან. თუ მე-19 საუკუნის დასარულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ისახვდა მიზნად, ახლანდელი ევროპა მაძღარია, მაგრამ თანდათან კარგავს თავის იდენტურობას არაბული, აფრიკული და მუსულმანური სამყაროდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის გამო. უფრო უარესი: იგი თავისთავს არ ეკუთვნის და „300 კომიტეტის“ ანუ მსოფლიოს საიდუმლო ორგანიზაციების მიერ იმართება. ჯერ კიდევ როდის განაცხადეს: „კათოლიციზმი, ჩვენი მარადიული მტერი, ტალახში წვეს სასიკვდილოდ დაჭრილი“⁵⁶. იქვე ვკითხულობთ: საუკუნეების მანძილზე დიდი სამუშაო გავწიეთ ტვინების გამოსარეცხად, და განსაკუთრებით უკანასკნელი რამდენიმე ასეული წლის მანძილზე. მათ ყველაფრის სჯერათ, რასაც ვეუბნებით...მერე აგრძელებს და პირდაპირ აცხადებს, რომ შეაღწიეს კათოლიკურ ეკლესიაში და ახლა ისინი მათი მსახურები არიან. მალე თეთრი რასა აღარ იქნება აშშ. ესპანელები, მექსიკელები და ზანგები დანინაურდებიან და ამერი-

⁵⁶ Интервью с равнином Абэ Филкельштейном о еврейском контроле над миром. ვია-მიდგარდ.ინფო/ნეეს/არტიკლე

კა ყვეითელ რასად იქცევა. მათ არაფრის ეშინიათ, ვინაიდან ებრაელი ადამიანები წერენ კანონებს და მოსამართლეებიც მათი ადამიანები არიან. ამისი ნათელი მაგალითი ფილკენშტეინის ინტერვიუს დასაწყისში არის მოტანილი. მოლაპარაკების თანახმად ინტერვიუს სატელევიზიო გადაცემის ხარჯები პროგრამის ნამყვანსა და რაბინ ფილკენშტეინს შორის თანაბრად უნდა განაწილებულიყო, მაგრამ ინტერვიუს შემდეგ ფილკენშტეინმა უარი განაცხადა ხარჯების გადახდაზე და საქმე სასამართლომდე მივიდა. ებრაელმა მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა: რაბინს არაფერი არ უნდა გადაეხადა, ვინაიდან ალასრულა კოლ-ნიდრეს ლოცვა, რომელიც ყველა ხელშეკრულებას, ვალდებულებას და დაპირებას აცხადებს ძალადაკარგულად. ეს აზრი რომ კერძო შემთხვევად არ ჩაითვალოს, სხვა წყარო მოვიშველიოთ. აი, რას წერს პატრიკ ბიუკენენი: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ კულტურული თვალსაზრით ადამიანები ტრადიციების მხარეზე არიან: ამერიკელები ქალების ჯარში განწვევის, აბორტების და რასობრივი უპირატესობების წინააღმდეგი არიან. უნდათ სკოლებში დილის ლოცვების აღდგენა და ათი მცნების სწავლების დაბრუნება. აგრეთვე უკონტროლო ემიგრაციის ბარიერების შექმნა. მხარს უჭერენ აშშ ინგლისური ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას. მიუხედავად ამისა მაინც ეთიკურ, სოციალურ და კულტურულ ფრონტებზე რესპუბლიკელების, კონსერვატორების და ქრისტიანების გაერთიანებული ძალები აგრძელებენ უკან დახევას დანაკარგებით და დღეს ფაქტობრივად გარდაიქმნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეშინებულ უმრავლესობად⁵⁷. ფაქტები დაუნდობელი მორწმუნენი არიან. ევროპის ეროვნულობას მღვრიე წყალი შეუდგა-მესამე რასის წყარო იქმნა და თავის სასიცოცხლო ენერგიას კარგავს. „არ დაუშვათ ის, რომ ხალხი თვითონ წყვეტდეს თავიანთ ბედს,

⁵⁷ Бьюкенен П. Смерть Запада. 9. Запуганное общество.

ამისთვის ხელოვნურად უნდა შეიქმნას სხვადასხვა კრიზისული სიტუაციები ამ კრიზისების მართვით. ეს შესასუსტებს და დემორალიზებას გაუკეთებს მოსახლეობას იმ დონემდე, რომ ძალიან ვრცელი შესაძლებლობების პირობებში ადამიანების მასა აპატიამი ჩავარდება⁵⁸.

მიმოიხედეთ ირგვლივ და თვექნ დაინახვთ, თუ რამდენად დემორალიზებული ვართ. ნარკოტიკები, პორნოგრაფია, როკ-„მუსიკა“, თავისუფალი სექსი, ოჯახის საფუძვლების პრაქტიკულად სრული მოშლა, ლესბიანობა, ჰომოსექსუალიზმი და, ბოლოს, დედებისაგან მილიონობით უდანაშაულო ჩვილის საშინელი მკვლევლობები. არის კი, უფრო საზიზღარი დანაშაული, ვიდრე მასობრივი აბორტებია?⁵⁹.

რასაც ბიუკენენი გვიხატავს აშშ თანამედროვე ცხოვრებიდან, საქართველოში ახლა იკიდებს ფეხს. იგი წერს: ზნეობის დაცემა, რაც ასე დამახასიათებელია თანამედროვე ამერიკისთვის, ევროპაში კიდევ უფრო ნათელია. სახელმწიფოები, რომელთაც მეოცე საუკუნეში მილიონიანი არმია ჰყავდათ, დღეს საკუთარი ქვეყნის საზღვრების დასაცავად ჯარს ძლივს აგროვებს და ქვეყნის საზღვრების დასაცავად ამერიკელებს უხმობენ. ევროპა მცირდება, სახელმწიფოები იშლებიან. ნაციონალური იდენტურობის ინტერესებისთვის მებრძოლებს რასისტების და ქსენოფობების იარლიყებს ანებებენ. ძალზე შესუსტდა ქრისტიანული მორალი. მღვდლებსა და სჯულის მქადაგებლებს დღეს კონომეტოგრაფი და ტელევიზია ხშირად თვალთმაქცებად, გარყვნილებად და შტერებად ახასიათებენ⁶⁰. იგი იმონებს ციტატას ცივი ომის სტრატეგის ჯ. ვერნემის ნიგნიდან „დასავლეთის თვითმკვლევობა“, რომლის დაკვნი-თაც ჩამოყალიბდა ევროპული აზროვნების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც შეგუებულია იმპერიის დალუპვას და ცივილი-

⁵⁸ Колемам Дж. Комитет 300. с.18.

⁵⁹ იქვე, გვ.30.

⁶⁰ იქვე, Бьюкенен П. Смерть Запада. 9. Запуганное общество.

ზაციის ჩასვენებას. აზროვნების ავადმყოფობაზე „გონის ფილოსოფიაში“ წერდა ჰეგელი.

ამ ეპიდემიას ავრცელებენ ახლა საქართველოში ისევ ქართველთა მეშვეობით. ამის გამო არის, რომ აღზევდა საშუალო და უფრო დაბალი ნიჭი, რომელსაც ეცოტავა სახელისუფლო თანამდებობები და უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა ჩაანაცვლა.

ხალხს რომ ძალაუფლება ჰქონდეს, ქვეყანაში საშუალო ფენა უნდა არსებობდეს. საშუალო ფენა საზოგადოებრივი ელიტის მიმყოლია, მისი ძალაუფლებაა, ხელისუფლების მაკოტროლებელი და მაორიენტირებელია.

ნიკო ნიკოლაძე და ინტელიგენცია

საზოგადოებრივი პროგრესი, ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის ინტელიგენციაზე ანუ ინტელიგენტთა საზოგადოებაზე. ინტელიგენტი ინტელექტის მქონე ადამიანია. ინტელექტი კი მისი (ადამიანის) შემოქმედებითი აზროვნების, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებისა და განვითარების უნარია. გამოიკვეთა სიტყვათა მიმდევრობა: ინტელექტი-ინტელიგენტი-ინტელიგენცია. ცნება „ინტელიგენტს“ აქვს აგრეთვე ცხოვრებისეული ყოფითი გაგებაც. ინტელიგენტი გამოირჩება არა მხოლოდ რომელიმე დარგის ღრმა პროფესიული ცოდნით, არამედ ზნეობრივი სრულყოფილებითაც, ადამიანებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით, შინაგანი კულტურით, დახვეწილი მანერებით. ჩვენ ხშირად ბევრი ადამიანი გვინახავს და ბევრს შევხვედრივართ, რომელსაც მაღალი პროფესიული განათლება აქვს, მაგრამ არასასიამოვნო ყოფაცქევის, ამორალური, არაზნეობრივი არსებაა და ა.შ. ამით იმაზე მინდა მივანიშნო, რომ ადამიანის ინტელექტი, ინტელიგენტი, ინტელიგენცია ხარისხობრივი კატეგორიებია, რომლებიც დროში დინამიკურად ცვალებადია და რომლის სრულყოფილების მაჩვენებელია მისი აზროვნების სიღრმე და მასშტაბები, აგრეთვე მორალურ-ზნეობრივი, სოციალურ-კულტურული ღირებულებები და ფასეულობები. საქართველოს ახლა უმაღლესი პროფესიული განათლების საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს, მაგრამ ქვეყანა არა თუ წინ არ მიდის, არამედ უარესი ემართება-ეკონომიკურ სიღარიბეში ეფლობა დღე და ღამე. გამოდის, რომ ერის აზროვნება შეიძლება იყოს არა მარტო ჩამორჩენილი, არამედ ზნეობრივად ღარიბი, ბოროტი, დაცემული და უპასუხისმგებლო. ახლა ვინმეს შეუძლია ამტკიცოს, რომ სამყაროს ინტელექტუალური ადამიანები აკლია, რომ მოსახლეობის 50%-ზე მეტი დღეში \$2-ზე მეტს იმიტომ ვერ ღებულობს, რომ ცუდად მუშაობს,

ხოლო მილიონობით ადამიანი ზარმაცი და უსაქმურია და ამის გამო შიმშილით იღუპება, მაშინ როცა მსოფლიო მოსახლეობის 1% სამყაროს მთელი სიმდიდრის 90%-ს ფლობს და არ იცის, რაში მოიხმაროს იგი. რანაირი ინტელექტუალია ხელისუფალი, როცა მისი ქვეყნიდან ჯანსაღი ადამიანები ლუკმა პურის საშოვნელად გარბიან უცხოეთში, პენსიონერები სილატაკეში ეფლობიან, ავადმყოფები წამლებს ვერ ყიდულობენ, სოციალურად დაუცველია ლამის ნახევარი მილიონი მოქალაქე, ამ დროს უცხოელები ჩვენს ქვეყანას ეპატრონებიან.

ზემოაღნიშნულიდან გამოდის, რომ ინტელექტი, ინტელიგენტი და მისი საზოგადოებრივი ერთობა- ინტელიგენცია მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გარეშე ნებსით თუ უნებლიედ ქვეყნისა და სამყაროს უბოროტესი მტერია. „ბოლოს და ბოლოს რა არის ინტელიგენცია, რა როლს უნდა ასრულებდეს იგი ხალხის ცხოვრებაში? ყველგან და ყოველთვის ინტელიგენციას უწოდებენ ამა თუ იმ ერის საუკეთესო, ცოცხალი, უკეთილშობილესი და განათლებული ძალების შენაერთს, რომელიც იღწვის იმ მიზნით, რათა ამ ერის დანარჩენი ფენები აზიაროს მეცნიერებისა და ცივილიზაციის ყველა სიკეთეს“⁶¹. მჯერა, რომ მკითხველი დამეთანხმება ინტელიგენციის ნიკო ნიკოლაძისეული განმარტება შესანიშნავია, ვინაიდან ინტელიგენცია მარტო განათლებული ხალხის საზოგადოება კი არა, საუკეთესო, ინიციატივანი, მოძრავი, შემოქმედი, მაღალი ზნეობის, თავდადებული, ნამუსიანი, დიდსულოვანი, რაინდი, ამალელებული და სინდისიანი ადამიანების საზოგადოებაა, რომლის მიზანია მოსახლეობის სამსახური, რათა ადამიანის ცხოვრება მეცნიერებისა და ცივილიზაციის სიკეთით სარგებლობდეს. მან საზოგადოების გონებრივი წამყვანის როლი უნდა შესარულოს. სხვანაირად წარმოუდგენლადაც კი მიაჩნია ნიკო ნიკოლაძეს ინტელიგენციის არსებობა. მისი როლი ხომ

⁶¹ ნიკოლაძე ნ. ტ. 8. გვ. 333. ქუთაისი, 2003

ერის წინამძღოლობაა. მეთაური ყველაზე მაღლა უნდა იდგეს, იყოს გამჭრიახი და არა პატივმოყვარე და არა „ნარცისივით თავისთავზე შეყვარებული“, როცა ხელმძღვანელი უღირსს, წერს დიდი ნიკო, ყველანაირ საშუალებას გამოიხატავს, რთა შეინარჩუნოს თანამდებობა. ამასაც არ დასჯერდება-ყველა ნიჭიერ და დამოუკიდებლად მოაზროვნეს ჩამოიშორებს, გარშემო მორჩილ და უპასუხისმგებლო ადამიანებს შემოიკრებს. ისინი ხშირად იმასაც აცხადებენ, რომ არ ჰყავს საკადრისი ხალხი და უნიჭოებით ვკმაყოფილდებითო. ეს ხომ ყალბი სიტყვებია,-განაგრძნობს, ნიკო ნიკოლაძე, ქართულ საზოგადოებაში უდავოდ ბევრი ნიჭიერი პიროვნებაა, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სხვა ერში.

როცა შორს იყურები, ბეცებს ჰგონიათ, რომ თვალს გაკლია. ცხოვრება რთულია და მაცდუნებელი და ამიტომ ხშირად ინტელიგენტი ბოროტად იყენებს სახელისუფლო და სოციალურ ვითარებას კერძო, პირადი ან ვიწრო კლანური სარგებლობისთვის. აი, აქ არის უფრო ზნეობრივი ინტელექტის პასუხისმგებლობა გზა გადაუკეტოს ცდუნებას აყოლილს და აიძულოს კეთილ საქმეს დაუბრუნოს იგი. მაღალი ინტელექტი თავის საუკეთესო შემცვლელზე უნდა ფიქრობდეს, რომ სამშობლოს მომავალი საიმედო თაობების ხელში აღმოჩნდეს. უვარგისია მდაბიოთა გულისმოგებაზე ფიქრი. ქონდისკაცებში თავის გამოჩენა ვერანაირ დიდებას ვერ მოგიტანს და სამშობლოსაც დიდი ზიანი მიადგება. ჩვენთვის ახლა ეს ყველაფერი ხომ ფაქტია-უნიჭოებმა შეავიწროვეს უძვირფასესი ნამდვილი ინტელიგენცია და ქვეყნის ძარცვას მიჰყვეს ხელი.

დაუნდობელი იყო ნიკო ნიკოლაძე ყველას მიმართ, დამოუკიდებლად იმისაგან, როგორი დიდი ავტორიტეტისა და თანამდებობის არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, როცა პასუხისმგებლობას ვერ ამართლებდნენ ან პირადი სარგებლობის ინტერესებით იყენებდნენ თანამდებობას. რა დიდი პატივით ეპყრობოდა და აფასებდა ბატონი ნიკო ილია ჭავჭავაძეს, აკა-

კი წერეთელს, თავის პეტერბურგელ სტუდენტობის დროინდელ მეგობარს და მერე სიძეს-დის ქმარს გიორგი წერეთელს, მაგრამ თუ რამე არაპროფესიონალურ ნაკლს ან თანამდებობრივ გადაცდომას, თავნებობას შეამჩნევდა, ულობელი და შეუბრალებლად სასტიკი იყო. „დასაწყისშივე საჭიროა მითითება პირველ ნაბიჯთა შეცდომებსა და მოუხერხებლობაზე, რადგან თუ საფუძველშივე ხელი არ ახლე, ათი წლის შემდეგ ველარანაირი გაუმჯობესებული მანქანით ვერ ამოგლეჯ. ის, რაც დღეს შეიძლება გამოსწორდეს განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე, რამდენიმე წლის შემდეგ რუტინის ძალასა და მნიშვნელობას შეიძენს“⁶².

„ბ-ნმა ჭავჭავაძემ და მისმა უნიჭოთა იშვიათმა პლეადამ მოახერხეს ხელთ ეგდოთ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წამონწყება. მათ ხელშია ბანკი, გაზეთი, ჟურნალი, თეატრი, სკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ერთი სტყევით, თითქმის ყველაფერი. განა დრო არ არის დაფიქრდეთ, სად იმალება ამ წამონწყებათა უძღურების მიზეზები, რომელთა ნიადაგიც ასე ნოყიერია, ხოლო შედეგი – ასე მწირი?“⁶³

ამ წერილს მოყვა პასუხი გაზ. „ივერიიდან“ ფსევდო ავტორის ხელმოწერით, რომლის უკან ნიკო ნიკოლაძემ იოლად ამოიცნო ს. მესხი და გაზ. „ოზორში“ მისი მკაცრი კრიტიკული წერილი დაიბეჭდა, სადაც ს. მესხს ცხრა თვის წინათ დაბეჭდილი მისი წერილი გაახსენა, როცა სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნად მხარი დაუჭირეს პიროვნებას უფრო ღირსეული კანდიდატის საპირისპიროდ იმის გამო, რომ თურმე კანდიდატურა მისაღები ყოფილა გაზ. „ივერიის“ რედაქტორისთვის. არ აპატიო ძველ მეგობარს ს. მესხს მერყეობა და უპრინციპულობა. ნიკო ნიკოლაძეს უკადრისად მიაჩნდა ინტელიგენტისაგან მეგობრებს შორის უსიამოვნების ჩამოგდება.

⁶² იქვე, გვ. 338.

⁶³ იქვე, გვ. 338.

გიორგი წერეთელმა პირველი საჯარო ლექცია წაიკითხა საქართველოს ისტორიის საკითხებზე, რომელიც მონყვეტილი აღმოჩნდა ისტორიული ფაქტებისაგან და მეცნიერული არგუმენტებისაგან. ნიკო ნიკოლაძემ გაზ. „ობზორის“ ფურცლებზე სასტიკად გააკრიტიკა ლექტორი და მიუთითა არსებით ნაკლოვანებზე, დაუნუნა მთელი ლექცია და ფუჭ შრომად ჩაუთვალა. რჩევაც მისცა, რომ დაენებებინა თავი, რათა იგი მისთვის შეუფერებელ საქმეს არ მოეცდინა, მითუმეტეს, რომ მას აჩემებული საქმის შესაბამისი ისტორიული, ფილოლოგიური და ფილოსოფიური სიღრმისეული ცოდნა არ გააჩნდა, ასეთი ლიტერატურის ბიბლიოთეკაც კი არ ჰქონია. ნიკო ნიკოლაძის აზრით გიორგი წერეთელი შესანიშნავი ბელეტრისტია, ქართულ ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხალხისთვის, რომლის ნაწერების გამოჩენას სიხარულით ელოდებიან, რომ მისი სცენები და თხზულებები დარჩება ისტორიაში და არ უნდა მიატოვოს მწერლობა. ნიკო ნიკოლაძე გულწრფელი სინანულით აღნიშნავს, რომ სალი და ნატიფი აზროვნების მწერალი ტყუილუბრალოდ ატანს თავს ძალას და ცდილობს ფილოსოფოსად და პუბლიცისტად წარმოჩენას, რაც მას სიკეთეს არ მოუტანს.

ილიასა და აკაკის შედარებისას, ილიას პოეზიას უწუნებს, აფასებს, როგორც შრომისმოყვარეს, რომელმაც ყველაფერში წარმატებას მიაღწია. „თავის თანამემამულეთა შორის თითქმის ერთადერთი მოღვაწე იყო, აღჭურვილი ნებისყოფით, ამტანობით, შრომისმოყვერობით“⁶⁴. აკაკის და ბარათაშვილის ტანდემს მიიჩნევს იმ მწერლებად, რომლებიც ამონურავენ მე-19 საუკუნის მთელ ქართულ პოეზიას. აღნიშნავს აკაკის თანდაყოლილ ნიჭს, უწუნებს სიზარმაცეს. „აკ. წერეთელს რომ იმდენივე ნებისყოფა გააჩნდეს, რამდენიც მას ნიჭის ძალა აქვს. მას რომ შეგნებული ჰქონდეს მოვალეობის სიმძიმე და სიდიდე, რაც მოცემული აქვს განგებას მისთვის, მაშინ, ჯერ

⁶⁴ ნიკოლაძე ნ. ტ.9. გვ.531. ქუთაისი, 2006

კიდევ დრო არაა ნასული... მაგრამ, მე ისე მიამიტი არა ვარ, რომ ასეთი მოჩვენებითი იმედით დავიმშვიდო თავი...“⁶⁵.

ნიკო ნიკოლაძისთვის ხელშეუხებელი არ არის არანაირი ავტორიტეტი, როცა საქმე სამშობლოს ეხება, როცა პიროვნება სრულად ვერ იყენებს თავის შესაძლებლობებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. არც ვინმეს დამსახურება რჩება მხედველობიდან და პატივმიუგებელი რჩება. სამგლოვიარო პროცესიაზე იგი აკაკის კუბოს არ მოშორებია და გამოსათხოვარი სიტყვაც წარმოთქვა, რომელშიც ილია და აკაკი ერთად მოიხსენია: „თავისი სიკვდილით აკაკიმ ახალი სამსახური გაუნია ჩვენს ქვეყანას. ყველას დაანახვა, რომ მის გლოვაში ერთი გრძნობა და გული ჰქონია მთელს ჩვენს ერს, მხარეს წოდებას, ქონების, ასაკის, სქესის, და თვით პარტიის განურჩევლად...იქნება აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახეიროდ, როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი...ვერ ამიხსნია საიდან იბადება შეცდომა. ვითომ ერთის არსებობა მეორეს ბრწყინვას უშლიდეს? საქმე, ქვეყანა, მზე ყველას არ ყოფნის? ილია ჭაჭავაძის მაგალითზე ვერ აეხილა თვალი ხალხს? რამდენი უცდიდა მის გაქრობას იმ იმედით, რომ მის მაგიერ გავზებულადებო! მოკვდა ხომ! მისი ადგილი სხვებს ერგო, გაილიავდა ამით ვინმე? თუ ობლად დარჩა საქმე, რომელსაც თავის მოადგილეებზე მაინც უკეთ უვლიდა იგი?“⁶⁶.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც უზარმაზარი ინტელექტი, არ იზიარებდა რევოლუციურ თეორიებს და არ მიაჩნდა რევოლუცია ახალი სახელმწიფოებრივი მოწყობის მექანიზმად, იგი ყოველთვის ევოლუციურ განვითარებას უჭერდა მხარს. მხოლოდ ერთი რევოლუციისა სწამდა – მეცნიერულ-ტექნიკურისა ანუ

⁶⁵ იქვე, გვ.533

⁶⁶ აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო. გვ. 43, 54, 55. „საქართველო“, 1998

როგორც თვითონ წერდა, რევოლუციისა თავებში, აზროვნებაში. აკი პირადად აჩვენა მან, რომ ცოდნას განახლებადას, ცოცხალსა და მოძრავს ყველაფრის მიღწევა შეუძლია. მთელი მისი ცხოვრება ამ იდეის ილუსტრირებაა. მეორეს მხრივ, ეს არის გამოცდილება თაობებისთვის თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ხელისუფალი, ტრადიციონალი ანუ კონსერვატორი ქართველი, ინტელექტი, რომლის გახსენებაც არ უნდათ დღევანდელ ნეოლიბერალებს. ნაცვლად იმისა, რომ საქართველო მსოფილოს ბედნიერ ქვეყნად აქციონ, ყველაფერს აკეთებენ მისი გადაშენებისთვის. ხელისუფალი იმიტომ არის ხელისუფალი, რომ თავისი ქვეყანა უნდა აიყვანოს განვითარების ახალ სიმაღლეზე. სხვა შემთხვევაში იგი ქვეყნის მოლაღატა და ასეთი ქცევა დასჯადი უნდა იყოს. ნეოლიბერალიზმი მსოფლიო მოძრაობაა, რომლის მიზანია ერთიანი მსოფლიო მეურნეობის წარმოქმნა ნაციონალური ქვეყნების გაქრობის ნიადაგზე, და მათი ეროვნული სიმდიდრეების ხელში ჩაგდება. ამითვის იგი იყენებს ფულს, როგორც საშულებას – მისი ინტერესების საზღვრებში მოაქციოს განათლება, მეცნიერება, ნაციონალური ქვეყნების ხელისუფლება. მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მომხმარებლურ საზოგადოებად იქცა, რომელსაც ინსტიტუტებისა და სურვილების დაკმაყოფილების ველური მადა არ ასვენებს, ყველაფერს კადრულობს, ყველა ბარიერს გადადის ფულის საშოვნელად. ადამიანის ჰედონისტად ქცევა ძნელი არ ყოფილა. მითუმეტეს, როცა საქმის გაკეთებისთვის დამოუკიდებელი აზროვნება საჭირო არ არის, მთავარია მორჩილი იყო და შეასრულო ის, რასაც გავალებენ (ამას ემსახურება თანამედროვე განათლების სისტემა საქართველოში, რომელიც მინისტრების ცვლილების შესაბამისად ფასადურად სხვაფერდება). გამორჩეული უნარის, ნიჭიერ ახალგაზრდებს ყველა პირობას უქმნიან თავისკენ მისაზიდად. აი, სად არის საჭირო ნიკო ნიკოლაძის აზრის გამოძახება, რათა ქვეყანა ხელიდან არ გამოგვაცალონ.

12 აგვისტოს 130 წელიწადი შესრულდა გიორგი ნიკოლაძის ამქვეყნიური მოვლენადობიდან. აგვისტოს მალე სექტემბრი შეენაცვლება, ჯვართამაღლებას, 27 სექტემბერს 175 წელიწადი გათენდება ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან. არანაირი გამომხაურება ტელევიზიებიდან. რამდენიმე წერილი დავბეჭდე ინტერნეტში ნიკო ნიკოლაძის ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, რასაც ჩემი რამდენიმე ნაცნობის მოწონება ხვდა წილად. ასე გრძელდება ახლაც. მე ვწერ, ვაქვეყნებ ინტერნეტით. ზოგიერთს მოსწონს. ეს არის მხოლოდ. რატომ სდუმს, სად არის ინტელიგენცია? რას წარმოადგენს იგი?

თანამედოვე საზოგადოება მომხმარებლურია, მისი წევრები იზოლირებულია ერთმანეთისაგან, ისინი ინდივიდუალური არიან იმდენად, რამდენადაც სხვებისაგან გამორჩეული ისეთი ნიშნები ახასიათებს, როგორცაა გემოვნება, მოთხოვნა, მოთხოვნილებებისა და ინსტიქტების სტრუქტურა და მასშტაბები, ჰედონიზმი, თავკერძობა, ანგარება, სიხარბე, თავგასულობა, ამპარტავნობა, ეროვნული ტრადიციების უგულბეღყოფა, ზნეობის დეფიციტი (როცა ზნეობა ეცემა, საკვირველი არ იქნება ახალშობილი შემოსავლის წყარო გახდეს ან სანაგვეზე მოისრლონ, თუკი ცხოვრების ტყვირთად აღიქმება), უღმერთობა, ოჯახური სინმინდებისადმი ნიჰილიზმი, ყოყორობა, ნათესავებთან და ახლობლებთან გაუცხოება, ამპარტავნობა, უსიყვარულობა, ფულისადმი მორჩილება და სულიერი მონობა. მომხმარებლობა საზოგადოებრივია იმდენად, რამდენადაც იგი საერთო ნიშან თვისებების ადამიანების დახასიათებაა, თორემ ისინი საზოგადოებას არ ქმნიან, ერთმთლიანი არ არიან. სხვა ადამიანების მიმართ მზრუნველობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მომხმარებლურ ინდივიდს არ გააჩნია. მთლიანობა მხოლოდ საზოგადოებრივ ინდივიდს ახასიათებს, ვინაიდან საზოგადოება საერთო მიზნების, ინტერესების, ფასეულობების ადამიანთა ერთიანობაა, რომელიც ფორმირდება ერთობლივი თანაცხოვრებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

საზოგადოებაში ცხოვრება ნიშნავს საერთო წესრიგს, რომელიც მისი არსებობისთვის იქმნება და ამდენად იგი მეტია მისი წევრების აზროვნების ჯამზე და მათ ინტერესებზე, ისევე როგორც მთლიანობა მეტია საზოგადოების წევრთა რაოდენობაზე, ვინაიდან წესრიგი კავშირურთიერთობაა, სტრუქტურულია და იერარქიული. ტრადიციული საზოგადოება განსხვავებული ადამიანების ერთიანობაა, როგორც ერთმანეთთან თანამშრომელი სუბიექტები, რომლებიც, როგორც სუბიექტები, ინდივიდუუმებს ქმნიან. ინდივიდუმი თავის სრულყოფას საზოგადოებაში პიროვნების ფორმით აღწევს. ამდენად, საზოგადოების წამყვანი ძალა არის პიროვნება, ინტელექტი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს საზოგადოების წესრიგი არა მხოლოდ მათი უმრავლესობის გავლენით, არამედ საზოგადოების, როგორც მთლიანისთვის, სასარგებლოდ. პიროვნებაში, ინტელექტში, როგორც აღვიშნეთ, ჩადებულია მორალურ-ზნეობრივი-პროფესიული ოსტატობა და პატრიორიზმი. ცხადია, რომ ასეთი დასავლურ ნეოლიბერალიზმს ხელს არ აძლევს, ვინაიდან მისთვის მხოლოდ ისეთი პროფესიონალია მისაღები, რომელიც არ სცნობს ეროვნულობას, პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე; თავისუფლება თავაშვებულობად მიაჩნია, ოჯახი-ტირანიად, სიყვარული-სექსად, ფული-ღმერთად.

ისტორიული წარმომავლობით საზოგადოების მთლიანობა ოჯახიდან მომდინარეობს, როგორც ფუძე, ბალავარი, სადაც თავმოყრილია ურთიერთთანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, ღვთიური რწმენა, იერარქია, ქორწინების სინმინდის ინსტიტუტი. ოჯახებიდან შეიქმნა სოფლის, ქალაქის, კუთხის, რეგიონის, სახელმწიფოს, კონტინენტების და მსოფლიოს დასახლებები. ამის გამო არის, რომ ოჯახი მიჩნეულია სახლმწოფოს ფუძედ. ხშირად გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო თუ რა ძალამ გამოატარა ისტორიის გრძელ ქარტეხილებში მცირერიცხვოვანი ქართველი ერი. აოხრებდა ქვეყანას მტერი, ხოცავდა უმოწყალოდ, მიჰყავდა, იტაცებდა მის ხალხს, მაგრამ პოეტი-

სა არ იყოს, ერთი მოჭრილი თავის ადგილზე ცხრა ამოდიოდა, იმიტომ რომ ოჯახი რჩებოდა შეურყვანილი. აცოცხლებდა ღვთის რწმენა და მისი ინსტიტუტი რჩებოდა ხელშეუხებელი. ეს მიმაჩნია ჩვენი არსებობის აქამდე ამოუხსნელი ამოცანის ერთადერთ სწორ პასუხად. ვფიქრობ, რომ ეს უკვე ჩვენზე კარგად იციან მთელი მსოფლიოს ბატონობისთვის მებრძოლ-მა ნეოლიბერალებმა, და ამიტომ ოჯახზე მიიტანეს მთავარი შეტევა. ძალით ამის მიღწევა რაკი ყოველთვის შეუძლებელი იყო, ახალ ხერხს მიმართეს-მომხმარებელთა საზოგადოების მაცდუნებელი თეორიის კონსტრუირება, რომლის ამძრავი ენერჯიაა ჰედონიზმი. მის სამსახურშია ჩართული ყველა საშუალება, რომელიც მიმზიდველ სანახაობებში ითრევს ახალგაზრდობას, აძულებს მას ყველაფერ ტრადიციულს და აჩვევს გარყვნილებას, ნარკოტიკს, ფუქსავატობას; სულით ფულზე ჰკიდებს. ავინყებს ღმერთს, ეროვნულობას, პასუხისმგებლობას, მეორეს მხრივ, მის უნიჭიერეს ნაწილს თავისკენ ექაჩება და მის სამსახურში აქცევს. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი რეალობის დანახვაა, რომელიც უკვე ეროვნულობის ნაშლით გვემუქრება. უკვე დაეტყო ქვეყანას საქორწილო ასაკის ახალგაზრდების ოჯახური დანყვილების კლება. ტრაგიკულია ის, რომ ყოველი 10 ახალი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, ყოველი მეორე განქორწინებით მთავრდება. ათიათასობით ბავშვი უდედმამოდ ან უდედოდ იზრდება. არ უნდა გამოგვჩვენოს ისიც, რომ ძალზე სწაფად იზრდება შერეული ქორწინების რიცხვი არაქრისტიან მოსახლეობასთან. მალე, ალბათ, ქართველის რაღაც ახალ, არატრადიციულ ტიპს მივიღებთ. კიდევ უფრო უარესია ის, რომ უცხო ჯიშის ჩამოსახლებულთა რაოდენობა მატულობს და ღარიბი ქალების დიდი მასა მეძავებად ჩამოყალიბდა, არც თუ ნაწილი მუსულმანი კაცების ცოლების რიგში დგებიან.

ქართველი ოჯახების რიცხოვნება არა მხოლოდ გაჭირვების გამო მცირდება ბუნებრივი მატების რაოდენობრივად შემ-

ცირების მიზეზებით და მოსახლეობის ქვეყნიდან მასობრივი გაქცევით. უმწეოა სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელიც უსახსრობის გამო იღუპება, მძიმე პირობებში არიან პენსიონერები, რომელთაც კანონით დადგენილი 180 ლარი წამლების ფულად არ ყოფნის. მოსახლეობა ყიდულობს კვების პროდუქტებს, რომელიც საკვებად უვარგისია და ჯანმრთელობითვის მავნებელი. იგივე ითქმის კვების მზა პროდუქტების და ნახევარფაბრიკატების შესახებ ინვენტარზე და შესაფუთ მასალებზე, ალკოჰოლური, უალკოჰოლო და გაზირებული სითხეების ჭურჭლებზე. ეკონომიკური გენოციდი სილატაკის ახალი შენაერთია ერის უბედურების მდინარეში.

ინტელიგენცია ხელისუფლების არჩევნებში საზოგადოებრივი აზრის მიმმართველია. ამდენად ხელისუფლებაც ინტელექტუალური უნდა იყოს. ინტელიგენციის ვალდებულებაა აუხსნას მას მოსახლეობასთან შეთანხმებული განვითარების სტრატეგიული კურსიდან გადაცდომის წარმოქმნის რეციდივები, რომელიც ხშირად ახლავს ხელისუფლებრივ საქმიანობას და შეაშველოს ადეკვატური წინადადებები და რეკომენდაციები, როგორც ამას ახერხებდა ნიკო ნიკოლაძე მაშინდელი რუსეთის იმპარიის უმაღლეს დონის ხელისუფალთან პირად საუბრებში. მაგალითად, ვარანცოვ-დაშკოვთან, რომელსაც შეაგონა, რომ ხალხის უკმაყოფილება იმიტომ მატულობდა, რომ ახალგაზრდობა სამსახურს ვერ პოულობდა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობა არაფრის მაქნისი იყო სახელმწიფოს მართვის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურული წყობის პირობებში. იცოდა მეგობრობის და ინტელექტის ფასი. ჩერნიშევსკის გათავისუფლებასაც კი მიაღწია სიცოცხლის რისკის ფასად. როგორც თავის „მოგონებებში“ უწერია, უმკაცრესი პოლიციური მეთვალყურეობაც კი დაუნესეს, რამაც ათი წლით დააგვიანა მისი არჩევა ფოთის ქალაქისთავად.

ერთიანი მსოფლიო მეურნეობის კონსტრუქტორები ღმერთის უფლებებში იჭრებიან და ღვთიური სამყროს თავის

ჭკუაზე გადაკეთება სურთ-არაეროვნული სახელმწიფოები, ერთი სახელმწიფო ენა, არანაირი საზღვრები ქვეყნებს შორის, ღმერთის უგულვებლყოფა, ტრადიციებისა და ოჯახის მოშლა ერთხელ და სამუდამოდ, მსოფლიო მოსახლეობის სეკვესტრირება მილიარდამდე და ა.შ. მათ უკვე გრძელი ნაბიჯით ნაინიეს წინ: დაეპატრონენ ფულს, არმიებს, ვაჭრობას, მსოფლიო ბუნებრივ რესურსებს, ხელთ იგდეს კანონშემოქმედება, სამართალწარმოება, სტრატეგიული რესურსები, ირჩევენ და ნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს და ა.შ. სწორია ლ. ლარუში: ღვთის თვალი მუდამ გვიყურებს. უკვე გამოიკვეთა თავგასული ფინანსური იმპერიის ბოროტი ქმედებების სანინალმდეგო მოძრაობები. აშშ-ს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებს მექსიკა, სისხლი აუდუღდა ინდიელ აბორიგენებს, რომელიც გადაშენებამდე მიიყვანა ამერიკამ, რომლის თეთრკანიანი მასა უპირატესობას კარგავს, ფერადკანიანი ემიგრანტების შემოტევა ყოველწლიურად იზრდება. „თუ მისტერ ბუში და მისი ადმინისტრაცია ვერ შეძლებენ ფერადი მოსახლეობის პრობლემის გადაჭრას და ტრადიციული ფასეულობების ადგენას, ამერიკას მერე არაფერი ეშველება“⁶⁷. მსოფლიო არენაზე ჩინეთი სუპერ სახელმწიფოდ წამოიმართა, თავი წამონია ინდოეთმა, რუსეთი გამოფხიზლდა. მდუმარე ევროპამ ხმა ამოიღო-უყივლა ეროვნულობის სისხლმა. ახალი საფიქრალი გაჩნდა.

დუმს საქართველო.

საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ინტელექტები, რომელთაც უყვარდათ და უყვართ თავიანთი ხალხი და გულწრფელად სურთ ქვეყნის სიკეთე და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, „მაგრამ დიდი ხანია დავიღალეთ იმ ჭეშმარიტების გამეორებით, რომ მხოლოდ პლატონური სიყვარული და უნაყოფო „კეთილდღეობის მოსურნეობა“ არავის აძლევს უფლებას,

⁶⁷ Бьюкенен П. Смерть запада. с.307. М.ООО. «Изд. АСТ: Terra Fantastica, 2003.-444 с.

ინოდებოდეს „ინტელიგენტად“⁶⁸. განმხოლოებული, ინდივიდუალიზებული ინტელიგენტი, უპირატესად მაინც, თავის თავს ეკუთვნის. სულ სხვაა ერთიანობა ინტელიგენციაში, რომელიც ერისა და ქვეყნის მსახურებაა, ხალხის წინამძღოლი, მიმართველი ძალაა. ამიტომ დარჩნენ ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა მრავალი არა მარტო ხალხის მეხსიერებაში, არამედ ადამიანის გულშიც დაიდეს ბინა (ტვინი ცივი ძალაა, გულია ცეცხლი). მე-19 და მე-20 საუკუნის ჩვენი ერის უდიდესი ადამიანები უფრო მეტად იმის გამო კი არ გვიყვარს, რომ გენიალური მოაზროვნეები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნის ქირი თავისად მიაჩნდათ და სამშობლოს მსახურება-არგაქრობის მიზნად. გენიალური ტალანტის საკურთხეველზე მიტანამ იხსნა მაშინ საქართველო ჩამორჩენილობისა და გადაგვარებისაგან. უარეს დღეშია ახლა სამშობლო, მაგრამ მას ჰყავს ძალიან ძლიერი ინტელექტუალები, რომლებიც ინტელიგენციად უნდა იქცნენ. „დროა, დიდი ხანია დროა, მუყაითად ხელი მოჰკიდოთ მიმდინარე საკითხებსა და ჩვენი ცხოვრების ამოცანებს; დროა ამ ამოცანების საფუძვლიანი გადანყვევით დაიკავოთ ხალხში ინტელიგენციის ღირსი მდგომარეობა, დაიმსახუროთ ხალხის ნდობა და მათი საქმე და ბედი ხელიდან გამოსტაცოთ ეგოისტებს, რომელნიც შემიღბული არიან გესლიანი ფრაზებითა და ხალხისმოყვარულის მანტიით მხოლოდ იმისთვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ, იზრუნონ ნათესავებზე და ჩაეფლონ ნეტარებასა და მაგცხრომაში!“⁶⁹.

ინტელექტუალები უნდა გაერთიანდნენ ინტელიგენციად ნიკო ნიკოლაძისეული გაგებით, რომლის მიზანი იქნება ხალხისა და ქვეყნის მსახურება. ეს არ უნდა იყოს რაიმე სახის პოლიტიკური გაერთიანება ან მათი ასოციაცია. ეს მხოლოდ

⁶⁸ ნიკოლაძე ნ. ტ.8. გვ. 57. ქუთაისი, 2003

⁶⁹ იქვე, გვ.58

სოციალური მოძრაობაა მოსახლეობის ქვედა ფენებიდან ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. სხვა შემთხვევაში, არსებული ხელისუფლების ჩანაცვლების იდეა რომელიმე რადიკალური მიმართულების პარტიით იქნება მოძრაობა ზემოდან, რაც გამოიწვევს სისხლიან რევოლუციებს, და რაც სასიკეთო არ ყოფილა და არც იქნება სამშობლოსთვის.

ინტელიგენციის გარეშე მიტოვებული მოსახლეობა მასმედიის საშუალებების, განსაკუთრებით კი ტელევიზიების, იდეოლოგიზირებული სასწავლო ლიტერატურისა და ინტერნეტის ტყვეობაშია. მაშინ როცა მას ახლა უნდა მიეწოდებოდეს უკვე დანინაურებული, ადრე ყოფილი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის შესახებ მსოფლიოში ბესტსელერად გავრცელებული ისეთი ლიტერატურა, რომელიც იმ ქვეყნების ეკონომიკური დანინაურების „საიდუმლოებების“ ახსნა იძლევა. მაგალითად, პაკ ჩონ ჰის – „აღორძინებული კორეა: ეკონომიკის განვითარების მოდელი“, ლი კუან იუს-„სინგაპურის ისტორია“, მოჰამად მაჰატჰარას-„ნინ სრული სვლით“, ჰა ჯუნ ჩანგის-„როგორ არის მოწყობილი ეკონომიკა“, ერიკ რაინერტის-„როგორ გახდნენ მდიდარი ქვეყნები მდიდრები, რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“ და სხვა. უნდა ეწყობოდეს ამ ლიტერატურის განხილვა მოსახლეობის ფართო ფენებთან, ეკონომიკური აზროვნების განახლებისა და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლების მიზნით. ცალკე საკითხია ფიზიკური წარმოების ინოვაციები და კრეატიული უნარების გამომუშავება მოსახლეობასთან ერთად ადგილებზე მდგომარეობის შესწავლის ბაზაზე. ინტელიგენციის ჯგუფი უნდა იყოს არა მხოლოდ იდეის ინიციატორი და ნოვატორი, არამედ ინტელექტუალური ძალა მოსახლეობის დასაცავად სახელისუფლო და სხვა ჯგუფების არასამართლებრივი შემოტევებისაგან.

საზღვარგარეთ აღმოჩნდა ქვეყნიდან გაქცეული 2 მლნ. ადამიანი, რომელიც ახლა სამშობლოს კეთილდღეობის ამაღლების სერიოზული რესურსია. მხედველობაშია ისეთი მახასიათებლები

ბი, როგორიცაა შრომითი აქტივობის მეტი თავისუფლება, შექმნილი უცხოური სოციალური კაპიტალი და დამოუკიდებელი სანარმოო და სამსახურებრივი უნარები. ესეც ინტელიგენციის დიდი რესურსია.

ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კოორდინაციის ფუნქციების შესრულება მხოლოდ ინტელიგენციას ხელეწიფება. მოგებაზე გამოდევნებამ ადამიანში ველური ინსტიქტების ეპიდემიური აფეთქება გამოიწვია და ჰედონიზმის სიხარბით დაავადმყოფა, რამაც თანამედროვე სამყარო კატასტროფის წინაშე დააყენა. საჭიროა ეკონომიკის ჩაყენება ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში, როცა მატერიალური სულიერების დემიურგია და ადამიანის აქარსობის საშუალება. ეს, ალბათ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თვისებრივად ახალი საფეხური იქნება.

**ნიკომ ნიკოლაისული ინტელიჯენცია ქართული
ეკონომიკის აღმავლობაში**

**„თანამედროვე გლობალურ სამყაროში
ნაციონალური ელიტის ბევრი
წარმომადგენელი უფრო გლობალურ
ელიტასთან იდენტიფიცირდება,
ვიდრე საკუთარ ქვეყანასთან“.**

*ერიკ რაინერტი: „როგორ ხდებიან მდიდარი
სახელმწიფოები მდიდრებად და რატომ
რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“. გვ 318*

ქართველებს უკვე ჩვევად გადაგვექცა არჩევნებზე მისვლა, ხმის მიცემის პრიმიტივი: სიმპატია-ანტიპატიის მიხედვით ან ნაცნობ-უცნობების დაუინებებით ან მითითებით. მერე არჩეულები ქვეყანას ლუკმებად ინაწილებენ და ამომრჩევლები ან შიშობილები, ან საზღვარგარეთ გარბიან. ზოგს რალაც სამსახურს მიუგდებენ სამადლოდ. მხედველობიდან გვრჩება ის, რომ ხალხი ხელისუფლებას უნდა მართავდეს იმ პროგრამის მიხედვით, რის საფუძველზე ხმა მისცეს. აი, მაშინ არის ხალხი ხალხი, თორემ სხვა შემთხვევაში იგი ბრბოა, რომელსაც თავის სასარგებლოდ იყენებს ანგარებიანი ხელისუფლება. აქედან ისიც ჩანს, რომ საქართველოში ხალხი მიტოვებულია და მას ეროვნული წარმართველი ძალა არ ჰყავს ან ისიც სახელისუფლო ელიტის გავლენაშია⁷⁰. ხალხსა და ხელისუფლებას შორის ინტელექტუალური ძალა უნდა იდგეს როგორც ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სოციალური მატარებელი, როგორც ხელისუფლების მაკოტროლებელი ინტელექტუალური მექანიზმი,

⁷⁰ სიტყვა „ელიტა“ ბერძნულია და ქვეყნისთვის თავგანირულ მეომარს ნიშნავს. აქ მნიშვნელობა არა აქვს განათლებას, სოციალურ მდგომარეობას, რელიგიურ აღმსარებლობას. თანამედროვე გაგებით ელიტა უმცირესობის აღმატებულებაა უმრავლესობაზე, დემონსტრაციული მომხმარებელია, ხელისუფლებაშია ან გავლენას ახდებს ხელისუფლებაზე.

რომელიც ყოველთვის მეტია ნებისმიერ ხელისუფლებაზე. ასეთ ძალად გენიალურ ნიკო ნიკოლაძეს ინტელიგენცია მიაჩნდა, როგორც ერის საუკეთესო, განათლებული, უკეთილშობილესი წარმომადგენლობა, რომლის მიზანია ქვეყნისა და ხალხის მსახურება მეცნიერებისა და ცივილიზაციის შესაძლებლობათა გამოყენებით (უფრო ვრცლად ზემოთ „ნიკო ნიკოლაძე და ინტელიგენცია“). გენიალური ნიკო ნიკოლაძე სიტყვა „კეთილშობილება“-ს შემთხვევით არ იყენებს. კეთილშობილება-არის ადამიანის უმაღლესი ზნეობრიობა, თავგანწირვა და სინდისი, სულიერი სიმალლე, რაინდობა, დიდსულოვნება, სინმინდე. ასეთმა ადამიანებმა მოიტანეს აქამდე ეს ქვეყენა. განა შეიძლება დღევანდელი სამშობლოს წარმოდგენა ილიას, აკაკის, ნიკოს, ვაჟა-ფშაველას, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და მათი თანამოაზრე ინტელიგენტების გარეშე? ხალხის კეთილდღეობის ზრუნვას შეეწირა ილია, დიმიტრი ყიფიანი. მაშინდელი იმპერიის უმაღლეს ხელისუფლებას შთააგონა ნიკო ნიკოლაძემ, რომ სახალხო მღელვარება ხიშტებით კი არ დაცხრებოდა, არამედ იმ წინააღმდეგობათა მოხსნით, რომელიც მაშინ ადამიანების შრომის უნარის გაშლის უფლებებს ზღუდავდა. მონაწილეობაც კი მიიღო ხელისუფლებასა და ტერორისტულ ელემენტებს შორის სამშვიდობო ვითარების ფორმირებაზე, რის გამოც მერე ათი წელიწადი პოლიციის უმკაცრესი მეთვალყურეობაში გაატარა. „ეს შეიქმნა დაბრკოლება ჩემთვის ფოთის ქალაქისთავად დამტკიცებისა. ამ თანამდებობაზე მე მთელი ათეული წლით გვიან ამირჩიეს აღნიშნული მოვლენებიდან. შემდგომი მეფობის დროს, 1894 წ. დეკემბერში, მეთვალყურეობის მოხსნისათვის საჭირო შეიქმნა ორი გუბერნიის თავადაზნაურობის შუამდგომლობა და კავკასიის მთავარმართლებლის ბ-ნ ს.ა. შერემეტიევის პირადი გამოსარჩლება“⁷¹. ო, რამდენი ძალა და ენერგია შეაღია მან

⁷¹ ნიკოლაძე ნ. მოგონებები. გვ.216. თბ.,1984.

საქართველოში სათავადაზნაურო ბანკის გახსნას, რკინიგზის გაყვანას, ჭიათურის მარგანეცის გატანას მსოფლიო ბაზარზე, ფოთის პორტის მშენებლობას, განათლების გავრცელებას და ა. შ. მაშინ როცა არა თუ პეტერბურგსა და მოსკოვში, ევროპის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის ნებისმიერ ქვეყანაში უზრუნველად იცხოვრებდა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების წყალობით. მისი პროექტით არ აშენდა პეტერბურგის მდ. ვოლხოვზე ელსადგური? მან არ შექმნა ეისკის რკინიგზის წესდება? მან არ დაამუშავა მულანის ველის დაშრობის პროექტი? ქუთაისის კირქვოვან მთებში ღვინის ევროპული მეთოდით დაძველების მიწისქვესა სარდაფის პროექტი? და კიდევ რამდენი.

არა თუ ზოგიერთს, საზოგადოების უმრავლესობასაც კი სიტყვა „ინტელიგენცია“ სალანძრავად ემცხებება – აქოდა ეს რუსული და კომუნისტური. ჯერ ერთი, ინტელიგენციის განმარტება ნიკო ნიკოლაძემ 1880 წელს დაბეჭდა გაზ. „ობზორში“, მაშინ როცა მოსახლეობას საერთოდ არ ესმოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვა სოციალიზმი. მეორე, განა შეიძლება ტერმინის დაწუნება იმის გამო, რომ რუსულია ან ეთიოპური? აქაოდა ინტელიგენტს ინტელექტუალური სჯობიაო, ვინაიდან იგი ევროპულია და ევროპაში ინტელიგენციას არ ცნობენო. რუსულია „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „დანაშაული და სასჯელი“, ავტომატი კალაშნიკოვი, რადიო, წყალბადის ბომბი...ქართულია სიტყვა „ბრინჯაო“, ქართველია რუსთაველი...უფრო სწორი კიდევ ის არის, რომ, სიტყვა „ინტელიგენცია“ რუსულში პოლონიურიდან შემოვიდა, რომლის ფუძეა მისი ლათინური შინაარსი-„ინტელექტი“.

ჯერ ერთი, ტერმინი „ინტელიგენცია“ შინაარსობრივად უფრო ვრცელია, ვიდრე ინტელექტუალი. ინტელექტუალი მაღალგანვითარებული გონისა და ანალიზური აზროვნების, გონებრივი შრომის ადამიანია. ამ ტერმინის მრავალგვარი განმარტება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანს ის აერთიანებს,

რომ არც ერთ ცალკეულობაში ზნეობრიობა არ ფიგურირებს. გასაგებია: ლიბერალიზმს და ნეოლიბერალიზმს ეროვნულობა, ქვეყნისა და მისი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის ფენომენი არ აინტერესებს. ინტელექტუალი ინტერნაციონალურია და ეროვნულობისაგან მოწყვეტილი. ამ გაგებით ინტელექტუალია ჰიტლერი, მაკიაველი, ფუშე, ჰენრი კისინჯერი, სოროსი და სხვა. არის სხვა კიდევ ფარული ინტერესები. ნიჭიერ და უნიჭიერეს ახალგაზრდას გზა ყველგან ხსნილი აქვს, სულერთია, ვინაიდან „მამულის სიყვარული და მსახურება“, როგორც ცხოვრების ლაიტმოტივი მისთვის აზრობრივ ჩამორჩენილობას ნიშნავს. ამდენად, ინტელექტუალი განმხოლოებული ინდივიდუალური პირია, თავისთავზე დამოკიდებული, რომელიც იქ იცხოვრებს, სადაც მისი უნარი განვითარების უკეთეს პირობებში აღმოჩნდება, ანუ ტვინების „გადინება“ არაეროვნული აზროვნების თავმოყრაა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რაც კაი ხანია ხორციელდება კიდევ. კარგად ამბობს ვიდუო მასალაში დ. ს. ლიხაჩოვი: ყველაფერი შეიძლება გადაკეთდეს, მაგალითად ბოროტი კეთილი გახდეს, ქურდი გამოსწორდეს, მაგრამ ინტელიგენტი თუ არის, არის და იქნება. სიხარულის განცდას ვერ იკავებენ, ქუდებს ჭერში ისვრიან: ამან და იმან მსოფლიო კონკურსში გაიმარჯვა და დასავლეთის გრანტი მოიპოვაო. არავის ახსენდება, რომ ის შენი გრანტის კავალერი შენტვის და ქვეყნისთვის დაკარგულია, უკან აღარ დაბრუნდება. ნიჭს, თავის ადგილს, სადაც იპოვის, ყველა პირობას შეუქმნიან, რათა იქვე უნდა რომ დარჩეს და დარჩება კიდევ, ვინაიდან სამშობლოს სიყვარული არ უსწავლია, მხოლოდ ინტელექტია.

ინტელიგენციას, ისევ როგორც ინტელექტუალებს აქვს თავისი გაგების პროვინციული, ყოფითი გამოვლინებები. მხოლოდ წიგნებიდან კი არა, ბავშვობიდანაც მახსოვს სოფლის მცხოვრებლებისაგან ანეკდოტური, სასაცილო ინტელიგენტის ტიპი. ეს არის ადამიანი, რომელსაც უმაღლესი განთლების

დიბლომი აქვს, მაგრამ არა აქვს საფუძვლიანი ცოდნა, ახლობლების, გაშინაურებული ადამიანების კითხვებზე დაზეპირებულ პასუხებს იძლევა და უხეიროდ ეფარება ბოლშევიკურ იდეოლოგიას. ყველაფერში იშველიებს ციტატებს მარქსიმ-ლენინიზმის კლასიკოსების, ღმერთმა იცის სადღაც გაგონილი და ვილაცის მონათხრობიდან ან კიდევ სადღაც ამოკითხულიდან, იდეოლოგიურად გაჟღენთილია. ასეთები ინსტიტუტშიც გვყავდნენ, გვასწავლიდნენ. კომპარტიის ისტორიის დოცენტი გემოდღვრავდა-ამ ინსტიტუტს იმიტომ ჰქვია პოლიტიქნიკური, რომ იგი პოლიტიკური ტექნიკურიაო. მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის კომიკური მხარეა. განა ვინმეს, ჩვენი სტუდენტობიდან, დაავინყდება თუ როგორი დახვეწილი, სულიერი სიმალლის ინტელიგენტი იყო მაშინდელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე. რას ვიზამთ, ცხოვრება ასეთია: გენიოსების გვერდით ყოველთვის იდგნენ/დგანან მასხარები და ორეულები. ამით ინტელიგენტს არაფერი აკლდება, იყვნენ, არიან და არავის ელიან, მხოლოდ მასხარები/ორეულები ენაცვლებიან ერთმანეთს. ასეთი კომიკური მხარე აქვს ინტელექტუალებსაც. ინტელექტუალია გონებრივი შრომის კრეატიული ადამიანი, აქვს უმაღლესი განათლება, სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის ნოდებაც, თანამდებობაც, რომელიც ან თავჩარგულია და უკარება, ან საჯაროდ აცხადებს, რომ ირანი და თურქეთი საქართველოს უძველესი მეგობარია და რაც აქამდე ჩვენთვის უსწავლებიათ, ისტორიის გაყალბება ყოფილა. რა საჭიროა საქართველოში მარიამობის ორი დღესასწაული, ერთიც საკმარისია, ხოლო მეორე მაკკეინის ხსოვნის დღედ გადავაკეთოთ. აქ უკვე ორეული ინტელიგენტი ეწყვილება ორეულ ინტელექტუალს.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ინტელიგენტსა და ინტელექტუალს ერთნაირი ფუძე აქვს-ინტელექტი, ანუ მათ გონებრივი შრომა აერთიანებს. ინტელექტუალები საზოგადოებას არ ქმნიან. ისინი მხოლოდ პროფესიულ ჯგუფებად

შეიძლება დაფუძნენ დროებით, მაშინ როცა ინტელიგენცია ეროვნული საზოგადოებაა წარმოქმნილი არაპროფესიონალური, არაიურიდიული ფორმით, არამედ პასუხისმგებლობის, მოვალეობების მაღალი შეგნებულებით, ზნეობრივი ძაფებით გადახლართული, რომელიც შეიძლება ყოველთვის განწყდეს რომელიმე მათგანთან ეროვნული სულის დასუსტებისას. არანაირი სახელისუფლო ან კომერციული საქმიანობა არ აკავშირებდა ერთმანეთთან ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, სამშობლო იყო მათი ერთიანობის უხილავი ძაფი, რომელიც ხილული მხოლოდ პასუხისმგებლობის შესუსტებისას ან თავის არიდების შემთხვევაში ხდებოდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ ცხრება ეკონომისტების კამათი იმის თაობაზე თუ რატომ არ ჩანს ის ძალა, რომელიც ქვეყანის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის თავს გამოიღებდა, ხელისუფლებას იძულების მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ „ინტელიგენციის შიგნით მოხდა განშრევება-ფენებად დაყოფა სხვადასხვა პარამეტრებით და იგი სოციალურ ჯგუფებად დაიშალა, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან თავიანთი მდგომარეობით“⁷². ზოგი მათგანი – აგრძელებს ავტორი – ბიზნესში წავიდა, ზოგი – ხელისუფლებაში, ბევრმა უზარმაზრი სიმდიდრე დააგროვა მაქინაციის ან სხვა უზნეო მეთოდებითა და საშუალებებით, და მსოფლიო მდიდრების სიაშიც კი აღმოჩნდნენ. ასეთ და მათ მსგავს ავტორს ერთმანეთში ერევა ინტელიგენცია და ინტელექტუალი, ინტელექტი. ინტელიგენტი ვერ გადაგვარდება, ინტელიგენცია ვერ დაიშლება ფენებად, მდიდრებად და ღარიბებად. ინტელიგენტი ან არსებობს, ან არ არსებობს. თუკი მას შეუძლია თვალთმაქცობა, მაქინაციობა, ფარსევლობა, სხვის გაჭირებაზე ხელისმომობა, მაშინ იგი უკვე ინტელიგენტი არ არის. ხშირად ისმის ტელევიზიიდან

⁷² Два лика интеллигенции. სტუდიკ.ნეტ/დვა-ლიკა-ბნტელლიგენცია

როგორი მაღალი პროფესიონალი იყო დღევანდელი მ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი. რექტორობის ხელფასს არ ღებულობდა და გაჭირვებულ სტუდენტებს სტიპენდიად ურიცხავდა ისე, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, ვინ იყო დამფინანსებელი. აი, ინტელიგენტი. სულ სხვაა ინტელექტი. მის ავტორიტეტს არ ზღუდავს ვერცხლისმოყვარეობა, ანგარება, გამდიდრების მანია, მიუხედავად იმისა, ღარიბია თუ გაჭირვებაშია მისი ხალხი. შეიძლება, რაღაც მომეტში მეცენატიც იყოს, ხელგაშლილიც, დაეხმაროს კიდეც თავის ხალხს, მაგრამ ეს სიკეთის ან კეთილი ნების შემთხვევითი გამოვლენაა მისი მხრიდან და არა პირველადი აზრი, რომელიც ინტელიგენტის შიდა მართვადია, ხელისუფლებაა. ინტელიგენტი თავის აქარსობას ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ხედავს. მისთვის მატერიალური სულიერი სამყაროს მიღმურია და მის ხელმისაწვდომობათა სინამდვილის წინა რიგის ხილვადობაშია. მაგრამ მაინც მეორადია. უხეში შეცდომაა მიიჩნიო ლიბერალები და ნეოლიბერალები ინტელიგენციად როგორც ამას ცდილობს ზოგიერთი მკლევარი⁷³. ინტელიგენციის ერთიანობას „მამულის სიყვარულის და მსახურების“ პასუხისმგებლობა ქმნის. ინტელექტუალებს არა აქვთ იდეური ერთიანობა, ისინი განსხვავებული მსოფლმხედველობის არიან.

ნეოლიბერალი ეროვნულობის, პიროვნულობის მტერია, ინდივიდუალიზმს უპირისპირებს საზოგადოებრივ მთლიანობას. პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ხალხის პაუხისმგებლური მსახურია, ასეთი უნარებისა და ჩვევების მატარებელია. „ჩემის აზრით, პროგრესი დამოკიდებულია მხოლოდ ხალხის ძალისა და შეგნების თანმიმდევრულ აღმავლობაზე. როგორც ერობის წარმომადგენელი, მე დარწმუნეული ვარ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ამაოდ ხარჯავს ქვეყ-

⁷³ Каковы роль и место интеллигенции в судьбе современной России? yablor.ru/blogs/kakovi-rol-i-... копия

ნის საუკეთესო ძალებს იმ გმირული ბრძოლისათვის, რომელიც არამც თუ ახლოებს, არამედ სულ იქით და იქით სწევს ხალხის თვითმმართველობისა და კეთილდღეობის ერას, ყოველ შემთხვევაში, მისი პოლიტიკა ძალიან სარისკოა, რადგან საფრთხეში აგდებს ინტელიგენციის როლს სახელმწიფოს ცხოვრებაში, უკიდურეს შემთხვევაში მრავალი ათეული წლის მანძილზე. ხალხის განთავისუფლების საკითხი უთუოდ უნდა ჩადგეს წაუგებელი ბრძოლის პირობებში... ეს როლი შეუქმნის ინტელიგენციას შეუწყვეტელ გავლენას ხალხზე, ცხადია არა ერთი და არა ათეული წლის მანძილზე... ქვეყნის განთავისუფლების ამოცანა მდგომარეობს ინტელიგენციის საკმაო ძალთა დაგროვებაში...“⁷⁴.

არსებობდა კი საბჭოთა ინტელიგენცია, რომელსაც არც თუ იშვიათად სასაცილოდ მიიჩნევენ? რა თქმა უნდა არსებობდა, რომელმაც არა მარტო უზარმაზარი შრომითი ინიციატივა გამოიჩინა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებაში, მეორე მსოფლიო ომში უპრეცედენტო გმირობაც გამოავლინა. პ. ბიუკენენი თავის ნიგნში „დასავლეთის სიკვდილი“ საბჭოთა პატრიოტიზმს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების ერთერთ გადამწყვეტ ფაქტორად თვლის. პატრიოტიზმი ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის, იგი აღზრდის პროდუქტია. პ. ბიუკენენს მიაჩნია პატრიოტული აღზრდა უმთავრეს ძალად, რომელსაც შეუძლია იხსნას დასავლური ცივილიზაცია იმ შემოტევებისაგან, რომელიც მას ელოდება მოსახლეობის შობადობის შემცირების გამო, მასობრივი მიგრაციისაგან, ანტიდასავლური ტრადიციების, არაეროვნული რელიგიური და კულტურული ფასეულობების ექსპანსიისაგან, ნაციონალური ხელისუფლების მსოფლიო სამთავრობო სტრუქტურული ერთეულის მოსალოდნელი ჩანაცვლებისაგან⁷⁵. „ომამდელ

⁷⁴ ნიკოლაძე ნ. მოგონებები. გვ.162-163. თბ.,1984.

⁷⁵ ნამიჭეიშვილი რ. ქართული ეკონომიკის ინტეგრალური რესურსები და განვითარების ორიენტირები. გვ. 140. ქუთაისი, 2015

ნლებში განათლებას საბჭოთა კავშირში პირველხარისხოვანი ყურადღება ეთმობოდა. 30-იან წლებში საბჭოთა სკოლა განათლების არნახული სიმაღლე იყო მთელ მსოფლიოში. მაშინ მილიონობით ადამიანი იხსნავდა. ამასთან საბჭოთა სკოლა არა მარტო კარგ განათლებას იძლეოდა, არამედ აღზრდასაც განათლების საფუძველზე... გუშინდელი მეათეკლასელები ძალიან მალე ხდებოდნენ წითელი არმიის მეთაურები⁷⁶. იმავე აზრისაა პ. ბიუკენენი: ომის დასასრულს წყვეტს არა ომდენად დებატები კონგრესში, რამდენადაც სასკოლო განათლება, მასმედიისა და სასამართლოს პოზიციები⁷⁷.

წინა აბზაციდან პასუხი გაეცა კითხვას, რომელიც მკითხველს უნებლიედ გაუჩნდებოდა. ინტელიგენცია არც გამქრალა და არც გადაშენებულა. ახლა, უბრალოდ ინტელიგენცია არ მატულობს, არ ზრდის მას ქვეყანა და მისი განათლების ამჟამინდელი სისტემა, არ სჭირდება იგი ევროპულ ცივილიზაციას. პირველი დარტყმა ინტელიგენციას რუსეთში და სსრკ ხრუშჩოვმა მიაყენა. ჯერ ხელფასები შეუმცირა, მერე იდეოლოგია გაუყალბა, გმირები გაანიორნყლა, ქვეყნის მოლაპატეები გმირებად შერაცხა, წარსული შეუგინა. ვინც წინ აღუდგა, გაანადგურა, ვინც მხარში ამოუდგა, პროგრესულ ინტელიგენციად მონათლა და გამოიყენა იგი მისი მოქმედების გამამართლებელ არმიად. გაიზარდა იდეოლოგიურად დაშტამპული თაობები. ასე გაჩნდა ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას შეფარებული პრივილიგირებული ელიტა, რომელმაც მუქთად ისარგებლა საბჭოთა ქვეყნის ყველა სიკეთით და აზოგადობრივი კეთილდღეობით, მერე კორუფციის, ნეპოტიზმის, მექრთამეობის ინსტიტუტები დაამკვიდრა და ბოლოს ხალხი ისევ ექსპლუატაციის რეჟიმში ჩააყენა. მერე იმ სისტემას გამოუთხარა საფუძველი, რომელშიც გაიზარდა. ახლა ხელისუფლებაში

⁷⁶ Зиновьев: BOB выиграл советский десятиклассник. newsland.com/user/4297687684

⁷⁷ Бьюкенен П. Смерть запада. 10 "Дом, в себе разделенный...». М.:АСТ, 2003

და ბიზნესში ამოყო თავი და ქვეყანას ყვლეფს. ურცხვი და უტიფარია, არჩვენების წინ ხალხს ელაქუცება, ავადმყოფებს სახლში აკითხავს, საჩუქრებს უტოვებს და როცა ხელისუფლებაში მოდის, მერე იმ საჩუქრების გამო ასმაგ ტყავს აძრობს და ულუკმაპუროდ ტოვებს. „თვითონ მას არაფრის შექმნა შეუძლია, იგი მხოლოდ სხვის ინტერესებს ემსახურება, თუმცა მას ეჩვენება, რომ იგი საზოგადოების ძირეული ცვლილებების გენერატორია. „რეფორმების“ გამარჯვების შემდეგ მას მკაცრად მიუთითეს ადგილი-იგი ან ამართლებს ხელისუფლების ქვეყნისთვის დამლუპველ მოქმედებებს და ამისთვის მიიღებს გრანტებს, პრემიებს, საინფორმაციო სივრცეს და მთელი ინსტიტუტების მმართველობას, ან ოპოზიციაში დარჩება და მაშინ განწირულია ლატაკი არსებობისა და საინფორმაციო ვაკუუმისთვის“⁷⁸.

არსებობს საქართველოში ნიკო ნიკოლაძისეული ინტელიგენცია უნიჭიერესი, მამულის მსახური, ხალხზე მზრუნველი, და ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის დაულალავი მეზრძოლი, მაგრამ წინმავალი ჯერ ვერ მოიძებნა ანუ არიან ინტელიგენტები, ჯგუფური ერთეულები, რომლებიც ორგანიზაციულ მთლიანობას ვერ ქმნიან, უხილავი კავშირის ძაფები არ გაბმულა მათ შორის. ახლა ამ ძაფების დეფიციტის გამო ისე უჭირთ, როგორც უჭირდათ მაშინაც, მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში, ვიდრე მას ილია ჭავჭავაძე არ გამოეცხადა.

ჩვენი ცხოვრება ვერ დაელოდება ლიდერის გამოჩენას, იგი ქვეყნის სიკეთისთვის ბრძოლაში ჩაბმული ინდივიდუალური და ჯგუფური მოღვაწეობიდან უნდა დაიბადოს. ამის მაგალითებია პროფესორ პაატა გიორგაძის და მისი მეცნიერთა ჯგუფის დაულალავი შრომა საქართველოს მინისტრებმა სასმელი წლის რეზერვების მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში მოსაქცევად ხალხ-

⁷⁸ Какковы роль и место интеллигенции в судьбе современной России? yablor.ru/blogs/kakovi-rol-i...копия

ისა და სამშობლოს კეთილდღეობის მიზნით, პროფესორ რამაზ გახოკიძის გამოგონებები, რომლის დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას და დაიცავს ხეხილს ფაროსანას მავნებლობისაგან, ქვეყნის პატრიოტი ქართველების არსებითი რეაქციები და წინააღმდეგობები იმ ქმედებებისადმი ფულზე დახარბებულები რომ ამჟღავნებენ ეროვნული სიმდიდრებისადმი, საკუთარი მოსახლეობისადმი. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. მართალია მასმედიის ყველა საშუალება მონოპოლიზებულია გლობალისტების მიერ, დაკავებული აქვთ განათლება საბავშვო ბაღიდან უმაღლესი სასწავლებლის ჩათვლით. მაგრამ დარჩენილია ხალხთან პირადი კონტაქტების მინდორი, სადაც ფინანსურ კლანებზე მიბმულ ეპიგონებს მისვლა არ შეუძლიათ თავიანთი უსუსურობის გამო. სამაგიეროდ ნამდვილი ინტელიგენტისთვის თავისუფლების სივრცეა, სადაც იგი თავის ადგილს პოულობს. ინტელიგენცია ხალხთან კავშირია. ამიტომ საჭიროა ხალხთან მისვლა, მასთან შეხვედრები, საუბრები ეკონომიკაზე, თუ რატომ ვართ ღარიბები, როგორ გამოვიმუშაოთ რწმენა და იმედი, დავანახოთ როგორ დანინაურდნენ ბოლო 20-30 წლის მანძილზე სამყაროს ყოფილი ჩამორჩენილი ქვეყნები, რას ითხოვს ადამიანისაგან თანამედროვე ეკონომიკა. მოენყოს სამხრეთ კორეის, მაღაიზიის, ინდოეთის, სინგაპურის შესახებ გახმაურებული წიგნების განხილვა; საუბრები რელიგიასა და ეკონომიკაზე. ჩატარდეს პრაქტიკული სემინარები ფიზიკური ეკონომიკის შესახებ. მოსახლეობის ჯგუფებთან ერთად დამუშავდეს გრანტები, მცირე საწარმოთა პროექტები, რომლის რეალიზაციას თვითონ ინტელიგენტები უნდა ხელმძღვანელობდნენ. მივებმაროთ მათ თავიანთი პრობლემების გადაწყვეტაში. ისე როგორც ნიკო ნიკოლაძე მიეხმარა აჯამეთის ტყის მახლობელ მაცხოვრებლებს ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის სვიატოპოლკ-მირსკისაგან ტყის გამოსასყიდად ფინანსური წყაროების გამოძებნაში. დიდი ჯიხაიშის სოფლის მოსახლეობას აჩვენა როგორ უნდა მოენყოს

ოჯახური მეურნეობა, რომ შრომას პროფესიული ცოდნა სჭირდება, ხოლო პროფესიულ ცოდნას-გამოყენება.

საჭიროა ამოქმედდეს საკვირაო სკოლები მჭიდრო დასახლებებში, ეკლესიებთან, და მუშაობაში მონვეული იქნან გამოცდილი მენარმეები, მცირე ბიზნესის მეპატრონეები, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებით დაინტერესებული სხვა პირები. ამგვარად უნდა დაინყოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ფორმირება, რომელთაც ერთმანეთთან თანამშრომლობის ინტერესები დააკავშირებს, რომელიც საბოლოოდ სამშობლოს ერთიანობაში ფიკუსირდება. გაერთიანება მასების ერთსახად ქცევას, მათ მთლიანობას ნიშნავს. ერთიანობაში არის ძალა, ამიტომ ცდილობდნენ ისტორიის გრძელ მანძილზე ხალხთა ძალით გაერთიანებას და ამით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სახელმწიფოები და იმპერიები. ვილაციის გულისთვის იღვრებოდა და ახლაც მუქთად იღვრება სისხლი. აიძულო ადამიანები იყვნენ ერთად, ბოროტებაა. მაცხოვარმა შესძლო ადამიანების მოქცევა ერთად სიტყვის საშუალებით და აუწყა მათ, რომ რწმენაში ერთიანი ყოფილიყვნენ. „მაგრამ გევედრებიან თქვენ, ძმანო, უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახელით, რომ ერთ გქონდეთ ყველას სათქმელი, და ნუ იქნება თქვენს შორის განხეთქილება, არამედ განმტკიცებულნი იყავით ერთი გონებით და ერთი აზრით“ (პირველ კორინთელთა მიმართ. 1. 10). ერის სიბრძნე მის ერთიანობაშია. ერთიანობის მატარებელია სიყვარული, ღვთისა და მამულის მსახურება. სიყვარული ღვთიურია, ვინაიდან ღმერთმა ადამიანი სიყვარულით შექმნა და მისი არსებობისთვის ყველაფერი გაუკეთა, მსხვერპლი გაიღო. სიყვარული მეორე ადამიანისადმი სამსახური და მსხვერპლის გაღებაა. ამდენად ინტელიგენციის, როგორც მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების უმაღლესი შეგნების ინსტიტუტის შინაგანი მოთხოვნილებაა იყოს ქვეყნისა და ხალხის მსახური. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანი ერთნაირად აზროვნებდეს, ყველაფერზე ერთიანი შეხედულება ჰქონდეთ,

ერთი ჭკუისანი იყვნენ. ყველა ადამიანს თავისი აზრობრივი შესაძლებლობა აქვს და აქედან გამომდინარე შრომის საკუთარი არჩევანი გაჩნია, მაგრამ როცა საქმე ეხება „მამულის სიყვარულსა და მსახურებას“, ქვეყნის მომავალს, ხალხის კეთილდღეობას, მაშინ ალტერნატივა არ არსებობს, მხოლოდ აზრის ერთიანობაა მთავარი. ახლა კანაფის „ინდუსტრიალიზაციის ეპოქას“ იწყებენ და გაუკვირდათ სამღვდელოების აღშფოთება და იმცხეთეს: ამათ რა ეკითხებაო. რას ჰქვია არ ეკითხება, ეს ერის, ქვეყნის არსებობის საკითხია. ვერ გაგვიგია დღემდე, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა გამოყოფა კი არა, პირობითი გამიჯვნაა. განა შეიძლება ქვეყანაში ორი სახელმწიფო იყოს? ან ერთ სხეულში ორი ადამიანი? არა კაცს ჰკლავს, არ იქურდობს...მაგრამ ჰკლავენ, ქურდობენ. ეკლესია მოგვიწოდებს, რომ უნდა შეუნდო, აპატიო. არ იპაროს, არ იქურდოს, აზროვნების შექმნას პირობები, დრო უნდა, აღზრდა უნდა. ამიტომ საერო ცხოვრება იღებს მკვლელობის და ქურდობის შემაკავებელ კანონს, იწყება აღზრდა, გავა თაობა და მერე ასეთი კანონი შეიძლება საჭირო არც იქნეს. ამდენად სახელმწიფოს და ეკლესიას შორის თანამშრომლობაა და არა ერთმანეთისაგან გამოყოფა, არა დაცალკევება. ეკლესია ადამიანის ზნეობრივი მხარის შემავსებელი ნახევარსფეროა. არის კიდევ ამ გაუგებრობის მეორე მხარე. განა ეკლესიის მსახური ინტელიგენტი არ არის?

აქ რომ წერტილი დავსვი, მერე თბილისის ერთ უნივერსიტეტში მომიხდა წასვლა ლექციის წასაკითხად ნიკო ნიკოლაძის 175 წლის იუბილესთან დაკავშირებით. გამოიკვეთა აზრი, რომ ტერმინი „ინტელიგენცია“ მოძველებულია და მის ადგილზე სიტყვა „მეცნიერი“ უნდა ჩავანაცვლოდ, რომ ქვეყანა მეცნიერებმა უნდა მართონ. მერე მართეთ, ბატონებო, რას ელოდებით! უცნაურია!!! ჩვენ ხალხს და თქვენ მეცნიერებსაც მსოფლიო ფინანსურმა იმპერიამ წაგვართვა ხელისუფლება. ვინ უნდა დააბრუნოს იგი ქვეყნის სამსახურში თუ

არა ისევ მეცნიერებამ და ეკლესიამ. და კიდევ: როდის იყო, რომელ ეპოქაში იყო მეცნიერები რომ მართავდნენ ქვეყანას. პოლიტიკოსები მართავენ ქვეყანას მეცნიერებთან თანამშრომლობით. ასეთები იყვნენ: ალექსანდრე მაკედონელი, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ მეექვსე, ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი, ჯონ კენედი და სხვები.

ინტელიგენტი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეცნიერზე მეტია ღვთის რწმენითა და ქვეყნისადმი მსახურების პასუხისმგებლობის შეგნებით. აქ, რა თქმა უნდა, არანაირი დაპირისპირება არ არის. ერთია მეცნიერი, რომელიც თავის საქმეს ჩაჰკირკიტებს და ეს მისი აქარსობის მიზანია, დანარჩენი მისთვის მეორადია: სახელმწიფო პოლიტიკა, გლობალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა თუ ეფექტიანი ეკონომიკური სისტემები. ასეთი ტიპის მეცნიერები არიან დიდი ფასეულობანი და საჭიროებანი ჯერ თავისთავად, მერე კიდევ დიდი ადამიანებისთვის. ნაპოლეონ ბონაპარტი გენიალური ადამიანი იყო და იცოდა ინტელექტის ფასი. 1796 წლის 24 მაისის წერილში იუწყება: “მოუწოდებ მეცნიერებს გაერთანდნენ და წარმომიდგინონ თავიანთი მოსაზრებები იმ ღონისძიებებზე, რომელიც მე უნდა მივიღო, ან იმ საჭიროებებზე, რასაც ისინი განიცდიან, რათა მეცნიერებასა და ხელოვნებას ახალი სიცოცხლე და ახალი არსებობა მიეცეს”⁷⁹. ასე იქცეოდნენ სხვა გენიალური სახელმწიფო მოღვაწეებიც. ჩვენ რა გვინდა, ამ ხელისუფლებამ დაუძახოს მეცნიერებას, თუ მეცნიერებამ აიძულოს ხელისუფლება მობრუნდეს ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად?

ხელისუფლებას რაში ესაჭიროება მეცნიერები ან მეცნიერება, ან რა თავში იხლის მერე რა, რომ მისი მორჩილი და ფეხქვეშ გათელილია ქვეყნის კეთილდღეობა?! მისთვის ქვეყანა

⁷⁹ Наполеон I в его отношении к наук-Flot. com <https://flot.com/publications/books/shelf/.../68.htm>

რომ სალაფავია, არ გაგვიგია თუ ვერ ვხედავ?! გაზაბნეულე-ბი ბუას ამტუტებენ: ამას ხალხი არ მოითმენსო! როდის იყო ბრბო (უმუშევარი მასა ხომ ბრბოა და არა ხალხი) თვითმავალი ქვემეხი, თუ ისევ პროლეტარიატის ექსპრორპიაციის მატარებლის ლოკომოტივის გუგუგნი გვესმის მინაზე დაყურადებით „ნატვრის ხის“ კახი კავსადის იორამის გმირივით? ბრბო მასად უნდა იქცეს თავისი ქვეყნის მებრძოლი სულიერი წინმავალი მექანიზმის წყალობით მის მოძრაობაში მოსაყვანად გარკვეული მიმართულებით. ეს როლი აკისრია მის ცოცხალ, საუკეთესო, მენინავე ნაწილს ინტელიგენციას, რომელიც ახლა სუსტია და ელიტად ქცეული მსოფლიო მთავრობაზე პრეტენზიული, ქვეყნის გარედან დანიშნული საშუალო და დაბალი ნიჭის მდაბიო მასაზე არის დამოკიდებული. “როგორც არასდროს ინტელიგენცია დაბნეულია და უსასრულოდ დანაწევრებული წრეებად და ჯგუფებად. ამასთან, ის, როგორც ყოველთვის, გაუთავებელი უნაყოფო მსჯელობებით დაშორებულია მისი სამშობლოს ბედის პასუხისმგებლობისაგან”⁸⁰.

სამშობლოს მომავალი წარსულისა და აწმყოს კრისტალიზებული სულიერი პოტენციალის ახალი გამონათებაა. დრო მოძრაობაა, სიცოცხლეა, მაგრამ საკმარისია შეაჩერო შენი დრო ან მას წერტილი დაუსვა თუნდაც პირობითი, რომ წარსული წინა დრო იქნება. ამდენად სწორია გამოთქმნა: ხუთი დღის წინ და არა ხუთი დღის უკან, ვინაიდან უკან მიბრუნებისას წარსული წინაა.

სოციალურ ქსელში ჩემი სტატიების ნაწყვეტებზე გამოხმაურება მაიძულებს კიდევ ერთხელ მივუბრუნდე სიტყვა „ინტელიგენციის“ გამო წარმოქმნილ რეპლიკებს. არ ვარგა სიტყვის დაწუნება მისი ენობრივი წარმომავლობის პრეტენზიით. არც თუ იშვიათად ნაჩქარევი შეფასებები უხერხულ მდგო-

⁸⁰ Каковы роль и место интеллигенции в судьбе в современной России? Сообщество «Клуб интеллектуалов»-11.08.2013

მარეობებს უქმნის მის ავტორებს. მაგალითად, ზოგი გვიმტკიცებს, რომ სიტყვა „ინტელიგენცია“ რუსული წარმოშობისაა, მარტო რუსულ ლიტერატურაში გამოიყენება, რაც არასწორია. ყველა განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება ეს სიტყვა, მაგრამ არა ისე გავრცელებულად, როგორც რუსულში. სიტყვა ინტელიგენცია იპოვება ლონდონ ლარუშის გახმაურებულ შრომაში „ფიზიკური ეკონომიკა“. ჩვენთვის ახლა მთავარი სიტყვა „ინტელიგენციის“ წარმომავლობის ძიება კი არ არის, მთავარია, რომ ინტელიგენცია ჩვენთვის ერის მსახურებასთან ასოცირდება, ხალხის პატრონად მოიაზრება. უფრო სწორად, ინტელიგენცია იყო ერის სხვა დანარჩები ფენების ქომაგი და პატრონი.

ნიჭიერ ახალგაზრდებს სასწავლებლად აგზავნიდნენ საზღვარგარეთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი, პირადი ხარჯებით, პენსიებს უნიშნავდნენ ღვანლმოსილ ადამიანებს. ახლა ამ ფუნქციებს ფინანსური კლანები ასრულებენ იმ განსხვავებით, რომ მსოფლიო ქვეყნების ნიჭიერ თაობებს თავის მსახურებად იქმნიან. მარტო ჩემი ხილული სივრციდან რამდენი ახალგაზრდა დააკლდა ქვეყანას საზღვარგარეთის ათასგვარი კონკურსებისა და გრანტების მეშვეობით. ახლა იმათ ამ ღირებულებაში დაბრუნების არანაირი ინტერესი არ გააჩნიათ. „ტვინების გაღინების“ სტიმულების ეფექტიანობა თანდათან მატულობს. როგორ გადავაქციოთ ეს პროცესი ქვეყნის სასარგებლო მოვლენად? ტელევიზიებიდან და მასმედიის სხვა საშუალებებიდან მონოდებები საქმეს არ შველის. გინდ ამ ხელისუფლებისთვის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება გითხოვია, გინდ ყრუმუნჯისთვის სიმღერის სწავლა დაგიძალებია. რას წარმოადგენს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ან საერთოდ რა არის ახლა ხელისუფლება?

თუ ეს უბედური ცხოვრება რამდენიმე ხანი კიდევ იმ გზას გააგრძელებს, რომელზეც დგას, მერე სამშობლოს ხელისუფლებაში ხეირიან ქართველს ვერ ვიხილავთ. „ჩვენ ვართ გა-

დაშენების გზაზე დამდგარი მომხმარებელთა და არა-შემოქმედებით ადამიანთა საზოგადოება. თქვენ და თქვენი თაობა მაშინ შეძლებთ გადარჩეთ, თუკი მოახერხებთ საკუთარ ხელში აიღოთ ცხოვრების სადავეები“⁸¹.

⁸¹ ლარუში. ლ. ინტერნაციონალური ახალგაზრდული მოძრაობის ნევრები-სადმი. ნიკო-გუნია.გე

**საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები
ნიკო ნიკოლაძის შრომაში "მამულის სიყვარული და
მსახურება"⁸²**

გადმოცემულია ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული შეხედულებები საზოგადოებრივი განვითარების იმ პერიოდზე, როცა შესამჩნევი ხდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. წარმოჩენილია დიდი ნიკოსეული თვისებრივი პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც პატრიოტს უნდა ჰქონდეს, რომ ქვეყნისა და ხალხის სამსახური შესძლოს. გამორჩევით განხილულია ნიკოლაძისეული თვალსაზრისის ის მიმართულებები, რომლებიც დღესაც პრობლემურია თანამედროვე საქართველოსთვის.

„ღვთის მაღლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა ამ დღესაც მოვესწარი“ – ასე იწყებს ნიკო ნიკოლაძე თავის შრომას და იქვე აღნიშნავს, რომ ბოლო 15-20 წლის მანძილზე ასეთი რამ არ შეინიშნებოდა და ყველა თავის თავზე ფიქრობდა-რა ვიშოვნო, რა შევიძინო და სამსახურში როგორ დავწინაურდეთ. ამის შემდეგ ამნაირი დღე ჩვენს მამულს ღმერთმა ნუ მოასწროსო. დანვრილებით აღწერს იმ პერიოდს, როცა ქართველს ოღონდაც პირადი კეთილდღეობისთვის მიეღწია და სამშობლოს გამყიდველთანაც კი იჭერდა საქმეს. ყველაფერს პირადი სარგებლის პრიზმაში უყურებდა.

⁸² შრომა დაიწერა 1879 წელს. პირველად 1880 წელს გამოიცა, მეორედ 1914 წელს, მესამედ 1985 წელს დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მე-7 ტომში. იმ წიგნის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში აღნიშნულია, რომ შრომას ჯეროვანი ყურადღება არ მოჰყოლია. 140 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ბატონი ნიკოს ეს ნაჯაფარი კვლავ რჩება ჩვენი ცხოვრების უმთავრეს პრობლემად, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენი სამშობლოს მომავალი.

არც თავისი თვისტომის ჩაშვებასა და დაბეზლებას თაკილობდა, ქართულ ენასაც არაფრად აგებდა – რაში გამომადგებაო.

ბატონი ნიკოს შრომა მიძღვნილია ინტელიგენციისა და სახელისუფლო ინსტიტუტებისადმი, რომელთაც მამულის მსახურების პასუხისმგებლობა აკისრიათ და ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა მოხელისა და ჩინოსნისაგან განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს ანუ ლიდერი უკეთილშობილესი თვისებების, მაღალპროფესიონალური ცოდნის პიროვნება უნდა იყოს. ხელისუფლებისაგან მიუღებლად მიაჩნია ისეთი ეპითეტების მოშველიება, როგორიცაა ქვეყნის სიყვარული, პატრიოტი, მართლმადიდებლური რწმენა, ენების ცოდნა. ასეთ ხალხს იგი ცრუ პატრიოტებს უწოდებს. „ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი გრძნობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიკურ სამართლიანობას გვიახლოებს, ჩვენის მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის გათავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულ-მდგომარეობისაგან... გაუადვილეთ ხალხს სხვითვის შრომისაგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მიწა დაუმკვიდრეთ, და მუქთახორებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, ნამდვილი რეალური სიკეთე მიუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხ-

ის ნდობის მოპოვება...აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მისი მსახურებაც გცოდნიათ“⁸³.

მივეჩვიეთ სამშობლოს სიყვარულის ყოფით, პრიმიტიულ გაგებას, როგორც შინაგანი გრძნობის გამოხატულების პოზიციას ქვეყნის მიმართ, როგორც ეპითეტს თავის მოწონების მიზნით, რომლის უკან არანაირი კეთილი საქმე არ ილანდება. სწორედ ამნაირ ხალხს უწოდებდა ბატონი ნიკო „ცრუპატრიოტებს“, რომელთაც ენაზე აკერიათ მამულის სიყვარული, ხოლო რეალურად მხოლოდ თავისთავზე ფიქრობენ. სამშობლო განყოფილ სუფრასთან ახსენდებათ ბახუსის ემხში შესულებს, თავის მოსაწონებლად. რომელი ჩვენთაგანი არ შესწრებია ამნაირ სუფრებს, როცა ხელიდან გავარდნილი, ქვეყნის დამაქცევარი სამშობლოს სადღერგძელოს ყანნით სვამს და ყრუანტილის მომგვრელ ლექსსაც მიაყოლებს. ამნაირ კაცს სიყვარული მხოლოდ განცდა და გრძნობა ჰგონია. მაშინ როცა სიყვარული ღვთიური მსახურება და პასუხისმგებლობაა. ამიტომ ხელისუფალი მორალურ-ზნეობრივი-მაღალპროფესინალური-პატრიოტი, იშვიათი ღირსებების ადამიანი შეიძლება იყოს. ბატონ ნიკოს პეტრე პირველის, ეკატერინე მეორის, ერმოლოვისა და ვორონცოვის რეფორმატორული მაგალითები მოაქვს დასახელებულ შრომაში. იმასაც ხაზს უსვამს, რომ პეტრე პირველი და ერმოლოვი ხისტი მეთოდებით სარგებლობდნენ, ხოლო ეკატერინე მეორე და ვორონცოვი ლიბერალობით გამოიჩინოდნენ. იგი ხელისუფლების მოსურნე ორ ტიპს გამოყოფს: ფანატიკოსსა და ანგარებიანს. პირველს სახელის წყურვილი, თანამედროვეთა და შთამომავალთა პატივისცემის მოპოვება სურს, რომელსაც ცილისწამების, ბინძური თავდასხმების, აუტანელი შეურაცხყოფის გადატანა უწევს. ანგარებიანი ყველაფერს კადრულობს, პასუხისმგებლობას არაფრად მიიჩნევს, ოღონდ კეთილდღეობას მიაღწიოს სხვების ხარჯზე. ვერ ხედავდა დიდი ნიკო იმ

⁸³ ნიკოლაძე ნ. მამულის სიყვარული და მსახურება. თხზ.ტ.7. გვ.329-331

დროს ხელისუფალის პირველ ტიპს საქართველოში. ანგარებიანი ხალხი კი ზედა ეშელონებში მოხვედრაზე ზედახორას ქმნიდნენ და ყველაფერს კადრულობდნენ.

ნიკო ნიკოლაძე განუმეორებელი ტალანტია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელსაც არა მარტო უზარმაზარი თეორიული განათლება ჰქონდა და სიცოცხლის ბოლომდე აფართოებდა მის ჰორიზონტს, არამედ შეეძლო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ჰქონდა შორსმჭვრეტელური ინტუიციური ხედვა...როცა ის ზემოთ დასახელებულ შრომას წერდა, მაშინ მეცნიერება ტექნოლოგიების ციკლურ ხასიათს არ იცნობდა, რომელიც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა ნ. კონდრატიევის მიერ. პირველი ტექნოლოგიური ტალღა 1790 წლიდან იწყება, როცა საქსოვი დაზგა გამოიგონეს, რასაც ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების მასობრივი გამოცოცხლება მოჰყვა. ნიკო ნიკოლაძე ხედავდა და გრძნობდა იმ ცვლილებებს, რომელსაც სტიქიურ ძალას უწოდებდა, რომლებიც დრომ გამოიწვია და რომელიც სკრუპულოზურ შესანავლას მოითხოვდა, რათა იგი საზოგადოების სასიკეთოდ გამოყენებულიყო. თუ ქვეყანა პროგრესს ვერ მიხვდება და მის ბორტს მიღმა დარჩება, თვისტომობას ანუ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებს. თუმცა მისი შემჩნევა ძნელია და როგორც თვითონ წერს, მერე ქვეყნებს რთული გზის გავლა უხდებათ. ამის მაგალითად მას რუსეთი მოჰყავს და პეტრე პირველის და ეკატერინე მეორეს რეფორმებს იმონებს, რისი წყალობით მაშინ რუსეთი ფეხზე წამოიმართა და ევროპის ყურადღებაც დაიმსახურა. საქართველოში მას მ. ვორონცოვის რეფორმები ხიბლავდა, და მოსწონდა კიდევ მისი გატარების მეთოდები ერმოლოვთან შედარებით.

ბატონი ნიკო ხაზს უსვამდა იმასაც, რომ პროგრესს თავისი პიონერი და მიმდევარი ქვეყნები ჰყავს, რომლითაც განპირობებულია ამ ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხარისხი. იგი იზიარებდა განვითარების სტადიების კლასიფიკაციას და ახასიათებდა მის ოთხ პერიოდს. პირველს

უნოდებს ყრმობის პერიოდს, როცა ხალხი სხვაზეა დამოკიდებული და თვითშემოქმედებითობის უნარი დაკარგული აქვს. მეორე პერიოდს მიმბაძველობას არქმევს, როცა ქვეყანა უცხოელთა დანიანურებას ხედავს და მონურად ბაძავს მას. მესამე ისეთი პერიოდია, როცა ხალხი დარწმუნდება, რომ მიბაძვა მნიშვნელოვან წარმატებებს არ აძლევს და ტრადიციული განვითარების გზებს უბრუნდება. მეოთხე პერიოდი ეს არის – **самобытного творчества**, რომელსაც იგი თვითმყოფად შემოქმედებად თარგმნის. ამ პერიოდს ახასიათებს უცხოური მიღწევების ეროვნულ თავისებურებებთან შეხამება, ინტეგრაცია.

ბატონი ნიკო აღნიშნავს, რომ მიბაძვის პერიოდი ერთობ ხანგრძლივი იყო ჩვენში, მტერი მოსვენებას არ გვაძლევდა, ერთს მეორე მოჰყვებოდა, მეორეს-მესამე და ედგა ქვეყანას გაუთავებელი რიგი ისტორიის გრძელ მანძილზე. ერთმანეთში აირია ეროვნული და უცხოური. ამიტომ იგი ამ შრომაში საჭიროდ მიიჩნევს წარსულის საფუძვლიან შესწავლას, რათა გაირკვეს რომელი ჩვეულება, წესი და ზნეობაა ქართული, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა. არც მაშინ უსმინა და არც ახლა არავინ უსმენს ბატონ ნიკოს, უკან გახედვა არ გვინდა, წარსული საჭირო არ ყოფილა და თურმე მხოლოდ გავეროპელება გვიშველის. ერის სამომავლო ენერგია წარსულიდან გენერირდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ჩაკეტილი და სხვებისაგან იზოლირებული უნდა იყოს. ისევე როგორც არც იმასაც, რომ საზღვრები მოვშალოთ და ყველაფერი უცხოური მივიღოთ. ზარივით რეკავს ბატონი ნიკოს შეხსენება: „კერძო პირი ხშირად ვერც კი ხედავს, თუ თვითონ მას რა ისტორიული ძალა ამოქმედებს, რა ბუნების ძალას მიჰყავს ის ხან წინ, ხან უკან... ჩვენში ზოგიერთს ყმანვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდებაო...“⁸⁴. რუსეთის მაგალითი მოაქვს სლავიანოფი-

⁸⁴ ნიკოლაძე ნ. თზზ. ტ. 7. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ.313

ლობაზე და არჩევს მის ოთხ თვისებას. პირველ თვისებად მედიდური თავმოყვარეობა მიაჩნია, როცა ყველაფერი რუსული საუკეთესოა და უცხოური ბილწი და საძაგელი. მეორე თვისებად კარჩაკეტილობას თვლის, როცა სხვა ქვეყნების ცხოვრება და პროგრესი მისი ინტერესების სფეროში არ ექცევა, არაფრად მიაჩნიათ მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესი. მეოთხე თვისება სლავიანოფილებისა უცხო ნაციონალობის დევნა იყო. ვერ იტანდნენ გერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს. მათი პროდუქციის ქვეყანაში შემოტანას არავის ანებებდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ რუსეთი ევროპას ყველაფერში ჩამორჩებოდა. მაგრამ იმპერიალისტურ რუსეთს ჰყავდა ინტელექტუალები, რომელთაც კარგად ესმოდათ, თუ რა უნდა ეკეთებინათ ჩამორჩენილი რუსი ხალხის ცხოვრების აღმავლობისთვის. მათი საქმე და აზრი თანდათან იმარჯვებდა და ხალხშიც მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა, როგორც პატრიოტებისა. ამის გამო იყო, რომ საზოგადოებას თანაგრძნობა გაუჩნდა მამულის ბედზე. ჩამოყალიბდა ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც პატრიოტულ მოძრაობას მიეცმასნენ. ბატონი ნიკო იმათ ცრუ პატრიოტებს უწოდებდა. ვინც მე ადრე პატრიოტობის გამო სულელად მთვლიდა, ახლა პატრიოტობაში ათიათასჯერ გადამაჭარბესო.

ცრუ პატრიოტს ბატონი ნიკო არქმევს იმასაც, ვისაც სამშობლო შესაძლებელია, მართლაც, უყვარს, მაგრამ მარტო იგი საკმარისად არ მიაჩნია, ვინაიდან ეს პატრიოტიზმზე, მამულის სიყვარულზე მცდარი წარმოდგენაა. მამული, ადგილის დედა ყველას უყვარს, ცხოველებსაც კი. სამშობლოს სიყვარული მათთვის ბუნებრივი მოვლენაა და მისი საჯაროდ კვენხა სისულელედ მიიჩნია. მამულის სიყვარული, მისი აზრით, მოვალეობაა, რომელიც ბევრს არ ესმის – თუ როგორ შეიძლება მისი აღსრულება, და იქვე სვამს კითხვებს:

„მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსახურება? რაში მდგომარეობს ის საზოგადო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს

სჭირია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა ემსახუროს?“⁸⁵.

ამ კითხვებზე პასუხების გაცემამდე, ბატონი ნიკო არკვევს, თუ რამ გამოიწვია სამშობლოს ჩამორჩენა დანინაურებული ქვეყნებისაგან. თუკი ოცი საუკუნე საქართველო მაინც ახერხებდა მრავალრიცხოვან მტრებზე გამარჯვებას (რომლებიც უწვევტ ნაკადად აწყდებოდა საუკუნეების მანძილზე), ამას თავისი ეპოქის საკადრისი განათლების წყალობით აღწევდა. მერე ქვეყანა მეცნიერების განვითარებას ჩამორჩა და მამული გადამთიელებმა ცხრა მთას იქედან დაგვინგრიეს. აქ დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ქართველთა შინაგანმა დაპირისპირებამ, ერთმანეთის გაუტანლობამ, შურმა და მტრობამ ურთიერთშორის, რასაც მერე საკუთარი თავის რწმენის დაკარგვა მოყვა – წერდა დიდი ნიკო. მისი აზრით გამოსავალი იმაშია, რომ ქვეყანა მსოფლიო კავშირურთიერთობებში ჩაერთოს და მეცნიერება აითვისოს, ასწავლოს თავის ახალგაზრდობას სხვა ქვეყნების საუკეთესო სასწავლებლებში, რათა მერე იმათ თავიანთი ცოდნა სამშობლოს მოახმარონ.

ქვეყნისთვის დიდ უბედურებად მიაჩნდა მხოლოდ სხვა ქვეყნებისადმი მარტო მიბაძვითი ცხოვრება, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი და ოცნება, როცა საქვეყნო საქმისთვის არა სცალიათ, მხოლოდ კერძო მადას იკმაყოფილებენ, განცხრომას ეძლევიან, მდიდრულ ცხოვრებას არ იკლებენ, ათასობით ფულს ფლანგავენ, უმიზნოდ ხარჯავენ, ბანქოში/კაზინოში აგებენ და გაჭირვებული ადამიანისთვის, საზოგადო საქმისთვის კაპიკი არა ემეტებათ, სამშობლო მხოლოდ თავისთვის უნდათ. "ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერებით აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად

⁸⁵ იქვე, გვ. 323

მინაში მარხავს, უმოქმედოდ ჰფლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე თავისი პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოდ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხი იღლება, სუსტდება და სრულიადაც ქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფანტება უხეიროდ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც იღევა ხალხის გონებითი და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშპობა და სამდურავი იბადება, ერთობა იკარგება და ხალხი ორ ბანაკად იყოფა, ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანაკად... რასაკვირველია, უმიზეზოდ როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად ეს უბედური განაწილება და განხეთქილება⁸⁶. ვისაც მამული უყვარს – აცხადებდა ბატონი ნიკო, იგი ვალდებულია აღმოფხვრას ხალხში ასეთი უთანასწორობა, უსამართლობა, ფულის უგუნური ფლანგვა და უსაქმური მასა საზოგადოებრივ შრომაში ჩართოს, ეკონომიკური სამართლიანობა შექმნას, ხალხს მდგომარეობა გაუუმჯობესოს, რათა ხალხი ერთ ძმურ ოჯახად იქცეს. „გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მინა დაუმკვიდრეთ, და მუქთახორებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური მოუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება... აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მისი მსახურებაც გცოდნიათ“⁸⁷. ყოველივე ამის ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასთან ასოცირება იმაზე მიაჩნდება, რომ მდგომარეობა ახლა გაცილებით უარესია და ხელისუფლება თავისი

⁸⁶ იქვე, გვ. 329

⁸⁷ იქვე, გვ. 331

ხალხის ახალი ხარისხის მტერია და მისი ხალხისთვის საერთოდ არა სცალია, პირიქით, ათასგვარი პიარებით ცდილობენ თავი ქვეყნის პატრონებად წარმოაჩინონ, ქვეყნის გარეშე მომხრეები იპოვნონ, რათა თავისივე თვისტომი დაამარცხონ და საჯაროდ განაცხადონ, რომ მისი ქვეყანა ანტიდემოკრატიულია, ვინაიდან მას არაევროპული ორიენტაციის ხელისუფლება მართავს, რომ ამ მთავრობას რუსეთთან ურთიერთობა სურს. ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, ვინ უფრო მეტად ასიამოვნებს გადამთიელებს, ვინ უფრო მისაღები იქნება ფულიანებთან, მათ უცხოელ დამფინანსებლებთან. იკარგება/დაიკარგა რწმენა, უტევენ რელიგიას, ცდილობენ არაფრად ჩააგდონ ეროვნული ტრადიციები, შეურაცხველი წმინდანები, შეცვალონ ეროვნული აზროვნება, ხალხი სიბნელეში ამყოფონ, ახალგაზრდები ერთმანეთს გადაჰკიდონ, ქვეყანას მომავალი დაუჰკარგონ. "ნუთუ იქამდე დაეცა ჩვენი ხალხიც, იქამდე ბოლო მოელო საქართველოს, რომ ამნაირ უმომავლო და უიმედო ქვეყნად უნდა ჩავთვალოთ? ნუთუ მარტო იეზუიტური გზა დარჩენილა მის საშველად, მარტო ოინების, სიცრუისა და თვალების ახვევის გზა? ნუთუ ჩვენი ხალხი იმდენად დაცემულა, იმისთანა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ველარ აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ გზას, ვერ მოინელებს იმ საზრდოს, რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან აძლიერებს?"⁸⁸. იქვე იძლევა პასუხს თავისივე კითხვებზე და ამბობს, რომ ღვთის მადლით ჩვენი ხალხი შორს არის ამისთანა მდგომარეობისაგან, იგი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდნილა, ის სხვანაირი სამსახურის ღირსია. მისმა მეთაურებმა, თუ მართლა ქვეყანა უყვართ, თუ მართლა სწამთ სამშობლოს მომავალი სამართლიანი და ზნეობრივი ეკონომიკა უნდა დააფუძნონ. ამიტომ „მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივინდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლე-

⁸⁸ იქვე, 336.

ბაზე ვიშრომით-მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება და ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც⁸⁹. ბატონ ნიკოს ისევე სევდიანი განწყობილება უჩნდება და ეეჭვება, რომ მაშინდელი მთავრობა იმ საქმეს ვერ გაუძღვებოდა, ვინაიდან მიჩვეული იყო სხვის იმედად ყოფნას, გადაჩვეული იყო დამოუკიდებელ საქმიანობას. იმედი მხოლოდ ახალი თაობისა ჰქონდა, რომელიც ახალი ცხოვრებისთვის უნდა მომზადებულიყო.

დიდი ნიკო უღმობელი, შეუბრალებელი კრიტიკოსი იყო ყველას მიმართ, რომელსაც შეეძლო სამშობლოსთვის მეტის გაკეთება, ვიდრე აკეთებდა. მის სასტიკ კრიტიკას ვერ ასცდა ერის სულიერი მამა-ილია, საქართველოს ბუღბუღი აკაკი, ცნობილი ბელეტრისტი და მისი სიძე გიორგი წერეთელი და კიდევ მრავალი. ამავე დროს სულმნათი ნიკო ქომაგი და მასწავლებელი იყო უბრალო მშრომელი ადამიანისადმი. უგულლოს უწოდებდა მას, ვისაც თავისი ხალხის უბედურება გულთან არ მიჰქონდა, თავს არიდებდა, გვერდს უვლიდა მას. „ის სულ სხვანაირი სამსახურის ღირსია. ღირსია, რომ მისი საქმეც ისე წაიყვანოს მისმა მეთაურებმა, როგორც ყოველი ხეირიანი ხალხის საქმე წაყვანილა ქვეყნიერებაზე. ეს ჩვენი ხალხიც ღირსია, რომ გონება განვუვითაროთ, აზრის მუშაობას შევაჩვიოთ, საკუთარის ხელით მოვანმენდინოთ მისი წყლულები, საკუთარის ხელით გავამართვინოთ სამართლიანი განწყობილება, საკუთარის ხელით სიარული დავანყებინოთ, და ყველა ამას, ხომ, მარტო პირდაპირი, ყველასთვის აშკარა თვალსაჩინო შრომა მოიტანს...თუ მართლა საიმედოდ მიგვაჩნია ჩვენი ხალხი, თუ მართლა გვწამს მისი მომავალი, თუ მართლა და გულწრფელად გვინდა მისი მსახურება, ერთი სიტყვით, თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით-სამართლიანი ეკონომიკურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნე-

⁸⁹ იქვე, გვ. 338.

ობით-მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თვითონ გვაქვს, იმ მომავლისკენ უნდა მიუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა⁹⁰. მკითხველი იოლად მიხვდება იმას, რომ აქ დიდი ნიკო ინტელიგენციას მიმართავს, რომელც დღეს ქვეყანას არ ჰყავს და რომლის გარეშე ხალხთან კეთილურთიერთობების დამყარება შეუძლებელია. ახლა ხელისუფლებასა და ხალხს შორის უნდობლობის, ზიზღის, სიძულვილის, მტრობის, კლასობრივი წინააღმდეგობების კედელია აღმართული. დაპირისპირება კლასებს შორის კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება.

დღევანდელი საქართველოს 140 წლის წინანდელი ნიკო ნიკოლაძის „მამულის სიყვარული და მსახურება“-ასთან შედარება, ჩამორჩენილობის უარესობის სურათს გვიხატავს, ვინაიდან მაშინ თუ იფხიზლებდა საქართველო, ახლა „დუმილი რეკავს“ – მოსახლეობა თავანწყვეტილი გარბის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში „შავი სამუშაოს“ საძებნად და კერძოდ როდის დაუბრუნდება და როგორ, ამის საფიქრელად ჯერ არ მოუცლია... „მამულის სიყვარული და მსახურება“ ლიტონ წინადადებად იქცა და ქორნილისა და მიცვალებულის გასვენების სუფრაზე რიტუალური ფორმალობა გახდა.

– სხვა ქვეყნებზე მიბაძვის ნაცვლად მივიღეთ დასავლური ცხოვრების გაღმერთება და ყოველივე ეროვნულის გაუფასურება, ჩამორჩენილობად და ძალადობად გადანათვლა.

– ნამდვილი სწავლა-განათლება უკუვაგდეთ და ფსევდოლოგიზმებით ვიტყუებთ თავს. მეცნიერება გვერდზე მიაგდეს და საერთოდ არც აინტერესებთ არც მეცნიერება და არც მეცნიერები.

– წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ხალხს გა-

⁹⁰ იქვე, 337-338

ნათლების მიღებაში ეხმარებოდა, თანამედროვე განათლების სისტემა აზია-აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნების საგანმანათლებლო პროგრამებს იყენებს და კრიტიკული აზროვნების განვითარების ნაცვლად ინფორმაციის დამახსოვრების სტერეოტიპებს შტამპავს.

– სამშობლო გაგებულება დაბადების შემთხვევის ადგილად, ხოლო საზოგადოებრივი აზროვნების სივრციდან იდევენება პასუხისმგებლობისა და მამულიშვილობის ღირსებები.

– ქვეყანა დაეცა და დასუსტდა არა მარტო შინააშლილობით და გაუტანლობით, როგორც მაშინ წერდა ნიკო ნიკოლაძე, არამედ სიხარბითა და ფულის რელიგიის აზროვნებაში „ინვესტირებით“, როცა ადგილობრივი ხელისუფლება უცხოური ოილიგარქების დაქირავებული აგენტია საკუთარი ქვეყნის წინაშე.

– იდევენება მართლმადიდებლური სარწმუნოება და ეკლესია, ხოლო ენა ქართული ირყვენება ნეოლოგიზმებითა და ბარბარიზმებით და მას არანაირი სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა არა აქვს.

– ქვეყანა მოიცვა სპეკულაციამ და ფიზიკური წარმოება ლამის პარატიზანულ აქტივობად იქცა. რომლის შედეგია პრიმიტიული აზროვნების მოქალაქეობრიობის გაფართოება.

– კერძო სარგებლის ძიება მოერია ინტელექტუალურს და მთლიანად შთანთქა იგი. მთელის უპირატესობა დაიკავა მერიზმის გაძლიერებამ, დაირღვა სამშობლოს მთლიანობის გაგება.

– მშრომელი, სახელისუფლო სამსახურების გარეთ დარჩენილი მოსახლეობა უმკაცრესი ექსპლუატაციის სფეროში მოექცა, რომელსაც სულს ხდის გადასახადების სიმძიმე და ფასების კატასტროფული ზრდა, ვინაიდან ფული ეროვნულ ინტერესებს არ ემსახურება.

– სახალხო ლიდერი არ გვყავს. ქვეყანა აზროვნების სიბნელეში იმყოფება.

– პრესა, რადიო, გაზეთი, ტელევიზია და მასმედიის სხვა საშუალებები არაეროვნულობის, არაქართულის, ალვირახსნილობის, გარყვნილების პროპაგანდის სამსახურშია.

– ქვეყნის მსახურება პარაზიტული ცხოვრების ინსტიქტებმა ჩაანაცვლა.

– ხელისუფლებისაგან ათასგზის მოტყვილებული ხალხი უიმედობაში ჩავარდა.

– ყველაფერი ევროპული კარგიაო, საქართველომ რა უნდა მარგოსო. განა შეიძლება ქვეყნის გაევროპელება ან გაამერიკელება. ეს ხომ გადაშენებას ნიშნავს. ქვეყანა მისი ისტორიული წარსულის ფუნდამენტზე დგას.

– თუ ადრე ქვეყანა სხვისი გონების გავლენაში იყო გარეგანი იძულებით. ახლა ხელისუფლება გონებას თვითონ უხშობს ნეოლიბერალთა მითითებებითა და რჩევებით.

– წინა საუკუნეების ადამიანი მისი ღირსებებით ფასდებოდა, ახლა ადამიანი ფულის გამო ხდება დაწინაურებული და ცნობადი, მართალია, ძალადობითა და ხელოვნურად, მაგრამ მაინც ცნობადი. არა და ფული არანაირ სიმდიდრეს არ წარმოადგენს. ჩვენს აზროვნებაში შემოგვასაღეს ქონებად, თორემ ფინანსური იმპერიის მესვეურებმა თვითონ კარგად იციან, რომ ფული რამდენიმე წთ-ში შეიძლება არაფრად იქცეს.

– ადრე მოსახლეობის წოდებრივი დიფერენციაცია ძალას კარგავდა, ახლა კლასების რეინკარნაცია ხდება ყველაზე სასტიკი ფორმებით, როცა პარაზიტული კლასი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მესაფლავის ფუნქციებს ასრულებს, რაც იმავე დროს მისი თვითლიკვიდაციაა.

– „მამულის სიყვარული და მსახურება“ ზნეობრივ პიროვნებას შეუძლია. დღევანდელი საქართველო პიროვნების უკიდურეს დეფიციტს განიცდის, ვინაიდან ფულის რელიგია პიროვნულობის, ეროვნული ფასეულობების დაუნდობელი, ვერაგი მტერია.

დასკვნა

საქართველოს აქვს ეკონომიკური აღორძინების ყველა საშუალება-მატერიალური რესურსები, და როგორც ყოველთვის ქარბად რომ ჰქონდა, ახლაც საკმარისზე მეტი აქვს, მისი რესურსების ქვეყნის კეთილდღეობად გარდაქმნის ადამიანური კაპიტალი. გვაკლია მხოლოდ მთავარი, ამძრავი რგოლი-ეროვნული ლიდერი, რომლის მანტიის მორგებას დიდი ხანია ცდილობენ სხვადასხვა სახელის პოლიტიკური პარტიები, გაერთიანებები, კავშირები და სოციალური ჯგუფები, რომლებიც ვერ მიხვედრილან იმას, რომ ეროვნული ლიდერი პირადი კეთილდღეობის მაძიებელი კი არა, ქვეყნისა და ხალხის მსახურია, რომელსაც ამისთვის საჭირო თვისებების ერთობლიობა უნდა გააჩნდეს. მაინც რა თვისებებია მხედველობაში?

თანდაყოლილი ბუნებრივი ნიჭი, ტრადიციული ოჯახური აღზრდა, ეპოქის შესატყვისი განათლება, მიზანდასახულობა, შეუპოვრობა, მოუსყიდველობა, ეროვნულობის კერძოზე პრევალირება, პასუხისმგებლობა, თავისუფლების ნყურვილი, სამშობლოს სიყვარულისა და მსახურების შინაგანი მოწოდება, წინასწარხედვის ნიჭი და ტიტანური შრომით გამოწვეული ინტუიცია, სოციალური კაპიტალი, პროვნული მომხიბვლელობა, ადამიანებისადმი მზრუნველობის შინაგანი მოთხოვნა, მაღალი თანაგრძნობა უბრალო ხალხის მიმართ, კრიტიკის კულტურა, გამოცდილება, ერუდიცია, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის შეგნება, როცა თეორია ყველაზე კარგი პრაქტიკაა, ხოლო თვით პრაქტიკა თეორიის გამოწვევნა, მენარმეობრივი ალლო და მენეჯერული ფენომენალოგია. ასეთი თვისებების კომპლექსი მოჭარბებულად ნიკო ნიკოლაძეს ჰქონდა.

პატრიოტიზმი ზნეობრივი ფენომენია. იგი აღზრდის პროდუქტია, რომლის შედეგია პასუხისმგებლობა- სამშობლოსა და ხალხისადმი მსახურება. ქვეყნიდან მარტო გაჭირვების გამო არ გარბიან. ერთ წერტილში ფოკუსირდება მამულის ისტორი-

ის უცოდინარობა, უნდობლობა, უიმედობა, საკუთარი თავის ურწმუნობა, ხელისუფლების გამყიდველობა და უპასუხისმგებლობა-უცოდინარობა, რომელსაც საერთოდ არ ანალვლებს არა მარტო მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია, არამედ ინტელექტუალური გენოციდი. ახალგაზრდობა სწავლის გასაგრძელებლად მიდის იქ, სადაც უკეთეს პირობებს სთავაზობენ, ხოლო ტალანტად ცნობილ გოგონებსა და ბიჭებს მდიდარი ქვეყნები ათავგვარი კონკურსებითა და შლავათებით იზიდავენ. ერის დაღუპვა მარტო ისტორიის დავინყებით კი არ ხდება, არამედ ინტელექტუალური პოტენციალის განიავეებით.

პატრიოტობა პოზიცია და ქმედებაა, სამშობლოსა და ხალხისადმი მსახურებაა, როცა საზოგადოებრივი კერძო სარგებლიანობის შეგნებაზე მაღალია, პიროვნულია იმდენად, რამდენადაც მასშტაბურია მსახურება. ნიკო ნიკოლაძეს ბავშვობიდანვე მიზნად ჰქონდა ცოდნის დაუფლება არა პირადი კეთილდღეობის გაზრდის მიზნით, არამედ სამშობლოს საკეთილდღეოდ. საქართველოდან პეტერბურგში ჩავიდა, იქედან ევროპის ქვეყნებს მიადგა და მათგან ისეთი ქვეყანა შეარჩია, სადაც ყველაზე უკეთეს განათლებას დაიმარაგებდა. მარტო მომხმარებელი კი არა, მასწავლებელი იყო იმ ქვეყნებისთვისაც. შეფასებები მისცა მათ ცხოვრებას, ვერ გადაიბირა ვერც საფრანგეთის, ვერც პეტერბურგის, ვერც იტალიის, ვერც შვეიცარიის მშვენიერებამ, ვერ შეაცდინა, ვერ მიიზიდა, მითუმეტეს, რომ ევროპაში დამკვიდრების ყველა პირობა ჰქონდა. ქვეყანას დაუბრუნდა და მისი გაჭირვება მხრებზე ატლანტივით აიკიდა და სიცოცხლის ბოლომდე ატარა.

ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა და სოციალური კეთილდღეობის აღმავლობისთვის ხალხთან მისასვლელი მასმედიის ყველა საშუალება მონოპოლიზებულია. ცარიელი დარჩა მოსახლეობასთან მხოლოდ ცოცხალი კონტაქტების მინდორი, რისი გამოყენება შეუძლია პატრიოტულ ელიტას. ეს არის უშუალოდ ხალხთან საქმიანი შეხვედრები, ერთობლივი

სანარმოებისა და სამსახურების შექმნა, აგრეთვე სწავლების, კულტურული ობიექტების ორგანიზაცია. სულიერება მატერიალურის საფუძველი უნდა იყოს, ისევე როგორც მატერიალური მხოლოდ საშუალება და არა მიზანი. ამას ხელს შეუშლის მსოფლიო ფინანსური იმპერიის გაბატონებული უმცირესობა, რომელიც ფულს მონობის იარაღად იყენებს და ფულზე სიხარბის ავადმყოფობა უკვე დამართა ადამიანებს. აქედან გამომავალი აზრი მკარნახობს იმას, რომ საჭიროა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მატერიალურის მონობიდან გამოყვანა და სულიერი სიმშვიდის სამყაროში გადასახლება. ასეთი მასობრივი გადასახლება ურთულესი საქმეა, ვინაიდან იგი შეუძლებელია მხოლოდ დეპორტაციით. ადამიანებს ასეთი დაავადება მხოლოდ აზრით უნდა ჩამოვრეცხოთ, რაც მათი სულიერი კათარზისი გარეშე მიუღწეველია. ამას თაობა თუ თაობები დასჭირდება, გვაცლის კი ამდენს ნიაღვრად მომსკადრი ათასი ურჯულო და უბოროტესი შინა მტერი? ყველა გზას ღმერთთან მიყავართ. ღმერთი ვილაცის სახით უნდა გამოგვეცხადოს.

სარჩევი

შესავალი 3

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ფენომენალოგია 7

საზოგადოებრივი ტრანსფორმაციისა და ეკონომიკის რე-
ფორმების ნიკო ნიკოლაძის ინტერპრეტაციები 13

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზროვნების ფორმირება 20

ნიკო ნიკოლაძის ევროპელობა 29

ნიკო ნიკოლაძე და ინტელიგენცია 31

ნიკო ნიკოლაძისეული ინტელიგენცია ქართული ეკონომიკის
აღმავლობაში 37

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები ნიკო
ნიკოლაძის შრომაში:“

მამულის სიყვარული და მსახურება“ 42

დასკვნა 48

სარჩევი 49

ლია გიგილაიშვილი

ორიოდე ნახნაბი

დიდი ჯიხაში
ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი

ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები – პირველები

ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის საქართველოს მომავალი გეო-პოლიტიკური ფუნქციის განსაზღვრის იდეა – მან 1918 წელს გერმანელ დიპლომატებთან საუბარში წარმოადგინა მის მიერ ჯერ კიდევ 1870-იან წლებში დასახული ევროპის აზიასთან ვაჭრობის უმოკლეს მარშრუტზე – საქართველოზე გატარების იდეა (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რაც ისტორიული აბრეშუმის გზის ანალოგია. სარკინიგზო გზებისა და მაგისტრალების მშენებლობით, ქ. ფოთის ფუნქციის განსაზღვრით, ქალაქისა და პორტის აშენებით და განვითარებით, თბილისის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის პროექტებით, ბაქოს ნავთობის საქართველოზე ტრანზიტის პროექტებით როტმილდებთან ერთად, ელექტროსაინჟინრო ტექნოლოგიების განვითარებით და სხვა უამრავი სიახლეებით ნიკოლაძის მოღვაწეობა სწორედ ამ აბრეშუმის გზის ისტორიული ფუნქციის აღდგენისადმი იყო მიმართული ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით.

ის იყო ასევე ყოველი პროგრესულისა და მალალტექნოლოგიურის პირველი შემფასებელი და დამწერგავი საქართველოში, ისევე როგორც ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეებისა.

ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი ევროპოლოგი, რომელმაც ევროპის ქვეყნების გაანალიზებით ქართველობას აჩვენა, თუ როგორ ხორციელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები განვითარებულ ქვეყნებში, როგორ შეიძლება იქცეს ჩამორჩენილი ქვეყნები (იაპონია, პრუსია) სუპერსახელმწიფოებად, რა უნდა გაკეთდეს ქართული სახელმწიფოს გონივრული მოწყობისთვის.

„მხოლოდ ის, ვისაც თავისი საზოგადოება მოჰყავს წინ სიკეთისა და დიდების გზით და ვინც პროგრესისათვის გზის გაკაფვით მგზნებარედ, დაულალავად იბრძვის ამ პროგრესი-

სადმი მტრულად განწყობილი ყველა ელემენტის წინააღმდეგ, იგი იპოვის ადგილს თავის თანამემამულეთა გულსა და ხსოვნში“ – წერდა ნიკო ნიკოლაძე და თავად მთელი თავისი ოჯახით იყო მრავალი საქვეყნო საქმის წამომწყები და ინიციატორი.

ნიკო ნიკოლაძემ 1868 წელს ციურიხის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განიარალება და მისი სოციალურ-ეკონომიური შედეგები“. ნიკო ნიკოლაძე **პირველი** ქართველია, რომელმაც უცხოეთში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება.

ნიკო ნიკოლაძე იყო რკინიგზების მშენებლობის პიონერი ამიერკავკასიაში. კერძოდ, 1872-74 წლებში ნიკო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით იქნა გაყვანილი ამიერკავკასიაში **პირველი** ყველაზე დიდი სარკინიგზო მაგისტრალი ფოთიდან თბილისამდე – ფოთი-თბილისის მაგისტრალი, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა ოქროს ჟეტონით.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში **პირველ** საერთაშორისო სააქციო საზოგადოებას „ნახშირას“, რომელიც საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება-დამუშავება-ექსპორტის საკითხებზე მუშაობდა. ამ კუთხით ნიკო ჯერ კიდევ 70-ია-ნი წლებიდან მოკიდებული მთელი სიცოცხლის მანძილზე თანამშრომლობდა ქართული მარგანეცითა და შავი ქვით დაინტერესებულ ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებთან.

როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ლიდერმა, ნიკო ნიკოლაძემ XIX

საუკუნის 70-იანი წლებიდან ეროვნულ მოძრაობაში ახალი მიმართულება (დღევანდელი ტერმინოლოგიით – პარტია) ჩამოაყალიბა „მეორე დასის“ სახელწოდებით და აირჩია საქართველოს ევროპული განვითარების გზა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო ევროპული განათლება, რასაც ნიკოლაძე „ტექნიკურ განათლებას“ უწოდებდა. მსოფლიო მეცნიერების უკანასკნელ მიღწევების, უახლესი ევროპული ტექნოლოგიების, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უცხო ქვეყნების გამოცდილების გადმოტანით და დანერგვით ეროვნული მენტალიტეტისა და ქვეყნის განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით ქვეყანაში უნდა განხორციელებულიყო სერიოზული ეკონომიური რეფორმები, სწორ ანუ ქართულ საბანკო პოლიტიკასთან და ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობასთან ერთად, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, აღმავლობას, ერს სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოაყალიბებდა და თვითმმართველობას დაუმკვიდრებდა. ეს იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის განვითარების საფუძველიც.

პროცესი დაიწყო ახალგაზრდობის (განსაკუთრებით ახალგაზრდა ქართველი ქალების) ევროპის (შვეიცარიაში ციურიხისა და ჟენევის უნივერსიტეტებში) უნივერსიტეტებში უმაღლესი განათლების მისაღებად გაგზავნით. პირველები ამ საქმეში ნიკო ნიკოლაძის ოჯახის წევრები – ძმა, დები, დეიდაშვილები, მისი საცოლე – იყვნენ.

1886 წელს პარიზთან ახლოს განხორციელდა ჰიდროელექტროინჟინრის მარსელ დეპრეს ექსპერიმენტი – ელექტროენერჯის კაბელური გადაცემა შორ მანძილზე. ქალაქიდან 56 კილომეტრით დაშორებული კრელის ჩანჩქერზე მოწყობილი ჰიდროელექტროსადგურიდან წერილი სადენებით წამოსული

ელექტროენერჯით განათდა პარიზი. ამ ექსპერიმენტის განხორციელებაში ავტორს დაეხმარა ნიკო ნიკოლაძე – დეპრეს ეს ექსპერიმენტი ნიკოლაძემ ამერიკული წარმოშობის ფრანგ მილიონერებს როტმილდებს დააფინანსებინა და თვითონაც მიიღო პრაქტიკული მონაწილეობა ამ ექსპერიმენტის განხორციელებაში. ეს მეთოდი შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც, 90-იან წლებში ნიკოლაძე შვედეთსა და დანიაში დაესწრო მსგავსი ექსპერიმენტის განხორციელებას და აღტაცებული საქართველოში აგზავნიდა საგაზეთო წერილებს ამ და სხვა უახლეს ევროპულ ტექნოლოგიებზე, რომელთა დამკვიდრება საქართველოში უსისხლო, „თეთრ რევოლუციებს“ გამოიწვევდა – ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასა და აღმავლობას.

შემდგომში ნიკოლაძემ, როგორც ამ საქმის – ჰიდროელექტროინჟინერიის – საუცხოო სპეციალისტმა არაერთი მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი შეიმუშავა საქართველოსა და რუსეთის დიდ მდინარეებზე – ვოლხოვზე, სვირზე, ენგურზე, რიონზე, მტკვარზე და ა.შ. ხოლო XX საუკუნის 20-იან წლებში მან ფრანგ ინჟინერთან ერიოსთან ერთად მთელი რუსეთის ელექტროფიკაციის გრანდიოზული გეგმა შეიმუშავა.

როგორც ჟურნალისტი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი და როგორც პუბლიცისტი, ნიკოლაძე მუდამ იცავდა და იბრძოდა სიყველისა და პრესის თავისუფლებისთვის. ამის საუცხოო ნიმუშია მისი საყოველთაოდ ცნობილი ბროშურა „დეკადანსის პრესა“, რომელიც მან 1875 წელს პარიზში გამოსცა ფრანგულ ენაზე და ცნობილი ფრანგი ლიტერატორების, ჟურნალისტების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების აღტაცება გამოიწვია. პრაქტიკულად კი ძალიან საინტერესოა მისი რედაქტორობით თბილისში გამომავალი გაზეთები “ობზორი” (რომლის

გამო რამდენიმე ძალზე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ნიკოლაძე სტავროპოლში გადაასახლეს...) და „ნოვოე ობოზრენიე“. ამ ორ გაზეთში ნიკოლაძე აქვეყნებს ძალიან საინტერესო წერილებს ევროპის, ამერიკის, იაპონიის და სხვა უცხო ქვეყნების ცხოვრების, განათლების, ადმინისტრაციული მოწყობის, ეკონომიკის შესახებ და ცდილობს ქართველ საზოგადოებას გააცნოს, საქართველოში გადმოიღოს და დაამკვიდროს ამ ქვეყნების ცხოვრებიდან ყველაფერი საუკეთესო, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და ერის სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის ბაქოს ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის თავდაპირველი იდეაც და პროექტიც. მან შეიმუშავა სრულიად ორიგინალური გეგმა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტი, XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოიყვანა საქართველოში ფრანგი მილიონერები როტშილდები, დააფინანსებინა და განახორციელებინა ეს პროექტი. გაიყვანა გვირაბი რიკოთის უღელტეხილზე („ნიფის“ გვირაბი) და მასში რკინიგზის მაგისტრალი 1884-1888 წლებში. იგი წლების მანძილზე როტშილდებთან ერთად ხელმძღვანელობდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ჯერ მშენებლობას და შემდეგ ფუნქციონირებას. იმ მიზნით, რომ საქართველოს თავი დაეღწია ბაქოს ეკონომიური გავლენისაგან, ნიკოლაძემ სიცოცხლის ბოლოს – 1926-1927 წლებში შეიმუშავა კიდევ ერთი, სათადარიგო – გროზნო-ფოთის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტი. ნობელებთან კამათისას იგი მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას ორივე ნავთობსადენის აუცილებლად საქართველოს ტერიტორიაზე გავლის შესახებ.

მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი, სადაც გა-

მოიყენეს ერთ ხაზში ტელეფონით ლაპარაკისა და დეპეშე-ბის ერთდროულად გადაცემის პრაქტიკა, თბილისი-კოჯრის ტელეგრაფის ხაზი აღმოჩნდა. 1893 წელს გერმანელმა ინჟინერ-მენარმე ბუნგემ ეს მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევა ნიკო ნიკოლაძის თხოვნით განახორციელა **მსოფლიოში პირველად** სწორედ საქართველოში. შემდეგ, 90-იან-900-იან წლების დასაწყისში დიდ ჯიხაიშსა და ფოთში ფუნქციონირებდა იმავე დანიშნულების ტელეგრაფის ხაზები.

1896 წელს ფოთის ქალაქის თავმა ნიკო ნიკოლაძემ გამოსცა რუსეთის იმპერიაში **პირველი** სამპროცენტიანი ობლიგაცია – ფულადი სესხი დიდი საპორტო ქალაქის ასაშენებლად 1400000 მანეთის ოდენობით, დაანესა **პირველი** საბაჟო („საფუთო“) ნახევარკაპიკიანი გადასახადი, რითაც ხელი შეუწყო ქალაქის კეთილმოწყობას. ააგო **პირველი** რკინა-ბეტონის შენობა მთელი რუსეთის მასშტაბით, აია სოფიას ტაძრის პროექტის მიხედვით, როგორც საკათედრო ტაძარი. ფოთშივე ნიკომ არაერთი ტექნიკური სიახლე და პროექტი დაამუშავა და განახორციელა. ფოთის თვითმმართველობის წესით ნიკოლაძემ **პირველი** პრეცედენტი დაუშვა რუსეთის იმპერიაში დამოუკიდებელი ეკონომიკური რეგიონისა (ახლა რომ „თავისუფალ ეკონომიურ ზონას“ უწოდებენ) – პორტიც და ქალაქიც საკუთარ თავს თვითონ იფინანსებდა და სახელმწიფო ხაზინაშიც საკმაოდ შეჭქონდა სახელმწიფო გადასახადი.

ფოთში მუშაობის პარალელურად ნიკოლაძემ დაამუშავა და საიმპერატორო უწყებას პეტერბურგში წარუდგინა მულანის ველის (შუა აზიაში) გამოშრობის გრანდიოზული გეგმა-პროექტი, რომლის განხორციელებით რუსეთის იმპერია უდიდეს შემოსავალს მიიღებდა. მასვე ეკუთვნის ამავე პერიოდში ინ-

დოეთამდე და ჩინეთამდე დიდი სარკინიგზო მაგისტრალების გაყვანის პროექტები. 1890-1900-იან წლებში ხელმძღვანელობდა ტრანსსურალის რკინიგზის მშენებლობას.

ნიკო ნიკოლაძემ ქართველ მოღვაწეთა შორის პირველმა ახსენა პრესაში „თემი“ („ერობა“ – მისი დანიშნულება და წესდება; ყურნალი „კრებული“, 1871წ. №5), გააცნო ქართველ საზოგადოებას თემობის პრინციპები, მიუთითა „თემზე“, ერობაზე, როგორც თვითმმართველობის მნიშვნელოვან გარანტსა და საფუძველზე, რომ ევროპიდან შემოტანილ და რუსულ სინამდვილეში დანერგილ, გამოყენებულ ამ სოციალურ პოლიტიკას საქართველომ დროულად უნდა აუღლოს ალლო და გამოიყენოს თავის სასარგებლოდ – კოლონიური მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ნიკო ნიკოლაძე ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მას თავის დედულებით – სოფელ დიდ ჯიხაიშში მოწყობილი ჰქონდა ექსპერიმენტული, ევროპული სტილის მეურნეობა, ზრუნავდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისთვის. განსაკუთრებით – მევენახეობისა და მეაბრეშუმეობის. მას უცხოეთიდან შემოჰქონდა სხვადასხვა ჯიშის ეგზოტიკური და ენდემური ჯიშის ხეები და თავის მამულში უნიკალური დენდრო-პარკი გააშენა თავისი ხელით.

საფრანგეთიდან ჩამოჰქონდა ვაზის სხვადასხვა ჯიშები და აქ ადგილობრივ, ვაზის ქართულ ჯიშებთან ერთად უზარმაზარი ზვრები ჰქონდა გაშენებული, აქვე მან შემოიღო საფრანგეთში შესწავლილი ხილისაგან ღვინის დამზადება. წერდა მევენახეობა-მელვინეობის განვითარებაზე ჩვენში, პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა მევენახეთა და მელვინეთა საერთაშორისო

სიმპოზიუმებში საფრანგეთსა და რუსეთში, თავად დიდებულ მიუზიკალურ თაგისი ხელით აყენებდა სხვადასხვა ტექნოლოგიის ღვინოებს. მან პირველმა დასავლეთ საქართველოში შემოიღო ღვინის მინისქვეშა მარან-სარდაფების მოწყობის პრაქტიკა. ასეთივე მინისქვეშა ნიკოსეული მარანი ახლაც არის მის მამულში დიდ ჯიხაშიში. ქუთაისში კი ასეთი მარნების დაპროექტებით ქალაქი გადაარჩინა რუსეთიდან მასობრივად შემოსული დუხაბორების დასახლებისაგან.

ხელს უწყობდა რეგიონში მებარეშუმეობის განვითარებას. ეხმარებოდა მებარეშუმეთა ადგილობრივ ამხანაგობას, თავისი მიუზიკალური ოლგა გურამიშვილის მიერ დიდ ჯიხაშიში დაარსებულ ქალთა გიმნაზიას საზღვარგარეთიდან თეთრი აბრეშუმის გაუმჯობესებული თესლის შემოტანაში, მის რეალიზაციასა და საზღვარგარეთ გატანა-გაყიდვაში, ამავე გიმნაზიაში ასწავლიდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანას, ძაფის დართვას, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას...

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ ნიკო ნიკოლაძემ გამოაქვეყნა წერილების სერია ქალაქ თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნებთან დაკავშირებით (ეს წერილები 1920 წელს მან გამოსცა ბროშურად სახელწოდებით „ქართულ-სომხური ურთიერთობები“). ეს გახლდათ ქართულ სინამდვილეში **პირველი** პუბლიკაცია მრავალპარტიული, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე ქვეყნის ეკონომიური განვითარების, ეთნიკურ ჯგუფთა შორის ურთიერთობის მშვიდობიანად დარეგულირებისა და ერის სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბების მიზნით. ამ და სხვა წერილებით ნიკოლაძე იმთავითვე სთავაზობდა ქართველ საზოგადოებას ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის ევროპულ მოდელს.

როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსს, ნიკო ნიკოლაძეს **პირველს** აქვს არაერთი ქართველი, რუსი, ევროპელი ცნობილი

მწერლისა თუ პოეტის შემოქმედება კრიტიკულად განხილული და გამოთქმული აქვს თავისი „შეუმცდარი პირუთვნელი აზრი“ ილიას, აკაკის ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი წერეთლის, „ვეფხისტყაოსნის“, პუშკინის ლევ ტოლსტოის, ტურგენევის ნეკრასოვის, გოგოლის, ვალტერ სკოტის, ბაირონის, გუსტავ ფლობერის ჩარლზ დი-კენსისა და უილიამ თეკერეის, გოეთეს, შექსპირის, ანრი როშფორის და სხვათა შესახებ. იგი პირადად იცნობდა, თანამშრომლობდა, მეგობრობდა, მიმონერა ჰქონდა ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ემილ ზოლასთან, პოლ ლაფარგთან, ანრი როშფორთან, ლუი ბლანთან...

გიორგი ნიკოლაძე – ნიკო ნიკოლაძის ერთადერთი ვაჟი იყო დიდი მეცნიერი, მათემატიკოსი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინჟინერ-გამომგონებელი, ინჟინერ-მეტალურგი, **პირველი** ქართველი ავიატორი, **პირველი** ქართველი კიბერნეტიკოსი, **პირველი** ქართველი ანთროპოლოგი და ეთნოლოგი, ქიმიკოსი, გეოგრაფი, ენათმეცნიერი – ქართული სამეცნიერო-ტექნიკური და სპორტული ტერმინოლოგიის ფუძემდებელი, სპორტსმენი-ტანმოვარჯიშე, ქართული პროფესიული სპორტის დამფუძნებელი, სპორტის მასობრივი სახეების შემომტანი ქართულ სინამდვილეში, ქართული და მაშინდელი საბჭოთა ალპინიზმისა და ტურიზმის ფუძემდებელი, წერდა ლექსებს...

1928 წლის ივნისში გიორგიმ პარიზში სორბონას უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გეომეტრიაში თემაზე „გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ“ და უმაღლესი შეფასებით მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება დაიმსახურა.

გიორგი ნიკოლაძემ მსოფლიოში **პირველმა** გამოიგონა ელექტროგამომთვლელი მანქანა, რომელიც მანამ არსებული გამომთვლელი მანქანებისაგან განსხვავებით აგებული იყო ყველაზე მარტივ პრინციპზე, მათგანვე განსხვავებით ასრულებდა ოთხივე მათემატიკურ მოქმედებას, იყო იაფი და უცვლელი, ელექტრო-მაგნიტურ პრინციპზე აგებული ეს მანქანა არცერთ მექანიკურ დეტალს არ შეიცავდა და თავისი აგებულებით იყო პერსპექტივაში განვითარებადი – მანქანის თეორიულ აღწერილობაში მეცნიერები კითხულობენ კომპიუტერის ნახაზებსა და გამოთვლებს. ცნობილმა ფრანგმა გამომგონებელმა მორის დოკანმა გიორგის ამ მანქანას ბრწყინვალე შეფასება მისცა.

ამ გამომგონებით გიორგი ნიკოლაძემ **პირველმა** მსოფლიოში საფუძველი ჩაუყარა ელექტრო-გამომთვლელ ტექნიკას.

გიორგი ნიკოლაძე ფერადი მეტალურგიის სათავეებთან იდგა არა მარტო საქართველოში. 1929 წელს გიორგი ნიკოლაძემ დაიწყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დაპროექტება და მშენებლობა. ეს იყო **პირველი** მეტალურგიული ქარხანა ამიერკავკასიაში. ამ ქარხნის აშენებით ამიერკავკასიაში საფუძველი ჩაეყარა მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. სანამ გიორგის მიერ დაპროექტებული და დაწყებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა აშენდებოდა, გიორგიმ თბილისში ააგო დიდუბის საცდელი ფეროშენადნობთა ქარხნის სამი საცდელი საამქრო, რომელიც განკუთვნილი იყო ექსპერიმენტული დნობებისათვის და ერთგვარ საფუძველს წარმოადგენდა ზესტაფონის ქარხნის იმთავითვე მთელი სიმძლავრით ასამუშავებლად, რაც განხორციელდა კიდევ გიორგის გარდაცვალების მომდევნო წელსვე. ზესტაფონის ფერო ატარებს გიორგი ნიკოლაძის სახელს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობის პროცესში გიორგიმ ფეხითა და ცხენით შემოიარა მდინარე ენგურის კალაპოტი და ზუსტად იმ ადგილას, სადაც დღეს ენგურჰესია, მან დააპროექტა დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, მაგრამ თუ 10-იან წლებში მამას – ნიკო ნიკოლაძეს გერმანელებმა უთხრეს უარი ენგურჰესის მშენებლობის დაფინანსებაზე, ამჟამად გიორგის მოსკოვიდან მოუვიდა უარი – საბჭოთა ხელისუფლებისაგან, თუმცა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს პროექტი განხორციელდა.

1908 და 1912 წლებში გიორგი ნიკოლაძემ მონაწილეობა მიიღო პრალასა და სოფიაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში ტანვარჯიშში, რომელზედაც მძლეოსნობის რამდენიმე სახეობაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, დაიმსახურა დაფნის გვირგვინი, I ხარისხის დიპლომი და დიდი პრიზი სილამაზისათვის.

1922 წელს მოაწყო **პირველი** ტურისტული ექსპედიციები („ფეხოსნობა“) ფეხით ლაშქრობა თბილისიდან კოჯრამდე, ხოლო 1923 წლის 28 აგვისტოს მაშინდელ საბჭოთა კავშირში პირველი ალპინისტური ექსპედიცია განახორციელა მყინვარზე. მის მრავალრიცხოვან ექსპედიციაში 5 ქალი იყო – პირველი ქართველი პროფესიონალი მთამსვლელი ქალები: მარო ტყავაძე, ელიკო ქუთათელაძე ასმათ ტყაბლაძე.

დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლში ორი მუზეუმი – ორი ბუმბერაზი ქართველის, პირველი ქართულ-ევროპული ოჯახის მემორიალური მუზეუმი რომლის გაცნობა-დათვა-

ლიერება, აქ არსებული ნიკოსეული მემორიალური ნივთები, საზღვარგარეთიდან მის მიერ ჩამოტანილი უნიკალური ექსპონატები, წიგნები, ფოტოსურათები, თავად მთელი მემორიალური კომპლექსი თვალსაჩინოდ წარმოადგენს ქართულ-ევროპული ურთიერთობის და ამ ურთიერთობის განვითარებაში ნიკო ნიკოლაძისა და მისი დიდი ოჯახის ღვაწლს.

აქ ყოველწლიურად, სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში იმართება დიდი სახალხო დღესასწაული „ნიკობა“, ხოლო ყოველი წლის 12-18 მაისს – „მუზეუმთა საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი კვირეული. ასევე სხვადასხვა სახის შემეცნებითი, სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებები, პრეზენტაციები და სხვა.

მუზეუმში დაცულია ნიკო ნიკოლაძის მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი სასოფლო-სამეურნეო, საოჯახო ნივთები, ეგზოტიკური და ენდემური ხე-მცენარეები.

1960 წლიდან დაიწყო ნიკო ნიკოლაძის „თხზულებათა“ ტომების გამოცემა. 2009 წლის ჩათვლით გამოცემულია მხოლოდ 9 ტომი (ორი უკანასკნელი 2003-2009 წლებში გამოიცა). 23 ტომის მასალა გამოსაცემად დატოვა პირველი 7 ტომის გამომცემელმა და რედაქტორმა პროფ. დავით გამეზარდაშვილმა.

აქვე წარმოგიდგენთ ამ ტომებში დაბეჭდილ და რამდენიმე მათში დაუბეჭდავი წერილის სათაურს:

- ტ. I, გვ. 317 „მთავრობა და ახალი თაობა“; გამოიცა ჟენევაში რუსულ ენაზე 1866 წელს ნიკიფორ გ-ს ფსევდონიმით.
- იქვე, გვ. 455 „განიარადება და მისი ეკონომიურ-სოციალური შედეგები“; გამოიცა ჟენევაში ფრანგულ ენაზე 1868 წელს.
- ტ. IV, გვ.81. „ფრანგული პრესის დეკადანსი“; გამოიცა პარიზში ფრანგულ ენაზე 1875 წელს.
- ტ. 2. გვ.გვ. 73, 227, 447, 544... წერილები ფოთის გეო-სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ.

- „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან“; დაიბეჭდა ჟ. „მომამბეში“, 1894 წლის №9-ში.
- ტ. VIII. გვ. 589. „ლუი ბლანი და გამბეტა“; დაიბეჭდა სალტიკოვ-შჩედრინის ჟურნალში „ოტერესტვენნიე ზაპისკი“.
- ტ. VIII. გვ. 403. ადგილობრივი ცხოვრების მიმოხილვა“.
- იქვე გვ. 504. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო“... და სხვა.
- „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“

გარდა ამისა არის ცნობილი მკვლევარის სიმონ ხუნდაძის ადრე გამოცემული ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების ორტომეული. პროფ დალი ჩიკვილაძის მიერ გამოცემული ნიკო ნიკოლაძის საიუბილეო კრებულები, ბროშურა „დროსგასწრებული მამულიშვილი“, პროფ. აკაკი ბაქრაძის მონოგრაფია „ნიკო ნიკოლაძე“, ცნობილი ჟურნალისტის და მკვლევარის პაატა ნაცვლიშვილის წერი-ლი „ნიკოლაძეთა საგა“, რომელიც შესულია მის ცნობილ წიგნში „ქალაქის წერო“, პროფ. რამაზ ნამიჭეიშვილისა და ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორის ბ-ნ მერაბ კეზევაზის მიერ 2003 წელს გამოცემულ დოკუმენტურ გამოკვლევაში „ფოთის საქმე“, აკად. ანდრეი ბოგოლიუბოვის მონოგრაფია „გიორგი ნიკოლაძე“ (რუსულ და ქართულ ენებზე), მეტალურგთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის, პროფ. გურამ ქაშაკაშვილის მიერ გამოცემული გიორგი ნიკოლაძის საი-უბილეო კრებულები, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ინიციატივითა და ავტორობით გამოცემული წიგნები: „ნიკო ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშში“ და „აქ ცხოვრობდა დიდი ნიკო“ და სხვა, რომლებშიც ფართოდ არის გაშუქებული ნიკო ნიკოლაძის ნააზრევი და ნაღვანი, რომლის ძირითად აზრს, საფუძველს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის მისი აქტიური ჩართვა აბრეშუმის დიდ გზაში, როგორც აზროვნების, ასევე ცხოვრების წესის, განათლების, ეკონომიკის, პოლიტიკის, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანისა და დამკვიდრების თვალსაზრისით.

ნიკო ნიკოლაძე და გერმანია

გერმანელი ქართველოლოგი არტურ ლაისტი ასე ახასიათებდა ნიკო ნიკოლაძეს: – „იმ ადამიანთა შორის, რომელთა გავლენა საქართველოზე ვრცელდებოდა, ყველაზე ჭკვიანი ნიკო ნიკოლაძე გახლდათ. ეს უნიჭიერესი და სულიერად ყველაზე მაღლა მდგომი ადამიანი პირველი ქართველი ჟურნალისტიკა ევროპული მნიშვნელობით. მან ათეული წლით განსაზღვრა თავისი ერისათვის ყველაზე საჭირობო საკითხები და ნათელი გონებით განჭვრიტა!“

ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობას გერმანიასთან მუზეუმი ინყებს სტუმრებისათვის ვიზუალურად თვალსაჩინო და საინტერესო ექსპონატების დემონსტრირებით. აქ ყურადღებას იქცევს პირველ რიგში გერმანიიდან ჩამოტანილი ბარომეტრი და თერმომეტრი, საანგარიშო და საფანქრე, დრეზდენიდან ჩამოტანილი ჭურჭლის ნაწილი, ზინგერის ფირმის საკერავი მანქანა, თეთრეულის ხელით სარეცხი მანქანა, ბოთლების თავსაცობი მანქანა და სხვა.

გერმანიასთან ნიკოლაძის კავშირ-ურთიერთობას ჩვენს მოხსენებაში რამდენიმე ასპექტით მიმოვიხილავთ, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ჩვენს ხელთ არსებული ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები.

დისერტაციის დაცვის შემდეგ საქართველოში რამდენიმე თვის დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე 1870 წლიდან სერგეი მესხთან ერთად სცემდა გაზეთ „დროებას“. სწორედ „დროების“ ფურცლებზე ივნისის პირველი რიცხვებიდან ვიდრე იმავე წლის სექტემბრის ჩათვლით ნიკოს არაერთი პუბლიკაცია აქვს მიძღვნილი გერმანიისადმი. იგი წერს გერმანიის, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, მეზობელ მცირერიცხოვან ერებთან თუ დიდ სახელმწიფოებთან მის ურთიერთობაზე, მის გარე თუ შიდა პოლიტიკაზე, გერმანელი ხალხის ჯერ ერთად, შემდეგ უკვე განვითარების გზა-ზე დამდგარ საზოგადოებად

და სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ და სამხედრო წყობაზე. და, როგორც ყოველთვის, იგი ამას წერს ქართველი მკითხველის გასაგონად, სხვა ქვეყნის გამოცდილების გასათვალისწინებლად – კარგის გამოსაყენებლად და სხვების შეცდომებზე ჭკუის სასწავლებლად.

ჯერ კიდევ 1864-69 წლებში ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად წასულ შვილს იაკობ ნიკოლაძე წერდა: – მაქ, გერმანიაში ვილაცხას ამერიკიდან ბამბის საპენტი მანქანა ჩამოუტანია. ასეთი მანქანა მთელ რუსეთში არავის არა აქვს. სასწრაფოდ შემიძინე და გამომიგზავნე ქუთაისში-ო!”...

წერილში „პრუსიის გაძლიერება გერმანიაში“ ნიკოლაძე, სიტყვისა და საქმის ერთიანობის დევიზით რომ ხელმძღვანელობდა მთელი ცხოვრების მანძილზე, წერს: – მაშინ როცა ლესინგი, შილერი, ფიხტე და XVIII საუკუნის სხვა სახელოვანი გერმანელი მოაზროვნეები ოდენ თავიანთი თხზულებებით ცდილობდნენ გერმანელებში ერის სიყვარულისა და ერთიანობის იდეის დამკვიდრებას, მათი იდეები ისევ წიგნებში რჩებოდა და მათი ასრულებაში მოყვანა თავში არავის მოსვლია XIX საუკუნის დასაწყისში ბარონ შტეინის გარდა.. ნიკო დანვრილებით საუბრობს ბარონ შტეინის რეფორმების და მისი დაუღალავი ბრძოლის, მოღვაწეობის შესახებ, რამაც განაპირობა ხალხის გამოღვიძება და მათი სამოქმედოდ დარაზმვა ქვეყნის გადასარჩენად. სწორედ ამ რეფორმებმა, შემდგომში მათმა გავრცელებამ ქვეყანასა და ერში შექმნეს განათლების, ინტელექტუალურ საზოგადოებად ერის ჩამოყალიბების, სახელმწიფოს ეკონომიკის, თავდაცვისუნარიანობის, სამხედრო პოლიტიკის გაუმჯობესება და მყარი საფუძველი ჩაუყარეს შემდეგში ბისმარკის წარმატებულ რეფორმებს, თვითშეგნებისა და დისციპლის დამკვიდრებასა და სხვა.

ნიკოლაძის ეს წერილი (ისევე როგორც ბევრი სხვა! – თუნდაც სულ მოკლე ხანში გამოქვეყნებული „საფრანგეთის შინაგანი მდგომარეობა“, რომელიც „დეკადანსის პრესის“

თეზისებად შეიძლება მოგვეაზრებინა!) ბევრი რამით არის საყურადღებო და მასში გამოთქმულ აზრებს ჭკვიანი სახელმწიფო მოხელე, მოღვაწე დღესაც თუ ყურადღებით გაეცნობა და მხედველობაში მიიღებს, სახელმძღვანელოდ გამოიყენებს, ჩვენს დღევანდელ დაქცეულ ქვეყანას ნამდვილად საშველი დაადგება! აქ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმ იმედით, რომ ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ინტელიგენტი მას აუცილებლად წაიკითხავს!

თავის ცნობილ სადისერტაციო ნაშრომში „განხიარლება და მისი სოციალ-ეკონომიკური შედეგები“ ნიკოლაძე ვრცლად მიმოიხილავდა გერმანიის (ზოგან იგი ჩრდილოეთ გერმანიას და გერმანიეთის პატარა სახელმწიფოებსაც ახსენებს) სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც ქვეყნის სამრეწველო და სამინათ-მოქმედო საჭიროებას ევროპის სხვა, უფრო განვითარებულ ქვეყნებზე უკეთ აკმაყოფილებდა. კერძოდ ეს შეეხებოდა გერმანიში შემავალ პრუსიას, რომელსაც ამ დროისთვის პირველი ადგილი ეკავა და წამმართველ როლს ასრულებდა ქვეყნის მართვა-გამგეობასა და ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. ამიტომაც, რომ ნიკო მათ გამიჯნულად, განცალკევებულად მოიაზრებს. აქვე აღნიშნავს, რომ მეზობლებთან გამუდმებულ ომებში ჩართულ სხვებთან შედარებით ჩამორჩენილ გერმანიას შეეძლო დაენახა, შეეფასებინა და თავის სასარგებლოდ, საკუთარი ცხოვრების განვითარებისთვის მტრისგან გადმოეღო, გამოეყენებინა თუ რამ დადებითი გააჩნდათ მათ. აქვე ჩვენი თანამემამულე ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების განხვავებულ წესზე, განსხვავებულ მენტალიტეტსა და ტრადიციებზე, მათ გეო-პოლიტიკურ თავისებურებებზე, რომელიც უსათუოდ გასათვალისწინებელია ევროპული ღირებულებების ასეთი გაუკუღმართებული იმპორტის დროს.

ნიკო ნიკოლაძე ყურადღებით ადევნებდა თვალს პრუსიის გაძლიერებას და მისი მეთაურობით ჯერ ავსტრიის დამარცხების და გერმანიის გაერთიანების პროცესს, მერე კი

საფრანგეთთან, სედანთან გერმანელების საოცარ გამარჯვებას. ფრანგები ამ კატასტროფას გერმანელთა მრავალრიცხოვნებას აბრალებდნენ, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება ნიკოლაძე, რომლის თქმით, მათ უნდა სცოდნოდათ რა ძალა გააჩნდათ თვითონ და მტერსაც, რომელმაც (ე.ი. გერმანიამ) თავის მხრივ, ზუსტად იცოდა რამდენი ღილი ეკერათ და რამდენი მეტრი ქსოვილი ემოსათ ტანთ ფრანგებს. ნიკოლაძის აზრით, “გერმანელებმა იმიტომ კი არ გაიმარჯვეს, რომ უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მაშინ ემზადებოდნენ, როცა საფრანგეთი არაფერს აკეთებდა ან თითქმის არაფერს. ამავე ოცდახუთი წლის განმავლობაში გერმანიამ განახორციელა და პრაქტიკაში დანერგა მშვენიერი და ნაყოფიერი იდეები, შემუშავებული ფრანგ მოაზროვნეთა მიერ, მაგრამ ისინი თვით საფრანგეთში იქნა ჩახშული მდიდა-რი ეგოისტების ზიზღისა და ღარიბ უვიცთა გულგრილობის წყალობით. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რომელიც საფრანგეთში გამოიყენეს ხალხის გონების ჩასახშობად (იგულისხმება ნაპოლეონ III მმართველობის პერიოდი) და ქვეყნის ინტელექტის დასაჩლუნგებლად, გერმანია იღვწოდა, რაც შეიძლება მეტი ძალა და განათლება შეეძინა, იგი წინ მიიწევდა, როცა საფრანგეთი ერთ ადგილას ტორტმანებდა და, უაღრესად გამხრწნელ მთავრობასთან ერთად ფეიერვერკებით ერთობოდა”.

რა ნაცნობი სურათია, არა?!

1875 წელს ნიკოლაძე მხოლოდ ფრანგებისთვის როდი წერს და ცალკე ბროშურად სცემს „ფრანგული პრესის დეკადანსს“! ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ „მწერალი აღმზრდელია, ხელმძღვანელია თავისი საზოგადოებისა...“, არაერთგზის მიუთითებდა იმაზე, რომ ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწის როლს უნდა ასრულებდეს ერის, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. მისი მრავალმხრივი და ღრმა ცოდნა, განსწავლა, რწმენა, იდეალები, დემოკრატიული

იდებების ერთგულება ქვეყნის განვითარების გარანტია! აქაც განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს იგი ნებისმიერი ქვეყნის ჟურნალისტებს, პრესას საერთოდ. საინტერესოა როგორ ახასიათებს იგი გერმანულ პრესას: – „გერმანულმა პრესამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სიმწიფეს. მან მხოლოდ თავი გამოჰყო ქვეყანაში და ძნელია ავსახოთ ნაკვთები ამ ბავშვისა, რომლის სახე ძლივს არის გამოხატული, მაგრამ თუ გვერდს ავუვლით იმ ცვლილებებს, რომლებიც მას მოუტანა ბოლო წლების ამბებმა, შეიძლება შევისწავლოთ მისი იმგვარი ფიზიონომია, რომელიც ჩამოყალიბდა 1830 წლიდან, რის შედეგადაც დავინახავთ, რომ მას ყოველთვის შენარჩუნებული ჰქონდა თუმცა ყბედი, მაგრამ დარწმუნებული პედაგოგის წმინდა წყლის ნაციონალური იერი. იგი სრულებით არ არის ბოროტად განწყობილი და ვერ ბედავს ცოტა შორს გაიხედოს. სულ ზევით ხომ, რალა თქმა უნდა, ვერ იხედება. იგი ცდილობს მხოლოდ ასწავლოს, გაანათლოს თავისი მკითხველი და მას მოსწავლესავით ექცევა. წინათ ამას მხოლოდ გულუბრყვილოდ სჩადიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ სკოლის მასწავლებელს უთხრეს სადოვა შენ დაიპყარო, იგი ცოტა მკაცრი და მეტად პრეტენზიული გახდა. მას უყვარს landverman-ის ფორმაში სასაცილოდ გამოპრანჭვა და სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირის იერის მიღება. მხოლოდ შერჩა ერთი თვისება – ყოფილი მასწავლებლის გულკეთილობა.“

საკითხის ღრმა ცოდნით, როგორც ყველაფერში, აქაც თავს შინ გრძნობს და სხარტი, ლაკონური ექსკურსით, შეფარული იუმორით და თანამედროვე ვითარების ზუსტი დახასიათებით სრულყოფილად წარმოგვიდგენს, გვაცნობს სხვა ევროპული ქვეყნების პრესის მიმოხილვასთან ერთად გერმანულ პრესას...

70-იანი წლების შემდეგ ნიკო ნიკოლაძე რამდენიმე უმნიშვნელო შენიშვნის გარდა არ შეხებია გერმანიის საკითხს (როგორც ეს მისი თხზულებათა ტომებიდან სჩანს) და აი. 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეო-

რე დღესვე ნიკოლაძე ბათუმიდან ფოთში გაემგზავრა, სადაც დამოუკიდებელი საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დროებითი ურთიერთშეთანხმება გაფორმდა.

ფოთის საერთაშორისო დოკუმენტების შედგენაში ნიკო ნიკოლაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო, რომ იგი ჩართეს საქართველოს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც იმავე დღეებში ფოთიდან ბერლინს გაემგზავრა გერმანიის იმპერიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ქართველთა მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მიღწევა და გერმანიასთან გარკვეული ეკონომიკური ხელშეკრულების დადება შეადგენდა. საქართველოს წარგზავნილებმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს რ. ფონ კიულმანს წარუდგინეს საქართველოს მემორანდუმი, რომლის ეკონომიკური მიმოხილვა ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნოდა. მასში გადმოცემული იყო ცნობები საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, ბუნებრივი სიმდიდრეების და სხვათა შესახებ. დასაბუთებული იყო სარგებლიანობა, რაც საქართველოს შეეძლო მიეცა გერმანიისათვის. ზ. ავალიშვილის სიტყვით, ნიკო ნიკოლაძე კიულმანთან საუბრისას ასაბუთებდა იდეას შუა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობის ფოთზე გატარების შესახებ (ბერლინი-ფოთი-პეკინი. ამ მარშუტზე ნიკო ჯერ კიდევ 70-იან წლებში წერდა!). ეს იდეა “კავკასიური დერეფნის” სახელწოდებით ამჟამად რეალურად ისხამს ხორცს.

1918 წლის ოქტომბერში ამ მოლაპარაკებებიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ნიკოლაძემ პარლამენტის დახურულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება გერმანიასთან დადებული ეკონომიკური ხელშეკრულების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით რაფიელ ინგილო (ივანიცკი) გაზეთ „საქართველოში“ მიუთითებდა: – “პირუთვნელობა გვაგალებს ხაზგასმით აღვნიშნოთ... ჩვენ თავიდანვე დაიმედებულნი ვიყავით დელეგაციის ნაყოფიერ მოქმედებაში იმ ფარგლებში, რომელიც მას მიკუთ-

ვნილი ჰქონდა საქართველოს მთავრობისაგან. ნიკო ნიკოლაძის მონაწილეობა ოფიციალურ მოლაპარაკებაში გარანტიას გვაძლევდა, რომ მისთვის ჩაბარებული ეკონომიკური მისია საქართველოსათვის სასიკეთოდ დამთავრდებოდა, რაშიც პარლამენტი და მთავრობა დარწმუნდა 17 ოქტომბრის სხდომაზე, რომელზედაც მცხოვანმა მოღვაწემ ჩვეულებრივის სიღარბაისლით და შთაგონებით გაახსენა ერის მესვეურთ ბერლინში შესრულებული დიდი სახელმწიფოებრივი საქმე.”

1918 წელსვე გერმანიაში მოქმედმა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ნიკო ნიკოლაძე დააჯილდოვა ქართველ ლეგიონერთა ორდენით თამარ მეფის გამოსახულებით.

„...დიდ ჯიხაიშა და პეტერბურგში, ლონდონსა და პარიზში, ბერლინსა და სტამბოლში ნიკო ერთნაირ და თანასწორუფლებიან მოქალაქედ გრძნობდა თავს და არავის წინაშე ქედს არ იხრიდა. – ...“ (მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა ნიკო ნიკოლაძის ორმოცისადმი მიძღვნილ წირვაზე).

და ბოლოს მინდა გავიხსენო კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ნიკო ნიკოლაძეს მე ორჯერ შევხვდი: ერთხელ ბერლინში და მეორეჯერ პარიზში 1923 წელს. უნდა ითქვას – აღტაცებაში მომიყვანა მისმა დიდმა ერუდიციამ, განსწავლულობამ და გონებამახვილობამ.

რა და რა დარგის გამო არ გაესაუბრებოდი მას – ბერგსონის „ელან ვიტალის“ მოძღვრება იქნებოდა ეს თუ ინგლისისა და ამერიკის კოლონიური პოლიტიკა, ჩინური ფილოსოფია თუ ინდური ბრაჰმანიზმი, ისლამური მისტიციზმი თუ მასონების მოძრაობა ევროპაში, იტალიური რენესანსის თუ ძველბერძნული პლასტიკის საკითხები... ეს ხანდაზმული კაცი ყოველ საკითხში ერკვეოდა, ყველგან შინ იყო.

პირველხარისხოვანი ევროპელი დიდი მწერლის, ან მეცნიერის სიმალლეზე იდგა მისი გამოზრდილი ინტელექტი, რომელსაც სიბერე ჯერ არ გაჰკარებოდა.“

ნიკო ნიკოლაძის საბანკო პოლიტიკა

ნიკო ნიკოლაძეს კარგად აქვს გაცნობიერებული ქართველი ხალხის თანადროული მდგომარეობა, საჭიროებები და სამომავლო პერსპექტივები. „თუ ჩვენ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობის გაუმჯობესება და შემსუბუქება გვსურს, თუ ჩვენ გვინდა ხეირიან და კაცურ წყობილებას ველირსოთ, ჩვენ თვალებს კი არ უნდა ვხუჭავდეთ და ყურებში თითს კი არ უნდა ვიცობდეთ, გულმოდგინედ უნდა ვუცქერდეთ სხვა ქვეყნების, მტრისა და მოყვრის ცხოვრებას, ჩვენი საზოგადოების და უცხო ხალხების მდგომარეობას, მათ ზნეს და გარემოებას გამოვიკვლევდეთ, ეხლანდელ ჩვენ გაჭირვებაში ამგვარი დაკვირვება ბევრ რამეს გვასწავლის და ძლიერადაც გამოგვადგება... განათლებული საზოგადოების ცხოვრებაში წარმატების მომწევი ყოველთვის ერთმანეთის დაკვირვება, მიბაძვა და დახმარება ყოფილა...“ (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი; ტ. II; გვ. 18).

სხვა უამრავ საქვეყნო პრობლემასთან ერთად ნიკოლაძე დაუცხრომლად, მოუღალავად წერს იმაზე, რაც საჭირო და აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერებისათვის. ამ საჭირობოროტო საკითხებიდან ერთ-ერთი უმთავრესია ეკონომიკა და ფინანსები. ჩვენი პუბლიცისტი უხსნის თანამემამულეებს – რას ნიშნავს, რა დანიშნულება აქვს, როგორ ხეირიანად უნდა წარმართოს ადამიანი ქვეყნისა და თავისი საქმე ბანკის გამოყენებით: ფული და ცოდნა, ბანკი და სასწავლებელი – აი, ჩვენი აზნაურობის, მთელი ჩვენი ხალხის საჭიროება... პირველმა ფული და ნდობა უნდა მისცეს ჩვენს საზოგადოებას, უკანასკნელმა – ცოდნა და მოხერხება (იქვე; გვ. 20)

პირველი ქართული თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკი გაიხსნა თბილისში 1874 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. ქუთაისში ბანკის გახსნა დაგვიანდა, თუმცა ქუთაისის საზოგადოება ბევრად ადრე ემზადებოდა ბანკის გასახსნელად.

ნიკო ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1871 წლიდან გაზეთ „დროების“ ფურცლე ბზე წერს ქუთაისის ბანკის დაარსების აუცილებლობის შესახებ: „ბანკიდან გაკეთებას და სულის ჩადგმას ელის ჩვენი გალატაკებული საზოგადოება... ამაზე ბრუნავს მთელი მხარის იმედი და იმასვე შეჩერებია, მისგან დახსნას მოელის მთელი ჩვენი ქვ ეყანა.“ (ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი; ტ. II; გვ. 255).

ნიკოლაძე უხსნის მკითხველს ბანკით სარგებლობის არსსა და მნიშვნელობას. როგორც სარგებლის სიდიდე, ასევე ფულის სიმრავლე ბანკში საზოგადოების ზნეობასა და ქმედუნარიანობაზე არის დამოკიდებული. ქართველი თავად-აზნაურობის სიზარმაცისა და ფულის უყაირათოდ ხარჯვის გამო ბანკი შესაძლოა გაკოტრდეს და თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს. მაშინ ბანკიდან ფულის მსესხებელი ისევ მევახშისა და მევალის ხელში ჩავარდება. მისი ადგილ-მამული კი ისევ სომხებს, ურიებს, ვაჭრებსა და უმეტესი ნაწილი კი შორიდან მოსულ უცხოელს ხვდება წილად. ამიტომ საბანკო საქმის გამართვას ცოდნა-განათლებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ვითარებისა და საზოგადოების საჭიროების გარკვევა და გათვალისწინება ესაჭიროება.

საქვეყნო საჭიროებებზე წერისას ნიკოლაძე მუდამ ითვალისწინებს და საზოგადოებას ახსენებს ამათუ იმ საქმის ხელის შემშლელ მიზეზებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქართული ზნე-ხასიათიდან, მენტალიტეტიდან გამომდინარეობს: – „მაგრამ ჩვენი საზოგადოების უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ამისთანა ცხადი და ნათელი საქმე ხელახლად დაიბურდება, დაიშლება იმ უხეირო თავმოყვარეობისა და განხეთქილების გამო, რომელშიც ჩვენში სუფევს და რომელმაც ჩვენ დაგვღუპა და სული ამოგვართვა.“ უკუდო ამპარტავნობის გამო ის ვერ გაატანს ბოლოს ამ მომავლიან საქმეს, რომელზედაც მისი შვილების ბედია დამოკიდებული და რაიმე უხეირო ბაასით და წვრილმანი „კუდში გამოკიდებით შემლის ზოგიერთ იმ უმ-

თავრეს საფუძველთაგანს, რაზედაც ბრუნავს ბანკის მომავალი.“

ამიტომაც ნიკო ურჩევს ამ უფულო, გადახდისუუნარო ქართველ საზოგადოებას გრძელვადიანი კრედიტის მიმცემ „საადგილ-მამულე“ ბანკს მიანიჭონ უპირატესობა, ასეთი ბანკი დააარსონ. ამით თავიანთ ქონებასაც გადაარჩენენ და ჩენი ქვეყნის მინასაც – მას სხვა – უცხოტომელი, გადამთიელი არ იყიდის. მით უმეტეს, ღმერთმა უწყის, მას გამოისყიდის თუ არა ოდესმე ქართველი, რომელმაც არც ფულის ყაირათიანად მოხმარება იცის, არც მამულის ხეირიანად გამართვა და მისგან მოგების მიღება. ამიტომაც საჭიროა ჩვენმა ბანკმა სხვა ქვეყნებშიც მოიპოვოს „დიდი და გვარიანი ნდობა“, რომ ბლომად და იაფად შეეძლოს ფულის სესხვა ან შოვნა და ჩვენსკენ წამოღება. სხვა ქვეყნების ნდობა კი იმისთვის გვჭირდება, რომ იქ საზოგადოება დიდი ხანია ნაზიარევიან ხეირიან განწყობას და ცხოვრებას. „საადგილ-მამულო ბანკის“ უპირატესობა კი ყველგან სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრების ძალაშია, მის სტაბილურობაშია და აქედან გამომდინარე, გადახდისუუნარიანი საზოგადოების და არა ცალკეული ინდივიდის, თუნდაც მილიონერის ნდობაში. ამას ელის სხვაც ჩვენგან და ჩვენც ეს გვჭირდება, – უხსნის ნიკოლაძე თავის მკითხველს, – მილიონერი, შეიძლება, ყოველთვის გაკოტრდეს, მთელი მხარე კი თავის დღეში არ გაკოტრდებაო. „მთელ საზოგადოებას უფრო დიდი ნდობა აქვს, ვიდრე ძლიერ ფულის პატრონს“-ო, – წერს იგი (იქვე; გვ.: 33). ამიტომ სახელმწიფოს ანუ საზოგადოებას სწორი საბანკო პოლიტიკის წარმართვა, ბანკის მეთაურებად სანდო, მცოდნე, „მეტისმეტად პატიოსანი, უმანკო, თავიანი ადამიანების არჩევა“ მართებთ, რათა თავიდანვე ბანკი ჯანსაღი დაიბადოს და ნაკლებად დაზარალდეს თავად ქვეყანა, ბანკის ცალკეული მომხმარებელი.

70-იან წლებშივე ნიკოლაძე სვამს „ობლიგაციების“, ფასიანი ქაღალდების, ანუ საბანკო ბილეთების გამოშვების საკითხს.

სწორედ ხანგრძლივი კრედიტისათვის, რომელმაც გრძელვადიანი სესხით უნდა ჩაუდგას სული ჩვენს ადგილ-მამულის პატრონობას, ე.ი. მთელ ჩვენს ქვეყანას, იმიტომ, რომ „ადგილ-მამულის მეტი ჩვენს არე-მარეზე არაფერი მოიძევა“ (იქვე). დღეს ესეც დაკარგული გვაქვს, საუბედუროდ!

სულჩადგმული და ჯანსაღი ბანკის დასაფუძნებლად ნიკოლაძე სამ პირობას, სამ საფუძველს ასახელებს:

1) უცხოური – ევროპული და რუსული ბანკი ჩვენ არ გამოგვადგება! მხოლოდ ჩვენი ადგილ-მამულის კრედიტი!

2) ჩვენს ბანკს ძლიერ ბევრი ფული დასჭირდება, რისთვისაც ჩვენი ბანკი აუცილებლად მოითხოვს საზოგადო თავდებობას.

3) ამიტომ ადგილ-მამულის მეპატრონემ უნდა იცოდეს ნასესხები ფულით თავისი მამულის გაუმჯობესება, ე.ი. ამ ფულის ისე მოხმარება, რომ მამულს უნინდელზე მეტი შემოჰქონდეს... იმდენი მაინც, რომ მომეტებული შემოსავალი ნასესხებს სჭარბობდეს.

ამისათვის კი საჭიროა ცოდნა. ცოდნა იმისი, რა და როგორ მოუხდება მამულს, საიდან და რისგან შეიძლება სარგებლის პოვნა და სხვა. ეს კი საზოგადოების განათლებას, თანამედროვე მეცნიერთა მიღწევების გაცნობას და საფუძვლიან შესწავლას, დაუფლებას ეხება და გულისხმობს, რასაც ნიკოლაძე გადაუდებელ და აუცილებელ პირობად აყენებს ქვეყნის განვითარებისათვის.

პარიზიდან დაბრუნებულმა ნიკოლაძემ ახალი ძალით შეუტია თავისი ქვეყნისა და საზოგადოების ჩამორჩენილობის, უკულმართობის მიზეზებს და პირველი, რასაც მიადგა, ისევ „შავ ბედად ჩასახული“ და „მკვდრად დაბადებული“ ქუთაისის ბანკი იყო. თითქოსდა მისი წინა წერილები, რომლებშიც იგი რჩევა-დარიგებას აძლევდა საზოგადოებას, არც არავის წაეკითხა, უკანასკნელი 6 წლის მოლოდინი ბანკის დაარსებისა ბანკის საქმის უვიცი, ამბიციური, მხოლოდ პირად კეთილდღეობასა და თანამდებობის მაძიებელი საზოგადოების ხელში

თითქმის მომკვდარიყო, გაუთავებელ დამფუძნებელ სხდომებსა და კინკლაობას ბოლო არ უჩანდა. არადა სწორედ ბანკიდან ელოდა ჩვენი გალატაკებული საზოგადოება გაკეთებას და სულის ჩადგმას. „იმან წელი უნდა გაუმაგროს ჩვენს ახლანდელ აზნაურობას და მომავალი დაუმზადოს შემდეგ თაობასო: – წერს ნიკო (ნ. ნ. თხზულებანი, ტ. III; გვ. 290). ასე, რომ ბანკს ქუთაისში მარტო მაშინ ექნება მნიშვნელობა და მარტო იმ შემთხვევაში შეეძლება ლოდინისა და იმედის შესრულება, როცა ის ხეირიან საფუძვლებზე გაიმართება; აუცილებლად საჭიროა, (ბანკი რომ არ გაკოტრდეს) ბანკს სერმიას, ანუ ფულადი ფონდის გარდა სხვა ფულების შოვნაც შეეძლოს იაფად და ბლომად. ამისათვის ბანკს ნდობა სჭირდება ფულიანი კაცებისა. ისინი კი ფულს ჩვენს ბანკს მხოლოდ მაშინ მისცემენ, როდესაც სერმიას გარდა იმას ჩვენი საზოგადოების გარანტია, ან დანინდებული მამულების ურთიერთ პასუხისგება დაეხმარება. ჩვენი ბანკი უნდა იყოს საადგილმამულო, დიდვადიანი და ურთიერთგარანტიის მქონე და მას უნდა გაუძღვეს თანამედროვე მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, ყოველგვარი პარტიული მიკერძოებისგან თავისუფალი, ახალი თაობის 2-3 ღირსეული წარმომადგენელი, ვინც ამ დიდი, საქვეყნო საქმის მთელ პასუხისმგებლობას იტვირთავს საკუთარ თავზე.

ამ განათლებულ, ზნეობრივი პრინციპების ერთგულ ახალ თაობას, „ახალ ახალგაზრდობას“, როგორც მათ უწოდებდა ნიკო, მეტი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე სარგებლობის მოტანაში. კერძო გამორჩენისათვის ვნებათა ღელვამ შესაძლოა, არა მარტო მათ, არამედ ამ დიდ სამომავლო საქმესაც სახელი გაუტეხოს საზოგადოებაში., სადაც ბევრი მოწინააღმდეგე, მოშურნე და საქვეყნო საქმის ხელის შემშლელია და „ჩვენი მიმართულების წინააღმდეგ იარაღად გამოიყენონო!“ – აფრთხილებს მათ ნიკო. არადა „იმერული ხასიათის წყალობით... ვერ წარმოიდგენს ხორცუმესხმული კაცი რამდენი ფალავნობა და დიპლომატია დაიხარჯა

ამ უკანასკნელ თვეში ამისთანა უბრალო, ნათელი საქმის დასაბურღავად. მგონია, გერმანიის ერთობის დაარსებაში არ გამოჩენილა და არ დახარჯულა იმოდენა დიპლომატია, რამდენიც წლეულს ქუთაისში დაიხარჯა. მერე რისთვის და როგორ? იმის მაგიერ, რომ საზოგადოების წინ საქმის ნათლად გამოსახვით, დაბრკოლების ჩვენებით, საშუალების ძებნით და გონიერი სჯით მოთავეებს ჩვენი თავადაზნაურობის გონება გაენაფათ და საზოგადოება გონიერ პოლიტიკურ ცხოვრებას შეეჩვიათ, ჩვენმა მოთავეებმა მამა-პაპურ ცილისწამებას ხელი მიჰყვეს. ვერსად ყურს ვერ მოჰკრავთ ბანკის საფუძვლებზე ბაასსა და სჯას... მოთავეები წვრილმანებზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ბანკის პრინციპების გამოკვლევაზე. ეს მართალია, იმას ჰგავს, წისქვილის გაშენებამდი კაცი რომ მენისქვილეს ქირაობდეს და ცოთათი არ იყოს, მე ეს საქციელი ერთ ჩვენებურ ანდაზას მახსენებს: – ეშმაკებს ღვინო არ ჰქონდათ და ტიკებს ალბობდნენო“. (ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 3; გვ. 292-293).

ეს მოზრდილი ციტატა იმისთვის მოვიხმე, რომ მსუბუქ იუმორთან შეზავებული, პირზე ირონიული ღიმილით (არა შეურაცხმყოფელი!) და არა მენტორული ტონით ჩვენი პუბლიცისტი ღრმა განათლებას ურჩევს საბანკო საქმის მესვეურთ ქვეყნის განვითარებისთვის, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისათვის, რათა ბანკი თავის საქმიანობაში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდეს, უანგაროდ, კეთილსინდისიერად ემსახურებოდეს მათ, ცოდნით შიარალებულ მოსახლეობას. საზოგადოებას კი შეეძლოს ბანკის საქმიანობის გაკონტროლება, ქვეყნისა და თავის სასარგებლოდ მისი გამოყენება.

ბანკის გამართულად და წარმატებულად მუშაობის ხეირიან საფუძვლად ნიკოლაძე ბანკის წესდებას მიიჩნევს, მას ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას საქმიანობის სწორად წარმართვაში. როდესაც ქუთაისის საზოგადოებამ, გაჭიანურებული სხ-

დომებით და გაუთავებელი დავა-კამათით თავგაბეზრებულმა, ქუთაისის პირველი ბანკის მეთაურად ბესარფიონ ლოლობერიძე აირჩია, რომელიც ადრე თვით ნიკოლაძემ გაკვრით, მაგრამ მაინც შესთავაზა კირილე ლორთქიფანიძესთან ერთად ქუთაისის საზოგადოებას, იგი ფიქრობდა, რომ მისი პეტერბურგის უნივერსიტეტელი, სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლებში აქტიურობისათვის მასთან ერთად დასჯილი კრონშტადტის ციხის ამხანაგი, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელი წესიერად გაუძღვებოდა ამდენი ხნის ნაოცნებარ ბანკს. ბესარფიონ ლოლობერიძემ კი იმთავითვე სულსწრაფობა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება გამოამჟღავნა. მან რუსული ბანკების წესდებებიდან პირდაპირ გადმოთარგმნა რამდენიმე პუნქტი და ის დაუდო საფუძვლად ქოთაისის პირველი ქართული ბანკის საქმიანობას.

ბანკის წესდება თავიდანვე წესიერად, საქმის დიდი ცოდნით და ადგილობრივი საჭიროებების, მოთხოვნილებების გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო შედგენილი. სხვისგან გადმოღებული, დახლართული, ნაკუნ-ნაკუნ დაკერებული პროექტი წესდებისა ბანკს დააქცევს და მას ხარ-კამეჩიც ვერ წამოაყენებსო, – წერდა ნიკო (იქვე. გვ. 311). ამაზე გამუდმებით ამახვილებს ნიკოლაძე ყურადღებას: „ჩვენი ქვეყანა ისეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება, იმას ისეთი განვითარებული საჭიროებები აქვს, რომ მის ხელის გასაწყობლად საჭირო იყო სულ სხვანაირი საშუალებების ხმარება, ვინემ ჩვენში რუსეთული ბანკების წესის შემოღება“ (იქვე . გვ. 296). „... ჩვენში რუსეთული ბანკის მიბაძვა არ გამოდგება“, – წერს იგი სხვაგან, – „ჩვენ სხვა საჭიროებები გვაქვს, ჩვენ სხვა საშუალებების გამოყენება შეგვეძლო. ამ საშუალებებს ვერ აკმაყოფილებს უფ. ბ. ლოლობერიძის პროექტი. ბესარფიონ ლოლობერიძე ცუდად მოიქცა, კარგი საქმე წაახდინა! ბანკის მომავალს ავნო!“ საქმის თავიანად გაძლოლას კი თანამედროვე მეცნიერებების სწავლა და ცოდნა სჭირდება! მაგრამ უფრო იოლი და სწრაფი

საქმეა უცხო ბანკების წესდების თარგმნა, გადმოწერა და აღსრულებაში მოყვანა... – მწარედ დასძენს ის.

უფ. ბ. ლოლობერიძის პროექტით დაარსებული ბანკი სწორედ ისეთ ბანკად გამოდგება, რომლის დაარსების ემინია ჩვენში ყველას, რომლის დაარსება ქვეყანას დალუპავს ამიტომ, რომ ეხლა აზნაურობას ვალს აალებინებს და შემდეგ მამულებს გაუყიდის, როცა მყიდველი გარეშე კაცის მეტი არავინ იქნება (იქვე. გვ. 323).

და აქ არის არაჩვეულებრივი პასაჟი, რომელიც თავისი ემოციური დატვირთვით გვხიბლავს: „და თქვენ ბრძანებთ, რომ როცა ჩვენს ქვეყანას თქვენმა უმეცრებამ ეს მომავალი დაუმზადა, როცა ჩვენს საზოგადოებას თქვენი სულწასულობით და აჩქარებით ამისთანა საშიში, ყელის გამომჭრელი დანა მისცემია ხელში, ხმას ნუ ამოიღებთო, ნურაფერს იტყვიანო, აცალეთ, ჯერ ბანკი დამტკიცდეს და მერე უეჭიმეთო, ჯერ ყელი გამოიჭრას და მერე წამალი დაადევიანო? როცა ამისთანა გასაჭირია, თქვენ კიდევ თქვენი თავი გახსოვთ, თქვენი თავმოყვარეობა გეზოგებათ, თქვენი კერძოობითი სახელი გახსოვთ! – ღმერთო! რას შეუქმნია ამისთანა კაცები, რა გარემოებებს დაუმახინჯებია ამოდენად კაცის გული და გონება?!“ (იქვე. გვ. 325).

1876 წელს, ქუთაისში „საადგილ-მამულო ბანკის“ გახსნისას, ნიკო ნიკოლაძე კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად მოუბრუნდა „ქუთაისის ბანკის საქმეს“. მან დეტალურად განიხილა და აუხსნა თანამემამულეებს, ქართველ და უპირველესად ქუთაისის საზოგადოებას, რა მიზანს და როგორ უნდა ემსახუროს ქართული ბანკი, რაში მდგომარეობს ქუთაისის ბანკის დამფუძნებელთა მთავარი შეცდომა და რა სჭირდება ბანკს თავისი მისიის აღსრულებისათვის!

მართალია, ნიკო ძირითადად ქუთაისის ბანკზე წერს, მაგრამ იგი საზოგადოდ ბანკის საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტებზე, პრინციპებსა და მიმართულებაზე ამახვილებს

ყურადღებას. „ქუთაისის ბანკის საქმეების წარმოების საკითხი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ როგორც მაგალითი, რომელიც დაგვანახებს როგორ უნდა ვანარმოოთ ან არ ვანარმოოთ ქვეყნის საქმეები მომავალში“.

„ჩვენს ქვეყანაში, რომელშიაც კრედიტი ყველას სჭირია, ნაკუნ-ნაკუნად შედგენილი ბანკი... ველარ აკმაყოფილებს უმრავლესობის მოთხოვნილებას და ხდება ზოგიერთების საჭიროებად და ჰკარგავს თავის ბუნებრივ ფესვებს ქვეყანაში – ხანგრძლივი, შეურყეველი და დაუცემელი მარტო ის საქმე, ის საგანია, რომელიც უპასუხებს, აკმაყოფილებს და სარგებლობას აძლევს უმრავლესობის მოთხოვნილებას და რადგანაც სხვადასხვა ქვეყნებში უმრავლესობის მოთხოვნილება და საჭიროება სხვადასხვა ფერია, თითოეულის საჭიროებისა და მოთხოვნილების გამოსაკვლევად საკმაო არ არის სხვადასხვა ბანკების წესდებების შეზავება. ამ საგანს სჭირია საკუთარი გონება, გამოცდილება, ცნობა, სჭირია საკუთატი სული და ჭკუა. აი, ამის გამო, ყოველს ქვეყანაში, რომლის მდგომარეობაც სხვა ქვეყნებს არ ჩამოჰგავს, გონიერი პირები ისეთ წესებს უდგენენ, რომელნიც საზოგადოებრივი მეცნიერების უმთავრეს პრინციპებს ადგილობრივი საჭიროების მიხედვით გამოიყენებენ და ამოქმედებენ“ (იქვე, ტ. 4; გვ. 377).

„ჩვენი ბანკი უნდა დაფუძნებულიყო არა თუ მარტო ფულის შოვნის გასაადვილებლად – ეს იყო მარტო გარეგანი, წუთიერი მიზანი ჩვენი ბანკისა – არამედ სხვა უფრო ღრმა და მომავლიანი საზოგადოებრივი მიზნის მისაღწევადაც. ბანკის დაარსების უმთავრესი მიზანი და საფუძველი, როგორც ყველა გონიერმა პირმა იცის ჩვენში, ის იყო, რომ ჩვენ თუ არ გვექნა ჩვენი საკუთარი ბანკი, ჩვენთვის და ჩვენს მიერ დაარსებული, მთელი ჩვენი მამულები ხელიდან წაგვივა და სხვას დარჩებაო. მარტო ამ ჭკვიანმა მოაზრებამ გაუკვალა ჩვენში გზა ამისთანა მძიმე და უცნობ საქმეს, როგორიც ყოველგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაა. მ.შ.მ. უმთავრესი მიზანი ბანკის წესდების

შემდგენელისა იმაზე უნდა ყოფილიყო მიზმანებული, რომ ჩვენი მამულები ხელიდან არ წაგვივიდეს და ჩვენვე დაგვრ. ამ უმთავრეს მიზანს აბია მეორე – აგრეთვე მძიმე და საჭირო მიზანიჩეს: ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას, მისი შვილების აღზრდას, განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა“ (იქვე, ტ. 4; გვ. 386).

როდესაც ქვეყანაში და განსაკუთრებით თბილისში საკმაოდ გაიზარდა ბანკის – საკრედიტო დაწესებულებების ქსელი 70-იან წლებში, ნიკოლაძე წერდა იმ მოლოდინზე, რასაც ბანკებში – ამ საკრედიტო დაწესებულებებში მრფენველობისა და ვაჭრობის პროგრესისათვის მილიონების ბრუნვას ხელს შეუწყობდა: – „მიუხედავად მილიონების ბრუნვისა ჩვენ არათუ მრენველობისა და ვაჭრობის პროცენტულ განვითარებას ვერ ვამჩნევთ, არამედ მცირედ ეკონომიურ პროგრესსაც კი ვერ ვხედავთ... ყველა ვაჭრობის დაცემასა და სიძვირეს უჩივის. ადგილობრივი სიმდიდრის დასამუშავებლად არ იქმნება არცერთი სერიოზული სანარმო“ . იქვე: „საკრედიტო დაწესებულების სწორი შეფასება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კაპიტალის ბრუნვისა და მოგების ოდენობით... ჩვენში არსებული საკრედიტო დაწესებულებების წესდებათა მრავალმხრივობა, მათი სპეციალიზაციაკრედიტის სახეობათა სხვაობის მიხედვით არ უნდა გამოიციხავდეს ყოველგვარი საკრედიტო დაწესებულების ძირითად იდეას – იყოს ეკონომიური პროგრესის იარაღი და დააკმაყოფილოს ვაჭრობის, მრენველობის და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებები... ამიტომ საკრედიტო დაწესებულებების ყოველმხრივი განხილვა მოითხოვს აგრეთვე მათი როლის განსაზღვრას საერთო ეკონომიკაში“ (იქვე. ტ.4; გვ. 369-371).

ამიტომაც იყო, რომ ნიკოლაძე უმალ გამოეხმაურა ქუთაისის ბანკის ხელმძღვანელის ბესარიონ ლოლობერიძის ქომაცის ილია ჭავჭავაძეს. ნიკო, ილიასადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, დაურიდებლად აკრიტიკებს ილიას საბანკო საქმი-

ანობას. ილიას, რომელიც 70-იან წლებში დიმიტრი ყაზბეგთან და სხვებთან ერთად ქართული საქმის საკეთებლად ჩამოიყვანა თბილისში. „იერიშით ავიღეთ ბანკი და მის სათავეში ილია დავსვითო“, სწორედ ეს ილია ბესარიონ ლოლობერიძესავით ქართულ ბანკს სხვა ქვეყნის ბანკების წესდების გათვალისწინებით, ზოგჯერ უცხო თარგზე მოჭრილი წესდებით მართავდა, თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს. ნიკო ილიასაც არ ერიდებოდა, მცირე გადაცდომასაც არ პატიობდა: „ვის გაუგია მწერლობაში მოახლური კილო, პირფერული სიტყვები, პირში მოქალაჩუნება?!“ „მწერლობას ყველგან და ყოველთვის პირმოუფერებელი, გულწრფელი ენა სჩვევია, მით უმეტეს ქვეყნის სამომავლო საქმის განხილვისას!“

რაც შეეხება ნიკოსა და ილიას პოლემიკას ბანკის საქმესთან დაკავშირებით, ეს საკმაოდ დიდი თემაა. აქ ამ პოლემიკის ორიოდე ასპექტს შევხებით.

პრაქტიკული ჭკუის კაცი – ნიკო ნიკოლაძე ნებისმიერ და განსაკუთრებით პრაქტიკულ საკითხებზე მსჯელობისას კონკრეტულ აძლევდა უპირატესობას და რაციონალურ, ლოგიკურ მსჯელობას ამა თუ იმ საკითხის ძირითად არსზე. მას უსაგნო ლაპარაკი, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, უარგუმენტო მსჯელობა არ უყვარდა. აქაც მოითხოვდა საკითხის, ადგილობრივი პირობების ღრმად, გამოწვლილვით (დეტალების გაანალიზებით და მათი გათვალისწინებით) ცოდნას და მათზე დამაჯერებლად მსჯელობას. ილიასაც გადაჰკრავს მათრახს: „მაგალითად, ვექსილით რომ ფული ვკისესხო და მიწას მოვახმარო, ამ კრედიტს მაინც სავაჭრო კრედიტი ერქმევა როგორც მეცნიერებაში, ისე ცხოვრებაში. მაგიერათ საადგილ-მამულო ბანკში მიწა-წყალი რომ დავაგირავო, მით ფული გამოვიტანო და მერე ის ფული ბანკში ან ნარდში წავაგო, ეს მაინც მიწის მოქმედი ანუ „ზემელნი“ კრედიტი იქნება?!“

ქუთაისის ლოლობერიძის და თბილისის ჭავჭავაძის ბანკების წესდებების თაობაზე ნიკო არაერთხელ აღნიშნავს, რომ მათ

ერთნაირი ხასიათი აქვთ, ერთნაირ კალაპოტზეა გაკეთებული, რადგან გადმონერილია რუსული და გერმანული ბანკების წესდებებიდან. ამიტომაც მათ ერთნაირი ნაკლულოვანება და ღირსება გააჩნიათ. ადგილობრივი საჭიროებების გაუთვალისწინებლად სხვა ქვეყნის წესდების ნაკუნ-ნაკუნ გადმონერა ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოაგვარებს. ილიას „ბანკი გამოადგება მხოლოდ ზოგიერთებს და მით ავნებს დანარჩენებს – მთელ საზოგადოებას. ამრიგად, თბილისის ბანკი გამოადგება მხოლოდ თბილისელ ვაჭრებს, რომლებმაც მოკლე ვადით და დიდი, უშველებელი, დამლუპველი სარგებლით ეს ფული მიასესხეს თავად-აზნაურებს, რომლებსაც გადახდის თავი და საშუალება არა აქვთ და ამრიგად ჩვენი მიწა-წყალი უცხოელს, გადამთიელს უვარდება ხელშიო...“

ნიკოს ღრმად სწამდა, რომ თუ ჩვენი ქვეყნის ბედი გვტკივა და გვანუხებს, უნდა გვესმოდეს, რომ ბანკმა საბანკო საქმის კეთებას – წარმოების, სოფლის მეურნეობის, განათლების აღორძინებას და განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი უწინარეს ყოვლისა!

ჩვენს ბანკებს იმაზე უნდა ეზრუნათ, თუ რით და რანაირად დაეცვათ დაგირავებული მამულები უცხო ქვეყნელების ხელში გადასვლისაგან, როცა მათი გაყიდვის დღე მოაღწევს. ამაზე უფ, ჭავჭავაძე ბურჟუაზიული შეუშფოთველობით მიპასუხებს „ეს აუცილებელი უბედურებააო. მამულები მაინც სხვის ხელში გადავლენო?!. მაგრამ ხომ ილიამ ბრძანა: სამი საუნჯე დაგვჩა მამა-პაპათაგან – ენა, მამული, სარწმუნოება. თუ ამათაც არ მოვუარეთ, რაღა კაცნი ვიქნებითო?!.“

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლაძის მსჯელობა ბანკის გამოყენებაზე საქვეყნო, საზოგადო ინტერესების სასარგებლოდ ბევრად უფრო პრაგმატულია, გათვლილია ჩვენი ქვეყნისა და ქართული საზოგადოების როგორც იმდროინდელი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ისე სამომავლო პერსპექტივებისათვის, სამომავლო საფრთხეების ასაცილებლად (ნ.

ნიკოლაძე, თხზულებანი; ტ. 4; „მრუდე გამოსარჩლება“, „FLAT LUX“).

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ბახტაძე თავის მოგონებებში ნიკო ნიკოლაძეზე წერს: „ნიკო ნიკოლაძე, დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკური აღორძინებით, ძალიან ბევრს წერდა ჩვენში ბანკების დაარსების საჭიროებაზე, ეკამათებოდა როგორც ქუთაისის ბანკის მეთაურ ბესარიონ ლოლობერიძეს, ისე თბილისის ბანკის მეთაურ ილია ჭავჭავაძეს. მას არ მონონდა ამათი საბანკო მოღვაწეობა და მოითხოვდა ბანკს ხელი შეეწყოს ჩვენში ვაჭრობის, მრეწველობის, ფაბრიკა-ქარხნების განვითარებისათვის, რაც სინამდვილეში არ შეადგენდა სათავად-აზნაურო ბანკების დანიშნულებას. ნიკო ნიკოლაძე, იმედგაცრუებული სათავად-აზნაურო ბანკების მოღვაწეობით, ერთ დროს დიდ ენერგიას ხარჯავდა ჩვენში სამრეწველო და საგლეხო ბანკების დასაარსებლად, რომლებიც იაფი პროცენტებით სესხის მიცემით, დიდ დახმარებას გაუწევდნენ ერთის მხრივ, გლეხკაცობას მიწების შეძენაში და, მეორე მხრივ, მრეწველებს – მრეწველობის განვითარების და აღორძინების საქმეში“ (მოგონებები დაცულია დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ფონდებში).

ქართულ საბანკო პოლიტიკაში ნიკო ნიკოლაძისეული კონცეფციის შეუქცევადი გათვალისწინების უეჭველობა და აუცილებლობა დრომ და ჩვენი ქვეყნის უახლესმა ისტორიამ დაადასტურა. ნიკო ნიკოლაძის ნააზრევს, მის პუბლიცისტურ წერილებს დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა! სწორედ სადღეისო, სამომავლო უმწვავესი პრობლემების გადაწყვეტის, მოგვარების კონკრეტულ პროგრამას გვთავაზობს ჩვენი დიდი თანამემამულე!

ნავიკითხოთ! მოვუსმინოთ! დავუჯეროთ!

ნიკო ნიკოლაძე საარჩევნო სისტემის შესახებ

70-იან წლებში პარიზის კომუნის შემდეგ ევროპაში მიმდინარე დიდი პოლიტიკური ძვრებისა და ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს რომ აცნობდა ქართველ საზოგადოებას, ნიკო თავის ქვეყნის მომავალზე ფიქრობდა. რევოლუციებ და რეფორმებგამოვლილი ევროპა რესპუბლიკურ, საპარლამენტო სახელმწიფოებად ჩამოყალიბების რთულ გზას გადიოდა და სხვადასხვა პარტიებად, სხვადასხვა პოზიციებად დანაწილებული საზოგადოების თანამშრომლობის, თანაცხოვრების მაგალითს უჩვენებდა მსოფლიოს. დემოკრატიული იდეებისა და იდეალების დამკვიდრება თავისუფლების, თანასწორობის, ლიბერალიზაციის მკვიდრ საფუძველს ქმნიდა.

თავის მრავალთემატურ პუბლიცისტურ წერილებში ნიკოლაძე ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა ახალი ევროპისაკენ მიემართა მზერა, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური პრობლემები საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, თანამედროვე ცოდნის მიღებით, დამოუკიდებლად, ჩვენი ქვეყნის საჭიროებების ცოდნით გადაეწყვიტათ. დაეძლიათ მამაპაპური სიზარმაცე და ქართული საქმე ეკეთებინათ!

განათლებისა და რეფორმების პარალელურად თვითმმართველობის სისტემის შემოღებას თვლიდა დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე გადადგმულ პირველ აუცილებელ ნაბიჯად. მან პირველმა ქართველ მოღვაწეთა შორის 1872 წელს ქართულ პრესაში დასვა საკითხი რუსეთში ევროპიდან შემოსული თვითმმართველობის წესის – ანუ თემური მმართველობის შემოღების აუცილებლობაზე. ამის შესახებ იგი ჯერ კიდევ 1866 წელს ჟენევაში გამოსულ თავის წიგნში “მთავრობა და ახალი თაობა” მიუთითებდა. მერე ქუთაისის ბანკის დაარსებაზე წერდა და საზოგადოებისაგან მოითხოვდა ბანკის მესვეურებად

ისეთი პატიოსანი და განათლებული პირები აერჩია, ვინც მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის საქმეს.

საზოგადოებისა და მის მიერ არჩეულ პერსონათა ურთიერთპასუხისმგებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას მუდამ. საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი განვითარება იქნებოდა ამის საწინდარი.

1878-დან 1892 წლამდე ნიკოლაძე ოთხჯერ აირჩიეს თბილისის საკრებულოს – თვითმმართველობის – დუმის ხმოსნად ანუ დეპუტატად. ის, რომ მას კარგად ჰქონდა შეგნებული დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში თავისი, როგორც მოქალაქეთა რჩეულის მოვალეობა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მას, მოწმობს ის უამრავი და მასშტაბური მუნიციპალური პროექტები, მისი ავტორობით რომ შეიქმნა და დიდად შეუწყო ხელი დედაქალაქის განვითარებას, დაახლოებას თანამედროვე სტანდარტებთან.

შემდეგ იყო ფოთი, სადაც მან რამდენიმე კანდიტატს შორის ხმათა უმეტესობით გაიმარჯვა და როგორც ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობის რჩეულმა რაც გააკეთა ფოთში, ყველამ კარგად ვიცით!

ფოთიდან უმადურად წამოსული არ დათანხმდა კახეთის რკინიგზის მშენებლობის საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცობაზე არჩევნებში მიეღო მონაწილეობა მიუხედავად იმისა, რომ ქართველ თავად-აზნაურთა ხელმძღვანელმა კობთა აფხაზმა სამჯერ დაუჩოქა და თხოვა გაძლოლოდა ამ დიდ ეროვნულ საქმეს!.. რატომ?.. – ჩემს მიერ აშენებული ფოთიდან ასე გალანძღულად წამოსულს მორალური უფლება არა მაქვს პრეტენზია განვაცხადო ჩვენი ქვეყნისათვის ასეთი უმნიშვნელოვანესი საქმის ხელმძღვანელობაზეო!

80-იან წლებში გაზეთ „ობზორის“ რედაქტორ-გამომცემელი ისევ თვითმმართველობის არჩევნებზე წერს. მოკლედ,

იმის თქმა მინდა, რომ ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპატიო თავმჯდომარის ეგიდით და 12 კაციანი ოპოზიციური ჯგუფის ლიდერად მოვიდოდა ეს 75 წლის ქარმაგი ბრძენი მოძღვარი თავისი ერისა, მანამ რამდენიმე ათეული წლით ადრე იგი ქართველ საზოგადოებას საპარლამენტო არჩევნებისა და მუშაობის, პოზიცია-ოპოზიციის თანამშრომლობის ანა-ბანას უკითხავდა, რათა აზრთა და პოზიციათა სხვადასხვაობისა ამომრჩევლის მოლოდინი გაემართლებინათ „მამულის სიყვარულისა და მსახურების“ უანგარობით.

მოვუსმინოთ თავად 37 წლის (!) ნიკო ნიკოლაძეს! 1880 წლის „ობზორის“ ფურცლებზე იგი წერდა:

„საერთოდ ყველასათვის და განსაკუთრებით ისეთი განსხვავებული ყალიბის საზოგადოებისათვის, როგორც ჩვენია... ძალზე ძნელია პირველი ნაბიჯების გადადგმა თვითმმართველობის გზაზე, რა შეზღუდულიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი. როგორც ბავშვი უნდა დაეცეს მრავალჯერ, რათა საიმედო და სწორი ნაბიჯების გადადგმა ისწავლოს, ისე საზოგადოებაც არაერთხელ ვარდება გამოუვალ მდგომარეობაში, განიცდის მარცხს, ვნება მოაქვს თავისთვის, სანამ ჩასწვდებოდეს საკუთარი თავის მართვის ბრძნულ მეცნიერებას, ეს საერთო ხვედრია ყველა განვითარებადი საზოგადოებისათვის, რომელიც საუკუნოებრივი ძილისა და აპათიის მდგომარეობიდან გამოდის.

მით უმეტეს ჩვენს საზოგადოებას არ შეეძლო ამ ხვედრის თავიდან აცილება; აკი ძლიერ ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მას ნება დაერთო თვითმმართველობისა. სიმართლე რომ ვთქვათ, თვით ეს თვითმმართველობა იმდენად უმწეო და უფერულია, რომ საზოგადოებისაგან მოსალოდნელიც არ იყო ძალების სრული დაძაბვა და უეცარი გაფურჩქვნა ყველა მისი გონებრივი და ზნეობრივი შესაძლებლობისა. აქამდე ჩვენი თვითმმართველობა განისაზღვრება მხოლოდ იმით,

რომ ვირჩევთ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების ან საკრედიტო დაწესებულებების სამმართველოებსა და საბჭოებს. დიდი ხანი არ არის, რაც საქალაქო ხელისუფლების უმრავლესობაში შეუძლებელი გახდა წინანდელი აპათიის გადალახვა, უმცირესობაში კი შეუძლებელი შეიქნა საკუთარი თავისადმი მეტისმეტად მგზნებარე დამოკიდებულების გამოწვევა... და აი, ჩვენ ვტკეპნით ერთ ადგილს ვუშვებთ შეცდომებს და მარცხს მარცხზე განვიცდით...

ამასობაში კი, ყოველდღიურად, სულ უფრო და უფრო ფართოვდება... ან გაფართოვდება... საზოგადოების კომპეტენტურობის სფერო.

დროა, მგონი, შევიგნოთ, რომ საზოგადოებრივ წარმომადგენელთა უწყებების უფლებათა გაფართოებით, თვით ამ საზოგადოებას ევალება ზუსტად შეიგნოს თავისი მონოდების მთელი სიმაღლე და აღმოჩნდეს ამ აღიარების ღირსი...

... ესმის თუ არა ვინმეს, რომ არჩევნები მეტისმეტად სერიოზული საქმეა, რომ არჩევა ამორჩეულებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, რისგანაც თვით ამომრჩეველნი არ არიან თავისუფალნი?..“

„... საოცარი სენით დაავადდა ჩვენი საზოგადოება მას შემდეგ, რაც შემოიღეს საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევნები... ამომრჩეველებისთვის სულ ერთია ვის და რატომ ირჩევენ. არჩევნებში მონაწილე კანდიდატები კი “კენჭს იყრიან იმის მტკიცე რწმენით, რომ არჩევნებში გამარჯვება სხვა არაფერია, თუ არა პატივი და წარჩინება. იმის შესახებ კი, რომ ეს უპირველეს ყოვლისა, შრომაა, მიძიმე შრომა, არავინ ფიქრობს, მაგრამ განა გასაკვირი არაა, რომ თვით ამომრჩეველ საზოგადოებას არ უნდა თავის საქმეს სერიოზულად შეხედოს?“

აკი ამორჩეული, უპირველეს ყოვლისა, წარმომადგენელია იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი აირჩია. ამიტომაცაა, რომ ამორჩეული პიროვნების მიხედვით მსჯელობენ ამომრჩევ საზოგადოებაზე, როცა ამორჩეულნი უნიჭონი ან მოუშაადებელნი,

მოუხერხებელნი ან მერყევი არიან, საყვედურობენ არა მათ, არამედ იმ საზოგადოებას, რომელმაც აირჩია ისინი. ამის შედეგად, ალბათ, ყოველმა ამომრჩეველმა საზოგადოებამ თავის უმაღლეს მიზნად უნდა მიიჩნიოს ისეთი პიროვნებების არჩევა, რომელთა გამო შემდეგში განითლება არ მოუხდება. მაგრამ რატომაა, რომ ჩვენთან, უმეტეს შემთხვევაში, არაფერი ამის მსგავსი არ ხდება?.. ახლა ვსვამ კითხვას: როგორ ავუხსნათ საკუთარ თავს ან სხვებს ასეთი არჩევნების შესაძლებლობა? განა ისინი, ვინც ირჩევდნენ, არ იცნობდნენ მათ, რომლებსაც ირჩევდნენ? რასაკვირველია, იცნობდნენ, რადგან ჩვენში ყველა იცნობს ერთმანეთს და იცნობს ზედმინევით კარგად. როდესაც გაკოტრებულ ადამიანს ირჩევდნენ საზოგადოების ხაზინადრად, ეს მდგომარეობა კარგად იცოდნენ საზოგადოების წევრებმა, მაგრამ საზოგადოების ინდიფერენტულობა, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა... ყოველთვის იმარჯვებდა.

... დიახ, სხვა არაფრით შეიძლება ასეთი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობის ახსნა, თუ მას არ მივამსგავსებთ ბავშვების თამაშს საარჩევნო ყუთთან. როგორც არჩეულები, ისე ამომრჩეველები ჩვენთან არჩევნებს ეკიდებიან თამაშის თვალსაზრისით – პირველნი პატივმოყვარეობას იამებენ, მეორენი... უბრალოდ ერთობიან...

მაგრამ, ბატონებო, დროა შევიგნოთ, რომ აუცილებელია სამუდამოდ გამოვემშვიდობოთ მსგავს გულცივ დამოკიდებულებას მოქალაქის უფლებათაგან უმნიშვნელოვანესის – მისი წარმომადგენლის არჩევისადმი... სამწუხაროა და ამას ჩვენ მხოლოდ შემდეგ გავიგებთ, რომ წინდაუხედავად ტარდებოდა საბანკო თანამდებობებზე ჩვენი არჩევნები, შეუწყნარებელია, რომ ასე უგულოდ ვეკიდებოდით საქალაქო საზოგადოებრივ თანამდებობებზე არჩევნებს, მაგრამ ნამდვილად დანაშაული და სამარცხვინო იქნება, თუ ჩვენ ამ მხრივაც სიჯიუტეს გამოვიჩინებთ მომავალი... არჩევნების დროს, რომლის შესახებაც აუცილებელია წინასწარ ვიფიქროთ, რათა და-

მაკმაყოფილებლად მოვემზადოთ მისთვის...

... საზოგადოების მომზადების მთელი ძალა მისი გონიერი ორგანიზაციაა, რათა თავისი საქმის სათავეში დააყენოს ისეთი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი სათანადო მიმართულება მისცენ მას, ყველა თანამდებობაზე ისეთი პიროვნების არჩევა, რომელიც შეეფერება მიზანს, ღირსეული, უნარიანების წინ წამოწევა... აი, საზოგადოებრივი მზადების ალფა და ომეგა, აი, რით განსხვავდება გონიერი საზოგადოება ცხვრის ფარისაგან, რომელთა წარმომადგენლები და გზის მაჩვენებლები არიან პირველივე შემხვედრი თხები.“

თვითმმართველობის ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტზე – საქალაქო სათათბიროზე, რომელიც რუსეთის მეტროპოლიის პირობებში საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მინიატურული ასლის ჩანასახს წარმოადგენდა, ნიკო ნიკოლაძე მომდევნო წლებშიც აგრძელებდა საუბარს, უფრო გახსნილად, მეტი კონკრეტიკით და კატეგორიულობით. კერძოდ “ობზორის” გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გაზეთ “ნოვოე ობზრენიეს” გამომცემელ-რედაქტორი ბევრს წერდა თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს ხმოსანთა არჩევისა, თვით სათათბიროს შემადგენლობისა და ფუნქციონირების შესახებ, საზოგადოების, ინტელიგენციის, პრესის დამოკიდებულებაზე ხალხის ამ წარმომადგენლობითი ორგანოსადმი. ხმოსანთა არჩევისა და სათათბიროს მუშაობის უმთავრესი პრინციპი უნისონშია უფრო მასშტაბური – ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტის დეპუტატთა არჩევისა და მუშაობის ძირითად პრინციპებთან. ნებისმიერი სახის არჩევითი კამპანიის მონაწილე მხარე მოწოდებული უნდა იყოს გამოხატოს ერის უზენაესი ნება და მისწრაფებანი, ამისათვის საჭიროა ქვეყნის, საზოგადოების ძირითადი, უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების, მათი განხორციელების საშუალებების, მექანიზმების ცოდნა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენების ხელოვნება საკუთარი ქვეყნისა და საზოგადოების

თავისებურებათა პრიორიტეტის გათვალისწინებით, არ უნდა უფროსოდეს განსხვავებულ აზრსა და სამართლიან კრიტიკას და უნდა გააჩნდეს საერთო საქვეყნო საქმის შეთანხმებულად, კოლექტიურად კეთება, ერთობლივად მუშაობის უნარი იმის შეგნებით, რომ “უდიდესი სიკეთე დედამიწაზე – თავისუფლება წარმოუდგენელია, განუხორციელებელია, არამყარია მკაცრი დისციპლინის, მტკიცე ორგანიზებულობის და ასეთივე წესრიგის გარეშე.

ნიკოლაძეს მტკიცედ მიაჩნდა, რომ „არათუ წარმატებისათვის, არამედ საქმის რამდენადმე სწორი წარმართვისათვის საზრიანი და საქმიანი ოპოზიცია, რასაკვირველია, არსებით საჭიროებას წარმოადგენს,“ რამეთუ „სინთეზი, საერთო აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს სარგებლობას და არა ზიანს, როცა ის არსებული საზოგადოების უდიდეს ნაწილს მოიცავს და არა უკლებლივ ყველა მის წევრს... საზოგადოებაში უნდა არსებობდეს გარკვეული უმრავლესობა, რომელსაც ექნება აზრთა, მისწრაფებათა და პროგრამათა გარკვეული და ნათელი წყობა. თვით ამ საზოგადოების უმრავლესობის განათლების, შეკავშირებისა და საქმიანობისათვის აუცილებელია, რომ მათ გვერდიგვერდ იყვნენ განდგომილნი. ისინი, ვინც არ ეთანხმებიან, სხვაგვარად მოაზროვნენი, სხვაგვარად მოქმედენი. ამათ, რასაკვირველია, ხელმძღვანელობა, პირველობა კი არ უნდა მიეცეთ, არამედ თავიანთი აზრის, უარის, კრიტიკის თავისუფალი გამოთქმის უფლება.

დღევანდელ საზოგადოებაში ეს თითქმის არავის ესმის. ჩვენში საკმარისია გქონდეს გამორჩეული ჭკუა, საკმარისია გამოთქვა ახალი მოსაზრება, ან შეეკამათო აღიარებულს, რომ თითქმის ყველა დაგესხმის თავს, როგორც ბოროტ ძალას ან მოლალატეს. და რაც უფრო ორიგინალურია მისი აზრი, რაც უფრო ნათლად და ნიჭიერად არის გამოთქმული, რაც უფრო დასაბუთებული და მართებულია, მით უფრო მკაცრად და დაუნდობლად მოეკიდებიან მას უმრავლესობის წარმომადგენ-

ლები და მიმდევრები.

თავხედის მოსათოკად იყენებდნენ შავბნელი წარსულის ყველა ხერხს იმ იმედით, რომ მის ბაგეებზე მორჩილებისა და სიჩუმის ბეჭედი დაესვათ... თუმცა აქ არავითარ ბრძოლასთან არა გვაქვს საქმე, ვინაიდან ბრძოლა გულისხმობს დაპირისპირებას, აზრთა შეჯახებას, დასაბუთებას, ეს კი ჩვენში მიღებული არ არის. ჩვენში მიღებულია ცოდვილი „მოლაღატის“ ლანძღვა უმრავლესობის მიერ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ესმით საკუთარი შეხედულებების საფუძვლები და ძალები, სხვაგვარად ის შესძლებდა დაეცვა თავისი შეხედულებები და რწმენა დასაბუთებით და არა ჭორით...

... ოპოზიციას არაფრით არ ეპატიება თავისი ფუნქციონისადმი გულგრილი და ქარაფშუტული დამოკიდებულება. ის აუცილებლად უნდა ჩანვდეს მორიგი საკითხების არსის ყველა წვრილმანს და სათათბიროს სხდომაზე უნდა გამოცხადდეს არა მხოლოდ ბუნდოვანი სურვილით, რაღაც კვიმატურით უთხრას, არამედ მათ ხელთ უნდა ჰქონდეთ დასაბუთებანი და გადანყვეტილებანი, რომელთა მეშვეობით შეეძლება არა მარტო ზეგავლენა მოახდინონ უმრავლესობის ნებაზე, არამედ უკიდურეს შემთხვევაში მოახერხებენ მოსახელეთა ყურადღება წარმართონ საზოგადოებრივი საკითხების მართებულად გადასაჭრელად. ყველგან და ყოველთვის ოპოზიციის შექმნის მიზანია არა მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენელთა კონტროლი და მოთოკვა. მისი უმთავრესი ამოცანაა წამოაყენოს თამამი წინადადებანი და დაგვისაბუთოს მათი ნაყოფიერება და სარგებლიანობა, მართებულობა და ამით მოამზადოს ნიადაგი საზოგადოებრივი საქმეების საფუძვლიანი წარმოებისათვის, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრიობის მომავალ პროგრესს. და როცა ოპოზიცია თავისი დანიშნულების ამ თანაბრად საჭირო მხარეების შესრულების ნაცვლად იწყებს გამგეობასთან მხოლოდ გესლიან ლაპარაკს თემაზე „გაკრეჭილი კი არა, გაპარსულია“, ეს ნიშნავს, რომ მას არ შესწევს ძალა კვალი

დატოვოს არც მის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ორგანოში, არც იმ მოსახლეობის აზროვნებაში, რომლის შემადგენლობაში თვით შედის...

... სათათბიროში ჩვენ სერიოზული ოპოზიცია გვჭირდება, რომ მან მოგვცეს ისეთი თაობა, რომელიც შეძლებს თვითმართველობის იმ ამოცანების განხორციელებას, რომლებიც გაუგებარი ან მიუღწეველია მისი დღევანდელი წარმომადგენლებისთვის.“

კითხულობ ამ სიბრძნით დაყურსულ წერილებს და გული გტკივა!... გული გწყდება, რომ ნიკოლაძის შეგონებებს არა მარტო ამ საკითხში არც მაშინ და მით უმეტეს არც ახლა არ ისმენდნენ, არ ისმენენ და იმ 70 წლიანმა ერთპატიულმა საბჭოთა წყობამ და ფალსიფიცირებულმა საბჭოურმა არჩევნებმა, უფრო მეტად კი 90-იანი წლების სისხლიანი გადატრიალებით ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებულმა უკანონობამ შეინირა არჩევნების სამართლიანად ჩატარების შესაძლებლობის რწმენა, იმედი, მნიშვნელობა...

ნიკო ნიკოლაძე რიონზე ნაოსნობის შესახებ

„უცნობი ქუთაისი“ ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 2016.

მდინარე რიონზე ნაოსნობის საკითხი არაერთხელ დასმულა და განახლებულა. უკანასკნელად გასული საუკუნის 80-იან წლებში ინგლისელი მეცნიერისა და მოგზაურის ტიმ სევერინის საქართველოში ჩამოსვლისას კიდევ ერთხელ გაიხსენეს, თითქოს გზებიც დასახეს ნაოსნობის, ტვირთბრუნვის, სპორტული, ტურისტული და სხვადასხვა მიზნით ჩვენი მდინარეების გამოყენების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, როგორც ხდება ხოლმე, არავის გახსენებია ჩვენი დიდი თანამემამულის ნიკო ნიკოლაძის ღვანლი და დამსახურება ამ საქმეში.

ჩვენ ამ წერილით ოდენ ნიკოლაძის ამ საკითხში მონაწილეობის შესხენება გვსურს საზოგადოებისათვის. და კიდევ იმისა, რომ ქუთაისის საპორტო ქალაქად მოხსენიება არასოდეს ყოფილა დღემდე ქილიკის საგანი. მას მუდამ სერიოზულად განიხილავდნენ (იხ. გაზ. „კომუნისტი“; 1985 წლის 16 ივნისი, №118; გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“; 1988 წლის 2 ივლისი, № 80; გაზ. „ქუთაისი“; 1989 წლის 18 თებერვალი, №38 და ა. შ.).

1926 წელს გამოვიდა ნიკო ნიკოლაძის ბროშურა “მდინარე რიონზე ნაოსნობის ეკონომიკური მნიშვნელობა”, რომლის შესავალში – “წინასიტყვაობის მაგიერ” – ვიგებთ, რომ 1926 წლის 11 იანვარს ჩატარდა პირველი თათბირი საქართველოს საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სამდინარო მეურნეობის, ამიერკავკასიის სამდინარო მიმოსვლის სამმართველოსა და პორტების განყოფილების წარმომადგენლებისა და მოწვეული ნ. ი. ნიკოლაძის მონაწილეობით, რომელზეც შედგა საგანგებო კომისია მდ. რიონზე ნაოსნობის დანყებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შემუშავებისათვის (კომისიის შემადგენლობის ჩამოთვლა აქ საინტერესოდ არ მიმაჩნია). ამ მიზნით საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გაცემული 3,000 მანეთით სსრკ

სამდინარო მიმოსვლის სამმართველოსა და პორტების განყოფილების მიერ ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები მდინარე რიონისა სამტრედიის ხიდიდან შესართავამდე, რამაც აღმოაჩინა ამ მონაკვეთზე ნაოსნობის გახსნის სრული შესაძლებლობა. ამავე დროს კომისიის წევრმა ნ. ი. ნიკოლაძემ, ცნობილმა ეკონომისტმა და ადგილობრივი პირობების მცოდნემ, განაცხადა თანხმობა უსასყიდლოდ შეედგინა ეკონომიკური წერილი მდ. რიონზე ნაოსნობის მნიშვნელობის შესახებ.

ნიკოლაძემ დაუყოვნებლივ შეასრულა თავისი საქმე – მან შეადგინა ეკონომიკური დასაბუთება მდ. რიონზე ნაოსნობის ორგანიზაციის აუცილებლობისა, რისი წყალობითაც რიონზე ნაოსნობის დაწყების ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაჩქარდა – გამოიყო ნაოსნობის უზრუნვესაყოფად საჭირო აუცილებელი თანხები, შემუშავდა სააქციო საზოგადოების წესდება, შერჩეულ და მოძიებულ იქნა სამდინარო ტრანსპორტის ოპტიმალური სახეობები და დაიწყო მთელი მხარისა და განსაკუთრებით მდ. რიონის ხეობის სასოფლო სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარება (რიონზე ნაოსნობა სხვადასხვა დანიშნულებით 1936 წლამდე არსებობდა).

რიონზე ნაოსნობის აღდგენის მნიშვნელობაზე საუბარს ნიკოლაძე ამ თემის ისტორიული მიმოხილვით იწყებს, რაშიც ჩანს ჩვენი დიდი თანამემამულის ღრმა ცოდნა საკითხის ისტორიული მხარისა და ისიც, რომ ნიკოს კარგად ესმის ამ ნაოსნობის მნიშვნელობის არამარტო სამეურნეო მხარე, იგი მის სტრატეგიულსა და პოლიტიკურ დატვირთვაზეც ლაპარაკობს. მიმოიხილავს რიონის აუზის სხვა დიდ თუ მცირე ზომის მდინარეების დამხმარე ფუნქციასაც რიონთან ერთად ამ მდინარეებში წყლის აუცილებელი დონეების რეგულირებისა და ამისათვის გამოსადეგი საზღვაო თუ სამდინარო ტრანსპორტის სახეების, ორთქლმავლებისა და სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის გრაფიკს, აქვე იძლევა ცნობებს 70-იან

ნლებამდე ფოთი-ორპირის მარშრუტის ღირებულებასაც.

1873 წლიდან რიონზე ნაოსნობა და ვაჭრობა შეწყდა ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის აშენების გამო, რადგან “რკინიგზამ ნაოსნობიდან მიიტაცა ყველა სატრანსპორტო ტვირთი”, თუმცა, როგორც ნიკოლაძე ამბობს, – “ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მცირე ნაწილს-ლა შეეძლო გაეკვლია გზა თავისთვის და თავისი ნაღვანისთვის ახალგახსნილი რკინიგზის სადგურებისკენ.” მართალია, ამან ხელი შეუწყო ამ ადგილებში მეურნეობის განვითარებას, მაგრამ ეს იყო მოსახლეობის მცირე ნაწილი. დანარჩენი – რიონის ხეობის მარჯვენა სანაპიროს თითქმის მთელი მოსახლეობა კი იძულებული გახდა დაბრუნებოდა პირველყოფილ საშუალებებს ან პროდუქცია უფასოდ გაესაღებინათ კულაკებთან, ან ტივებით ჩაეზიდათ ფოთში. ნიკოლაძე ეჭვქვეშ აყენებს ნაოსნობის ფუნქციონირებისათვის ხელის შემშლელად მდინარის ხერგილებსაგან განმეიდის შეწყვეტას მთავრობისაგან, რადგან თუნდაც 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ, ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსულმა საზოგადოებამ რიონზე ზევით, ფოთიდან ორპირამდე ორთქმავლის ბუქსირით აიყვანა ორი ბარჟა მდინარის ხერგილებისაგან წინასწარი განმეიდის გარეშე. 5 წლის გაუნმენდავ მდინარეში ბარჟებსა და ორთქლმავალს მდინარის მთელ გაცოლებზე არანაირი დაბრკოლება არ შეხვედრია.

“მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე”, – წერს ნიკოლაძე, – “რიონზე ნაოსნობის შეწყვეტის დროიდან რომ გაიარა, ქვეყნის ეკონომიური განვითარება წავიდა წინ გიგანტური ნაბიჯებით. ყოველგვარი სიძნელების მიუხედავად, რიონის ხეობის აღმოსავლეთ ნაწილის, განსაკუთრებით, მისი მარჯვენა, რიონში მდ. ტეხურას შესართავის ზემოთა მხარის ტვირთმა და მოსახლეობამ გაიკვლიეს გზა რკინიგზის სადგურებისკენ შარაგზების ფართო ქსელში, მოსახლეობამ რომ მოაწყო, მაგრამ ამ მარჯვენა სანაპიროს დასავლეთი ნაწილი, განსაკუთრებით მდ.

ცივის შესართავიდან დაწყებული და ასევე თითქმის რიონის მთელი მარცხენა სანაპირო თითქმის მთლიანად მოწყვეტილი იყო სრულყოფილ საგზაო მიმოსვლას. მხოლოდ რიონზე ნაოსნობის აღდგენას შეუძლია ამ ფართო რაიონის ეკონომიური მოღვაწეობისათვის გამოწვევა. კლიმატური და ნიადაგური პირობები მოწოდებულნი არიან არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ წარმოების სხვა დარგების ინტენსიური განვითარებისათვის”.

შემდეგ ნიკოლაძე დაწვრილებით აღწერს კოლხეთის დაბლობისა და კავკასიონის ქედის ამ მონაკვეთის მთისწინეთს კოდორის აუზის ჩათვლით, მდინარეთა განლაგებას ამ სივრცეზე, მხარის კლიმატურ პირობებს, ჰავას, წყლის შეფარდებით დონეებს ამ მდინარეებში, მდინარეების ერთმანეთში გადადინების პროცესებს ადიდებისას სეზონურად და ამის შედეგებს, ნალექების წლიურ და სეზონურ რაოდენობას, მდინარეების მიერ მთებიდან წამოღებულ დანალექებს და ამ დანალექების გავლენას მდინარეებისა და ზღვის სანაპირო ზოლში ნიადაგის, მიწის საფარის ცვლილებებზე, მდინარეთა სეზონური ადიდების შედეგად სხვადასხვა ბუნებრივი პირობებით გამოწვეულ მდინარეთა კალაპოტების, მიმართულებების ცვლილებებს, მოსახლეობის განსახლებას მდინარეების გასწვრივ, მათ სამეურნეო და სავაჭრო საქმიანობას, მცენარეულ საფარს და სხვა.

თავისი ნაშრომის მეორე ნაწილში (“სტატისტიკური მიმოხილვა”) ავტორი იძლევა მდ. რიონის ხეობის სამივე რეგიონის (“მაზრების”) – იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს – სოფლის მოსახლეობის განსახლების სიმჭიდროვისა და სამეურნეო საქმიანობის დახასიათებას, სახეობების, მოცულობების გათვალისწინებით; ჰექტარზე სხვადასხვა კულტურის მოსავლიანობასა და გლეხების მიერ ხე-ტყითა და სხვადასხვა სახის პროდუქციით ვაჭრობის მოცულობას, ტვირთის სავაჭროდ გადაზიდვის საშუალებებს რკინიგზით, მდინარეში შეცურებით, მდინარეზე ნაოსნობით და ა.შ. ავტორი იქვე დასძენს:

– “ზუსტი მონაცემების უქონლობის მიუხედავად, უეჭველია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგების პროდუქტები, როგორცაა მებოსტნეობა, მებალეობა, მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა და ა.შ. მისცემენ რიონის ნავიგაციას ათეულ ათასზე არანაკლები რაოდენობის კარგად ანაზღაურებულ ტვირთს.”

სარკინიგზო სადგურებამდე მდინარეებით პროდუქციის გადაზიდვის სიძნელეებსა და საშუალებების, მოცულობის აღწერის შემდეგ ნიკოლაძე დაასკვნის: – “უკვე მსოფლიო ომის წინ იყო სახეზე მონაცემები რიონზე რეგულარული ნაოსნობის მოსაწყობად. იქამდე მაშინ არსებული სავაჭრო-სამგზავრო მოძრაობის ერთი მესამედი ნაწილი სავსებით კმაროდა არა მარტო ასეთი დაწესებულების ხარჯების დასაფარავად, არამედ დახარჯული კაპიტალის პროცენტების ქარბად გადასახდელადაც.”

მესამე თავში – “დაწესებულების (ალბათ, აქ უნდა იგულისხმებოდეს – “სააქციო საზოგადოება” ან სსრკ სამდინარო მიმოსვლის სამმართველო და პორტების განყოფილება) სქემა” ნიკო წერს, რომ „რიონის სანაოსნო რაიონის სტატისტიკური მიმოხილვა გვაძლევს იმის გამოთვლის საფუძველს, რომ ამ „დაწესებულების“ წლიურმა ბრუნვამ, შეიძლება, მისი მუშაობის პირველ წლებში მიაღწიოს სავაჭრო-სამგზავრო მოძრაობის მესამედს იმისა, რაც არსებობდა ამ რაიონში 1913 წელს, ე.ი. 250.000 მგზავრის გადაყვანას და 4.870.000 ფუთი ტვირთის გადაზიდვას. მგზავრ-კილომეტრის 1,5 კაპ. და ფუთ-კილომეტრ 0,15 კაპ. ტარიფის დროს საშუალოდ 60 კილომეტრ გზის სიგრძეზე წარმოებას შეუძლია მოგვცეს ყოველწლიურად 225,600 მანეთი მგზავრთა მოძრაობიდან და 438,300 მანეთი – სატვირთოსაგან. 663,300 მანეთი შენახვისა და გადატვირთვისათვის დამატებითი ანაკრებების ჩაუთვლელად. ამ შემოსავალს ადვილად გავზრდით, კლიენტებისათვის ზარალის გარეშე, თუ სანაოსნოს თბომავლებსა და ბარჟებს მოვამარ-

აგებთ თანამედროვე მონყობილობით და ტრანსპორტიორებით საქონლის მექანიკური გადაზიდვისათვის. განსაკუთრებით – სიმინდისა. მოვამარაგებთ სანაოსნოს ნავმისადგომებს მცირე ზომის ბელლებით და მოვანყობთ ფოთში ტრანსპორტიორებს ხორბლის გადასაზიდად პორტში მდგარ საზღვაო გემებზე, ანდა სანაოსნოს ხარობსა და შეშის ვაგონებში, ან რკინიგზის საწყობებში. დროთა განმავლობაში ეს ოპერაციები, ვარიანტთა სისტემის მიღებისას სანაოსნოს მიერ, მნიშვნელოვნად გაზრდიან და შეამსუბუქებენ სიმინდისა და ტყის მასალების გატანას, ადგილობრივი მოსახლეობისა და მისი მომსახურე ნაოსნობისათვის დიდი სარგებლით. ცნობილია, რომ ფოთის გავლით სიმინდის გადაგზავნის განვითარებისათვის არსებითი ხელის შემშლელი გარემოება ყოველთვის იყო მისი იქ შენახვის აუცილებლობა საზღვაო ტრანსპორტის მოსვლამდე და მათი მოსვლისთანავე მარცვლის ხელახლა გადაყრა ბელლებიდან სარკინიგზო ვაგონებში პორტში გემამდე მისატანად, რომლის საცავეებში (ტრიუმებში) იგი იყრებოდა ხელით და არა ელექვატორის საშუალებით.”

შემდეგ ნიკოლაძეს მოჰყავს გასავლისა და შემოსავლის წლიური გაანგარიშებები და დაასკვნის: “დანესებულების (სანაოსნოს) შემოსავალი საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გაიზარდოს ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც და მაინც არ მიაღწევს მდინარისპირა მოსახლეობისათვის ახლანდელი გადაზიდვების ღირებულებას. მაგრამ დაბალი განაკვეთის დროსაც კი გამოდის, რომ რიონის ტრანსპორტის საერთო შედეგი წელიწადში მოგვცემს:

შემოსავალი 476.250 მანეთს

გასავალი 368.159 მანეთს

ან, დანესებულებაში ჩადებული და ათეული პროცენტთან ზრდით ანაზღაურებული, კაპიტალზე ოცი პროცენტით მეტს.

კომენტარის სახით დავამატებდი (და იქნებ კიდევ ვინმეს გაუჩნდეს სურვილი ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გა-

მოთქმისა):

ნიკოლაძის ეს ნარკვევი ჩვენთვის საინტერესოა არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ ორპირამდე მდინარე რიონის სანაოსნოდ და სავაჭრო მიმოსვლისთვის გამოყენებას თუ გასული საუკუნის დასაწყისში, მიმოსვლის საშუალებათა და ტექნიკის მაშინდელ პირობებში შეეძლო მოგების მოტანა სახელმწიფოსათვის და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დღეს, დამოუკიდებლობის პირობებში მით უფრო საშურ საქმედ სჩანს რიონის და სხვა დიდი მდინარეების გამოყენება სანაოსნოდ, ტვირთის გადასაზიდად, სპორტული და ტურისტული თვალსაზრისით და სხვა. ხოლო, რაც შეეხება ქუთაისის საპორტო ქალაქობას, ორპირი, მოგეხსენებათ, არც ისე შორსაა ქუთაისიდან. ორპირამდე და ორპირიდან ტვირთის გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა (ტურისტებისაც) და ა. შ. მდინარე რიონით ტრანსპორტირებას გააიაფებდა, გააიოლებდა მიმოსვლას, რიონზე ნაოსნობა მიმზიდველი იქნებოდა ტურისტებისთვისაც. ეს, ალბათ, ცოტა გვერდზეც გაგვახედებდა – მეტ ყურადღებას მიგვაქცევინებდა მდინარეთა კალაპოტების სისუფთავისათვის (ხშირად ხომ მდინარის ნაპირები ნაგავსაყრელადაა ქცეული), იაფფასიანი მსუბუქი სანაოსნო (სამგზავრო) ან თუნდაც ტვირთის გადასატანი სამდინარო ტრასპორტის ადგილზე დამზადება და შებამისი საწარმოების გახსნა მცირე ბიზნესის სახით ადგილობრივ მუშახელს დაასაქმებდა, მდინარეთა გასწვრივ არსებული ჭაობების დაშრობის პრობლემაზეც დავფიქრებოდით – ამ უბნებზე მელიორაციული პროექტების განხორციელებაზე, რაც საძოვრებისა და ნოყიერი სახნავ-სათესი ფართობების პრობლემასაც მოაგვარებდა...

ოცნებას კაცი არ მოუკლავს. არც შეუძლებელია არაფერი! ევროპაში თუ ყველა ეროვნულ რესურსს პოტენციურად მერკანტილური კუთხით აფასებენ და იყენებენ, ჩვენ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ღვთით ბოძებული ბუნებრივი სიმდიდრე

და რეზერვები გონივრულად და მაქსიმალურად?! როგორც დიდი ნიკო ამბობდა: – “ბრმაც კი უნდა მიხვდეს, რომ ყოველი საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას განავითარებს და გააძლიერებს, რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს ან მხარში ძალას მისცემს, სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხისათვის”, ან “ ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროვე მეცნიერების იარაღითარის აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს... სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მენველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვაახლოებს, ჩვენის მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს და ნიადაგ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის გათავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულ მდგომარეობისაგან...”.

ნიკო ნიკოლაძე და აჯამეთის ტყის საკითხი

ამას წინათ საინფორმაციო საშუალებებში გაიჟღერა ცნობამ აჯამეთის ტყის ისტორიული კუთვნილების თაობაზე. მყისვე ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური წერილები ამოტივტივდა გონებაში. მინდა გაგაცნოთ ნიკო ნიკოლაძის გამომხაურება ამ საკითხთან დაკავშირებით. ნიკოლაძის მიერ აქ გამოთქმული მოსაზრებები, როგორც ყოველთვის, დღესაც არ კარგავენ აქტუალობას.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გაზეთებში – ს. მესხის „დროებასა“ და ნ. ნიკოლაძის რუსულენოვან „ობზორში“ რამდენიმე სტატია დაიბეჭდა აჯამეთის ტყის შესახებ.

ჯერ კიდევ 1879 წლის 14 აგვისტოს „დროების“ ნომერში ვინმე „თქვენი მორჩილი სვირელი გლეხის“ რედაქტორისათვის გაგზავნილ წერილში საუბარია აჯამეთის ტყის ყიდვის სურვილზე გლეხებისაგან ამის ხელის შემშლელ პირობებზე.

რამდენიმე თვეში ნიკოლაძე თავისი გაზეთის „ობზორის“ 1880 წლის 17, 23, და 24 თებერვლის თვის ნომერებში ორი წერილით გამოეხმაურა ამ საკითხს და უმოქმედობისთვის სასტიკად გააკრიტიკა ბანკირები, რედაქტორ-გამოცემლები, ინტელიგენცია – ყველა, ვის საზოგადოებრივ ვალადაც იგი ხალხის საჭიროებისათვის ქმედით დახმარებას მიიჩნევდა.

როგორც ყოველთვის, ნიკო ამ პრობლემასაც პერსპექტივაში ქვეყნისა და ხალხისათვის სასიკეთო შედეგების მოტანის თვალსაზრისით განიხილავს. მას კარგად ესმის, „თუ რამდენად გართულდა აქ მოსახლეობის ცხოვრება იმის შედეგად, რომ აჯამეთის ტყე გადავიდა კერძო ადამიანების ბ. ბ. ანანოვის, სვიატოპოლსკ-მირსკის, გრუზინსკისა და სხვათა ხელში... ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი ხარჯების გაუღებლად არ შეუძლიათ აწარმოონ არათუ მშენებლობა, არამედ უბრალო შემოღობვა და შენობების გათბობაც კი.“ მიუხედავად ამისა და სწორედ ამ მდგომარეობის გათვალისწინებით ადგილობრივ

მოსახლეობას შეუძლია და კიდევ უნდა ეცადოს, შეიძინოს ტყის სახაზინო საკუთრებად დარჩენილი ნაწილი, რომელიც მაშინ თავად მირსკის ხელში იყო და იმჟამად ტყის მეპატრონე ამ ნაწილის გაყიდვას აპირებდა. ნიკოლაძე რამდენიმე ვარიანტს სთავაზობს საზოგადოებას და სახელმწიფოს პრობლემის მოსაგვარებლად.

„თავისთავად ტყე უდიდესი ღირებულებაა,“ – წერს ნიკო, – „და მისი გონიერი ექსპლოატაციით, შეიძლება, ერთი მხრივ, დაიბრუნო მასზე დახარჯული თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, შეუმსუბუქო მდგომარეობა ყველას, ვისაც სჭირდება სამშენებლო მასალა და შეშა. ამიტომ ძალიან გონიერი ნაბიჯი იქნებოდა შეერთებული ძალით ტყის ყიდვა თავად მირსკისაგან.“

ტყის შესასყიდი თანხის – ნახევარი მილიონის შოვნის გზად და საშუალებად ნიკოს ისევ ბანკები მიაჩნია. ბანკების მიერ მოსახლეობის ინტერესების დაცვაში, მათ დახმარებასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვაში ხედავს ნიკოლაძე ბანკების მთავარ მისიას. ამას მოიკთხოვს ყველასაგან, ვისაც საბანკო საქმე და საზოგადოების წინამძღოლობა აბარია.

„ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების სათავეში მდგომი ადამიანები, თუ ნამდვილად ახსოვთ მათი დანქნებულების აზრი, დანიშნულება და სერიოზულად მიილტვიან მისი განხორციელებისაკენ, ადვილად მოიფიქრებენ, რომ თავად დ. ი. სვიატოპოლსკ-მირსკის ტყის შესასყიდად ნაღდი ფული საჭირო იქნება არაუმეტეს 150-200 ათასი მანეთისა; დანარჩენი თანხის მოპოვება შეიძლება ტყის დაგირავებით სამინათმოქმედო ბანკში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად შმოსავალი საკმარისი იქნება არა მარტო ხარჯების, არამედ ბანკის პროცენტების დასაფარავადაც... რაც შეეხება 200 ათას ნაღდ ფულს, მისი დაგროვება მაინც და მაინც ძნელი არ უნდა იყოს... მისი მიღება შეიძლება კერძო პირთა და სოფლის საზოგადოებათა შენატანებით, რომელთაგან შეიძლებოდასააქციო კომპანიის მსგავსის შექმნა.“

ნიკოლაძე იმედს გამოთქვამს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელთაც კარგად იციან აჯამეთის ტყის ფასი და სარგებლიანობა, შეძლებენ ერთმანეთში გაინაწილონ 200-399 მანეთიანი აქციები, ასევე ქუთაისსა და თბილისშიც მოიძებნებიან (თავად მირსკის ჩათვლით) ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით დათანხმდებიან ნაღდი ფულის სანაცვლოდ მიეღოს ასეთი კომპანიის აქციების საკმაო რაოდენობა. საჭიროა მხოლოდ საქმის გონივრულად დაწყებაო, – წერს ნიკო, – მამულისა და მისი შემოსავლის, ბანკისა და მმართველობის ხარჯების დინჯად დაანგარიშება, ხალხისათვის ჩვენება და დახმარების თხოვნა ამ საქმეში, რომელიც ასე სასარგებლო იქნება როგორც მოსახლეობის, ისე აქციონერთათვისო.

ნიკოლაძე იქვე მოუწოდებს სამინისტროქმედო ბანკების მმართველებს: – „დაე, მათ ერთხელ მაინც სცადონ სათავეში ჩაუდგნენ ისეთ საქმეს, რომელიც ნამდვილად გააუმჯობესებს მასების ეკონომიკურ მდგომარეობას და თან შესაბამისი იქნება ჩვენი სამინისტროქმედო ბანკების ძირითადი დანიშნულებისა – ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.“

ნიკოლაძე, როგორც რედაქტორ-გამომცემელი და როგორც პუბლიცისტი, იქვე განმარტავს გაზეთის როლსა და დამოკიდებულების არსს ასეთ და მსგავს საზოგადო საქმეში. ბანკების სახითო, – წერს იგი, – „ჩვენ ვებრძვით მხოლოდ საქმისადმი აპათიურ დამოკიდებულებას და მათს დაუძლეველ ვნებას ყველაზე გრანდიოზული საქმეც კი დაიყვანონ გირავნობის ფურცლებზე მექანიკურ ხელმოწერასა და... მეტისმეტად დიდი ჯამაგირის აღებადღე.“

მეორე წერილში ნიკოლაძე ეხმაურება და კრიტიკულად მიმოიხილავს გაზეთ „დროებაში“, „თილისის მოამბესა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“ ამავე საკითხზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს.

ნიკოლაძე არ ერიდება ავტორიტეტებს და წერს: – „ყველა,

ყველა, მაგრამ ვფიქრობთ, შეუძლებელია ჩვენი გაზეთი დაადანაშაულო ბ. ბ. ჭავჭავაძისა და ლოლობერიძის მიმართ გამოჩენილ ნაზ გრძნობებში, ჩვენს სტატიაში მკაფიოდაც კი იყო ეჭვი გამოთქმული, რომ ეს ბატონები ვერ აღმოჩნდებოდნენ თავიანთი მდგომარეობის საფეხურზე. ჩვენ დავსახეთ ამოცანა და მივუთითეთ, რომ მისი შესრულება თავს უნდა ედოთ ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების მოთავეებს, მაგრამ იქვე დავუმატეთ, რომ ისინი ამას, ალბათ, არ გააკეთებდნენ.“

ინტელიგენციას, ანუ საზოგადოების იმ შეგნებულ ნაწილს, რომელმაც იტვირთა პრესით თუ ქართული სიტყვით, ბანკით თუ სხვა, ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საზოგადოებებით ერის წინამძღოლობა, ეროვნული საქმის კეთება არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ასეთი პირველხარისხოვანი საქმე, ხოლო რადგან გამორჩათ, მისი არც ხელში ალება შეუძლიათ და არც ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ მისი აღსრულება! – წუხს ნიკო, – დიდი ხანია დავიღალეთ იმ ჭეშმარიტების გამეორებით, რომ მხოლოდ პლატონური სიყვარული და უნაყოფო „კეთილდღეობის მოსურნეობა“ არწავის აძლევს უფლებას იწოდებოდეს „ინტელიგენტად.“

„ჩვენს უბედურ ქვეყანაში“, – განაგრძობს იქვე ჩვენი პოლემისტი, – „ისეთი ეგოისტები, როგორებიც არიან ჩვენში ბანკის მმართველები, სერიოზულ საზოგადოებრივ როლს ასრულებენ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უუნარონი არიან და თითის განძრევაც კი არ უნდათ საერთო საქმის სასარგებლოდ“.

საზოგადოების სიმპათიები, ხალხის იმედები, ყველაფრის მიუხედავად, მაინც „ინტელიგენციის“ მიმართაა და ამიტომ დღეს ამ უმოქმედო „ინტელიგენციამ“ ხალხს იმედები, მხარდაჭერა არ უნდა გაუცრუოს. საზოგადოების რჩეულების აპათიაში ყოფნას არვის ჰპატიობს ჩვენი პოლემისტი და უკვე მერამდენედ იმეორებს: – „**დროა, დიდი ხანია დროა, მუყაითად**

ხელი მოჰკიდოთ მიმდინარე საკითხებსა და ჩვენი ცხოვრების ამოცანებს; დროა ამ ამოცანების საფუძვლიანი გადანყვეთით დაიკავოთ ხალხში ინტელიგენციის ღირსი მდგომარეობა, დაიმსახუროთ ხალხის ნდობა და მათი საქმე და ბედი ხელიდან გამოსტაცოთ ეგოისტებს, რომელნიც შენიღბულნი არიან გესლიანი ფრაზებითა და ხალხისმოყვარის მანტიით მხოლოდ იმისთვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ იზრუნონ ნათესავებზე და ჩაეფლონ ნეტარებასა და განცხრომაში.“

ისეთმა პუბლიცისტებმა, როგორცაა თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, რომელიც მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა და დაუსრულებლად წერდა სტატიებს გლეხთა საქმეებზე, სირცხვილია, არ იცოდეს ეს, ხოლო იცოდე და მაინც თავგზას ურევდე მკითხველებს,.... ეს ორჯერ უფრო სირცხვილია, არანაკლებ სირცხვილია მთავრობას დააკისრო გამოსყიდვის საქმე...”

როგორც ყველა საერთო სასარგებლო წამწყების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი აჯამეთის ტყის ადგილობრივი გლეხებისაგან შესყიდვის რეალიზაციაში ხელშეწყობისათვის ნიკოლაძე მზადაა თვითონ ის და მისი გაზეთიც გვერდით დაუდგეს ყველას, თვით ნ. ბ. ლოლობერიძესაც კი.

„არის ისეთი საქმეები და ამოცანებიო,“ – წერს ნიკო, – „რომელთათვისაც სირცხვილი არაა ხელი გაუნოდო გამოუსწორებელ ეგოისტსაც კი. „დროება“ კი, რომელიც თავის როლს ერთგულად ასრულებს – კუდში მისდიოს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მცდარად იაზროვნოს. მასდღის წესრიგში უნდა დაესვა საჭირობოტო საკითხი – აჯამეთის ტყის გამოსყიდვა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. „დროებასთან“ ერთად ნიკო „თფილისის მოამბისგანაც“ მოითხოვს ხელი შეუწესყონ ამ საკითხის დამაკმაყოფილებლად გადანყვეტას. უიმედობა, საქმის შეუძლებლობა და პესიმიზმი კი არ უნდა დათესონ ხალხში, პირიქით – ოპტიმალური გზები და საშუალებები უნდა გამოძებნონ და ერთიანი ძალით დაეხ-

მარონ ხალხს, საზოგადოებას ერთი შეხედვით რთული პრობლემების გადაჭრაში. ყველას კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარების შემდეგ ნიკოლაძე კვლავ უბრუნდება თავის შთავაზებას – ადგილობრივი მოსახლეობის – გლეხების მიერ აჯამეთის ტყის შესყიდვაში დახმარების – ოპტიმალური გზის გამონახვის საკითხს.

„სამინათმოქმედო ბანკების თავკაცებითვის, რომელთაც საკმაოდ დრო და ავტორიტეტი აქვთ ახალი, განსაკუთრებული სააქციო საზოგადოების შესაქმნელად, რომლებიც ბევრს ყოყმობენ წესდებების „შემუშავების“ და ბანკების „შექმნის“ ხელოვნებით, ძნელი არ უნდა იყოს ორგანიზაცია გაუკეთონ ხალხისათვის ასეთ საჭირო საქმეს... მოსაზღვრობას არ შეუძლია მართოს გამოსყიდული მამული და როგორც გამოსყიდვისათვის, ისე გამოსასყიდი ფულის შესაკრებად და შემდგომ მამულის გამგებლობისთვისაც აუცილებლად საჭიროა რაიმე დანესებულების დაარსება, რომელიც ცენტრალიზებას გაუკეთებდა ცალკეულ გლეხთა საზოგადოებების ანაბრებს. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების პირობებში სხვა გამოსავალი არ არის, გარდა სააქციო საზოგადოებების დაარსებისა, რომელშიც გლეხთა ოჯახები და საზოგადოებანი სხვა პირებთან თანასწორად შეიქმნებოდნენ აქციონერები.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში ნიკოლაძემ ქართველ საზოგადოებას გააცნო „ერობის“ („თემის“) მოწყობის უპირატესობა და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საზოგადოებამ ყური არ ათხოვა არც მას და არც მოგვიანებით ილია ჭავჭავაძეს ამ პროექტის შეთავაზებაზე. ახლა ნიკოლაძე კვლავ ახსენებს ამ „ერობებს“ მკითხველს და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ჩვენში „ერობები“ რომ ყოფილიყვნენ, ისინი ხელს მოჰკიდებდნენ გამოსყიდვის საქმეს და სათანადო ორგანოებიც ეყოლებოდათ ამ საქმის მოსაგვარებლად; მაგრამ რადგან „ერობები“ ჯერჯერობით არ არსებობენ, ამიტომ აუცილებელია სააქციო საზო-

გადოების დაარსება, რომელიც „ერობის“ დაარსების შემდეგ შეიძლება გადასცეს მამული ამ უკანასკნელს.“

„საზოგადოება არ უნდა დარჩეს ინდიფერენტული და უმოქმედო ხალხისათვის საჭირო და აუცილებელი ამ საკითხის გადაჭრისთვის ქმედითი და დროული ნაბიჯების გადასადგმელად მაშინ, როცა საკითხი მოგვარებადია! თვით გუბერნიის წვრილი ჩინოვნიკებიც დაგვცინებენ, თუკი თქვენი დახმარება იქნება მხოლოდ სურვილი იმის ჩვენებისა, რომ შეგიძლიათ ღონისძიებების გამოძებნა გამოსასყიდი დოკუმენტაციის მისაღებად და მეტი არაფერი! დრო არ ითმენს – დავის გადანყვეტამდე – თუ ვინ უნდა იკისროს გამოსყიდვა, მისი მფლობელების ერთმანეთსა ან რომელიმე სხვა კაპიტალისტთა შორის გარიგებაში ტყე შეიძლება დაიკარგოს ხალხისათვის და ქვემო იმერეთის მოსახლეობა ძველებურად ტყის მფლობელის მოხარკედ დარჩებაო!“ – აფრთხილებს საზოგადოებას ჩვენი პუბლიცისტი და ისევ და ისევ იძლევა რა კონკრეტულ და რეალურ რჩევას, დაჟინებით იმეორებს: – „გამოსავლის პოვნა შეიძლება... შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია... სააქციო საზოგადოების დაარსება 200 000 მანეთის კაპიტალით და მამულის დაგირავება სამინათმოქმედო ბანკში დანარჩენ თანხაზე.“ არჩევანი არ არის... თუ თქვენ უპირველეს ყოვლისა, გინდათ გამოსყიდვის საქმე მოაწყოთ, ძალაუწებურად უნდა შეჩერდეთ ამ ღონისძიებაზე!“

ნიკო ნიკოლაძის ეს წერილები, დაწერილია 1880 წელს. 1883 წელს კი გაზეთი „დროება“ იუნყება სოფელ აჯამეთში საგლეხო ბანკის დაარსების შესახებ.

